ქართველო ბეჭ... ბაჯაღლო და თბილ... ჩასმული ბადახში
თბილისელები®
№50 ...-21 დეკ... 1,50 ლარი
www.tbiliselebi.ge



როდის ავიწყდება სალომე ბაკურაძეს, რომ პირში სხვისი კბილები აქვს და რა საკითხში არ აძლევს კითხვის დასმის საშუალებას მას მეუღლე

გვ. 78

გვ. 79

რა მოულოდნელი სცენა გამართა ქეთი ჩხეიძემ სერიალის ჩაწერისას და რით აბნევს ის გადამღებ ჯგუფს

გვ. 46

როგორ „მოიგო“ შეყვარებული გიორგი მახარაშვილმა და რატომ უმღეროდა ის სასიდედროს სერენადებს

ISSN 1987-569X
9 771987 569002



გვ. 45

რატომ იგონებდა ქეთი ორჯონიკიძე სიმელოტის საწინააღმდეგო წამალს და ვისზე გამოსცადა მან საკუთარი ხელით დამზადებული წამლები



გვ. 40

რატომ ითხოვს „პავლოვიჩი“ განათლების მინისტრთან შეხვედრას და რით აწებივრებს ის გოგონებს



გვ. 67

რას ველარ უყვება ირინა ონაშვილს მეუღლე და როგორ ივსებენ ისინი ერთმანეთთან ურთიერთობის დეფიციტს



როგორ გახდა თინათინ წულაძე ბროდვეის ცეკვის აკადემიის პირველი ქართველი მოსწავლე და რა ოცნებას ისრულებს ის ნიუ-იორკში

გვ. 18



გვ. 70

რატომ ეძახიან ანა ასათიანს ნიუ-იორკში „ბუზამარას“, რატომ უწოდა მას ხორვატიის პრეზიდენტმა „პირველი ქართველი მეგობარი“ და ვისთან დააბარა მოკითხვა და კოცნა სოფი ლორენმა

## კვირის ფრაზები

* შვილის თავიდან მოშორება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საკუთარი რძალი შეუყვარდა
* როცა შევძვრები ამ ქალის ტყავში, ის თვითონ იწყებს ლაპარაკს
* კარიერაში, ასე ვთქვათ, კრიზისი მაქვს, რა დროს ქორწინებაა
* მანქანა ხეზე ჰყავდა გაჩერებული

# „საქართველოს ბანკმა“ არაპროფილური აქტივები გამიჯნა და ჯგუფის სტრუქტურა განაახლა

*„საქართველოს ბანკმა“ სტრუქტურის განახლებისა და არაპროფილური აქტივების გამიჯვნის შესახებ აცნობა საზოგადოებას სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე. „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის განახლებული სტრუქტურის თანახმად, განხორციელდება იურიდიული რესტრუქტურიზაცია, რაც გულისხმობს, რომ მოხდება საბანკო-საფინანსო და არასაბანკო ბიზნესების გამიჯვნა. „საქართველოს ბანკი“ ფოკუსირდება საბანკო საქმიანობაზე, არასაბანკო ბიზნესი კი გაერთიანდება ცალკე საინვესტიციო მიმართულებად – შევა „საქართველოს ბანკის“ ჰოლდინგის დაქვემდებარებაში და განაგრძობს საქმიანობას საქართველოს ბანკისგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება ცვლილებას მმართველობაში, 2015 წლის ზაფხულში „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური გადავა „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (არააღმასრულებელი) პოსტზე. ირაკლი გილაური, ასევე, განაგრძობს მოღვაწეობას „საქართველოს ბანკის“ ჰოლდინგის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის ივნისიდან, მურთაზ კიკორია დაიკავებს.*



**ირაკლი გილაური** *(„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი)*: თავდაპირველად, მინდა აღვნიშნო, რომ „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის განახლებული სტრუქტურა შესაბამისობაშია „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მოთხოვნებთან, რომელიც კომერციული ბანკების მიერ არასაბანკო ბიზნესის ფლობის აკრძალვას ეხება. რაც შეეხება გამიჯვნის პროცესს, 2015 წლის ბოლომდე დასრულდება. ვთვლი, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ბანკისთვის და ისიც, რომ მმართველობაში შეგვაქვს ცვლილებები. ჩემს პოსტზე თამამად შემიძლია, წარვადგინო ღირსეული კანდიდატურა მურთაზ კიკორიას სახით. პირველი, რაც შემიძლია, ამ ადამიანის დასახასიათებლად ვთქვა, არის ის, რომ იგი ბანკირად არის დაბადებული. მურთაზი ნამუშევარია სხვადასხვა წამყვან პოზიციაზე საბანკო სექტორში, სიღრმისეულად იცნობს მის სტრუქტურას და აქვს სერიოზული გამოცდილება ამ კუთხით. ჩვენ გვჯერა, ის ღირსეული კადრია და მისი პროფესიონალიზმი აისახება სამომავლოდ „საქართველოს ბანკის“ საქმიანობაზე, რაშიც წარმატებებს ვუსურვებ მას.

**მურთაზ კიკორია**: მინდა, მადლობა გადავუხადო ნდობისთვის „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელობას. ჯგუფში ვარ 2008 წლიდან და მინდა გითხრათ, რომ საბანკო სექტორთან ერთად ვარ აღზრდილი და ეს სექტორი არ არის უცხო. ჩემი საქმიანობა მოიცავდა კომერციულ და საბანკო საქმიანობას და ურთიერთობებს საფინანსო ინსტიტუტებთან. მიხარია, რომ კვლავ ამ სექტორში განვაგრძობ საქმიანობას. ჩემს გამოცდილებას მთლიანად მოვახმარ ბანკის სამომავლო სტრატეგიას და განვითარებას. ეჭვგარეშეა, რომ ეს არის ძლიერი გუნდი და დარწმუნებული ვარ, ჩვენს სამომავლო წარმატებებში.

**სოფი ლორია**

**პირველი, რაც კლინიკაში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ, გამორჩეული ინტერიერი, სუფთა გარემო და მომლოდინე ან უკვე დაბადებულ ჩვილთა მამიკოების სიხარულნარევი სახეებია. თუმცა „იმედის კლინიკის" სამარკო ნიშანი მხოლოდ ეს არ გახლავთ. სამშობიარო სახლის ფოიეში „მრავალჟამიერის" ხმამაღალი ჰანგებიც კლინიკის კრეატივია და ყველა ის გამორჩეული სერვისიც, რის გამოც ორსულებსა და მშობიარეებს კლინიკაში ოჯახური გარემოს შეგრძნება უჩნდებათ. ამიტომაც, აკეთებენ არჩევანს „იმედის კლინიკაზე". სამშობიარო სახლის დირექტორი, მეან-გინეკოლოგი, პროფესორი დავით კობეშავიძე სიამაყით აცხადებს, რომ ყოველი ახალი სიცოცხლის მოვლინებისას თავადაც ღვთის სასწაულის თანამონაწილეა.**

# სად ამღერებენ „მრავალჟამიერს" ბავშვის დაბადებისას და რატომ ირჩევენ სამშობიაროდ „იმედის კლინიკას"

**– ბატონო დავით, გთხოვთ, ჩვენს მკითხველს მოუთხროთ თქვენი განვლილი პროფესიული გზის შესახებ...**

– სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, მუშაობა დავიწყე ამავე უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე. ცოტა მოგვიანებით, 1995 წლიდან 1998 წლამდე, პროფესიული მოღვაწეობა მოსკოვში, დედათა და ბავშთა ცენტრში განვაგრძე. იქვე დავიცავი საკანდიდატო დისერტაციაც, თუმცა გული მაინც საქართველოსკენ მომიწევდა. ჩამოვედი თბილისში და 2004 წლიდან ჩემს მეგობრებთან ერთად, დავაარსე სამშობიარო სახლი, რომელსაც ვუწოდეთ „იმედის კლინიკა". დღემდე ამ კლინის დირექტორი ვარ.



**– თუმცა, დღემდე პრაქტიკოსი ექიმიც ხართ და მეან-გინეკოლოგის ფუნქციებსაც ითავსებთ.**

– მართალს ბრძანებთ, ყველაზე ნაკლებად დირექტორის ამპლუა მხიბლავს. საორგანიზაციო საქმეებით ნაკლებად ვარ დაკავებული, რადგან მოწოდებით ექიმი ვარ და არა – მენეჯერი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ჩემი თაობის მედიკოსები, ამ წლების კურსდამთავრებულები, ნამდვილი „ოქროს თაობაა" მედიცინაში. ისინი თითქმის ყველა დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან – საუკეთესო ექიმები და პროფესიონალები. თუმცა, პრაქტიკულ საქმიანობას ბევრი აღარ შემორჩა. მე მიყვარს ჩემი სპეციალობა. მედიცინაში არ არსებობს სხვა დარგი, სადაც ექიმი 2 სიცოცხლეს, დედას და შვილს ერთდროულად ემსახურება. ეს ჩემთვის სულ სხვა განცდაა, ამიტომაც შეჩერდა ჩემი პროფესიული არჩევანი თავის დროზე მეან-გინეკოლოგობაზე. მიმაჩნია, რომ ორსული ქალი ყველა ქვეყნისთვის დიდი მონაპოვარია, ხოლო უსაფრთხო დედობა პროფესიული სტანდარტის უპირველესი კრიტერიუმია. ორსულ ქალს თვალისჩინივით სჭირდება გაფრთხილება. ჩვენ ეს გათავისებული გვაქვს. როდესაც ადამიანი კლინიკაში შემოდის, მინდა იმედიანად იყოს, იგრძნოს თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში. როდესაც ადამიანი იბადება, ამ დროს როგორ შეიძლება, იყოს საუბარი პესიმიზმზე?! ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ სამშობიარო სახლისთვის „იმედის კლინიკა" გვეწოდებინა. ეს 2004 წელს იყო, როცა რკინიგზის საავადმყოფოს პირველ სართულზე ენთუზიაზმით შევუდექით ამ საქმეს. მახსოვს, მაშინ 15 მელოგინის საწოლი გვქონდა მხოლოდ. თუმცა, მოგვიანებით, პაციენტების სიხშირემ განაპირობა იზოლირებული, კეთილმოწობილი კლინიკის აუცილებლობა. 2011 წელს შევისყიდეთ მიწის ნაკვეთი და დღევანდელ ტერიტორიაზე დავიწყეთ „ა" კორპუსის მშენებლობა, რომელიც მალევე გაიხსნა. „იმედის კლინიკა" სრულად აღიჭურვა უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დაწყებული ექოსკოპიის აპარატებიდან სამშობიარო ბლოკის სრული აღჭურვით დამთავრებული. ასევე დამონტაჟდა ინტენსიური თერაპიის აპარატურა ახალშობილთათვის... ახლადგახსნილმა სამშობიარო სახლმა პაციენტებში მალევე მოიპოვა განსაკუთრებული ნდობა. გაზრდილმა პოპულარობამ დღის წესრიგში დააყენა შემდგომი გაფართოების საკითხი და ამიტომაც დავიწყეთ „ბ" კორპუსის მშენებლობა. წელს ჩვენ კიდევ ეს კორპუსი დაგვემატა, რამაც დამატებით გაზარდა მშობიარეთა მიღების შანსები ჩვენს კლინიკაში. გარდა იმისა, რომ მოცულობით ჩვენი კლინიკა საკმაოდ დიდია ქალაქის მასშტაბით, ჩვენთან ასევე შემუშავებულია მომსახურების გამორჩეული და განსაკუთრებული სერვისები. როგორიცა, მაგალითად, ახალშობილთა რეანიმაციისა და რეაბილიტაციის კუთხე ***(საუბარს გვაწყვეტინებს ფოიედან საკმაოდ მაღალ ხმაზე გაჟღერებული „მრავალჟამიერი" და ჩვენი ინტერვიუც ამ ფონზე წარიმართა – ე.ნ.)*** სიამაყით მევსება გული, როცა ეს ჰანგები ჟღერს. ჩვილის დაბადება ჩვენთან ასე აღინიშნება. „მრავალჟამიერს" ახალდაბადებულ ჩვილებს, ახალ სიცოცხლეს ვუძღვნით. ეს, ერთი შეხედვით, მცირედი ნიუანსია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ დროს ექიმს, მშობელს და ყველა აქ შეკრებილ გულშემატკივარს ერთნაირად უხარია. ამიტომაც ვცდილობთ, რომ ხალხს ეს ლამაზი წუთები, შეძლებისადაგვარად, გავულამაზოთ. ადამიანმა ჩვენთან უნდა იგრძნოს ოჯახური გარემო. გარკვეულწილად, ასეთ ატმოსფეროს ქმნის კლინიკაში არსებული თანამოაზრეთა ჯგუფი. ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან ამ კლინიკის იმიჯს. ესენი გახლავთ: ქალბატონი მაია მჭედლიძე, ნინო ბოცვაძე, ნინო ჯაფარიძე; ბატონები: გივი მაყაშვილი, კოტე ხარაბაძე, გია გაბრიჩიძე, დავით ებრალიძე და ასე შემდეგ. ეს პროფესიონალთა ჯგუფია, თავისი დარგის წამყვანი სპეციალისტები. ამ ლიდერთა და თანამოაზრეთა ჯგუფში მუშაობა ჩემთვის ძალიან პრესტიჟულია და საინტერესო. ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ მხოლოდ ჩვენთან ფუნქციონირებს „SOS-პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს, მშობიარობის შემდგომი გართულებების შემთხვევაში, ჩვენთან ნამშობიარები ქალბატონის უფასო დიაგნოსტირებასა და მკურნალობას. ასეთივე სერვისი გვაქვს ახალშობილებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლინიკაში მოქმედებს საშეღავათო ტარიფები მრავალშვილიანი ოჯახებისათვის და მიხარია, რომ ამით, გარკვეულწილად, ჩვენი წვლილი შეგვაქვს გენოფონდის განვითარებაში. მომავალ წელს კლინიკას დაგეგმილი აქვს რამდენიმე ახალი, გინეკოლოგიური პროექტის წამოწყება, რომლის დეტალებსაც სიურპრიზად შემოვინახავთ შემდგომი წლისთვის. ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ ეს არის კლინიკა, სადაც ხდება პაციენტთა უფლებების დაცვა. ადგილზე გვყავს, პაციენტთა ომბუდსმენი – ჟურნალისტი მეგი საჯაია, რომელიც არსებული პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, უშუალოდ ერთვება საკითხის შესწავლასა და დარეგულირებაში – იცავს პაციენტის უფლებებს. ჩვენთან, საშუალოდ, წელიწადში 4 000-მდე ბავშვი იბადება. თანაც, სიამაყითა და ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ 30-35 ბავშვზე თუ ხდება შემდგომი გართულებები. ანუ, მეორე ეტაპზე გადაყვანა, როდესაც ახალშობილს სჭირდება სამკურნალო ჩარევები უკვე სხვა ტიპის სტაციონარში. უმრავლეს შემთხვევაში, „იმედის კლინიკიდან" ეწერება ჯანსაღი მომავალი თაობა. შობადობის რიცხვი ჩვენთან ყოველწლიურად იზრდება. თუ 2011 წელს, თვეში ჩვენთან საშუალოდ 60-მდე ორსული დგებოდა აღრიცხვაზე, ახლა ეს ციფრი 180-ს აღწევს. მალე მაქსიმალური სიზუსტით ამუშავდება ჩაწერის ინსტიტუტიც, რაც ერთიორად გაზრდის პაციენტთა მომსახურების კომფორტს. ჩანაფიქრი და მიზანი მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მშობიარეები და ორსულები იგრძნობენ, რომ ნამდვილად სამშობიარო სახლში და ოჯახურ გარემოში იმყოფებიან და არა საავადმყოფოში.



**– რას გრძნობთ, როდესაც ახალი სიცოცხლე იბადება?**

– ეს ენით აუწერელი სიხარულის განცდაა. ამ დროს, მე ვგრძნობ, რომ ახლოს ვარ უფალთან. ადამიანის მოვლინება ამქვეყნად, ეს გახლავთ უფლის სასწაული, უფლის ძალა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თქვენს მკითხველს, ჩვენს პაციენტებს, რომლებმაც ნდობა გამოგვიცხადეს და რეიტინგში ამხელა მხარდაჭერა გამოხატეს. ჩვენც მთელი ჩვენი ძალებითა და რესურსებით ვეცდებით, რომ იმედი არ გავუცრუოთ „იმედის კლინიკაში" მოსულ ქალბატონებსა და მათი ოჯახის წევრებს!

**ეკა ნაკაიძე**

# მწიფობაში

## მუზებდაფრთიანებულები

შესაძლოა, იმიტომ, რომ **რფ-დან მისაღებმა 5 მილიარდმა რუბლმა** (რომელიც უკვე 100 მილიონ აშშ დოლარამდე ჩამოქვეითდა, მომავალ წელს კი, წესითა და რიგით, უარესი ბედი ელის) **მუზები დაუფრთიანა**, ამ ჩვენს **აფხაზ სეპარატისტებს კვირა ერთია და ორ-ორი ინციატივა უმწიფდებათ** იმ თავიანთ სეპაარტისტულ ტვინებში.

ასე, მაგალითად, გასულ კვირას **აფხაზეთის საზოგადოებრივმა საბჭომ საზოგადოებას შესთავაზა, რომ 300 კაცზე მრავალრიცხოვანი ქორწილები დაიბეგროს.**

საბჭოს წარმომადგენელმა ნათება ჭანბამ შენიშნა, რომ, **მართალია, ქორწილების დაბეგვრა ეწინააღმდეგება აფხაზურ ტრადიციებს**, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს **ტრადიცია, ანუ ქორწილებისთვის ფულის შეგროვება, კიდევ უფრო აზარალებს აფხაზური ოჯახების ბიუჯეტს.** ამიტომაც, **აუცილებლად მიაჩნია ქორწილებში დასადები ფულის ზედა ზღვრის დაწესება, ხოლო** მეტად **ხალხმრავლების** – საერთოდაც **დაბეგვრა.**

სახელდობრ, ქ-ნი **ჭანბა ბრძანებს: „მათთვის, ვისი საშუალო ხელფასი 5 000 რუბლია** (ეს 200 ლარიც არ არის), **რთულია ამდენივე თანხის დადება ქორწილში**, რომელიც ხანდახან კვირაში ოთხია. შესაბამისად, **ეს ტრადიცია ნეგატიურად აისახება აფხაზი მოქალაქეების ფინანსურ მდგომარეობაზე.“**

მეორე მხრივ, **პრობლემა არა მხოლოდ ქორწილების სიუხვე** (რაც მეეჭვება) და ფულის ნაკლებობაა (რაც არ მეეჭვება), არამედ **ავტოავარიების სიხშირეც ყოფილა**, ამიტომაც, **ახლა უკვე აფხაზეთის „პრ.“ ხაჯიმბა გამოვიდა ინიციატივით**, რომ ზოგიერთი **ავტოსაგზაო შემთხვევისას არა მხოლოდ მართვის მოწმობა უნდა ჩამოართვან დამნაშავე მძღოლს**, არამედ, **თვით ავტომანქანის კონფისკაციაც მოახდინონ.**

ხოლო, რაკი **ამ ორმა ინიციატივამ ჩემი მუზებიც ააფუთფუთა, გამოვდივარ შემხვედრებით:** აფხაზეთში **აიკრძალოს** აქეთ – **ქორწილები** და იქით – **ავტომანქანები**. –

# „ყველგან დაგნებდები, ხირხალ!“

## ანუ ყველა სეპარატისტს რფ უნდა!

**გული მეტად ჩასწყდათ დასწყდათ**, რაკი **მხოლოდამღიარებელმა რფ-მ თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შეთანხმება მეგობარ სეპარატისტ აფხაზებს გაუფორმა** და ეს ჩვენი **სამხრეთელი ოსები ხახამშრალი დატოვა**, მაგრამ ამ უკანასკნელებს **იხტიბარი არ გაუტეხავთ** და **შეთანხმების წერას თავად შეუდგნენ** (პრინციპით, რადგან, **თუკი რფ არ მიდის ცხინვალელ სეპარატისტთან, ცხინვალელი სეპარატისტი მივა რფ-სთან).**



ჰოდა, რადგან **იხტიბარგაუტეხავები არიან, „პრ.“ თიბილოვმა განაცხადა,** რომ „რუსეთსა და „იუჟნაია ოსეტიას“ შორის **მოკავშირეობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს** (ისე აქტიურად, **ვშიშობ, ბეჭი არ ამოიგდონ**!).

თუმცა **თავი უკვე დაუკარგავთ,** მომყავს ციტატა ზემოხსენებული „პრ.“-ის განცხადებიდან: **„გამოვედი ინიციატივით, რომ მომავალ შეთანხმებაში განხილული იყოს სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში პირდაპირი შესვლის შესახებ საკითხი, ვიდრე სხვა ფორმები იქნება შემოთავაზებული** (ანუ **დაგვარტყით ალყაო).“**

**იმედოვნებენ, რომ უახლოეს დროში მიიღებენ პასუხს დანებების შეთავაზებაზე.** ჩვენ არ ვიცით, **წაჰგვრის თუ არა უმწიკვლობას**, ანუ „დამოუკიდებლობას“ **მხოლოდამღიარებელი ჩვენებურ სეპარატისტებს,** მაგრამ ფაქტია, რომ **პიონერებივით მზად არიან**, ანუ, **„ყველგან დაგნებდები, ხირხალ“! –**

# წიწკვები

## ანუ ქორფა ქათმები

ქართულ ბაზარზე **ახალი პროდუქტი გამოჩნდა, მეტად ეგზოტიკური სახელწოდებით: „ბიუ-ბიუ“.** იმ მარტივი მიზეზით, რომ **ქართულ წარმოებას მივესალმებით**, ცხადია, **მომხმარებლებს გაგვიხარდა**, იმის მიუხედავადაც, რომ **სახელწოდება ჩვენს შეცდენას ცდილობს**. კერძოდ, ამა წლის **პირველი აგვისტოდან აიკრძალა პროდუქციის დასახელებაში „ბიოსა“ და „ეკოს“ გამოყენება, თუკი პროდუქცია ნამდვილად ბიო და ეკო არ არის.**



მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **გაურკვეველი წარმოშობის, ზედაც, გაყინული ფრინველის ხორცს ადგილობრივი და გაუყინავი აპ-რიორი გვირჩევნია** – ის მაინც ვიცით დაზუსტებით, რომ **ქათამია**! –

თუმცა, **თუ ამ კონკრეტული პროდუქტის სარეკლამო რგოლით ვიმსჯელებთ**, პროდუქციის ხარისხსა და გემოვნურ თვისებებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ, აშკარაა, რომ **შემქმნელები ქართული ენის ცოდნისგან ისევე შორს არიან, როგორც პირადად მე – ჩინურისგან.**

სახელდობრ, სარეკლამო რგოლი გვამცნობს, რომ **ამიერიდან ქართველ მომხმარებელს ქალაქიდან გაუსვლელად შეეძლება ქართულ სიმინდზე გაზრდილი ნედლი ქათმის შეძენა.**

იმის გათვალისწინებით, რომ **ქათამი ნედლი ვერაფრით იქნება** (ნედლი – ჰა და ჰა, ხე შეშა იყოს), ჩვენ არ ვიცით, **რა მდგომარეობაში მყოფ ფრინველის ხორცს გვთავაზობენ**, თუმცა გუმანი მკარნახობს, რომ **ამიერიდან ჩვენს სუფრებს სულ წიწკვ-წიწკვი ქათმები დაამშვენებს**. –


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ქლენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# რიგითი კეკენაძის გადასარჩენად!

## ანუ „ომში მივდივარ, გულში სევდა შემომერია“

გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ **საკონსტიტუციო სასამართლომ არსებით განხილვაში მიიღო მოქალაქე გიორგი კეკენაძის სარჩელი**, რომელიც ამ ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს, არც მეტი, არც ნაკლები, **იმის გამო უჩივის, რომ ჯარში ქალებსაც არ იწვევენ სავალდებულო წესით** (ყოჩაღ, მოქალაქე კეკენაძე!!!).



სახელდობრ, ზემოხსენებული მოქალაქე **სამხედრო სავალდებულო სამსახურში მხოლოდ მამაკაცების გაწვევას დისკრიმინაციულად მიიჩნევს** კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, რომელიც **სქესის ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს**.

მოსარჩელე უბნობს, რომ, გარდა დისკრიმინაციისა, საბრალო მამაკაცები სხვა კუთხითაც იჩაგრებიან. კერძოდ, მოქალაქე კეკენაძე აცხადებს, რომ **დამამთავრებელი კურსის სტუდენტია, რომელსაც რამდენიმე თვეში ეწურება სამხედრო სამსახურის გადავადების ვადა და ექვემდებარება სამხედრო სამსახურში გაწვევას**. ჰოდა, **თუ გაიწვევენ, მომავალი ერთი წლის განმავლობაში მოკლებული იქნება პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობას, განსხვავებით** თანატოლი **ქალებისგან** (ოჰ, **ეს პარაზიტი** ქალები!).

მოგვიანებით **მოქალაქე კეკენაძემ განმარტა** (რაკი საზოგადოებამ დიდად არ მოიწონა მისი ეს ინიციატივა), რომ თითქოს **მისი სარჩელი არასწორად იქნა ინტერპრეტირებული** და მას სულაც **არ მოუთხოვია ქალების ჯარში გაწვევა**. როგორც ჩანს, **მოსარჩელეს ფრიად ცუდი წარმოდგენა აქვს დანარჩენების რუხი ნივთიერების რაოდენობაზე**, ვინაიდან, **დისკრიმინაციულობა ნიშნავს იმას, რომ გაწვევას ან ორივე სქესი უნდა დაექვემდებაროს**, ან – **არცერთი.**

რაც მთავარია, **როცა არ უნდა გაიწვიონ მოქალაქე კეკენაძე,** დამამთავრებელ კურსზე თუ იმის შემდეგ**, ერთი წლის დაკარგვა ჯარში სამსახურისთვის მაინც მოუწევს, ანუ,** როგორც თავად ამბობს**, მისი კარიერული წინსვლა, თუ ქალებმა არ ივაჟკაცეს, მუდმივ საფრთხეშია!** –

მეორე მხრივ, თუ გავიხსენებთ, რომ **ერთადერთი, რაშიც ჯერჯერობით მონაწილეობა არ მიუღიათ ქართველ ქალებს** (მასობრივად), **არის ომები**, დარწმუნებული ვარ (თუ მოქალაქე გიორგი კეკენაძე თავისას გაიტანს), **ჩვენი ქალბატონები თავს აქაც ისევე ისახელებენ, როგორც ოჯახის მარჩენლის ფუნქციას გაართვეს თავი წარმატებით**! –

# თითმოკაკვული უილიამი

## ანუ „ნაციონალური“ ტრაგედიები

და თუმცა **ჩვენს მეხსიერებას ცოცხლად შემორჩა კადრები, როგორ გამოასახლეს რამდენიმე წლის წინათ დევნილები ბათუმში სპეცრაზმის გამოყენებით** – ლამის ზღვის სანაპიროზე კენჭებსაც კი ცრემლი სდიოდა – ან **როგორ გაამწესეს სატვირთო ავტომანქანებით თბილისიდან წალენჯიხის რაიონში**, როგორც აღმოჩნდა, **უახლესი ისტორიის ეს ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატის მეხსიერებაში სილამიყრილია.**



კერძოდ, გასულ კვირას **ხსენებული ბ-ნი ორთაჭალაში ყოფილი სამხედრო ჰოსპიტლის ტერიტორიიდან დევნილების გასახლების წინააღმდეგ გამართულ აქციას შეუერთდა** და **მინისტრის მოადგილეს** (ბ-ნ რეხვიაშვილს) **სიტყვიერადაც შეება, ვითარცა თავზეხელაღებული უფლებადამცველი.**

ხოლო, **რაკი აწ თავზეხელაღებული უფლებადამცველია**, ხელისუფლების წარმომადგენელი შემდეგნაირად **დაამუნათა: „შუა ზამთარში ხალხს ყრით გარეთ** (ვადასტურებ, ზემოხსენებული შემთხვევები ზაფხულში მოხდა), **რომელ ფუნდამენტურ უფლებებზე ლაპარაკობთ!** თქვენი უფროსი გამოდის და ამბობს, შენობას რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდესო, არადა, შენობას აწერია, რომ იყიდება.“

აქვე შეგახსენებთ, რომ ბ-ნი **რეხვიაშვილი „ნაციონალური“ ხელისუფლებისას ქვემო ქართლის პროკურორი გახლდათ** და **მისი ბიოგრაფიის სწორედ ეს ადგილი გაუხსენა ამჟამადაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა** და თანამოაზრემ, მაშინ კი გამგებელმა, ბ-ნმა **მელიამ**: **„ადამიანის უფლებებზე წინა წლებში, „ნაციონალური მოძრაობის” დროს, ქვემო ქართლის პროკურორი არ უნდა ლაპარაკობდეს.“**



ბუნებრივია, იბადება ლოგიკური კითხვა: **თუკი „ნაციონალური მოძრაობის“ ამჟამინდელი წარმომადგენელი ლაპარაკობს ადამიანის უფლებებზე, იმავე თემაზე იმავე მოძრაობის ყოფილი წარმომადგენელი რატომ ვერ ილაპარაკებს?!**

ხოლო, **რაკი ბ-ნი მელია წარბშეუხრელად ამტკიცებს საპირისპიროს,** აშკარაა, რომ **უილიამ შექსპირი ბეჭებზეა დადებული,** რადგან, **ასეთი უტიფარი პასაჟები კლასიკოსმა თვით რიჩარდსაც კი ვერ მოუფიქრა**.

ერთი სიტყვით, მართალია, **ბ-ნი მელია ვერ გახდა თბილისი მერი**, მაგრამ, სამაგიეროდ, **თვით უილიამ შექსპირს მოაკაკვინა თითი!** –

# მბაძველი

## ანუ უნებლიეთ დამთხვეული

გასულ კვირას მეტად სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ, რომ **აშშ-ის ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვის პროგრამა** (რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტიდან გამომდინარე ამოქმედდა) **ფრიად მიუღებელ მეთოდებს იყენებდა დაკავებულთა დაკითხვისას**. კერძოდ, **დაკავებულებს**, არც მეტი, არც ნაკლები, **უბრალოდ, აწამებდნენ**.

რაც მთავარია, **ეს საკითხი თვით აშშ-ის სენატმა გამოიტანა საზოგადოების სამსჯავროზე**. მაგრამ, მაგალითად, **აშშ-ისვე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა ჯონ ბრენანმა წამების მეთოდების გამოყენება გაამართლა**. თუმცა **აღიარა**, რომ **ზოგიერთი მეთოდი მართლაც საზარელი იყო,** იქვე შენიშნა, რომ მათმა გამოყენებამ სააგენტოს, ჯერ ერთი, **ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოაპოვებინა, რამაც**, მეორე მხრივ, **უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.**




თუ გავიხსენებთ, რომ **პროგრამა ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას ამოქმედდა** (მისი მოქმედება ბარაკ ობამამ შეაჩერა გაპრეზიდენტებისთანავე), **რომელიც ჩვენ „დემოკრატიის შუქურად“ გვიხმობდა** და, ზედაც, დავამატებთ, რომ **წამება ბ-ნი ბუშის ფავორიტი ბ-ნი სააკაშვილის პრეზიდენტობისას ჩვენს ციხეებში ჩვეული ამბავი იყო**, იბადება კითხვა: **დამთხვევა უნებლიეა?!** იმას გარდა, ხომ **არ აჯობებდა, რომ სხვა რამეში მიებაძა?!** –

**გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია



**ჯერჯერობით რუსეთის ფედერაცია უკრაინის მიმართულებითაა კონცენტრირებული და ეგრეთ წოდებულ დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებს აგულიანებს კიევისთვის, რაც შეიძლება, მეტი პრობლემის შექმნის მიზნით. ისიც ფაქტია, რომ დასავლეთი უკრაინის უკვე დარღვეული მთლიანობის მხარდაჭერას მხოლოდ შეშფოთებებითა და მოწოდებებით გააგრძელებს. მეორე მხრით, ადრე თუ გვიან, რფ სამხრეთ კავკასიისთვის და კონკრეტულად საქართველოსთვისაც მოიცლის. ეს ტენდენცია ნაწილობრივ მიანიშნა გასულ კვირას პუტინ-ერდოღანის შეთანხმებამ ამჯერად ეკონომიკურ საკითხზე, რაც, სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილებაში თურქეთი აქტიურად ჩაერთო. რა საფრთხეები ემუქრება საქართველოს ჩრდილოეთიდან და რა შემთხვევაში აამოქმედებს რუსეთი საქართველოს დესუვერენიზაციის კარგა ხნის წინათ მომზადებულ გეგმას? – თემას თავდაცვის ექსმინისტრთან, დავით თევზაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# დაუთმობს თუ არა თურქეთი რუსეთს ბათუმს და საქართველოს რამდენ ნაწილად დაშლას ითვალისწინებს რუსეთის ახალი სტრატეგია უკრაინის მოვლენების ფონზე

**– რით შეიძლება, დასრულდეს უკრაინასთან თუ უკრაინის გამო სამხედრო ჭიდილი და რა საფრთხე გვემუქრება ჩვენ, ამ რეალობიდან გამომდინარე?**

– უკრაინა რუსეთისთვის იყო ბუფერი „ნატოსთან“ და, ბუნებრივია, ის ამ ბუფერის შენარჩუნებას შეეცდებოდა. გამომდინარე სამხედრო-სტრატეგიული ხედვიდან, რაზეც ძირითადად იგება სამხედრო პოლიტიკა, არავისთვის უნდა ყოფილიყო სიახლე, რომ რუსეთი რაღაც ნაბიჯებს გადადგამდა, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ მას ეს ბუფერი ხელიდან ეცლება.

**– როგორც ჩვენ ვასრულებთ ერთგვარი ბუფერის როლს რუსეთისთვის „ნატოსთან“, თურქეთთან მეზობლობით?**

– სამხრეთ კავკასია ცუდი ბუფერია, იმიტომ რომ ტერიტორიაა მცირე, თუმცა რუსეთისთვის სამხრეთ კავკასია ერთგვარი საყრდენია იმისთვის, რომ მას არ მოსწყდეს ჩრდილო კავკასია. სამხრეთ კავკასიას რუსეთი განიხილავს ზონად, რომელზეც დამოკიდებულია ჩრდილო კავკასიაში განვითარებული მოვლენების მიმართულებები. ჩრდილო კავკასია არის ის საყრდენი, რაზეც დგას რუსული სახელმწიფოებრიობა. თუ მას ჩრდილო კავკასია მოსწყდა, გაიყოლებს მთელ რეგიონს აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. მეტიც, იქ ძალიან ძლიერი დემოგრაფიული ცვლილებები მოხდა ბოლო წლებში: რუსული ეთნოსი, ფაქტობრივად, განიდევნა რეგიონიდან. ამიტომ, ბუნებრივია, რუსეთს ეს პრობლემა აწუხებს, რადგან, თუ ჩრდილოეთ კავკასიამ მოახერხა და თავი გაითავისუფლა, მაშინ ეს პროცესი შეიძლება, გაგრძელდეს ვოლგისპირეთში და ასე შემდეგ. ეთნიკურად ეს რეგიონები ერთმანეთზეა მიბმული, რელიგიურად ვოლგისპირეთი ძირითადად მუსლიმანურია, ამიტომ რუსეთისთვის ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეს იქნება ბიძგი მისი შემდგომი დეზინტეგრაციისთვის. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე აღიქვამს. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც ასეთი პრობლემა უდგება, ეძებს მოგვარების გზებს. რუსეთმა მიიჩნია, ყოველ შემთხვევაში, სამხედრო ხედვით, ეს ფიქრთა ბუნებრივი დენაა, რომ, თუ სამხრეთ კავკასიაში არ ექნა სანდო საყრდენი, ის ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემას ვერ მოაგვარებს.



**თუ რუსეთმა და ევროპამ ვერ მოილაპარაკეს უკრაინის შესახებ, შეიძლება, რეალურად დადგეს საქართველოს გაყოფის საკითხი. ანუ ფაქტია, რომ აფხაზეთი-ცხინვალი-გიუმრის ბაზები მოითხოვს საყრდენ წერტილად ბათუმს**

**– აქვე გავიხსენოთ, რომ სწორედ სამხრეთ კავკასიის შემოერთების შემდეგ დაიკავა რუსეთის იმპერიამ ჩრდილო კავკასია, მათ შორის, ქართველების აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით.**

– ბუნებრივია. ეს ვითარება იყო ერთხელ ამ ორასი წლის წინათ: რუსეთი თავიდან არ აპირებდა სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ძალების შემოყვანას, მაგრამ ყირიმის ომმა ის აიძულა, რომ კავკასიის ფრონტი მისთვის პრიორიტეტული გამხდარიყო, რითაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მან პრობლემები შეუქმნა ოსმალეთის იმპერიას და შემდეგ ადვილად მოახერხა თავისი ამოცანების განხორციელება ყირიმში. დღესაც დაახლოებით იგივე სქემა იკვეთება. რუსეთს ერთგვარი ფსიქოლოგიური სიმშვიდის მომენტს უქმნიდა სამხრეთ კავკასიაში მისი ბაზების არსებობა, მაგრამ რაღაც პერიოდიდან ბაზების მთლიანად გაყვანა მოუწია.

**– სომხეთში ხომ აქვს?**

– სომხეთის ბაზა იზოლირებულია, მას სჭირდება საყრდენი, რადგან იზოლირებული ბაზა განწირულია დასატოვებლად, ვინაიდან რაღაც პერიოდში შეუძლებელი გახდება მისი უზრუნველყოფა. ამიტომ რუსეთს უნდა მოეძებნა რაღაც ნაბიჯები, რომ მოეგვარებინა ეს პრობლემა. საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუ ამის მოგვარებას ეცდებოდა ომის გარეშე, ამიტომ ჩაერთო რუსეთი აქტიურად ვარდების რევოლუციის „გადალაგების“ პროცესში. ის მიიჩნევდა, რომ ხელისუფლების ცვლილება მას რეალურ შედეგს მოუტანდა და საქართველო ამოვარდებოდა მისი მტრების ნუსხიდან. წესით, მას ასეთი მოლოდინი უნდა ჰქონოდა, რადგან, თუ გახსოვთ, იყო ლაპარაკი ხელის გაწოდებაზე, ანტიტერორისტული ერთობლივი ცენტრის შექმნაზე. რუსეთს ეს უქმნიდა ილუზიას, რომ დალაგდებოდა ყველაფერი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ ყოფილა და მაშინ მას უნდა ეპოვა სამხედრო გამოსავალი, რომ მიეღო საყრდენი წერტილები სამხრეთ კავკასიაში. და 2008 წლის ომი სრულად ჯდება ამ სქემაში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად გააზრებულად იღებდა ამაში მონაწილეობას ხელისუფლება...

**– უნებლიეთ რომ მიიღო მონაწილეობა, ფაქტია შედეგით.**

– შეიძლება, მთლად უნებლიეთაც არა... თუ დავაკვირდებით წინააღმდეგობების ხასიათს, თუ დაველაპარაკებით მეთაურებს, რომ წინააღმდეგობისთვის მზად იყვნენ და უცებ მიიღეს განკარგულება, რომ დაეტოვებინათ პოზიციები.

**– უპრეცედენტო რამ მოხდა, იდეზერტირა უმაღლესმა სამხედრო ხელისუფლებამ და არა ჯარმა, რაც, ძირითადად, პირიქით ხდება ხოლმე.**

– ცალსახა დირექტივა მიიღო ჯარმა, რომ არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ წინააღმდეგობა წყდება. აი, ეს არის ყველაზე საინტერესო. ერთი სიტყვით, 2008 წლის ომის შედეგად რუსეთმა გაიჩინა საყრდენები სამხრეთ კავკასიაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბაზების სახით. ეს არის ის საყრდენები, რომლებზეც შეიძლება, აიგოს რუსეთის უსაფრთხოების არქიტექტურა კავკასიაში. შემდეგი ნაბიჯი უკვე ჩანს – ეს იქნება მყარი კომუნიკაციის შექმნის მცდელობა აფხაზეთისა და ცხინვალის ბაზებს შორის.

**– რას გულისხმობთ? გზის გაჭრას აფხაზეთიდან ცხინვალისკენ?**

– უპირველესად, უნდა შეიკრას ხაზი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის, თუ ეს კომუნიკაცია არ შედგა, ეს ორი ბაზაც ჰაერში რჩება გამოკიდებული.

**– ტექნიკურად, როგორ მოხდება ეს?**

– ჯერ ერთი, გზა, როგორც ასეთი, არსებობს და საზღვრის გადმოწევის პრეცედენტებიც. იცით, რომ ჩვენი საზღვარი არ არის დემარკირებული რუსეთის მონაკვეთზე. მეტიც, 2008 წლის ომმა რუსეთს მისცა ის გეოპოლიტიკური ინსტრუმენტი, რომ საზღვრებს არ ცნობს კავკასიაში. ყოველ შემთხვევაში, მისთვის აქ საზღვრის გადაწევ-გადმოწევა შესაძლებელია. ასე რომ, ეს სივრცე ასეთი ცვლილებისთვის შემზადებულია, უბრალოდ იმაზეა საუბარი, როდის დასჭირდებათ ამის გაკეთება. ამის შემდეგ შეიძლება უკვე ხაზის შეკვრა გიუმრის ბაზასთან და ამ ბაზების განლაგება კრავს „სამკუთხედს“.

**– აზერბაიჯანს არ ემუქრება საფრთხე?**

– ასეთ შემთხვევაში, რუსეთისთვის არ არის პრობლემა აზერბაიჯანი..

**– რადგან, თუ ჩვენთან კეტავს სივრცეს, აზერბაიჯანს ავტომატურად მიიღებს?**

– რუსეთისთვის პრობლემაა არაკონტროლირებადი ნაკადების გადაადგილება სამხრეთიდან ჩრდილო კავკასიისკენ. როგორც ჩანს, ეს ნაკადები არსებობდა და იყენებდა დერეფანს: თურქეთი – საქართველო-ჩრდილო კავკასია. ამის მიმანიშნებელია, თუნდაც, ლაფანყურის მოვლენები. ქართველები ამას ხელს ვერ ან არ უშლიდნენ. 2008 წლის შემდეგ რუსეთისთვის ლოგიკური იყო ძალებისა და რესურსების კონცენტრირება შუა აზიის მიმართულებით, ვინაიდან შუა აზია არის რეგიონი, საიდანაც, როდესაც ავღანეთში დასრულდება „ნატოს“ მისია, უნდა გადაიღვაროს თალიბანის ენერგია.

**– ტყუილად კი არ მისცა რუსეთმა გზა „ნატოს“ თავისი ტერიტორიის გავლით.**

– ავღანეთი მართლაც სერიოზული პრობლემაა მისთვის და უახლოეს ათწლეულში ამ პრობლემის წინაშე აუცილებლად დადგება, ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ მას შემდეგ, რაც კავკასიის ფლანგზე მან თავისი ფორპოსტები ძალიან მნიშვნელოვან ადგილებში ჩააყენა – აფხაზეთსა და შიდა ქართლში, ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჩრდილო კავკასია მეტნაკლებად ეკონტროლებინა და საკუთარი ძალები და რესურსები გადაეწია შუა აზიისკენ.

აქაც ჯერ მშვიდობიანი სცენარით დაიწყო – ევრაზიული სივრცის შექმნით, თუმცა ამის შიგნითაც მიდის გარკვეული მზადება, როგორ შეიძლება, მოახერხოს ეფექტიანი თავდაცვა. უკვე 2000-ანებიდან ჩანდა, რომ რუსეთი საფრთხეებს აღიქვამდა უფრო აღმოსავლეთიდან, ვიდრე დასავლეთიდან, იმიტომ რომ მას „ნატო“ არასდროს მიაჩნდა რეალურ საფრთხედ. როგორც

(გაგრძელება 37-ე გვერდზე)

**სულ მალე ახალი წელი დადგება და გემრიელი კერძებისა და სასმელების მიღების შემდეგ თავს აუცილებლად შეგვახსენებს ნაღვლის ბუშტთან, თირკმელებთან და სხვა ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები. ამიტომაც, კარგი იქნება, რომ მანამდეც და ახალი წლის შემდეგაც, როგორც სამკურნალოდ, ასევე, პროფილაქტიკის მიზნით, მივიღოთ ლელა გეჯაძის ნაყენი – „ქავთასი“, რომელმაც არაერთი პაციენტი განკურნა. ამიტომაც უწოდებენ პაციენტები ამ ნაყენს „სასწაულმოქმედს“. „ღვთიური მადლით გაჯერებული ბუნების საჩუქარი – უკვდავების ნაყენი“ – ასე უწოდა ლელა გეჯაძის ნაყენს დმანისის ეპარქიის წმიდა ბასილი დიდის ტაძარში მოღვაწე დედა გაიანემ (ფილიშვილი). ქალბატონი ლელა მიიჩნევს, რომ მის ნაყენს უფრო მეტი ძალა მეტეხის ეკლესიის წინამძღვრის, მამა აკაკის (მელიქიძე) კურთხევამ მისცა, რომლის საფუძველი გახდა ეკლესიის მსახურთა და მრევლის განკურნების შემთხვევები. წლებია, რაც ლელა გეჯაძე მამა აკაკის მიერ ნაკურთხ ნაყენს ამზადებს და მადლიერ პაციენტთა სიას ბოლო არ უჩანს.**

# „მე ლელა გეჯაძის ნაყენმა ოპერაციისგან მიხსნა!“ - აცხადებს წმიდა ბასილი დიდის ტაძარში მოღვაწე დედა გაიანე ლელა გეჯაძის მიერ დამზადებული ნაყენის - „ქავთასის“ შესახებ, რომელსაც მამა აკაკის კურთხევა აქვს და არაერთ ადამიანს მოუხსნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები

*წმინდა მარინეს ტაძრის არქიმანდრიტი* **მამა ლუკა (კოჩენკო):** მაწუხებდა გაუსაძლისი ტკივილი მუცლის ღრუში. ვიტარებდი გამოკვლევებს, მინიშნავდნენ მედიკამენტურ მკურნალობას და ეს ყველაფერი უშედეგოდ გრძელდებოდა. მრევლისგან შევიტყვე გეჯაძის ნაყენის შესახებ და გადავწყვიტე მკურნალობის დაწყება. „ქავთასის“ მიღებისთანავე ყველა ჩივილი უკვალოდ გაქრა.

**ელზა სოლოღაშვილი** *(პაციენტის შვილი):* მამას ოპერაცია სჭირდებოდა საყლაპავ მილზე. დასიებული ჰქონდა ყბა და ყელი, თითქმის ვერ ლაპარაკობდა. კომპიუტერული ტომოგრაფიაც გადავუღეთ – ოპერაცია გარდაუვალი იყო. შემთხვევით შევიტყვეთ ქალბატონი ლელას ნაყენის შესახებ და უმალ დავიწყეთ მკურნალობა. შედეგი დღითი დღე გვაოცებდა: მამას ეტაპობრივად აულაგდა ყველა პრობლემა და დაუბრუნდა ხმა. ტომოგრაფიის ხელმეორედ გადაღების შემდეგ ყველა პრობლემა მოეხსნა. რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ლელას.

**ქეთევან თულაშვილი**: ბოლო დროს თავს შეუძლოდ ვგძნობდი: მაწუხებდა თავის ტკივილი და ბევრი სხვა ჩივილიც მქონდა. გადავწყვიტე ტომოგრაფიის გაკეთება. ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ ენის ქვეშ მქონდა კისტა, თავში კი – წანაზარდი, რომელიც მედიკამენტურ მკურნალობას არ ექვემდებარებოდა და სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო, რასაც საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა. ქალბატონი ლელას ნაყენის შესახებ მეტეხის ტაძარში შევიტყვე და გადავწყვიტე მკურნალობის დაწყება. მკურნალობამ დაახლოებით ორ თვეს გასტანა. თავს დღითი დღე უკეთ ვგრძნობდი და ტკივილებიც ქრებოდა. მკურნალობის დასრულების შემდეგ ჩავიტარე კომპიუტერული ტომოგრაფია და ყველა პრობლემა უკვალოდ გამქრალიყო. ყველა სკეპტიკოსს, ვისაც არ სჯერა ლელა გეჯაძის ნაყენის, მივმართავ: ვცხოვრობ თბილისში, ნავთლუღში, გუდარეხის ქუჩა №8-ში. მზად ვარ, ყველას ვაჩვენო ტომოგრაფიების პასუხები მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, დანარჩენში კი თავად დარწმუნდებიან.

**ნინო იაშვილი**: ფარისებრი ჯირკვალი ზომებში საგრძნობლად მქონდა დაპატარავებული, რაც სისხლის კვლევებითაც დასტურდებოდა. ვიყავი უენერგიოდ, მალე ვიღლებოდი, საშინელ მდგომარეობაში მქონდა ნერვული სისტემა. ქალბატონი ლელას შესახებ სოციალური ქსელიდან შევიტყვე და მასთან მკურნალობის დაწყება გადავწყვიტე. მკურნალობა დაახლოებით 60 დღე გაგრძელდა. მკურნალობის დასრულების შემდეგ იმავე კლინიკაში გადავიღე ხელახალი ექოსკოპია, ჩავიტარე სისხლის კვლევები და, შედეგით არა მხოლოდ მე, არამედ, მთელი კლინიკა აღფრთოვანებული იყო: ფარისებრი ჯირკვალი ნორმის ფარგლებში მქონდა და ამას სისხლის ანალიზებიც ადასტურებდა. დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ლელას და ყველა პაციენტს ვურჩევ, მიიღოს მისი ნაყენი.



**დედა გაიანე (ფილიშვილი):** დეფორმირებული მქონდა ნაღვლის ბუშტი და ვერაფრით ვერ ვშველოდი. სასწრაფოდ ამოსაკვეთი იყო. ასევე, მქონდა უძილობა და სასწაული ტკივილები მუცლის ღრუში, თითქმის ვერანაირ საკვებს ვერ ვიღებდი და, უმადობის ნიადაგზე, სწრაფად დავიწყე კლება წონაში. მედიკამენტური მკურნალობა ჩავიტარე როგორც საქართველოში, ასევე მოსკოვშიც, მაგრამ, ვერავინ ვერაფერი მიშველა. შემდეგ ერთ-ერთი ჟურნალის მეშვეობით შევიტყვე ლელას ნაყენის შესახებ და დავუკავშირდი. დავიწყე მკურნალობა. უფლის წყალობით, ყველა პრობლემა უკვალოდ გაქრა. ამიტომაც, ყველას ვურჩევ ლელას ნაყენის მიღებას, რადგან ეს ნამდვილად სასწაულმოქმედია, რაც მე საკუთარ თავზე გამოვცადე.

***ქალბატონ ლელას პაციენტები არიან წმინდა ლომისის ტაძრის სასულიერო პირები და მორჩილები: მამა პეტრე, მამა მათე, მამა დავითი, მორჩილი მიქაელი.***

**ზაურ სამადაშვილი**: მქონდა ციროზის ბოლო სტადია, ფიბროზული კვანძები ღვიძლსა და ფილტვზე, ძალიან დიდი რაოდენობით სითხე მუცლის ღრუში და ამის გამო თიაქარიც გამისკდა. თბილისში ჩამოვედი, როგორც კი ქალბატონი ლელას ნაყენის შესახებ შევიტყვე. დავიწყე მისი მიღება და საოცარ შედეგს მივაღწიე: ყოველდღიურად იკლებდა სითხე მუცლის ღრუში, სახეზე ფერი მიბრუნდებოდა და თავსაც გაცილებით უკეთ ვგრძნობდი. როდესაც ქალბატონმა ლელამ მითხრა, რომ მკურნალობა დამთავრდა, გადავამოწმე შედეგები და გავოცდი. გადიდებული ღვიძლი ნორმის ფარგლებში ჩამდგარიყო და ფიბროზული უბნებიც ალაგებული დამხვდა. ეს სასწაულია! დიდი მადლობა მას იმისთვის, რომ ხალხს სიცოცხლეს უბრუნებს.

**ომარ ბერიძე**: მქონდა ტროფიკული წყლულები და ვენების გაგანიერება; ასევე, პროსტატის ადენომა. როდესაც ეს ჩივილები ქალბატონ ლელას ჩამოვუთვალე, მან გადაწყვიტა, ექოსკოპიურ დათვალიერებას დასწრებოდა, მერე კი მითხრა, რომ ყველა პრობლემა ალაგდებოდა. მე თავიდან დიდად არ მჯეროდა, მაგრამ, მაინც ვცადე და მოხდა სასწაული: წინამდებარე ჯირკვლის პრობლემები მთლიანად მოწესრიგდა ამ ასაკში – 75 წლის ვარ და თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ; ასევე, ალაგდა ტროფიკული წყლულები კიდურებზე. მე ყველა პაციენტს ვურჩევ, სასწრაფოდ მივიდნენ ქალბატონ ლელასთან, რადგან მისი ნაყენი სასწაულმოქმედია!

**მურმან ხაჩიძე**, *54 წლის:* სისხლის კვლევებით დადასტურდა, რომ კრეატინინი იყო 400 ერთეულამდე აწეული და სასწრაფოდ მესაჭიროებოდა დიალიზზე გადასვლა. ეს რომ თავიდან ამეცილებინა, გადავწყვიტე, ქალბატონ ლელას ნაყენით მემკურნალა. დავიწყე და შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: კრეატინინი მინიმუმადე დავიდა – 150 გახდა. უკვე 12 კურსი ჩავიტარე და ახლაც მკურნალობის პროცეში ვარ. რაც მთავარია, თავს კარგად ვგრძნობ.

**დავით ენდელაძე**: დიალიზზე ვიყავი დამოკიდებული – კვირაში სამჯერ მიწევდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისვლა. ხუთი წლის განმავლობაში ვერ გამოვყოფდი შარდს. ასევე, საშინელი ფერი მქონდა სახეზე, მაგრამ, ფერს ვინ ჩიოდა, გაწამებული ვიყავი დიალიზის გამო. ინტერნეტიდან შევიტყვე ქალბატონ ლელას ნაყენის შესახებ, დავუკავშირდი მას და დავიწყე ნაყენის დალევა. მესამე კვირას დამეწყო შარდის გამოყოფა. თავიდან გამოვყოფდი 10 მილიგრამს დღეში და ეს დღითიდღე იმატებდა. ახლა დიალიზზე კვირაში ერთხელ მივდივარ და ქალბატონ ლელასთანაც განვაგრძობ მკურნალობას.

**ლელა გეჯაძე**: მიხარია, რომ ამდენ ადამიანს დავეხმარე. დღემდე მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ არა მამა აკაკის კურთხევა, ეს ნაყენი არ იქნებოდა ასეთი ეფექტური და ამდენ ადამიანს არ მოუხსნიდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

***P.S. რა თქმა უნდა, სტატიაში პაციენტთა სრული სია არ არის. რაც მთავარია, მათ თავად ისურვეს ხალხისთვის მოეყოლათ საკუთარი პრობლემებისა და „ქავთასით“ მკურნალობისას მიღებული შედეგების შესახებ. ვისაც გსურთ, დაემშვიდობოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, დაუკავშირდით ლელა გეჯაძეს, ტელეფონის ნომერზე; 595-26-32-17 და „ფეისბუქზე“: https://www.facebook.com/lela.gejadze.1. ჩაწერა წინასწარ.***

**ნათია უტიაშვილი**

**მწირი ეკონომიკური ცოდნის პატრონმაც კი იცის, რომ ქვეყნების ეკონომიკები დიდი ბუნებრიობით არ გამოირჩევა და ამით ვერც ქართული ეკონომიკა დაიკვეხნის. ის საკმაოდ ხელოვნური წარმონაქმნია და, შესაბამისად, ეკონომიკური პროცესების მართვაც საკმაოდ იოლია და არც ლარის კურსის რეგულირება მოითხოვს, მაინცდამაინც, დიდ ძალისხმევას. მაგრამ მოულოდნელად ლარმა ისეთი რყევები განიცადა, რომ საქართველოს ისედაც ჯიბეთხელ მოსახლეობას ჯიბეები კიდევ უფრო დაუთხელა. ვის აძლევდა ხელს ლარის კურსის რყევა და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტებში, რაც შეიძლება, ნაკლებად ვიზარალოთ ინფლაციით? – ამ საკითხზე აფბას პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე გვესაუბრება.**

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲗ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲙᲚᲐᲕᲡ ᲞᲐᲜᲘᲙᲐ ᲚᲐᲠᲡᲐᲪ

**– ზედაპირული, დილეტანტური ანალიზითაც კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლარის კურსის შენარჩუნება არანაირი სირთულე არ იყო, ვცდები?**

– გეთანხმებით, რომ არა მხოლოდ საქართველოში, გაცილებით დიდი მასშტაბის მქონე ქვეყნებშიც კი, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, არსებობს იმისთვის, რომ წინასწარ რაღაც გათვლები გაკეთდეს. ეს არ იქნება ზედმიწევნით ზუსტი, მაგრამ, როდესაც რაღაც სიგნალები მოდის ეკონომიკიდან, საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომ თავიდან ავირიდოთ მკვეთრი ცვლილებები და არა მარტო ლარის კურსის. ყველაზე ცუდი ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის არის მკვეთრი ცვლილება. თუ ცვლილება მოხდება ეტაპობრივად და თანდათან, ანუ თუ წინასწარ გვეცოდინება, რას უნდა ველოდოთ, იგეგმება ყველაფერი და მტკივნეულიც აღარ არის საზოგადოებისთვის. მაგრამ, როდესაც ერთ კვირასა თუ ერთ თვეში ხდება გარდამტეხი ცვლილება, ბუნებრივია, ეს, იწვევს გაუგებრობას, აჩენს ცუდ მოლოდინებს და ნეგატიურია ეკონომიკისთვის, შესაბამისად, საზოგადოებისთვის. ესაა მთავარი პრობლემა – როდესაც ცვლილებები არ არის მოზომილი და არ ხდება მისი პრევენცია.



ასე ვიტყვი: ბანკებს არ უზარალიათ, რადგან ლარის ფასს თავად განსაზღვრავენ. ერთმანეთთან იმ ფასით აწარმოებენ ანგარიშსწორებას, რაც მათთვისაა ხელსაყრელი, სხვა აგენტების მიმართ კი მათ მიერ შეთანხმებული კურსი მოქმედებს

**– ეროვნულმა ბანკმა რატომ არ დაიჭირა თადარიგი? გასაგებია, რომ ეროვნული ბანკის მიზანია ფასების შენარჩუნება, მაგრამ ეს ხომ თითქმის ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობას ნიშნავს? ფასებს სხვა, აბა, რასთან აქვს კავშირი?**

– მე არ ვიცი, რატომ მოჰყავთ ეს არგუმენტი ეროვნულ ბანკს და, თუნდაც, ექსპერტებს. გასაგებია, კანონში წერია, რომ ფასების სტაბილურობა არის ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი, მაგრამ ეს არც გამორიცხავს და არც ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ბანკი და ვალუტის კურსი არაფერ შუაში არიან ერთმანეთთან. არადა, ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირი კავშირია.

**– ეროვნული ბანკი არ განსაზღვრავს, რამდენ დოლარს გამოიტანს რეზერვებიდან ბაზარზე, რომ ლარს დაეხმაროს?**

– თუნდაც, მხოლოდ ამიტომ... დავუშვათ, გავიზიარეთ არგუმენტი, რომ ეროვნულ ბანკს არ შეუძლია ზემოქმედება ვალუტის სტაბილურობაზე, მაგრამ არის თუ არა ეს მისი ინტერესი, ფასების სტაბილურობიდან გამომდინარე?! ამ კუთხით თუ მოჰყავთ ეს არგუმენტი, რადგან გაცვლითი კურსი არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რითაც ეროვნულ ბანკს შეუძლია გავლენა ფასების სტაბილურობაზე. ეს იგივეა, ქირურგმა რომ სკალპელის გარეშე ჩაატაროს ოპერაცია. ეროვნული ბანკისთვის გაცვლითი კურსი არის ფასებზე ზემოქმედების ძირითადი მექანიზმი. ამდენად, ამ კავშირის უგულებელყოფა არის ან არაპროფესიონალიზმი, ან არაკეთილსინდისიერება.

**– ვერავინ დაადანაშაულებს ვერავის ცალსახად, რომ ხელოვნურად გამოიწვია ლარის კურსის რყევა უმოქმედობით თუ, პირიქით, გარკვეული მოქმედებებით, მაგრამ რა ეჭვები ჩნდება?**

– ამაზე მაქვს ჩემი ვარაუდი, რომელსაც, ბუნებრივია, ვერ დავამტკიცებ. სამი თვის განმავლობაში, აგვისტოდან მოყოლებული, ეროვნული ბანკი საერთოდ არ ერეოდა აუქციონებში, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, არ ჰყიდიდა დოლარებს და ამ სამი თვის განმავლობაში ლარი გაუფასურდა უმნიშვნელოდ, 1,75-დან დაახლოებით 1,77-მდე, მაშინ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე დოლარი ძლიერდებოდა და მის მიმართ უფასურდებოდა ყველა ვალუტა, საქართველოში, პირიქით, როგორც გითხარით, ლარის უმნიშვნელო გაუფასურება იყო. შემდეგ უცებ, ერთ კვირაში, მოხდა ლარის მკვეთრი დევალვაცია. აი, ეს აჩენს კითხვებს: რატომ არ უფასურდებოდა ლარი იმ სამი თვის განმავლობაში, როდესაც მსოფლიოში იყო ასეთი ტენდენცია? თან, ლარი მყარად იყო ეროვნული ბანკის ჩარევის გარეშე და უცებ დათვლილ დღეებში მკვეთრად დავარდა კურსი. ეკონომიკაში, ზოგადად, ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედება არ არის მყისიერი, აბსურდია, ერთ კვირაში რაღაც შეიცვალოს და კურსი უცებ გაუფასურდეს. თუ გავითვალისწინებთ იმ მექანიზმს, რომლითაც საქართველოში ვალუტის კურსი განისაზღვრება, ჩემი აზრით, საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმისა, რომ ეს იყო ხელოვნურად გამოწვეული პროცესი.

**– ვის მიერ? ეროვნული ბანკის?**

– ცოტა შორიდან დავიწყებ: ეროვნული ბანკისა თუ სხვა უწყებების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ვალუტის კურსს განსაზღვრავს ეკონომიკა, ამიტომ მათ მე დავუსვამ კონტრკითხვას: ეკონომიკა და საბანკო სექტორი ერთი და იგივეა? მე მგონი, არა. არადა, დღეს საქართველოში ვალუტის კურსს განსაზღვრავს საბანკო სექტორი. ეროვნული ბანკი და რამდენიმე ბანკი ყოველდღე ატარებენ აუქციონებს და ელექტრონული საშუალებებით ერთმანეთთან თანხმდებიან, ვის რამდენი დოლარი სჭირდება, ვის რამდენის მიწოდება და ამის მიხედვით დგინდება რეალურად ლარის ფასი. ანუ ეროვნული ბანკი და რამდენიმე ბანკი წყვეტს, რა ღირს ლარი და ასეთ შემთხვევაში როგორ შეიძლება, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ლარის ფასს განსაზღვრავს ეკონომიკა?! მეორე მხრივ, ეკონომიკაში არის უამრავი მოთამაშე: იმპორტიორი, ექსპორტიორი, კომპანიები, რომლებსაც უცხოურ ვალუტასთან აქვს შეხება თავისი ოპერაციების დროს, ანუ კომპანიებისა და სამეწარმეო სუბიექტების უზარმაზარი კოლონაა, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკას, მაგრამ ვალუტის კურსს ადგენს საბანკო სექტორი ეგრეთ წოდებული ბლუმბერგის ელექტრონული სისტემით. ამიტომ, ჩემი აზრით, მათ მიერ დადგენილი კურსი არ არის ის კურსი, რასაც ითხოვს ქართული ეკონომიკა და რაც შეესაბამება არსებულ ეკონომიკურ ტენდენციებს.

**– ისიც ვიცით, რომ საიტზე ეროვნულ ბანკს კი აქვს გამოქვეყნებული ოფიციალური გაცვლითი კურსი, მაგრამ ეს კურსი არ ემთხვევა კომერციული ბანკების გაცვლით კურსს. ვალუტის ყიდვა-გაყიდვას შორის ისეთი სხვაობაა, გაკოტრდები. ზემოქმედების რა მექანიზმი აქვს ხელისუფლებას, რომ საბანკო სექტორის გარიგების მსხვერპლი არ იყოს ეკონომიკა?**

– მე არ ვამბობ, რომ ეს მოქმედება კანონის მიღმაა. ეს მოდელი დაკანონებულია.

**– მესმის.**

– ჩემი აზრით, ეს მოდელი, რაც გვაქვს, არ ასახავს რეალობას. ამიტომ, თუ ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული, ისევ ამ მეთოდით გაგრძელდება თუ არა კურსის დადგენა, თუ სავალუტო აუქციონში მეტი ეკონომიკური აგენტი ჩაერთვება, ვალუტის კურსი იქნება უფრო ადეკვატური იმ პროცესების, რაც ეკონომიკაში ხდება. მე და თქვენ რომ დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ, ამდენი დოლარი მჭირდება, თქვენ ამდენის მოწოდება შეგიძლიათ და ამის მიხედვით დავადგინოთ კურსი, ის იქნება ეკონომიკის ადეკვატური?! მე არ მიმაჩნია, რომ ეს მოდელი მართებულია. ამ მოდელით განსაზღვრული კურსი ვერასდროს იქნება ეკონომიკური რეალობის ამსახველი.

**– ბანკებმა იხეირეს ამ რყევით? კიდევ?**

– ასე ვიტყვი: ბანკებს არ უზარალიათ, იმიტომ რომ ლარის ფასს განსაზღვრავენ თავად. ერთმანეთთან იმ ფასით აწარმოებენ ანგარიშსწორებას, რაც მათთვისაა ხელსაყრელი, სხვა აგენტების მიმართ კი მათ მიერ შეთანხმებული კურსი მოქმედებს.

**– მარტივად ვიტყვი: ერთმანეთში იაფად გაინაწილებენ დოლარებს, ჩვენნაირებისთვის კი ძვირ ფასს ადებენ.**

– ბუნებრივია, ჩვენ რომ ვწყვეტდეთ, ჩვენ საწინააღმდეგოდ ხომ არ მივიღებდით გადაწყვეტილებას?! ჩვენ დავადგენთ ისეთ კურსს, როგორიც გვაძლევს ხელს. მით უმეტეს, რომ

# როგორ აჭარბებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ჩინოვნიკური სახელფასო შემოსავალი 200 000 ლარს და შეუწყო თუ არა ხელი გიორგი ქადაგიძის თანამდებობამ მეუღლის კარიერულ წინსვლას

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე 1980 წლის აპრილშია დაბადებული. მისი უმაღლესი განათლების ცენზი შემდეგნაირია: 2001 წელს დაამთავრა მართვის ევროპული სკოლა (ESM) ბიზნესის ადმინისტრაციის სპეციალობით; ამავე წელს მინიჭებია აშშ-ის პრესტონის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი; 2005 წელს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო მმართველობის სკოლის მაგისტრატურა დაუმთავრებია – სახელმწიფო მმართველობის სპეციალობით, 2014-ში კი ჰარვარდის ბიზნესის სკოლა დაუსრულებია. მისი სამუშაო გამოცდილება 2000 წელს იწყება სააუდიტორო-საკონსულტაციო ფირმა „იუ-ბი-სი ინტერნეიშენალში“, სადაც 2003 წლამდე მუშაობდა აუდიტორად, უფროს აუდიტორად და აუდიტის მენეჯერად. 2003 წელს სახალხო ბანკში გადაინაცვლა, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსად (2004 წლამდე). 2005 წლის იანვრიდან ივლისამდე თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსადაც მოასწრო მუშაობა, საფინანსო სამსახურის უფროსადაც და საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსადაც. 2005 წლის ივლისიდან 2006 წლის მარტამდე კი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი იყო. შემდეგ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადაინაცვლა, სადაც 2007 წლის ივლისამდე ეკონომიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2007-დან 2008 წლის აპრილამდე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსად იმუშავა. 2008 წლის აპრილში საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი გახდა, 2009 წლის თებერვალში კი საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა და დღემდე ამ, ჩვენი ეროვნული ბანკის პრეზიდენტია.

ბ-ნი ქადაგიძის მიერ შევსებული პირველი დეკლარაცია 2006 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც გენპროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თუმცა დეკლარაცია არ იკითხება. იმავე თანამდებობაზე 2007 წელს შევსებული დეკლარაციით კი ვიგებთ, რომ იმხანად ის მეუღლესთან, 1979 წელს დაბადებულ თამარ ჟორჟოლიანთან და 2005 წელს დაბადებულ ქალიშვილთან, ლელისთან ერთად, მშობლებთან ცხოვრობდა. მათი ქონება კი შემდეგნაირი იყო: გიორგი ქადაგიძეს ეკუთვნოდა მიწის ნაკვეთი ბაკურიანში – 90 000 ლარად ღირებული, თეიმურაზ ქადაგიძეს (მამას) – საცხოვრებელი ბინა თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე (100 კვ.მ.), ლალი ქადაგიძეს (დედა) – მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი სოფელ გომბორში. თუმცა არ არის მითითებული, ვისი საკუთრება იყო ორი ავტომანქანა – 3 000 და 5 500 ლარად ღირებული. სამეწარმეო საქმიანობას ოჯახში თეიმურაზ ქადაგიძე ეწეოდა – იყო შპს „კომტრანსის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, ასევე, შპს „დი-ბი ლიმიტედის“ დირექტორი. ოჯახში ყველა ზრდასრული წევრი იყო დასაქმებული: თამარ ჟორჟოლიანი – მორიგე ექიმად (ოღონდ მისი ანაზღაურება მითითებული არ არის), თეიმურაზ



ქადაგიძე – შპს „კომტრანსის“ დირექტორად (2006 წლის განმავლობაში ანაზღაურების სახით აიღო 3 990 ლარი); ლალი ქადაგიძე – შპს „ქინ-ქიდის“ მენეჯერად (ანაზღაურების სახით 2006 წელს 6 700 ლარი აიღო), თავად გიორგი ქადაგიძემ კი, როგორც გენპროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა წლიურ ხელფასად 43 000 ლარი მიიღო.

2008 წელს გიორგი ქადაგიძემ დეკლარაცია დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის რანგში შეავსო. დეკლარაციაში ის სიახლეა, რომ მისმა მეუღლემ შეიძინა 15 000 ლარად ღირებული ავტომანქანა, დედა კი დამატებით ფლობდა 90 000 ლარად ღირებულ საცხოვრებელ ბინას მიცკევიჩის ქუჩაზე. რატომღაც შემოსავლები არ არის მითითებული, თუმცა, სავარაუდოდ, გიორგი ქადაგიძის წლიური შემოსავალი კვლავ 43 000 ლარის მიდამოებში იქნებოდა (თუ მეტი არა).

2008 წელს გიორგი ქადაგიძემ დეკლარაცია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ამპლუაში შეავსო. ოჯახით ის უკვე ცალკე ცხოვრობს და 2008-ში მათ შეეძინათ მეორე ქალიშვილი – ნინია. საგრძნობლადაა გაზრდილი ბ-ნი ქადაგიძის სახელფასო შემოსავალი: 2008 წლის განმავლობაში მან, როგორც საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა, 54 456 ლარი აიღო; როგორც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, 46 802 ლარი. 2008 წელს გიორგი ქადაგიძემ ეროვნული ბანკისგან ფულიც ისესხე – 95 000 ლარი, „ბანკ რესპუბლიკაში“ კი დაფარა 57 514 აშშ დოლარის ოდენობის სესხი.

2009 წლის განმავლობაში გიორგი ქადაგიძემ, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ხელფასად 163 391 ლარი აიღო; ეროვნული ბანკიდან აღებული სესხის მომსახურება 27 000 ლარამდე დაუჯდა. 2009-ში მან ცეცხლსასროლი იარაღიც შეიძინა – 4 500 ლარად.

2010 წლის განმავლობაში გიორგი ქადაგიძის წლიურმა სახელფასო შემოსავალმა 197 400 ლარი შეადგინა. მისმა მეუღლემ, როგორც სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, 4 638 ლარი აიღო, ხოლო, როგორც რეფერალური დახმარების ცენტის უფროსმა სპეციალისტმა, 2 951 ლარი.

2011 წელს თამარ ჟორჟოლიანი სამედიცინო უნივერსიტეტის მთავარი სპეციალისტი გახდა, წლიური ანაზღაურებით – 7 200 ლარი, ასევე, დაწინაურდა რეფერარული დახმარების ცენტრშიც – დირექტორის მოადგილემდე და მისმა წლიურმა ხელფასმა 26 478 ლარი შეადგინა. იმავე წელს გიორგი ქადაგიძემ წლიურ ხელფასად 152 937 ლარი აიღო.

2012 წელს გიორგი ქადაგიძემ, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, 150 000 ლარი აიღო; ხოლო, როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა, დამატებით, 42 000 ლარი. თამარ ჟორჟოლიანი იმავე პოზიციებზე მუშაობდა, რაზეც 2011-ში და, საერთო ჯამში, ხელფასი სახით, 41 000 ლარი აიღო. 2013 წლის განმავლობაში გიორგი ქადაგიძემ, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კვლავ 150 000 ლარი აიღო, როგორც საბჭოს წევრმა – 45 000 ლარი; მისი მეუღლის სახელფასო შემოსავალმა კი, დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 29 000 ლარი შეადგინა. 2013-ში გიორგი ქადაგიძეს სწავლის საფასური 4 438 ლარი დაუჯდა.

**ნინო ხაჩიძე**

---

ბანკებს კერძო ინტერესი აქვთ და არ მგონია, იმაზე ფიქრობდნენ, რა სჭირდება საზოგადოებას. კომერციული ბანკების მოგებას ვერ დავითვლი, არ ვიცი, ვინ რამდენი დოლარი იყიდა და გაყიდა, თუმცა ეროვნულმა ბანკმა, გნებავთ, შარშან და, გნებავთ, წელს ძალიან დიდი ფული იშოვა ამ ინტერვენციებით და გეტყვით რატომ.

მან შარშან წლის განმავლობაში შეისყიდა 575 მილიონი დოლარი 1,65-ად და შემდგომ, როდესაც ლარი მკვეთრად გაუფასურდა, ის დოლარები 1,75-ად გაყიდა და ამ სხვაობიდან მიიღო 44 მილიონი ლარის შემოსავალი. ახლა ვნახოთ, რა მოხდა წელს: ერთი კვირის განმავლობაში 1,75-ად ნაყიდი დოლარები გაყიდა 1,84-ად და ამით, დაახლოებით, 6 მილიონი ლარი იშოვა. ანუ ერთთვიან პერიოდში დოლარის ყიდვა-გაყიდვით სუფთად 50 მილიონი ლარის შემოსავალი ნახა ეროვნულმა ბანკმა. ეს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებაა და სუფთა ფინანსური ოპერაციაა, რომელიც კანონის ფარგლებში განახორციელა.

**– კერძო ბანკებმა რა თანხა მოიგეს ლარის კურსის ამ უეცარი რყევით?**

– თუ გავითვალისწინებთ, რომ კერძო ბანკებს გაყიდვის კურსი, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მარჟა მაღალი აქვთ, არ მგონია, ეროვნულ ბანკზე ნაკლები თანხა ეშოვათ მათაც.

**– კურსის ასეთი მცირეხნიანი რყევა გრძელვადიანად არ დააზარალებს ბაზრის მოთამაშეებს, მაგრამ ვის ჯიბეს დაარტყა ყველაზე მეტად, ვისაც ავბედით დღეებში სესხები ჰქონდა გასასტუმრებელი?**

– ძირითადად, მთავარი დაზარალებული ამ პროცესებიდან არის საზოგადოების ის ნაწილი, ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ვისაც სესხი აქვს უცხოურ ვალუტაში. სხვა არს-

**(გაგრძელება 35-ე გვერდზე)**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

# რატომ დაიკლო მტკვარში წყლის რაოდენობამ და როგორ აპირებს თურქეთი საკუთარ ტერიტორიაზე მტკვრის წყლის ჭოროხში გადაგდებას

**მტკვარი, ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე, სათავეს თურქეთში იღებს, გადაკვეთს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკას და კასპიის ზღვაში ჩაედინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა მას საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის აქვს. მაგალითად, საქართველოში მტკვარი და მისი შენაკადები 315 ათას ჰექტარზე მეტ ფართობს რწყავს, აზერბაიჯანში ამაზე სამჯერ მეტს – თითქმის 1 მილიონ ჰექტარს. საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარზე რამდენიმე ჰესიცაა. იმას გარდა, მის სანაპიროზე რამდენიმე ქალაქია განეშენებული, დედაქალაქის თამადობით და საკანალიზაციო პრობლემების მოგვარებაშიც გვეხმარება. თუმცა შესაძლოა, ეს ფუნქციები მტკვარმა ველარ შეასრულოს, თუკი თურქეთის ხელისუფლებამ ჩანაფიქრი განახორციელა, კაშხალი ააგო და მტკვრის წყალი საკუთარ ტერიტორიაზე დაიტოვა. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში, თუმცა თავად საქართველოს შეექმნება წყლის დეფიციტი, ის ვალდებული იქნება, აზერბაიჯანს მაინც იმდენი წყალი მიაწოდოს მტკვარში, რასაც თურქეთის მიერ მდინარის გადაკეტვამდე აწვდიდა.**

**სულ ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მტკვარში წყლის დონემ დაიწია, რამაც გააჩინა ეჭვი, რომ თურქეთმა ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყო, თუმცა საქმე აქამდე ჯერჯერობით არ მისულა და მტკვარში წყალი სხვა მიზეზით შეგვიჩერდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მტკვრის გადაკეტვის საშიშროება მოიხსნა. მტკვრის ქართულ-აზერბაიჯანულ პერსპექტივაზე პარლამენტის წევრ გიორგი გაჩეჩილაძესთან ვისაუბრებთ.**

**– რა სტადიაშია ის პროექტი, რომლის განხორციელებაც იგეგმება თურქეთის ტერიტორიაზე და რამდენად არის ისევ საშიშროება, რომ მტკვარი აღარ შემოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთიდან?**

– ამ ამბავს თავისი ისტორია აქვს, რომელიც 2010 წლიდან იწყება. სწორედ 2010 წელს გახდა ცნობილი, რომ თურქეთში ეგრეთ წოდებული ბეშიქ ჰაიას კასკადის მშენებლობა იყო დაგეგმილი მტკვარზე. მაგრამ მაშინ ეს პროექტი ჩაიშალა, იმიტომ რომ, თურქეთის არდაგანის ოლქის მაჟორიტარმა დეპუტატმა, არდაგანის მოსახლეობასთან ერთად, ატეხა ხმაური და თურქეთის პარლამენტში ლამის ცემა-ტყეპამდე მივიდა საქმე. ამ პროტესტის გამო ეს პროექტი შეჩერდა.

**– არდაგანის მოსახლეობა რატომ იყო კასკადის აშენების წინააღმდეგი?**

– გეტყვით... ამის შემდეგ ხმა არავის ამოუღია და აი, წელს ისევ გაიხსენეს ეს საკითხი და ჩემთან ჩამოვიდა არდაგანის მოსახლეობის დელეგაცია. საქმე ის გახლავთ, რომ არდაგანის ოლქის მოსახლეობა, ძირითადად, მისდევს მემცენარეობა-მეცხოველეობას და თურქეთის ტერიტორიაზე კასკადის აშენება აშინებთ იმდენად, რამდენადაც წყლის გარეშე დარჩებიან. ბეშიქ ჰაიას კაშხალის აშენება ნიშნავს შემდეგს: პრობლემა ის კი არ არის, რომ კაშხალი შენდება მტკვარზე, არამედ ის, რომ გამომუშავებული წყალი აღარ დაბრუნდება მტკვარში. თურქეთის ტერიტორიაზე მტკვრისა და ჭოროხის სათავეები ახლოსაა ერთმანეთთან, ერთი ქედი ჰყოფთ. თურქეთის ტერიტორიაზე მდინარე ჭოროხის აუზში, ასევე, შენდება უზარმაზარი კასკადი. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უკვე დამთავრდა და ამის გამო არის პრობლემები აჭარაში, შავი ზღვა რომ იტაცებს მიწას. ახლა ჭოროხზე ორი საშუალო ზომის წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგური შენდება: კილიჩი და ისპირი. მტკვრის წყალი, რომელსაც მოიხმარს მტკვარზე აგებული ბეშიქ ჰაიას კასკადი, გვირაბით გადაისროლება ჭოროხის აუზში აი, ამ ორი წყალსაცავის შესავსებად. ანუ წყალი მტკვარში აღარ დაბრუნდება. მაგალითად, ჟინვალჰესში არაგვის წყალია დაგუბებული, ის გამოიმუშავებს ელექტროენერგიას, მაგრამ ის წყალი შემდეგ ისევ არაგვში ბრუნდება. ამ შემთხვევაში კი ასე არ მოხდება – გამომუშავებული წყალი გაივლის გვირაბს და მოხვდება სულ სხვა აუზში, მდინარე ჭოროხის აუზში და მეორეჯერ გამოიმუშავებს ელექტროენერგიას. ესე იგი, ორმაგ მოგებას ნახავს თურქეთის მხარე, ჩვენ კი გვრჩება რეალობა, რომ თურქეთიდან მტკვარი აღარ შემოვა.



თურქეთს დიდი პრობლემა ჰქონდა თავის დროზე სირიასთან, როდესაც ევფრატზე წყალსაცავები ააშენეს. კინაღამ ომი დაიწყო ამ ორ ქვეყანას შორის

**– და რას ნიშნავს ეს სამწუხარო რეალობა?**

– ეს გამოიწვევს ძალიან ცუდ პროცესებს საქართველოში. თურქეთის საზღვრიდან 5-6 კილომეტრის მანძილზე წყალი საერთოდ არ იქნება და მტკვრის კალაპოტი იქცევა მშრალ ხევად.

**– საქართველოს ტერიტორიაზე ხომ უერთდება მტკვარს შენაკადები, ისინი არ ეყოფა?**

– მაგალითად, ბორჯომთან მტკვარს დააკლდება წყლის საერთო რაოდენობის, დაახლოებით, 40 პროცენტი; თბილისში, საშუალოდ, 16 პროცენტი, აზერბაიჯანის საზღვარზე – 9-10 პროცენტი. ანუ მინგეჩაურის წყალსაცავს, რომელსაც ძირითადად მტკვარი კვებავს, დააკლდება იმავე რაოდენობის წყალი, ანუ 9-10 პროცენტი. რაც პრობლემატური იქნება აზერაბაიჯანისთვის, იმიტომ რომ, მინგეჩაურის შევსება ისედაც პრობლემა გახდა, რადგან აზერბაიჯანი წყლით დეფიციტური ქვეყანაა და მინგეჩაური მათთვის წყლის ძირითადი წყაროა.

**– კონკრეტულად, რას ნიშნავს ამ პროცენტულობით მტკვარში წყლის რაოდენობის დაკლება?**

– წარმოიდგინეთ ზაფხული, თბილისსა და რუსთავში მტკვარში კანალიზაციის უზარმაზარი ნაკადები ჩაედინება, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს კანალიზაციაც ხომ მტკვარში ხვდება?! რაოდენობის დაკლების გამო წყლის თვითგასუფთავების უნარი იქნება დაქვეითებული და თბილისის მიდამოებში მტკვარი შესაძლოა, წარმოვიდგინოთ საკანალიზაციო არხად. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ინფექციურ დაავადებებს. ამასთან, გინახავთ, რომ ადამიანები მტკვარში თევზაობენ, თუმცა არ მგონია, იმ თევზს შემდეგ თავად მიირთმევდნენ, რადგან იმის ჭამა არ შეიძლება. საინტერესოა, რომ, მაინცდამაინც, საკანალიზაციო მილებთან თევზაობენ, იმიტომ რომ, თევზი ასეთ ადგილებს ეტანება. ანუ ეკოლოგიური და სანიტარული თვალსაზრისით, წყლის დონის დაკლება მნიშვნელოვანი პრობლემა იქნება.

მეორე – მართალია, ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველო წყლით მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ ეს რესურსი არათანაბრადაა გადანაწილებული და, ძირითადად, დასავლეთ საქართველოშია კონცენტრირებული. აღმოსავლეთ საქართველოში წყლის დეფიციტია. თან, აღმოსავლეთ საქართველოში აგრარული სექტორი მნიშვნელოვნადაა განვითარებული: კახეთის, ქვემო ქართლის სავარაგულებს წყალი სჭირდება, იმიტომ რომ, გვალვიანი რეგიონებია. ამდენად, წყლის დეფიციტი სერიოზულ პრობლემებს შექმნის, სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ეკონომიკური თვალსაზრისით შექმნილ პრობლემებს დემოგრაფიული მოჰყვება – მიგრაცია. ერთი სიტყვით, პრობლემა ძალიან სერიოზულია და ამას სახელმწიფოებრივი გადაწყვეტა უნდა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მტკვარი საქართველოს დედა-მდინარეა და არც მის ეროვნულ-ზნეობრივ და ეთიკურ მნიშვნელობაზე.

**– თუ თურქეთიდან ნაკლები წყალი შემოვა, ჩვენ მაინც იგივე რაოდენობა უნდა მივაწოდოთ აზერბაიჯანს, რასაც თურქეთის მიერ მტკვრის გადაკეტვამდე ვაწვდიდით. ეს სამართლიანია? თან, თურქეთ-აზერბაიჯანის მჭიდრო თანამშრომლობის ფონზე?**

– აზერბაიჯანს წყლის პრობლემა აქვს და ისედაც სულ გვედავება, რომ საქართველოდან ნაკლები რაოდენობის წყალი შესდის, იმიტომ რომ, ჩვენ ზაფხულში საკმაოდ დიდი რაოდენობით წყალს ვიყენებთ სოფლის მეურნეობისთვის. ამაზე ასევე, იმოქმედა გლობალურმა დათბობამაც. ამიტომ შესაძლოა, აზერბაიჯანს გარკვეული პრეტენზიები გაუჩნდეს, მაგრამ არ უნდა გაუჩნდეს ჩვენ მიმართ. როდესაც პირველი განცხადება გავაკეთე მტკვართან დაკავშირებით, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოგვეხმაურა საკმაოდ შერბილებული ტონით თურქეთისადმი. მაგრამ, როდესაც რეალობის წინაშე დადგებიან, არ მგონია, რბილი პოზიცია ჰქონდეთ. არც აზერბაიჯანსა და საქართველოს, არც თურქეთს არ უნდა აძლევდეს ხელს რეგიონში დაძაბულობა. თვითონ თურქეთს დიდი პრობლემა ჰქონდა თავის დროზე სირიასთან, როდესაც ევფრატზე წყალსაცავები ააშენეს. კინაღამ ომი დაიწყო ამ ორ ქვეყანას შორის. საერთოდ, მსოფლიოში ცნობილია წყლის კონფლიქტები, იმიტომ რომ, წყლის გარეშე არსებობა შეუძლებელია.

**– რამდენადაც ვიცი, თურქეთი არ არის მიერთებული იმ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც წყლის საკითხს არეგულირებს?**

– არც საქართველო და არც თურქეთი არ არის მიერთებული გაეროს შესაბამის კონვენციას, ტრანსსასაზღვრო მდინარეების შესახებ. თურქეთი არ უერთდება იმიტომ, რომ პრობლემები აქვს სხვა ქვეყნებთან, საქართველოსაც უჭირს მიერთება, იმიტომ რომ, ვალდებულებების აღება მოუწევს. კონვენცია ვალდებულებას განიჭებს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საერთო მდინარეები გაქვს.

**– სომხეთი რატომაა ჩუმად, მას არ შეექმნება წყლის პრობლემა?**

– სამხრეთ კავკასია არის მტკვრის აუზი. ბუნებრივია, სომხეთის მდინარეებიც მტკვრის აუზის შემადგენელია და ისინიც ჩაერთვებიან ამ პროცესში. ასე რომ, ეს ძალიან რთული პოლიტიკური საკითხია.

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**



**ქეთევან ონიანი,** *66 წლის. თბილისი.*

***დიაგნოზი***: ოსტეოქონდროზი. გავრცელებული ოსტეოართროზი, ოსტეოპოროზი.

– 60 წლის ისე შევსრულდი, არაფერი მტკიებია, თუმცა ჯაფა არასდროს მაკლდა. მერე მაგრად გავცივდი, ფილტვების ანთება გადავიტანე და მაშინ დამეწყო ტკივილები. პერიოდულად ვმკურნალობდი ხან ექიმების დანიშნულებით, ხან იმით, რასაც მირჩევდნენ ახლობლები. შედეგი რომ მიმელო, აქ ხომ არ მოვიდოდი? მტკიოდა აბსოლუტურად ყველაფერი: ძვლები, სახსრები, ხერხემალი, კუნთები. სიარული მიჭირდა, სულ ვიჯექი ან ვიწექი. წამლებმა გამილიზიანა კუჭი, ნაღველი; ამეწია წნევაც და შაქარიც, დამისივდა ფეხები... ახლობლის რჩევით მოვაკითხე ამ კლინიკას. ვნანობ, რომ აქამდე არ ვიცოდი. პირველივე დღეს გამაოგნებელი შედეგი მივიღე. იმავე ღამეს ბავშვივით ტკბილად მეძინა, არც კუჭსა და წნევას შევუწუხებივარ. დილით მსუბუქად ავდექი, ფეხებიც დამცხრალი მქონდა. შვიდი დღეა, ვმკურნალობ. ტკივილები აღარ მაწუხებს. ენით ვერ გამოვთქვამ ჩემს მადლიერებას. ჩემი მანანა ექიმი ღმერთმა დალოცოს და გაახაროს!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ალუდა ინაური,** *42 წლის. მძღოლი. შატილი.*

**დიაგნოზი**: *ანალური ნაპრალი.* ძალიან ცუდად ვიყავი. ისეთი ტკივილები მქონდა, მტრისას! ვერც ვჯდებოდი, ვერც ვდგებოდი, გარეთ გასვლას კი ყველაფერი მერჩივნა. სისხლდენაც მტანჯავდა, ოპერაცია მითხრეს ჩვენსას. შემეშინდა და ჩამოველ. დედით ჩვენი მხრის ყოფილა ჩემი ექიმი. მომიხდა მისი წამლები, შინაური მალამოები. ტკივილი ორ დღეში მომეხსნა, მკურნალობას ვაგრძელებ სრულ მორჩენამდე. ღმერთის მადლი ჰფარავდეს მანანა ექიმის ოჯახობას!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

---

**– აბა, რის საფუძველზე უნდა გადაწყდეს ეს საკითხი სამართლებრივად?**

– ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია გამოვიდა და ამბობს უცნაურ რამეს, რომ თითქოს არსებობს რაღაც ხელშეკრულებები, რომლებიც ამ საკითხს არეგულირებს. გულისხმობენ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას წყლის შესახებ. სხვათა შორის, როდესაც არდაგანის ოლქის დელეგაცია ჩამოვიდა ჩემთან, მათაც მითხრეს, რომ გამოგვეყენებინა ეს ხელშეკრულება ამ საკითხის მოსაგვარებლად, რადგან იქ განსაზღვრულია, როგორ უნდა განაწილდეს ქვეყნებს შორის წყლის რესურსი. მე ვნახე ეს ხელშეკრულება და, სამწუხაროდ, ის არ ეხება ამ საკითხს. ის ეხება იმ მდინარეებს, რომელიც გაუყვება საზღვრებს.

**– რომლებიც ყოფს ქვეყნებს?**

– დიახ, დიდი ხელშეკრულებაა საკმაოდ, დეტალურადაა განსაზღვრული ყველაფერი, რომელმა მხარემ წყლის რა პროცენტი უნდა გამოიყენოს, მაგრამ ეს არ ეხება მტკვარსა და ჭოროხს, რადგან ეს ორივე მდინარე კვეთს საზღვარს.

**– რომ დაუბრუნონ მტკვარს ის გამოყენებული წყალი, რითაც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას, ეს არ გამოდგება კომპრომისული ვარიანტისთვის?**

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, გარემოს დაცვის სამინისტროს დელეგაცია მიემგზავრება თურქეთში ამ საკითხის გამო. ადრე ენერგეტიკის სამინისტროს დელეგაცია იყო, მაგრამ არ ვიცით, რა მოილაპარკეს. სთავაზობდნენ ასეთ ალტერნატივას: რომ თურქეთსა და საქართველოს ტერიტორიაზე აეშენებინათ ჰიდროსადგური, გამომუშავებული ენერგია კი გაენაწილებინათ, ოღონდ წყალი არ გადაეგდოთ მტკვრიდან ჭოროხის აუზში. დელეგაციები კიდევ არაერთხელ წავლენ-წამოვლენ და, ალბათ, მოგვაწვდიან ინფორმაციას, რას გადაწყვეტენ, ეს არ დაიმალება.

**– ახლა რატომ დაიკლო მტკვარში წყალმა?**

– როდესაც მტკვარში წყალი შემცირდა, თურქეთის მხარემ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში. ჩვენი შეცდომაა, რომ არ გაგაფრთხილეთო. რაღაც წყალსაცავი ააშენეს, რომელიც ამ ახალ კასკადთან არ არის კავშირში და იმის შევსება დაიწყეს წყლით, ამიტომ დაიკლო მტკვარში წყლის რაოდენობამ, მაგრამ, საბოლოოდ, ის წყალი მაინც მტკვარში მოხვდება. დღეს ვიკითხე ზუსტად, ამჟამად რა რაოდენობის წყალი შემოდის თურქეთიდან მტკვარში და მითხრეს, რომ წამში 3-4 კუბმეტრი.

**– რამდენი შემოდიოდა ჩვეულებისამებრ?**

– ასეთი წყალმცირობის პერიოდებში მტკვარში იმ ადგილებში, სადაც ახლა ითქვა, საშუალოდ, 3-4 კუბმეტრიო, შემოდიოდა 6 კუბმეტრი, თუმცა კლიმატური ცვლილებების გამო, შესაძლოა, დაეკლო 4-მდე. ამიტომ, ამაზე პანიკის ატეხა არ ღირს, ის წყალი მაინც მტკვარში წამოვა, მაგრამ პრობლემა კასკადია და ის გვირაბი, რომელიც მტკვრის წყალს გადაისვრის ჭოროხში.

**– ამჟერად რა ეტაპზეა იმ საბედისწერო კასკადის მშენებლობა?**

– ჯერჯერობით მშენებლობა არ დაწყებულა და მხარეები მივლენ შეთანხმებამდე. იმიტომ გითხარით, რომ თურქული მხარის მობოდიშებამ ოპტიმიზმით განმაწყო. როგორც ჩანს, ისინიც ფიქრობენ, რომ ანგარიში უნდა გაგვიწიონ.

**– აზერბაიჯანის ფაქტორის გამოყენება არ შეიძლება ამ მოლაპარაკებებში? თორემ რა გამოდის: ისინი ორივენი მოგებულები დარჩებიან და მხოლოდ ჩვენ ვზარალდებით?**

– ეს სუფთა სახელისუფლო საკითხია, აზერბაიჯანის შესაბამისმა უწყებამ და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ერთად უნდა იმუშაონ თურქეთის შესაბამის სტრუქტურებთან. აქ მეორე საკითხიცაა – საქართველოს ტერიტორიაზე შენდებოდა მტკვარი-ჰესი, რომელსაც 200 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია უნდა გამოემუშავებინა, მაგრამ მშენებლობა გაჩერებულია. მიზეზი ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ეჭვი მაქვს, სწორედ იმის გამო, რომ თურქეთიდან მტკვარი აღარ შემოვა. ერთი სიტყვით, არაფერი დაიმალება. მოლაპარაკებები ხანგრძლივი პროცესია და ჩვენც გვაქვს ზემოქმედების ბერკეტები.

**ნინო ხაჩიძე**

---

## ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015-ის“ ორგანიზატორებმა და „ჯინო ფერედაისმა“ მოხალისეებს დაუვიწყარი ზეიმი მოუწყვეს

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015”, სულ უფრო, აქტიურ ფაზაში შედის. მისი საორგანიზაციო კომიტეტი, მსოფლიო მოხალისეთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შეუერთდა ამ ინიციატივას და ოფიციალურ სპონსორთან, „ჯინო ფერედაისთან” ერთად, ქართველ მოხალისეებს კიდევ ერთი დაუვიწყარი და ლამაზი დღე აჩუქა.



ღონისძიების ფარგლებში, დარეგისტრირებული მოხალისე ახალგაზრდები, ნამდვილად ჯადოსნურ სამყაროში მოხვდნენ და გართობასთან ერთად, შეხვდნენ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს. ასევე, გაიცნეს უცხოელი მოხალისეებიც, რომლებიც ევროპის ახალგაზრდული მოხალისეობრივი სერვისის პროგრამის ფარგლებში იმყოფებიან საქართველოში.

ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა და იმედია, ასეთი გრანდიოზული დასაწყისი და შემდგომ – ფინალი ექნება ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, რომელიც, სულ მალე, თბილისში, პირველად გაიმართება.

**ახალი წლიდან „ნარჩენების მართვის კოდექსში” ცვლილებები შედის. ცვლილებების მიხედვით, მკაცრდება ჯარიმები გარემოს დაბინძურებისთვის, ჯარიმების მინიმალური ოდენობა 50 ლარით, მაქსიმალური კი – 5 000 ლარით განისაზღრება. როგორ გაკონტროლდება ახალი კანონმდებლობით გარემოს დანაგვიანების და დაბინძურების ფაქტები, ამის შეხახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსს, ალვერდ ჩანქსელიანს გავესაუბრეთ.**

# რა სასჯელი ელით პირებს, რომლებიც მანქანიდან გადაყრიან ნაგავს და როგორ დაჯარიმდება ძაღლის პატრონი გარემოს დაბინძურებისთვის

**ალვერდ ჩანქსელიანი**: „ნარჩენების მართვის კოდექსის” კანონპროექტის შემუშავებას წინ უძღოდა რთული მოცემულობა – ქვეყანაში ნარჩენების არსებული სისტემები რეალურად ვერ პასუხობდა ეკოლოგიურ და სანიტარულ მოთხოვნებს; რეგულაციები, რომლებიც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში იყო ფაქტობრივად, საბჭოთა პერიოდის დროინდელი ნორმები, აბსოლუტურად შეუსაბამო თანამედროვე სტანდარტებთან. საერთაშორისო სტანდარტთან სრულ შეუსაბამობაში იყო ნაგავსაყრელების მოწყობა – ის, თუ როგორ უნდა მოეწყოს ნაგავსაყრელი, როგორი უნდა იყოს ტექნიკური მოთხოვნები, როგორ უნდა შედიოდეს ნარჩენები და როგორ ხდებოდეს მისი დეპონირება, გარემოსგან იზოლირება. მოუწესრიგებელი იყო ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების წესები. სამართლებრივი ბაზის შემუშავების აუცილებლობა დიდი ხანია, დგას დღის წესრიგში. ახალი კანონპროექტით, სანქციების საკითხი გადამუშავდა თავიდან ბოლომდე, მოხდა მისი ინტეგრირება ერთ კოდექსში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევრორეგულაციებთან.



**თუ დარღვევა დაფიქსირებული იქნება ფოტოზე, ვიდეოზე, ესეც იქნება საფუძველი იმისთვის, რომ გატარდეს შესაბამისი სანქციები**

**– როგორ მკაცრდება ახალი კანონპროექტით საჯარიმო სანქციები გარემოს დაბინძურებისთვის?**

– ჯარიმების ოდენობა განისაზღვრა ექსპერტების მიერ ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით. სამუშაოდ ავიღეთ გერმანიის მაგალითი, თუმცა ჩვენს საჯარიმო სანქციებში მოხდა აქ არსებული რეალობის გათვალისწინება. მოქალაქე, მეწარმე რომელიც ჯარიმდება გარემოს დაბინძურებისა თუ დანაგვაინებისთვის, უნდა იყოს გადამხდელუნარიანი. კანონპროექტის ყველა პუნქტს ვერ ჩამოვთვლი, ეს ვრცელი ნუსხაა, მაგრამ საკმაოდ გამკაცრდა გარემოს დანაგვიანებისთვის დადგენილი სანქციები პარკებში, სკვერებში, დაცულ ტერიტორიებზე, მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე პუნქტს: 2 კილოგრამამდე მუნიციპალური ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 80 ლარის ოდენობით; იგივე ქმედება ჩადენილი საცხოვრებელი სახლებიდან ან შენობა-ნაგებობებიდან ჯარიმდება 100 ლარით. ხოლო 2 კილოგრამამდე ნარჩენის გადაყრა ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში, დამრღვევის დაჯარიმებას 120 ლარის ოდენობით. ცვლილება ითვალისწინებს შინაური ცხოველის მეპატრონის 50 ლარით დაჯარიმებას, თუკი ის ტერიტორიას ფეკალური მასისგან არ გაასუფთავებს. 150 ლარით დაჯარიმდება ის ადამიანი, რომლის ცხოველმა, ტერიტორიის 1 კუბური მეტრი ფეკალური მასით დააბინძურა.

ხუთ ერთეულამდე საბურავის გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით; ხუთი ან ხუთ ერთეულზე მეტი საბურავის გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება. გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2 კილოგრამამდე ბატარეების, აკუმულატორების, ელექტრონათურების, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდების, ასევე ბასრი ან მჩხვლეტავი საგნების, მათ შორის, შუშის ნამსხვრევების, ლურსმნებისა და სხვა მსგავსი ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. ახალი ინიციატივების მიხედვით, 2 კილოგრამი ან მეტი ოდენობის მუნიციპალური ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით. 1 კუბმეტრზე მეტი ოდენობით მუნიციპალური ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

დიდი მოცულობის ნარჩენების (მათ შორის სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო და ელექტროტექნიკური დანადგარების, სამშენებლო დანადგარებისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების) გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1 500 ლარის ოდენობით.

**– ვინ იქნება პასუხისმგებელი კანონის აღსრულებაზე და როგორ ფიქრობთ, კანონპროექტის ინიციატორები, იმუშავებს ქართულ რეალობაში გამკაცრებული სანქციები?**

– კონტროლის სისტემაში ჩართული იქნება გარემოს დაცვის ინსპექცია, რომელთა მიერ გაკონტროლდება გარემოს დაცვის ფაქტები, ასევე საპატრულო პოლიცია, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი მაკონტროლებელი ინსპექციები, რომლებიც შეიქმნება იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ჯერ არ არის შექმნილი. ამ სამსახურების წარმომადგენლებს ექნებათ უფლება, გამოავლინონ ყველა დარღვევა და გაატარონ შესაბამისი სანქციები. თუ დარღვევა დაფიქსირდება ფოტოზე, ვიდეოზე, ესეც იქნება საფუძველი იმისთვის, რომ გატარდეს შესაბამისი სანქციები. იმ შემთხვევებში, როდესაც არ ჩანს პირი, ვინც დაანაგვიანა გარემო, უნდა გატარდეს საგამოძიებო ღონისძიებები. ყველა კატეგორიის ნარჩენს ერთი და იგივე მუხლი არ უნდა მივუყენოთ. ყველა ნარჩენს განსხვავებული თვისებები აქვს, აქედან გამომდინარე, გარემოს დაბინძურების რისკიც განხვავებულია, განსხავვებულია ფინანსური სანქციებიც. ყველა დარღვევაზე მაქსიმალურად არის წარმოდგენილი სანქციები, რომელთა გატარებაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას. ახალი კანონით, ორი რამ, ნაგავი და გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებები, ერთმანეთისგანაა გამიჯნული. თითოეული სახეობის დანაგვიანების, ან დაბინძურებისთვის სხვადასხვა სახის სანქცია და ადეკვატური ჯარიმაა დადგენილი. ანუ, განსხვავებული მიდგომა ამოქმედდება – მაგალითად, გარემოში აკუმულატორის სითხის, ზეთების დაღვრისთვის, ორ კილომდე ნაგვის გარემოში გადაგდებისა და გარემოს დაბინძურებისთვის, რაც ბუნებას აზიანებს, არა მარტო ფულადი, არამედ სხვა სახის სანქციებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს უკვე იმის მიხედვით, რა სახისაა გარემოსთვის მიყენებული ზიანი, რაც უკვე არა ადმინისტრაციული, არამედ საერთოდ, სხვა კატეგორიის საქმეა.

**– მაგალითად, სისხლის სამართლის?**

– კანონი თვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირი, გარემოს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, ის კანონის წინაშე პასუხს აგებს. კოდექსის მიხედვით, მწარმოებელი ვალდებულია, რომ ისეთი პროდუქტისგან, რომელიც შემდგომში სპეციფიკური ნარჩენი ხდება, უზრუნველყოს თავისი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, რეციკლირება, აღდგენა და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება. აქამდე ეს რეგულაციები არ გვქონდა. კანონის მიღების შემდეგ სრულაფასოვნად ამუშავდება კანონის პრინციპი – ნარჩენის წარმომქმნელი ვალდებულია, გაიღოს მის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ხარჯები, დასუფთავებისთვის არსებული ტარიფები. რაც აქამდე არსებობდა, ვერ ფარავდა იმ ხარჯებს, რაც ნარჩენების მართვას სჭირდება. თავისთავად ცხადია, გადასახედი იყო ნარჩენების მართვის დაფინანსების საკითხი. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში დანერგილია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება. კომპანიები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნარჩენების წარმოქმნასთან, გაერთიანებულნი არიან ასოციაციებში, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვებას, ტრანსპორტირებას, განთავსებას. იგივე პრინციპი დაინერგება ჩვენთანაც. „კოკა-კოლას,” „ნატახტარის” ან სხვა ნებისმიერი კომპანიის წარმომადგენელი ვერ დაიწყებს სირბილს და ნარჩენის, ბოთლების შეგროვებას. შესაბამისად, მათ წინასწარ უნდა იზრუნონ ამაზე. ეს სიახლე ძალაში შევა ეტაპობრივად, უფრო მოგვიანებით, რადგან ბევრ ტექნიკურ საკითხთან არის დაკავშირებული.

**თამუნა ნიჟარაძე**

**86 წლის წინათ, თბილისში გამომავალ გაზეთ „ზაკავკაზიეში” გამოქვეყნებულ ერთ წერილზე მინდა, გიამბოთ ჩვენს სტატიაში, რომლის არსებობაც ჟურნალისტმა, ისტორიკოსმა და ჩემმა პედაგოგმა, გელა საითიძემ მაუწყა.**

# რატომ შეწყდა ნავთობის მრეწველობა გურიაში

**– ბატონო გელა, რა პუბლიკაციაზეა საუბარი და რატომ მიგაჩნიათ ის საინტერესოდ?**

– აღნიშნული პუბლიკაციის სათაურია: „К вопросу о нефтеносности Гурии”. ავტორია ვინმე ვ. პარამანოვი, რომელსაც აშკარად ეტყობა, საქმეში ღრმად ჩახედული და საქართველოსადმი კეთილგანწყობილი პიროვნებაა. წერილში გამოთქმული ყოველი მოსაზრება ფაქტების გულდასმით გაანალიზების შედეგია, ხოლო მიღებული დასკვნები – გამჭვირვალე და ანგარიშგასაწევი.

ავტორის თქმით, ნავთობსაძიებო სამუშაოები აქ 1870 წელს დაუწყიათ, ხოლო მომდევნო წელს პირველი ჭაბურღილი დაუდგამთ. იმ დღეებიდან მოყოლებული ვიდრე 1913 წლამდე, ანუ ხსენებული წერილის დაწერამდე, გურიას არაერთი კომპანიის წარმომადგენელი სწვევია. ყველა მათგანი იწყებდა საძიებო სამუშაოს, დგამდა ბურღილებს, ემზადებოდა სარეწების გასამართავად, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თითქმის ყველა თავს ანებებდა საქმეს და გაურკვეველი მიმართულებით მიდიოდა.

ავტორის აზრით, ვიღაც თითქოს განგებ ჩადიოდა ამას, რათა საზოგადოებაში იმთავითვე დაემკვიდრებინათ რწმენა, რომ ამ ადგილებში ნავთობი არ არსებობდა. ის კი არა და 1886-87 წლებში უფრო გასაოცარი რამ მოხდა გურიაში, სწორედ ნავთობთან დაკავშირებით რამდენიმე ადგილას ნავთობის უხვი გამონაჟონი შეუმჩნევიათ. ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყოლია... მაგრამ საზღვარგარეთელი ნავთობმაძიებლები გაოგნებულნი დარჩენილან, როცა აღმოუჩენიათ, რომ ნიადაგში ნავთობი ხელოვნურად ყოფილა ჩაღვრილი, თან არა უბრალო ნედლეული, არამედ, სუფთა ნავთი... ყველაფერი ეს შანტაჟის მიზნით იყო გაკეთებული და „საჭირო არ არის დიდი ფსიქოლოგი იყო, – წერს პარამონოვი – რომ ამ სამსართულიან ნაგებობაში ვერ გაერკვე, იგი ხომ ბრბოს ფსიქოლოგიაზეა გათვლილი”, ხოლო ბრბოზე ასეთი ზემოქმედება „იმ შორეულ დროში” სულაც არ იყო ძნელი, ვინაიდან მაშინ მსოფლიოშიც კი ძალზე ცოტანი იყვნენ ნავთობის საქმის სპეციალისტები.

შემდეგ წლებში, ავტორის თქმით, გურიაში ნავთობის ძიების დამამუხრუჭებელ მიზეზად მისი ნიადაგების სათანადო შეუსწავლელობა მიუჩნევიათ. თუმცა, ასეთი მიზეზიც „სრულიად სხვა წარმომავლობისა იყო” და ვიღაცის წინასწარ მოფიქრებული გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. კერძოდ, იმ გეგმისა, რომელიც გურიაში ნავთობის არარსებობის დამტკიცებას ისახავდა მიზნად.

1884 წელი ბაქოს ნავთობის მრეწველობის გაფურჩქვნის პერიოდია. ბაქოს ნავთობი საქართველოს გავლით, კერძოდ, ბათუმის პორტის მეშვეობით, ევროპის ქვეყნებისკენ დაიძრა და იქ გასაღების ბაზარი ჰპოვა. მწყობრში დგება ბათუმი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი, ხოლო ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა...

სწორედ იმავე ხანებში ნავთობმაძიებელთა ახალი ტალღა აწყდება შავი ზღვის გურიის სანაპიროს. მათ შორის, ერთ-ერთი პირველია პოლკოვნიკი დავიდოვი, რომელიც ხელისუფლების ნებართვით, ჭაბურღილის დადგმას იწყებს გურიაში... მაგრამ მიაღწიეს რა გარკვეულ სიღრმეს, ის სასწრაფოდ მიემგზავრება ბაქოში, ხოლო უკან მობრუნებული საგულდაგულოდ კეტავს ჭაბურღილს და გაურკვეველი მიმართულებით მიდის გურიიდან... ცოტა მოგვიანებით, გურიაში ამერიკელი ბიზნესმენი მაკარტი ჩამოდის. ისიც შეუდგება ნავთობსარეწის მოწყობას, თითქმის 40 საჟენის სიღრმემდე ბურღავს და მოულოდნელად ისიც სასწრაფოდ მიემგზავრება ბაქოში, ხოლო უკან მობრუნებული იმავეს იმეორებს, რაც პოლკოვნიკმა დავიდოვმა გააკეთა და სამუდამოდ ტოვებს გურიის სანახებს.

1897 წელს გურიის „ნიადაგის ზონდირება” ბელგიიდან ჩამოსულ ნავთობკომპანიის წარმომადგენლებს მოუხდენიათ. მათ სადგურ სუფსასთან რამდენიმე ვერსის დაშორებით დაუდგამთ ჭაბურღილი. 100 საჟენის სიღრმემდე ყოფილან ჩასული, როცა სარეწის ადმინისტრაციის ნაწილი სასწრაფოდ ბაქოში გამგზავრებულა, რომელთაც შემდგომ სუფსაში დარჩენილი ბურღვის ოსტატიც შეერთებიათ... ამ უკანასკნელს წასვლის წინ ჭაბურღილი ჩაუკეტავს და სუფსის სარეწის ლიკვიდირება მოუხდენია... მალე გურულებს შეუტყვიათ, რომ ზემოხსენებული ბურღვის ოსტატი ბათუმში დიდი სახლების მფლობელი გამხდარა.



**ნავთობსაძიებო სამუშაოები აქ 1870 წელს დაუწყიათ, ხოლო მომდევნო წელს პირველი ჭაბურღილი დაუდგამთ**

**– ვფიქრობ, ამდენი დამთხვევა არ შეიძლება არსებობდეს...**

– კიდევ ერთ ფაქტზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას. მეოცე საუკუნის დამდეგს გურიის მხარეში, რუსეთში ნავთობის საქმის დიდი სპეციალისტი, ათანასე მიხეილის ძე კონშინი ჩამოსულა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პუბლიკაციის დროს, ესე იგი, 1913 წელს თერგის ნავთობმრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე ყოფილა. ნავთობმრეწველობის დარგში ამ უდიდეს ავტორიტეტსაც მოუხდენია გურიის ნიადაგების ნავთობშემცველი ფენების შესწავლა. შეუგროვებია ნიმუშები და გამგზავრების წინ ასეთი განცხადება გაუკეთებია: „Весь кавказ окаймлен залежами нефти, но Гурия в етом отношении находится в исключительно хороших условиях, а пока мы имеем Баку и Грозны, которыми необходимо заняться” .

**საჭმელი სოდისა და გოგირდმჟავას მისაღები ქარხნები, რომლებიც გურიაში აშენდებოდა უფრო იაფ პროდუქციას გამოუშვებდნენ, ვიდრე ბაქოსი**

გურიის ტერიტორიაზე დიდი ნავთობსაბადოს არსებობა რომ დაბეჯითებით დაასაბუთოს, ავტორი არაერთი რუსი და უცხოელი მეცნიერის მოსაზრებებს იმოწმებს.

მაგალითად, ბერმანის ნაშრომში: „კ გეოლოგიი ნეფტიანიხ მესტოროჟდენიი გრუზიი”, დასაბუთებული ყოფილა გურიის ნიადაგებში დიდი ნავთობშემცველობა, ხოლო გამოკვლევისთვის თანადართულ რუკაზე მითითებული ყოფილა კონკრეტული პუნქტები ნავთობის ბუდობებისა, ბაცევიჩის ნაშრომში კი პირდაპირ იგივობა და ანალოგიურობა ყოფილა დაფიქსირებული ბაქოსა და გურიის ნავთობშემცველ შრეებს შორის...

1912 წლის ნოემბერში გურიაში ინგლისური კომპანიის, „ჩაარკერის” ერთ-ერთ ფირმას დაუწყია მუშაობა, რომელსაც საქმის მმართველობა ბაქოს ნავთობმრეწველთა შორის კარგად ცნობილი პიროვნების, დულესთვის, ანუ „მგლისთვის მიუნდვია ცხვარი სამწყემსავად.” დულეს ვინმეს დუელში გამოწვევა აზრადაც არ მოსვლია და მოწინააღმდეგის სიკვდილისა და დასამარებისთვის დროის განგებ გაჭიანურება აურჩევია. პირველი ბურღილი იმავე წლის ნოემბერში დაუდგამთ გურიაში, ხოლო მეორე 1913 წლის იანვარში. პირველი ბურღილის დადგმიდან, დაახლოებით 6 თვის გასვლის შემდეგ, მხოლოდ 30 საჟენამდე ჰქონიათ გაბურღული. მიზეზი იყო ის, რომ ჭაბურღილზე სამუშაოები ხელით მიმდინარეობდა. დამონტაჟებულ ელექტრომოტორს არ იყენებდნენ, აქაოდა სპეციალისტი არ გვყავსო... ანდა, ზოგიერთ დანადგარს ინგლისში აგზავნიდნენ შესაკეთებლად, როცა ეს პროცედურა შესაძლებელი იყო უფრო ახლოს, ვთქვათ, ოდესაში განხორციელებულიყოო, – წერს ავტორი და განაგრძობს, – „ყველაფერი ეს არ ეგუება ინგლისელის ბუნებას, რომელიც აზროვნებს გამოთქმით: „დრო – ფულია!” მით უმეტეს, ინგლისის ეს საქვეყნოდ ცნობილი კომპანიის წარმომადგენლები გურიაში საქმელმოქმედო მიზნით არ ჩამოსულან. მათ გამდიდრების სურვილი ამოძრავებდათ... არც ის იყო საეჭვო, რომ „ბატონ დულეს ყველა მონაცემი ჰქონდა საქმის სპეციალისტი რქმეოდა, მაგრამ ფაქტები სხვაზე მიუთითებს...”

**– საინტერესოა რა მოხდებოდა ის ნავთობის მაძიებლები რომ არ გაყიდულიყვნენ...**

– ნავთობის პირველი შადრევანი გურიაში, მისი პირველი პროდუქციით დატვირთული პირველი ვაგონის გამოჩენა ბათუმის პორტში გადამწყვეტ გადატრიალებას მოახდენდა ამიერკავკასიის ნავთობის მრეწველობაში და ბაქოელ ნავთობმრეწველებს გადაეკეტებოდათ, ბათუმზე გავლით, ევროპის ბაზრისკენ მიმავალი გზა. მხედველობაში იყო მისაღები ის, რომ მანძილი ბაქოდან ბათუმამდე რკინიგზით 843 ვერსი იყო, მაშინ, როცა სადგურ ნატანებიდან ბათუმამდე მხოლოდ 35 ვერსია... ამრიგად, ნატანებ-ბათუმის გზა 808 ვერსით მოკლე იყო, რაც იმ დროს მოქმედი ტარიფის შესაბამისად ფუთ-ვერსზე (შეადარე დღევანდელ ტონა-კილომეტრს), 18 კაპიკის ეკონომიას იძლეოდა თითოეულ ფუთ ნავთობზე, ან მის პროდუქციაზე, ხოლო თითოეულ მილიონ ფუთზე 180 ათასი მანეთი დაიზოგებოდა. საჭმელი სოდისა და გოგირდმჟავას მისაღები ქარხნები, რომლებიც გურიაში აშენდებოდა, უფრო იაფ პროდუქციას გამოუშვებდნენ, ვიდრე ბაქოსი... ნავთობის გადასაზიდი ხის კასრები ბაქოში ბათუმიდან ჩაჰქონდათ, მაშინ, როცა მის დასამზადებლად გურიას ტყის დიდი მასივები ჰქონდა. ქარხნების სათბობად შესაძლებელი იყო ადგილობრივი ქვანახშირისა და იაფი შეშის გამოყენება, ძვირად ღირებულ ნავთობპროდუქტის (მაზუთი და სხვა) მაგივრად. საყურადღებო იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ ის, რომ ნატანებსა და ბათუმს შორის რკინიგზას სურამის უღელტეხილის მსგავსი წინაღობის დაძლევა არსად ესაჭიროებოდა, რაც ტვირთების გადაზიდვის შეუფერხებლობის გარანტიას იძლეოდა.

**ეკა სალაღაია**

**დიზაინერმა სოფო გონგლიაშვილმა მინანქარზე მუშაობა დაახლოებით თოთხმეტი წლის წინ დაიწყო. მართალია, მის პირველ ნამუშევარს სათანადო გამოხმაურება არ მოჰყოლია, მაგრამ, ამან კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა და შედეგმაც არ დააყოვნა: დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე მოდური დიზაინერია და მის მიერ შექმნილ სამკაულებს არა მარტო ქართველები, მსოფლიო დონის ვარსკვლავებიც ატარებენ. მის კოლექციებს მნიშვნელოვანი გამოხმაურებები აქვს სხვადასხვა ქვეყნის მასშტაბით და წლევანდელ „ლონდონის ფეშენ-ვიქზე” მეორე ადგილიც აიღო.**

# რა სასწაულებრივი ისტორიები უკავშირდება სოფო გონგლიაშვილის სამკაულებს და რატომ არ გამოსდის მას კერძო შეკვეთებზე მუშაობა

**– როდის დაიწყეთ მინანქარზე მუშაობა?**

– 2000 წლიდან. მე, სართოდ, სულ სხვანაირად დავიწყე კეთება. მაშინ უფრო ხატებს ამზადებდნენ. სხვათა შორის, ხატებისთვის იყო გამზადებული ის ფორმები, რომლითაც ჩემი პირველი ნამუშევარი – თვითმფრინავი გავაკეთე. გამოვფინე კიდეც ეს თვითმფრინავი, მაგრამ, ხალხმა კარგად არ მიიღო, ფაქტობრივად, გვერდი აუარა. როცა ხალხის მხრიდან სათანადო რეაქციას ვერ ხედავ, კიდევ უფრო გინდება, დაუმტკიცო, რომ ეს არ არის გვერდსასავლელი რაღაც. ამიტომ, სტიმული არ დამიკარგავს და, ჩემი აზრით, დავამტკიცე კიდეც. ახლა სამკაულებს ვაკეთებ. ერთ გოგოს, რომელიც თბილისში გავიცანი, აღმოჩნდა, რომ, მოსკოვში, ძალიან კარგ მაღაზიაში ჰქონდა ჩემი ბეჭედი შეძენილი. პირადად მე არასდროს გამიყიდია სამკაული, გალერეაში იყიდებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, აქ ყიდულობდნენ და შემდეგ იქ მიჰქონდათ გასაყიდად. მოკლედ, იმ გოგომ ვიღაცაზე დაინახა მსგავსი სამკაული, ხელწერა მიამსგავსა და ასე მომაგნო. გასაოცარი ამბავი მიამბო – ეს დაახლოებით 10-12 წლის წინ მომხდარა. თურმე, ეს ბეჭედი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა – თვითონ ასე მიაჩნია. მითხრა, ეს ბეჭედი რომ გავიკეთე, იმ დღიდან ყველაფერი ფანტასტიკურად ამეწყოო – გათხოვდა, გახდა ძალიან დიდი კომპანიის კრეატიული დირექტორი. მერე, მოვიხსენი და ორი წელი აღარ გამიკეთებია – შემეშინდა არ გაფუჭებულიყოო. კარგა ხანს არ ვფეხმძიმდებოდი, უცებ, შენი ბეჭედი გამახსენდა, გავიკეთე და, ერთ კვირაში გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავიო და ბიჭი შესძენია. ახლა ჩამოსული რომ იყო, რაღაც იყიდა – გოგო მინდა ძალიანო. ასე ველარ შეგპირდებით-მეთქი, გავეხუმრე *(იცინის).* 12 წლის შემდეგ რომ ასეთ ისტორიას გაიგებ შენს შექმნილ ნივთზე, ძალიან სასიამოვნოა, სასწაულივით არის. ამის შემდეგ ძალიან დავახლოვდით და სულ ვწერთ ერთმანეთს.

**– ძირითადად გამოფენებისთვის ამზადებთ კოლექციებს თუ კერძო შეკვეთებისთვის?**

– შეკვეთებს თითქმის არასდროს არ ვაკეთებ. თუმცა, ახლახან ვიყავი წასული პარიზში. პრინციპში, იმიტომ მიდიხარ, რომ რაღაც შეკვეთა მოგცენ. მაგრამ, შეკვეთა რომც მომცენ – „აი, მე ასეთი მინდა“ – არ გამომდის ასე. ვაკეთებ იმას, რაც ჩემშია.

**– ძირითადად ძლიერი და დადებითი მუხტის მქონე ქალბატონების თემაზე აკეთებთ კოლექციებს.**

– შეძლება, ეს ვინმესთვის ძალიან ბანალურია, მაგრამ, მე მიყვარს რაღაც მარტივი. იგივე, გურჯი ხათუნის თემა შემთხვევით აღმოვაჩინე, როდესაც დათო ტურაშვილის წიგნს წავაწყდი. მაგრამ, ეს არ არის სრული და დამთავრებული ისტორია, ისევე, როგორც თამარ მეფეზე არ ვიცით, სად არის დაკრძალული, ანუ, ამ ისტორიას არ აქვს წერტილი დასმული. კიდევ უფრო დაუსრულებელია გურჯი ხათუნის – თამარის შვილიშვილის ისტორია, რომელსაც ასევე თამარი ერქვა. მე ვიღებ ხოლმე ახალ ინფორმაციას მის შესახებ. გურჯი ხათუნი, პრინციპში, ჩვენი დედოფალია და, სულ მინდა, რომ პერიოდულად მასზე ვაკეთო კოლექციები. წელს „ლონდონის ფეშენ-ვიქზე” (ლონდონ ფეშენ ვიქქეისი” – ასე ჰქვია და იმართება „ლონდონის ფეშენ-ვიქის” ფარგლებში) ავიღე მეორე ადგილი სწორედ გურჯი ხათუნის თემით. ქალბატონი სარა მუველი, რომელმაც გადმომცა ეს პრიზი, არის მოდის ელჩი მთელ მსოფლიოში და, აგრეთვე, „ვოგის“ ერთ-ერთი რედაქტორი. ძალიან გავლენიანი ქალია, რომელიც ტყუილად არაფერს გააკეთებს. ყველას უკვირს – „როგორ, შენ სარა მუველი გწერს?“ – დაინტერესებულია ჩემით და, ვნახოთ. ძალიან ბევრი დიზაინერი იღებდა მონაწილეობას. მე წასვლასაც არ ვაპირებდი, რას ვიფიქრებდი, თუ ამდენ დიზაინერს



**არ ვფეხმძიმდებოდი და უცებ შენი ბეჭედი გამახსენდა, გავიკეთე და ერთ კვირაში გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავიო**

შორის მე შემამჩნევდნენ და, რომ გამომაცხადეს, მაინც ვერ წარმოვიდგინე, რომ ჩემზე იყო ლაპარაკი. ბოლოს კი აღმოვჩნდი სცენაზე და ეს ყველაფერი დაუვიწყარი ემოცია იყო ჩემთვის.

**– მანამდე იყო ბევრი და საკმაოდ წარმატებული გამოფენა, მათ შორის – პარიზის „არტ-ჯორჯია”...**

– ეს დაიწყო, ფაქტობრივად, შარშანწინ, როდესაც სოფო ჭყონიამ გააკეთა „არტ-ჯორჯია“ და ჩემი სამკაულები პირველად წაიღო პარიზში – მიხვდა, რომ ისინი უფრო ფეშენისკენ არის. სხვაც ბევრი აკეთებს, მაგრამ, მათ უფრო სხვა ხასიათი აქვს – ზოგი უფრო ფერწერულია და ასე შემდეგ. ჩემს ნამუშევარს, რატომღაც „მოდური სამკაულის” სტატუსი მიანიჭეს. თუმცა, ბოლო დროს, რამდენიმე ძალიან ცნობილმა ადამიანმა მითხრა, რომ ეს არის არტ-ობიექტები, რომლებიც უნდა ინახებოდეს არტ-მუზეუმებში და სხვაგან არსად.

**– ახლახან პარიზსა და მილანში გქონდათ გამოფენა. როგორ ჩაიარა?**

– ძალიან კარგად ჩაიარა, თან, იქიდან რომ ჩამოდიხარ, უფრო მეტის გაკეთების სურვილი გაქვს. თუმცა, ეს დიდ ემოციებსაც უკავშირდება, მით უმეტეს, რომ, ძალიან ემოციური ადამიანი ვარ და ეს ყველაფერი მღლის. თუმცა, რა თქმა უნდა, კარგია, რადგან, ამ ყველაფერს გაგრძელება უნდა მოჰყვეს. კონკრეტული შემოთავაზებები არის, თუმცა, როგორ განვითარდება ეს ყველაფერი, ესაა მთავარი.

**– ვიცი, რომ თქვენს სამკაულებს მსოფლიო დონის ვარსკვლავებიც ატარებენ.**

– დიახ, ჩემი სამკაულები აქვთ მილა იოვოვიჩს, ქეთი მელუას, დაიან პერნეს, რომელიც მართლა ძალიან მაგარი და მნიშვნელოვანი ქალია მოდის სფეროში. ჩემმა მეგობარმა ლევან გაბრიაძემ, მილა იოვოვიჩი გადაიღო თავის ფილმში. ფილმის ჩვენების შემდეგ მისთვის საჩუქრის გაკეთება უნდოდათ, თუ არ ვცდები, ფილმის მთავარ მხატვარ გოგონას ჰქონდა ჩემი სამკაულები და მილას ბეჭედი აჩუქეს. იმ დროს იქ დედამისიც იყო და, თურმე, პატარა კამათიც მოუვიდათ – არა, მე გავიკეთებ, არა – მეო. მერე ვამბობდი, ნუ ნერვიულობენ, მე თვითონ გავუკეთებ და ვაჩუქებ ორივეს-მეთქი.

**– ცნობილი ქართველი ქალბატონებიდან ვინ ატარებს თქვენს სამკაულებს?**

– ნანი ბრეგვაძეს ძალიან ბევრი სამკაული აქვს ჩემი. ყოველთვის უკეთია ერთი დიდი მედალიონი, რომელზეც მოცეკვავე ქალია გამოსახული. ეკასაც და ნატალიასაც ბევრი რაღაცეები აქვთ.

**– მასშტაბების გაზრდასა და სხვა ადამაინების ჩართვასაც აპირებდით ამ პროცესში. რა ხდება ამ მხრივ?**

– ძალიან მიწყობს ხელს ჩემი სახლი. ქვემოთ მაქვს ჩემი სახელოსნო. ეს არის ჩემი ოჯახი, რომელიც შედგება პირადად ჩემი ოჯახის წევრებისგან *(იცინის)* და, პლუს, ოთხი პიროვნება – ორი ბიჭი და ორი გოგო, რომლებიც მართლა ჩემი ოჯახის წევრებად მიმაჩნია, არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. კიდევ ერთი ბიჭის შემოტყუებას ვაპირებთ ამ ჩვენს ოჯახში. წინ გეგმები გვაქვს, რომლებიც გვინდა, რომ გავაკეთოთ. თუმცა, საქართველოს ბაზარი არაა ამისთვის შესაფერისი. ეს არის ძვირად ღირებული სამკაული, რომლის დამზადებაც ძვირი ჯდება. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ხარისხს – ამაზე მაღალი ხარისხი, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს. თითოეულ კოლექციას ძალიან ბევრი შრომა სჭირდება. წინასწარ არაფრის თქმა არ მიყვარს, რამდენჯერაც რაღაც წამომცდა, მერე ის აღარ გამომდის ან მე თვითონაც აღარ მინდება იმის გაკეთება. ბევრი გეგმა, იდეა და შემოთავაზება მაქვს და, ვნახოთ, რა იქნება.

**– როგორც ვიცი, ავეჯის დიზაინსაც აკეთებდით...**

– სხვათა შორის, ძალიან ბევრი მთხოვს გაკეთებას. ბევრი რამ ისეთ ფასად მაქვს გაყიდული, რომ ხელოსნებში გადახდილი ფასიც არ ამომიღია; უბრალოდ, ბევრი დამიგროვდა და გავყიდე. მაგრამ, ეს პროცესი არის ძალიან მძიმე, შრომატევადი და პრობლემური. თუ იქნება მოთხოვნა და ისე გადამიხდიან, რომ მიღირდეს, ნამდვილად გავაკეთებ. მაინტერესებს კიდეც და, სულ იდეებში ვარ, თუმცა, ყველაფრის განხორციელება ასე მარტივი არ არის.

**ქეთი კაპანაძე**

# დიარეა ბავშვებში

დიარეა ნაწლავთა გახშირებული მოქმედებაა 3-ზე მეტად (ჩვილებში, ჩვეულზე უფრო მეტად) დღე-ღამეში, თხელი კონსისტენციისა და გაზრდილი მოცულობის განავლით. მწვავე დიარეის ხანგრძლივობა 14 დღეს არ აღემატება.

ინფექციური დიარეის ყველაზე ხშირი გამომწვევია როტავირუსი. დიარეას ასევე იწვევს ნორო, ასტრო და ადენოვირუსები. ბაქტერიებიდან დიარეის 3 ყველაზე გავრცელებულ მიზეზს Shigella, Salmonella და Campylobacter წარმოადგენს. Vibrio cholerae ძირითადად აზიისა და აფრიკის ქვეყნებში გვხვდება. პარაზიტებიდან დიარეის უხშირესი გამომწვევია Entamoeba histolytica და Giardia lamblia. დაინფიცირება ძირითადად ფეკალურ-ორალური გზით ხდება. ინფექციის წყარო შეიძლება, იყოს დაბინძურებული წყალი, ხელები, საკვები, საგნები.

არაინფექციური დიარეა შეიძლება, გამოიწვიოს სხვადასხვა მედიკამენტმა (ასეთია: ანტიბიოტიკები, საფაღარათო საშუალებები, ანტაციდები და სხვა), საკვებმა, ქირურგიულმა პათოლოგიამ, ვიტამინების დეფიციტმა და სხვა.

დიარეის კლინიკური სიმპტომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაუწყლოება, ანუ დეჰიდრატაცია, რაც დიარეით განპირობებული სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) რეკომენდაციით, გაუწყლოების ხარისხი ფასდება 4 ძირითადი ნიშნით: ბავშვის ზოგადი მდგომარეობა, წყურვილის გრძნობა, თვალების მდგომარეობა და კანის ელასტიკურობა. შეფასების შემდეგ შეიძლება, გამოვლინდეს 3 ვარიანტი: დიარეა გაუწყლოების გარეშე, ზომიერი და მძიმე გაუწყლოებით.

დიარეის დიაგნოზი ძირითადად ემყარება ანამნეზურ და კლინიკურ მონაცემებს. ამბულატორიულად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება არ არის აუცილებელი. სტაციონარში შესაძლებელია განავლის საერთო და ბაქტერიოლოგიური კვლევა, შრატის ელექტროლიტების განსაზღვრა და სხვა.

დიარეის მკურნალობაში მეტად მნიშვნელოვანია გაუწყლოების კორექცია (რეჰიდრატაცია) ან მისი პრევენცია. ამისთვის გამოიყენება ორალური სარეჰიდრატაციო მარილების (ოსმ) ხსნარი. რეჰიდრატაციის სქემა დამოკიდებულია გაუწყლოების ხარისხზე. თუ ბავშვს აქვს მწვავე დიარეა გაუწყლოების გარეშე ან ზომიერი გაუწყლოებით, მას დასალევად ეძლევა ოსმ ხსნარი, რომლის რაოდენობასაც განსაზღვრავს ექიმი. მძიმე გაუწყლოების დროს კი, აუცილებელია სითხის ინტრავენური გზით მიწოდება.

მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია კვება. ჩვილებთან აუცილებელია ძუძუთი კვების გაგრძელება, უფრო მოზრდილებში კი – კვება შედარებით მცირე ულუფებით და ხშირად. არ არის სასურველი, უჯრედისით მდიდარი საკვების, ტკბილი სითხეებისა და დამტკბარი წვენების გამოყენება, რაც აძლიერებს დიარეას.

დიარეის დროს ანტიბიოტიკების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან უხშირესი გამომწვევი – ვირუსული ინფექციაა. მათი გამოყენება არა მხოლოდ არაეფექტურია, არამედ ხშირად, ხელს უწყობს დიარეის გახანგრძლივებას. ანტიბიოტიკოთერაპიას მიმართავენ მხოლოდ განავალში სისხლის არსებობისას (დიზენტერია) და ეპიდემიოლოგიურად საეჭვო ქოლერის შემთხვევაში.

„ჯანმოს" რეკომენდაციით დიარეის მკურნალობის სქემას დაემატა თუთიის პრეპარატი, რაც ამცირებს დიარეის ხანგრძლივობას და მის სიმძიმეს. ასევე, ხელს უწყობს დიარეის ახალი ეპიზოდების პრევენციას მომდევნო 2-3 თვის განმავლობაში. განსაკუთრებით ეს ეხება კვების დეფიციტის მქონე ბავშვებს.

ბოლო პერიოდში დიდ ინტერესს იწვევს მწვავე დიარეის დროს პრობიოტიკების გამოყენება. არსებობს მტკიცებულებები, რომ რეჰიდრატაციული თერაპიის პარალელურად, პრობიოტიკების გამოყენება უსაფრთხოა და ამცირებს დიარეის ხანგრძლივობას და დეფეკაციის სიხშირეს. ამერიკის პედიატრიის აკადემია იძლევა პრობიოტიკების დანიშვნის რეკომენდაციას, რამდენადაც მათი გამოყენება ამცირებს დიარეის ხანგრძლივობას საშუალოდ ერთი დღით. პრობიოტიკების გამოყენება ასევე, რეკომენდებულია ანტიბიოტიკთან ასოცირებული დიარეის დროს. ერთ-ერთი ასეთი პრობიოტიკია ენტეროჟერმინა.

ენტეროჟერმინა წარმოადგენს კუჭ-ნაწლავისათვის დამახასიათებელი ნორმული ორგანიზმების Bacillus clausii-ის სპორების (2 მილიარდი/5მლ) სუსპენზიას. Bacillus clausii-ის სპორები ლახავენ კუჭის წვენის ბარიერს და აღწევენ ნაწლავებში, რაც ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის დარღვეული მიკრობული ფლორის აღდგენას. მას ახასიათებს ანტიმიკრობული აქტიურობა, ასტიმულირებს იმუნურ სისტემას, რეზისტენტულია ყველაზე ხშირად გამოყენებადი ანტიბიოტიკების მიმართ. მისი გამოყენება რეკომენდებულია მწვავე დიარეის დროს, რადგან ამცირებს დიარეის ხანგრძლივობას. ანტიბიოტიკთან ასოცირებული დიარეის დროს ან მისი პრევენციის მიზნით, ენტეროჟერმინას გამოყენება ხდება ანტიბიოტიკის ორ დოზას შორის არსებულ ინტერვალში. ენტეროჟერმინას სუსპენზიას არ აქვს სუნი და გემო. აღნიშნულის გამო, მისი გამოყენება ადვილია ბავშვებში. ფლაკონის შიგთავსი შეიძლება, განზავდეს დამტკბარ წყალში, რძეში, ჩაისა თუ ფორთოხლის წვენში. ბავშვებში გამოიყენება 1-2 ფლაკონი დღეში.

**ნანი ყავლაშვილი**

**მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) პედიატრიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, მ.იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების, ობსერვაციისა და ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტის ექიმი-პედიატრი**



# როდის არ მიაჩნია კაცს ცოლის პრეტენზია სამართლიანად და რისი მიღება სურს მას ქალისგან

**მამაკაცების უმრავლესობა ბუნებით მბრძანებელია, სულერთია, რას წარმოადგენს ის პიროვნულად და აქვს თუ არა მბრძანებლობის რესურსი. მათ ხშირად უჩნდებათ გადამეტებული მოთხოვნები პარტნიორის მიმართ და მიაჩნიათ, რომ იმსახურებენ ყველა სიკეთეს და ცოლისგან სრულ მორჩილებას. როგორი ინტელექტუალიც არ უნდა იყოს მამაკაცი, ის უარს არ იტყვის მბრძანებლობაზე და არც არასდროს გამოტყდება იმაში, რომ რაღაც დააშავა. „კაცი ვარ და ჩემთვის შეიძლება!" – დღესაც აქტუალურია. შეიძლება, სწორედ ამიტომ არ ესმის მამაკაცების უმრავლესობას იმ ქალების, რომლებსაც ქმრების ამჩატება არ მოსწონთ და ვერ ეგუებიან ამას.**

დიანა *(31 წლის)*: უკვე დავრწმუნდი, რომ ყველა მამაკაცი ტირანია. როგორი პიროვნული მონაცემები და ინტელექტუალური დონეც არ უნდა ჰქონდეს, მაინც ცდილობს, თავის ჭკუაზე გატაროს და ისეთი გაგხადოს, როგორიც თვითონ უნდა. არ აინტერესებს, შენ რა გინდა, რა განუხებს, რა გიხარია... მეეჭვება, რომელიმე ქალს გვერდით ჰყავდეს ისეთი მამაკაცი, რომელიც არ იქნება თავგამოდებული ეგოისტი და ზოგჯერ მაინც იფიქრებს ქალის ბედნიერებაზე.

**– თუ უყვარს, მაინც არ აკეთებს ამას?**

– ყველა კაცს ჯერ საკუთარი პერსონა უყვარს – რა ვქნა, ეს არის რეალობა. მამაკაცებს არ ესმით ჩვენი; მათთვის სასურველია მორჩილი, უენო და სრულიად უპრეტენზიო ქალი, რომელიც თავდახრილი შეასრულებს მის მითითებებს. ყველა არ აღიარებს ამას, მაგრამ, შინაგანად ყველა კაცი მოითხოვს, რომ მისი ცოლი სწორედ ასეთი იყოს. თუმცა, ყველა ერთნაირი არ არის თავის მოთხოვნებში.

**– ანუ?**

– ანუ, ზოგი ქმარი „პოზას იჭერს", რომ ძალიან ცივილიზებული და თანამედროვეა და ცოლს არც მუშაობას უშლის, არც მოკლე კაბას და არც დეკოლტეს. ის თითქოს მშვიდია და წყნარი, მაგრამ, ახერხებს ცოლის დამორჩილებას რეპლიკებით, შენიშვნებით, მბრძანებლური ტონით; ან, სულაც, წუწუნით, უყურადღებობით, მისთვის არმოსმენით, იგნორირებით... როცა ქალი პიროვნებაა და რაღაცას წარმოადგენს, მისთვის ასეთი ზეწოლა შემაწუხებელია, ვერ ეგუება და იწყება კონფლიქტი და, საბოლოოდ, გარდაუვალია დაპირისპირება. სამწუხაროდ, მათ ჰყავთ „თანამოაზრეები" დედების სახით.

**– როცა დედამთილი უდგას მხარში შვილს და ცოლის წინააღმდეგ აქეზებს, ამას გულისხმობთ?**

– თუნდაც არ აქეზებდეს, დედამთილი, თავისი ცხოვრების წესითა და უენო მორჩილებით, შვილს უყალიბებს ისეთი ქალის სტერეოტიპს, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ. ჩემმა ქმარმა ერთხელ მითხრა, შენ გონიერი არ ხარ. ვერ ახერხებ ისე მოქცევას, როგორც დედაჩემი იქცეოდა და ოჯახიც შეინარჩუნაო. მე ვერ ვხვდები, რატომ არის უმთავრესი ოჯახის შენარჩუნება ნებისმიერ ფასად, მით უმეტეს – საკუთარ თავში პიროვნების დამარცხებით.

**– თუ ცოლი ქმარს უთმობს და ემორჩილება, ის საკუთარ თავში პიროვნებას ამარცხებს?**

– ეჭვი გეპარებათ ამაში? სწორედ ასეა. ვის უნდა მონობა? ერთი ქალი მაინც არსებობს ასეთი?

**– მონობა რატომ არის საყვარელი მამაკაცის აზრისა და თხოვნის გათვალისწინება?**

– იმიტომ, რომ ეს მუდმივად ხდება შენი აზრისა და მოთხოვნების დათრგუნვის ხარჯზე. ერთ მაგალითს გეტყვით ამის დასამტკიცებლად: თქვენ გეგულებათ ისეთი ქალი, რომელიც მშვიდად, ყოველგვარი შინაგანი ბრძოლების გარეშე აპატიებს ქმარს ღალატს? ეს ხომ აბსურდია?! მაშინ, ამ ქალს საერთოდ არ უყვარს და არ აინტერესებს ქმარი და „დამამშვიდებლად" სხვა მამაკაცი ჰყავს. საერთოდ,

**თქვენ უნდა წარმოიდგინოთ იმ ქალების მდგომარეობა, რომლებსაც ქმრები მუდმივად ღალატობენ, თან, იციან და ამას ჩუმად ითმენენ**

ქალები ძალიან ცუდ დღეში ვართ, განსაკუთრებით კი პატიოსანი ცოლები დავიჩაგრეთ – ჩვენ სერიოზულად არ აღგვიქვამენ.

**– ვინ, ქმრები?**

– სამწუხაროდ, ქმრებიც და სხვა ქალებიც. საერთოდაც, ქალების უმრავლესობა იმიტომაც ვართ ასეთ მდგომარეობაში, რომ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის განცდა არ გაგვაჩნია. გულსატკენია ეს ყველაფერი და კიდევ დიდხანს არაფერი გვეშველება, კაცები კიდევ გააგრძელებენ ჩვენს დაჩაგვრას. ვისაც მარტო ცემა ჰგონია ქალის დაჩაგვრა, ძალიან ცდება. ღალატი და მერე ამ ღალატის გამართლება დაჩაგვრა არ არის? ცემაზე ნაკლებად სტრესული გგონიათ თუ ნაკლებად საშინელი? იმ ქალების მდგომარეობაც უნდა წარმოიდგინოთ, რომლებსაც ქმრები მუდმივად ღალატობენ, თან, იციან და ითმენენ ამას ჩუმად, იმიტომ რომ, ხმა რომ ამოიღონ, უარესი იქნება. მათი ქმრები არ აღიარებენ იმას, რომ ცუდად იქცევიან, პირიქით, საკმაოდ თავმომწონენი დაიარებიან და მიაჩნიათ, რომ ეს ასეც უნდა იყოს. ამ ტიპის კაცები ჩემნაირ ქალებს ბრძენ არსებებად არ მოიაზრებენ, ცოლებისგან კი უსიტყვო მორჩილების მიღება სურთ და, ასევე, სრული „სამომსახურეო პაკეტი".

**– ეგ რას ნიშნავს?**

– გეტყვით: სრული „სამომსახურეო" პაკეტი „მოიცავს:" უთქმელობას, სიჩუმესა და მის ჭკუაზე სიარულს თუ არა, საკუთარი აზრის არგამოთქმას მაინც; მზარეულად, მოსამსახურედ და დამლაგებლად ყოფნას; წვრილმანზე თუ მსხვილმანზე თვალის დახუჭვას... ჩემს ქმარს ძალიან ხშირად უთქვამს: წარმოდგენა არ გაქვს, როგორი ცოლი იყო დედაჩემი; შენ რა, გგონია, მამაჩემი ერთგულების განსახიერება იყო და თვალებში შესციცინებდა? სულაც არა, მაგრამ, დედაჩემს ეყო ჭკუა და ოჯახი შეინარჩუნაო. რაც ერთად არიან, თითქმის სულ ჰყავდა მამაჩემს ვილაც, მაგრამ, დედაჩემმა საოცარი გონიერება და გამჭრიახობა გამოიჩინა, შენსავით ამბიციები არ ახრჩობდა და პრეტენზიებს არ ასხივებდაო – ზუსტად ამ სიტყვებით მითხრა. ამის შემდეგ რა უნდა ველაპარაკო, ან, საერთოდ, რა აზრი აქვს მასთან რამეზე ლაპარაკს? ღიზიანდება, როგორც კი ვეუბნები, რომ უპასუხისმგებლოა, ნერვები ეშლება და ღრიალს იწყებს. მართალი კაცია და შეურაცხყოფას ვერ იტანს ბიჭი! შენ ხარ ავადმყოფურად ეჭვიანი და ფსიქოპათიური გადახრებიც გაქვსო. კაცი ვარ და მიყვარს ახალგაზრდა, სიფრიფანა გოგოებით თვალის გახარება, რა ისტერიკებს იმართებ ამხელა ქალი, ჭკუა არ გაქვსო?! დამაწყვიტა ნერვები. მე, მისი აზრით, სულელი და გიჟი ვარ; მაწუხებს პერიოდული ბიოლოგიური აფეთქებები და არასტაბილური განწყობა მის მიმართ, ანუ, ვცხოვრობ ჭორების ზეგავლენით და რეალობის დანახვა არ მსურს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მამაკაცები დარწმუნებულები არიან საკუთარ განუმეორებლობაში: მათთვის ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი ეპატიებათ... ეგენი არ ბერდებიან, არც ნაოჭები უჩნდებათ... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**– ეს ქალების ბრალია?**

– რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, მცირეწლოვანი გოგონები არ უნდა ეტოლიალებოდნენ მამის ტოლ კაცებს და ამაში მეტი კეთილგონიერება ჰმართებთ; მეორეც – კაცს არ უნდა აპატიო ის, რაც საპატიებელი არ არის. დაუსჯელობის სინდრომი სჭირთ და ამიტომაც „ურევენ". მორჩილი და უპრეტენზიო ცოლები აფუჭებენ მამაკაცებს, გულგრილად რომ „უტარებენ" ცუღლუტობებს. მე საერთოდ არ მესმის ასეთი ქალების – მართლა ვერ ვიგებ, რატომ პატიობენ მამაკაცებს ყველაფერს.

**– მიზეზი ბევრია: არ უნდათ სკანდალში ცხოვრება, არ უნდათ მარტო დარჩენა, არ უნდათ მუდმივად კონფლიქტურ სიტუაცი-**

# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, რომელზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

***ნათელმხილველ ნინო ვარსიმაშვილს ჩვენი ჟურნალის მკითხველი კარგად იცნობს. სწორედ მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით, გთავაზობთ კიდევ ერთ ინტერვიუს ქალბატონთან, რომელიც დღეს თბილისში ერ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. მის მიერ ჩატარებული სეანსებით თქვენ შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ მომავალი, გაიხსნათ ჩაკეტილი პირადი ცხოვრება, დაძლიოთ წარუმატებლობა და მოიზიდოთ ბარაქა.***

**ნინო ვარსიმაშვილი**: „სამწუხაროდ, დღეს ჯადოს და, ზოგადად, ნეგატიური პროგრამების ბუმია, რაც სოციალურმა მდგომარეობამ გაამძაფრა, მატერიალურმა სიდუხჭირემ კი კიდევ უფრო გააბოროტა ადამიანები. ჯადოს, გათვალვას, შურს, წყევლასა და უარყოფითი ენერგიების გადაცემას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ხშირად ნეგატიური ზემოქმედების მასალა შეიძლება გახდეს ფოტოსურათი – სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტოთიც კი შეიძლება ნეგატიური ენერგიით დასნებოვნება; ამიტომაც, ყველას ვურჩევ: თუ გრძნობენ, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა ცუდისკენ, არ ემართებათ ხელი, აუცილებლად მიიღონ ზომები. როდესაც ადამიანი თავადაც ცდილობს საკუთარი მძიმე კარმის განეიტრალებას, სპეციალისტების დახმარებით მას ეს გამოსდის კიდეც. არსებობს უამრავი პროცედურა და თილისმა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, წარუმატებლობა და უკუსვლა წარმატებით შეიცვალოს. ამ პროცედურებით შეიძლება დანგრეული ოჯახის აღდგენა და დაკარგული პიროვნების დაბრუნება, ბედის გახსნა, ბარაქის მოზიდვა, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა და სხვადასხვა შიშებისგან განკურნება; გარდა ამისა, ვმკურნალობ პოტენციის დაქვეითებას, ალკოჰოლისადმი დამოკიდებულებას. დღეს ამ პრობლემებით ჩემთან უამრავი ადამიანი მოდის. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ასევე, ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა ცნობილმა ნათელმხილველმა, 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში, სადაც იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, ვინც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ და მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას სატელეფონო კავშირითა და სკაიპით ვახერხებ."

ქალბატონ ნინოსთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. ზოგიერთი, ვინც საკუთარ თავზე გამოსაცდა ნინო ვარსიმაშვილის ფენომენალური უნარი, აქ მადლიერების გამოსახატავად არის მოსული, ზოგი კი იმისთვის, რომ ნინო ვარსიმაშვილის დახმარებით ცხოვრების რთული ეტაპი გადალახოს. ჩვენ რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ და საკუთარი ისტორიების მოყოლა ვთხოვეთ.

**მარინა გ-შვილი** ***( 56 წლის, თბილისი)*** – ჩვენს ოჯახს ფინანსური პრობლემები ჰქონდა – იპოთეკურ სესხში ვკარგავდით ბინას, ისე მოხდა, რომ ოჯახის არცერთი წევრი აღარ ვმუშაობდით, ვერც ვალს ვიხდიდით და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ნინოს შესახებ ჯერ გადაცემიდან შევიტყვე, მერე ერთმა ნაცნობმა მითხრა: უძლიერესი ნათელმხილველია, ჩემს თანამშრომელს უცხოეთში წასასვლელად გზა გაუხსნა – ქალი ხუთი წელი ვერ ახერხებდა უცხოეთში სამუშაოდ წასვლას, ნინოსთან ვიზიტების შემდეგ კი სამ თვეში შეძლო ამის გაკეთებაო. ღმერთს მადლობა, აქ რომ მოვედი. პირველივე ვიზიტებზე ჩვენი ცხოვრება უკეთესობისკენ წავიდა – ჩვენი პრობლემების მოგვარების ისეთი გზა გამოჩნდა, ვერც კი წარმოვიდგენდი – ინვესტორი მოვიდა ჩვენს ეზოში და ჩვენი ბინა ისეთ თანხად შეიძინა, რომ ვალებიც გადავიხადეთ და არც უსახლკაროდ დავრჩით. დღეს ჩემი შვილიც მუშაობს და ჩემი მეუღლეც. მადლობა, ქალბატონო ნინო!

**ეკა ფ-იანი** ***35 წლის (რუსთავი)*** – ქალბატონ ნინოსთან ორი წლის წინ მოვედი – პირად ცხოვრებაში მქონდა პრობლემები და ისეთი ნერვოზი დამეწყო, სახლიდან გარეთ ვერ გავდიოდი. მახსოვს, კარტი გამიშალა და ისეთი რაღაც მითხრა, რომ შოკში ჩავვარდი. ერთ თვეში ამიხდა ის უცნაური ამბავი. კარტში იმასაც კი ხედავს, რაც ადამიანმა საკუთარ თავზეც კი არ იცის. ბევრ ნათელმხილველთან ვარ ნამყოფი, მაგრამ, არ არსებობს მეორე ვინმე, ვინც კარტში ასე ხედავდეს წარსულს თუ მომავალს. ეს ძალიან დიდი ნიჭია. ერთხელ აქ მოსულმა ერთმა ქალმა მითხრა, ნინოსთან სხვადასხვა თაობის ადამიანები მოდიან – ბებია, შვილი, შვილიშვილი... მისნაირად თბილისში კარტს ვერავინ შლისო. მართლაც ასეა – კარტის გაშლას რომ იწყებს, ისეთი უნარი და ხილვა ეხსნება, ისეთ დეტალებს გეტყვით, გაოცდებით. ნინოს საოცარი თილისმები აქვს ბარაქასა და პირადი ცხოვრების მოგვარებაზე, გზის გახსნასა და ჩაკეტილ ბედზე, ასევე, ჯანმრთელობაზეც, ნევროზის განკურნებაშიც უძლიერესია – ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. საოცრად აღიქვამს ფოტოს, ეს კი არა, წყალზე აქვს საოცარი ხილვები – ყველაფერს ისე დეტალუარდ გეტყვით, ამ საქმეში ბადალი ნამდვილად არ ჰყავს. მთელი ორი წელია, ყველაფერზე ნინოსთან მოვდივარ და ჩემი საქმეები წინ და წინ მიდის.

**მერაბ ვ-შვილი** ***(63 წლის, თელავი)*** – ამ ქალბატონთან ჩემმა ცოლმა მომიყვანა. უჩემოდ იყო ჩამოსული და ასე უთქვამს, შენს ქმარზე საგვარეულო ჯადოა გადასული და ხელი იმიტომ არ გემართებათო. შემჭამა ჩემმა ცოლმა, სანამ აქ არ მომიყვანა. ერთი თვეა, დავდივარ, ვიცავ ყველაფერს, რაც ქალბატონმა ნინომ გვასწავლა და ჩვენი ცხოვრება სულ შეიცვალა – ბიჭმა, რომელიც 40 წელს არის გადაცილებული ცოლი მოიყვანა, გოგონა სამსახურში აიყვანეს. აი, ამას ჰქვია ნათელმხილველი!

***ნინო ვარსიმაშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 597 82-68-68; 5 99 003- 006 (ჩაწერა წინასწარ).***

**თამარ ჩხენკელი**

---

**ებში ყოფნა და, ურჩევნიათ, ზოგჯერ თვალიც დახუჭონ.**

– ჰოდა, გვრჩება თვალები დახუჭული. ბევრი ქალისგან მომისმენია: მერე რა, ვინ არ არის მექალთანე, მაინც ყველა ერთნაირია და, ღირს ამისთვის სკანდალის ატეხა და ცხოვრების დანგრევაო?

**– რაღაც რაციონალური მარცვალი არის ამაში...**

– არა, არ არის. ცხოვრება იმად არ ღირს, რომ უსიხარულოდ გაატარო დღეები, არ იყო ბედნიერი და მხოლოდ იარსებო. მე ჩემი ქმარი ფაქტზე არ გამომიჭერია და, შეიძლება, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მონდომებითაც არ ვეძებდი, თუმცა, სულ ვეუბნები, რომ წავალ მისგან, მივატოვებ და ბავშვებთან ერთად დედაჩემთან გადავალ საცხოვრებლად.

**– არ არის ეს შანტაჟი?**

– შეიძლება, არის კიდეც, მაგრამ, ასე მიმაჩნია სწორად. ჩემმა ქმარმა იცის, რომ, თუ მივატოვებ და სრულიად თავისუფალი იქნება, ეს მას დიდ ბედნიერებას არ მოუტანს. მე ჯერ ახალგაზრდა ვარ და, თუ მოვინდომებ, უკეთეს მამაკაცზე გავთხოვდები, ეგ კი რაში სჭირდებათ ოცი-ოცდაორი წლის გოგოებს? ოცდაჩვიდმეტის არის... მალე ოჯახი მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი გახდება. შეძლებს ბარებში წანწალსა და დილამდე ცეკვა-ხტუნვას? ასეთი ადგილი არ არის კაცისთვის სტაბილურობაზე უარის თქმა. მექალთანე კაცებიც კი ცდილობენ, არ გაეყარონ ცოლებს – არ უნდათ რადგან, ეგოისტები არიან და ზუსტად იციან, ბევრი სიკეთე მოაკლდებათ; რომ მერე გამოჩნდება ახალგაზრდა ქალი, რომელიც მას თავის ადგილს მიუჩენს და პირდაპირ ეტყვის, ახალგაზრდა აღარ ხარო... მე, შეიძლება, ჩემი ქმრის თვალში სულელი ვარ, მაგრამ, ზუსტად ვიცი, როგორ უნდა მოვუგრიხო კისერი, თავი სულ მართალი რომ ჰგონია. მეცინება, ისეთი თავდაჯერებულია და თავგამოდებული...

**დალი მიქელაძე**

> **არ არსებობს ქალი, რომელიც ქმარს მშვიდად, ყოველგვარი შინაგანი ბრძოლების გარეშე აპატიებს ღალატს**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ქმართან პრობლემები მაქვს. თავად მიიჩნევს, რომ იდეალური მეუღლეა, მაგრამ რეალურად, ჩვეულებრივი ტირანია. მუდმივად ცდილობს, ჩემი მნიშვნელობა დააკნინოს და დამჩაგროს. არაფრად მაგდებს. არადა, საკმაოდ შემდგარი პიროვნება ვარ. წარმატებულიც... მწყინს და გული მტკივა. რატომ იქცევა ასე? რომ ჰკითხო, ინტელექტუალია და ცივილიზებული... სინამდვილეში მაგარი ხეპრეა. თუმცა, მიყვარს. როგორ მოვიქცე, რომ ჩემი პიროვნება დავანახვო.**

**გამოხმაურება:** მამაკაცებს ახასიათებთ ასეთი რამ. შეიძლება, თქვენს მეუღლეს მიაჩნია, რომ ზედმეტად წინ წახვედით და მასაც კი გაუსწარით წარმატებაში. ზოგადად, მამაკაცები ამბიციურები და პატივმოყვარენი არიან. ამას არასწორი აღზრდაც ემატება და ხდება ის, რაც ხდება. უნდა დაელაპარაკოთ და მშვიდად აუხსნათ, რა გწყინთ მისგან. შეეცადეთ, იყოთ კონსტრუქციული და დამაჯერებელი.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**„ბროდვეის ცეკვის აკადემიამ გამოაცხადა გამოცდა მოცეკვავეების მისაღებად ერთწლიან კურსზე. კურსში შედის ყველა სტილი, რაც კი ქორეოგრაფიაში არსებობს. პრაღიდან გავგზავნე ვიდეო, ჩემი პედაგოგი დამეხმარა ერთწუთიანი ცეკვის აწყობაში. არ მქონდა იმედი, რომ მიმიღებდნენ და, უცბად, მომივიდა პასუხი – მიგიღეთო. ბროდვეი სულ იყო ჩემი ოცნება და ვფიქრობდი, იქ ვერასდროს მოვხვდები-მეთქი. ბროდვეი შეცვლის ჩემს ცხოვრებას. სცენას რომ არ მოვშორდები – ეს ზუსტად ვიცი," – ამის შესახებ თინათინ წულაძე ჯერ კიდევ ზაფხულში მიყვებოდა. ახლა კი ის დაახლოებით სამი თვეა, ნიუ-იორკში ცხოვრობს, ბროდვეის ცეკვის აკადემიაში სწავლობს.**

# როგორ გახდა თინათინ წულაძე ბროდვეის ცეკვის აკადემიის პირველი ქართველი მოსწავლე და რა ოცნებას ისრულებს ის ნიუ-იორკში

**თინათინ წულაძე:** ერთწლიან სასწავლო კურსს გავდივარ ბროდვეის ცეკვის აკადემიაში. პროგრამაში ცეკვის ყველა მიმდინარეობა შედის, რაც კი დღეს არსებობს და აქტუალურია. აკადემიის დევიზია: „მსოფლიოს შთავაგონებთ, რომ იცეკვონ". ბევრ შეღავათს უწევენ მოსწავლეებსაც. გამონაკლისები დაშვებულია, მაგრამ მოცეკვავისთვის სტანდარტია – ცოტა საბალეტო განათლება მაინც. ანუ, არის რაღაც მოძრაობები, რომელიც უნდა გააკეთოს მოცეკვავემ, რომ მერე სხვა რაღაცეებიც შეძლოს. ამ ყველაფერს ითხოვენ იმ ვიდეოში, რომელსაც გამოცდისთვის აგზავნი. ამის მერე არჩევენ. ერთი შეხედვით, ყველაფერს ხვდებიან. პრაღაში ჩემი მასწავლებელი დამეხმარა ვიდეოს გაკეთებაში, თვითონაც სწავლობდა იქ და მითხრა: მცირე დროში ძალიან ბევრ რამეს ისწავლი და მოგეწონებაო. მომეწონა კი არა, გაგიჟებული ვარ. ამდენს ნამდვილად არ ველოდი. ასეთი საოცრებაც არ მეგონა, ისეთი მაგარი ადგილია...



**ეს ხალხი ისე სწრაფად დადის, მეც სირბილი დავიწყე. მერე მივხვდი, რომ ასეთი რეჟიმია აქ და მე მშვიდად უნდა ვიარო. თუმცა, აქ თუ ცოტა ნელა ივლი, აუცილებლად გადაგთელავენ**

**– როგორ შეეგუე ამერიკულ ცხოვრებას?**

– ამჟამად ვცხოვრობ ბრუკლინში, არაჩვეულებრივ ადამიანთან, ხათუნა დოგონაძესთან ერთად. ქართველი მეზობლები მყავს. ძალიან კარგად ვარ, ქართული გარემო მაქვს. ერთი კვირა მქონდა აკადემიაში გაცნობის პერიოდი, ყოველდღე ვიკრიბებოდით, გვიხსნიდნენ წესებს. ისე თბილად დაგვხვდნენ, გვაგრძნობინეს: ჩვენ აქ ვართ იმისთვის, რომ ისწავლოთო. თავისუფლად შეგიძლია, შენს პედაგოგთან ერთად საღამოს ყავაზე წახვიდე და ისაუბრო, რაღაცეები აგიხსნას, ან ჰკითხო ის, რაც გაინტერესებს. პირველად მეტროდან რომ ამოვედი თაიმ სქვერზე, მიტინგი იყო და მეგონა, დინოზავრი დაესხა ქალაქს. თან, ეს ხალხი ისე სწრაფად დადის, მეც სირბილი დავიწყე. მერე მივხვდი, რომ ასეთი რეჟიმია აქ და მე მშვიდად უნდა ვიარო. ხალხს რომ ეკითხები, აქ როგორ უნდა მოვხვდე, ჯერ კომპლიმენტებს მოგაყრიან და მერე თუ გაახსენდებათ, რა ჰკითხე, გეტყვიან: როგორ უნდა მიხვიდე.

**– მომიყევი, როგორი რეჟიმი გაქვს, როგორ მიდის შენი სწავლა?**

– პირველი გაკვეთილი ძალიან რთული იყო ჩემთვის. ეს მიმდინარეობა ანუ ჯაზი, მე მანამდე არ მიცეკვია. თამამი მოძრაობებიც არის, თან გახსნილი. ოსურის მერე გამიჭირდა გახსნილი, თამამი მოძრაობების გაკეთება. მაგრამ, ძალიან კარგი პედაგოგი შემხვდა, რომელიც ამ ყველაფერს ისე მარტივად ხსნის, სახალისოდ, რომ თავისუფლად გრძნობ თავს. თან, გაძლევს იმის საშუალებას, შენი სტილი არ დაკარგო. კონთემპორარი და ჯაზი – ორივე მაქვს აღებული და კიდევ ბალეტი. მრავალფეროვნებისთვისა და გამხიარულებისთვის „ჰიპ-ჰოპსაც" ვიღებ ხოლმე და კიდევ სხვა რაღაცეებს. ქართული ცეკვიდან გამომდინარე, უფრო მეტი აქცენტი მაქვს ხელებზე გადატანილი, ამიტომ კონთემპორარი უფრო კარგად გამომდის, ხელები მეხმარება. კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევნით. თავიდან შებოჭილი ვიყავი, უკანა ხაზზე ვდგებოდი, ახლა ვერ მომასწრებენ წინ დადგომას. მინდა, სარკეში ჩემი თავი უკეთესად დავამუშაო.

**– როგორც ვიცი, ერთადერთი ქართველი ხარ, ვინც მანდ სწავლობს.**

– ჩვენი ჯგუფი აკადემიის ისტორიაში ყველაზე დიდია – 110 სტუდენტი ვართ, მაგრამ ყველას ინდივიდუალური განრიგი გვაქვს: ერთმანეთს ხან ვემთხვევით, ხან – არა. აკადემიის ისტორიაში პირველი ქართველი ვარ, ვინც პროგრამაშია. თუმცა, როგორც სხვები, ქართველებიც მოდიან ხოლმე აქ, ერთი გაკვეთილის ასაღებად, თუნდაც მოყვარულის დონეზე. პროგრამაში მე ვარ ჯერჯერობით პირველი.

**– კონცერტები ან გამოსაშვები საღამოები ხომ არ გაქვთ?**

– ყოველთვე გვაქვს კონცერტის მსგავსი საღამო, ოღონდ დახურული, ყველაზე დიდ სტუდიაში. ერთმანეთის დადგმულ ცეკვებში ვმონაწილეობთ. შემიძლია, მეც დავდგა ქართული ცეკვა და ვინმე ვაცეკვო. ახლა ვცეკვავ ინდურ ცეკვას, მანამდე ებრაული ვიცეკვე – ძალიან საინტერესოა.

**– როგორია პედაგოგების დამოკიდებულება შენ მიმართ – შეფასებები?**

– არ მოსწონთ და არ უყვართ, როცა გრცხვენია. პატივს კი არ გცემენ იმის გამო, რომ მორიდებული ხარ, პირიქით, ამაზე ღიზიანდებიან, რადგან ყველაფერს გაძლევენ იმისთვის, რომ თავისუფლად იყო. არ არსებობს, რამე გამოგივიდეს და ეს არ აღნიშნონ, ან არ გამოგივიდეს და ისიც არ გითხრან. პედაგოგების უმეტესობა ადრე ბროდვეიზე ცეკვავდა ან ახლაც ცეკვავს. მასტერკლასებიც გვაქვს, სადაც ცნობილი ქორეოგრაფები მოჰყავთ. ცოტა ხნის წინ იყო ჯასტინ ბიბერის ქორეოგრაფი, მასტარკლასი ჩაგვიტარა. ძალიან კარგი მოცეკვავეები მოჰყავთ, რომლებიც ახალ მიმდინარეობებს აკეთებენ, ისეთს, ჯერ ცნობილიც რომ არ არის და მათთან მუშაობა საინტერესოა. დიდ გამოცდილებას ვიღებთ, თანამონაწილეები ვართ. ახლა „სალსას" მასტერკლასი გვექნება. ყველაფერი შეიძლია გამოსცადო, ნახო, არაფერში გზღუდავენ.

**– ალბათ, დადიხარ ბროდვეიზე სპექტაკლების სანახავად.**

– ვახერხებ და ასეთი შთაბეჭდილებების ქვეშ არასდროს ვყოფილვარ. ერთხელ სპექტაკლზე მარტო ვიყავი, სიხარულისგან ცრემლები მომდიოდა. მინდოდა, იმწუთას ვინმესთვის გამეზიარებინა შთაბეჭდილება. სანახავი სპექტაკლების სია მაქვს.

**– დედა და მამა ხომ არ გირჩევენ საქართველოდან რომელი სპექტაკლი ნახო?**

– ერთი კომპანია უყვარს მამას ძალიან და იქ ვაპირებ წასვლას. ჯერ არ ჰქონიათ სპექტაკლი. ბობ ფოსსი ჩემი საყვარელი ქორეოგრაფია, ვგიჟდები, ისე მიყვარს. ჩემი ოცნებაა მის სპექტაკლზე წავიდე. მისი დადგმულია „ჩიკაგო", რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი, პირველია. დიდი ხანია, თამაშობენ. „ჩიკაგოსა" და „კაბარეზე" მინდა წასვლა, იგივე ქორეოგრაფიაა, რაც თავიდან იყო, უბრალოდ, მოცეკვავეები შეიცვალა. ახლა ემა სტოუნი იღებს მონაწილეობას, ყველა ბილეთი გაყიდულია, ვერაფრით მოვახერხე წასვლა. დედას და მამას ყოველთვის ყველაფერს ვუყვები, რეპეტიციების მერეც: ახლა ამაში პროგრესი მქონდა, ახლა ეს არ გამომივიდა. მიუხედავად იმისა, რომ მოცეკვავეები არ არიან, ზუსტად ესმით, რას ვამბობ. ჩემი ბალეტის პედაგოგზე ვგიჟდები. მკაცრია, მაგრამ, თან, ჩუმი იუმორის გრძნობა აქვს. სულ ყურადღებას მაქცევს, მეხმარება და ძალიან მიყვარს. ამასაც ვუყვები მშობლებს.

**– რა იყო ამ ხნის განმავლობაში შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?**

– თბილისში როცა ვარ და რაღაცას მივაღწევ, პატარა წარმატებასაც კი, 90 პროცენტი ჩემი დამსახურებაა ამაში, მაგრამ ხალხის რაღაც პროცენტი ამბობს: მშობლების გამოო... ეს ყოველთვის მაწუხებდა, თუმცა, არ მაინტერესებდა, რადგან ვიცი, რას ვაკეთებ, ჩემმა მშობლებმაც იციან, რას ვაკეთებ. ახლა აქ, ბოლო პერიოდში პედაგოგები რომ მეუბნებიან: „ყოჩაღ, როგორი კარგია" და უცებ წინა ხაზზე გაყენებენ (ანუ სხვები გიყურებენ, ესე იგი, სამაგალითო ხარ, თუმცა ეს ყოველთვის არ ხდება), „წინსვლა გაქვს, ასე გააგრძელე, " – ეს არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. აქ არავინ იცის, ვინ არიან ჩემი მშობლები, საერთოდ არ აინტერესებთ და აბსოლუტურად ჩემზეა ყველაფერი დამოკიდებული, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**ნათია უტიაშვილი**


აღნიშნე ახალი წელი
ბეკოსთან ერთად
შეიძინე ბეკოს პროდუქცია
საახალწლო ფასდაკლებით
და მიიღე უამრავი საჩუქარი
შეიძინეთ დღეს და გადაიხადეთ 3 თვის შემდეგ
www. facebook.com/BekoGeorgia
www.beko.com.ge
ტელ : 2-15-50-50
BEKO
ბეკო

**ხშირად საკუთარ თავს მორწმუნეებად მივიჩნევთ, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ისიც არ ვიცით, რა არის რწმენა და როგორ უნდა გვწამდეს სწორად. ბევრი რამ სწორედ ჩვენი რწმენის ხარისხზეა დამოკიდებული. ამ ყველაფრის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის მიეტევება ქრისტიანს ღმერთისგან ცოდვები და რა განსხვავება არსებობს რელიგიურ და მორწმუნე ადამიანებს შორის

– თანამედროვე ადამიანები ხშირად აცხადებენ: მე ვარ მორწმუნე, ბავშვობიდან მწამს ღმერთი, თუმცა, ზოგს ბუნების ძალების ან რაღაც მოვლენების სწამს და სჯერა. ყველა ქრისტიანმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი რწმენა არის ერთარსება, სამსახოვანი ღმერთის და, სარწმუნოების სიმბოლო, რომელიც მეოთხე საუკუნეში პირველ და მეორე საეკლესიო კრებებზე დადგინდა 12 თეზისის სახით, ასე იწყება: „მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისამპყრობელი, შემომქმედი ცათა და ქვეყანისათა..“ ამ 12 მუხლში გადმოცემულია სწავლება ერთარსება სამსახოვანი ღმერთისა. ჩვენ გვწამს ერთი ღმერთი, მაგრამ ის არის სამგვაროვანი, სამი ჰიპოსტასით – მამა, ძე და სულიწმიდა. ამიტომ, მხოლოდ იმის თქმა, რომ მე ღმერთი მწამს, საკმაოდ ბუნდოვანია. შეიძლება, ადამიანს სწამდეს რაღაც ბუნდოვანი და მან არ იცოდეს, რომ, შესაძლოა, მას არაწმიდა სული სწამს და ამიტომ თავისი სწავლებები აქვს. მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ღმერთი არის ერთარსება, ერთპიროვნული ღმერთი: მამა – უშობელი, ძე – შობილი და სულიწმიდა – მისგან გამომავალი, არსებით ერთი. ღმერთი არის დასაბამი, რომელიც იყო, არის და იქნება. სიტყვა „ღმერთი” ქართულ ენაში მომდინარეობს სიტყვებიდან – „ღრმა ერთი,“ ეს მიუწვდომელი, ღრმა შინაარის მქონე სიტყვაა, მისტიკური.

– **როგორ უნდა გვწამდეს სინამდვილეში?**

– თომა მოციქული იხილავს უფალს, საკუთარი ხელით შეეხება და აცხადებს: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი.” მაგრამ მას მაცხოვარი არ შეაქებს და ეტყვის: „შენ მიხილე და გწამს, მაგრამ ნეტარნი არიან ისინი, ვისაც არ უხილავს ღმერთი და სწამს.” რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვერ ვხედავთ და რაზეც ვიმედოვნებთ; ანუ, რწმენა არის უხილავი. ფილოსოფიის ერთ-ერთი დიდი მამა, კანტი ბრძანებდა: მე ყოველთვის მაოცებს ვარსკვლავიანი ცა ჩემს თავზე და ზნეობრივი კანონი ჩემშიო. მან ხუთი დამადასტურებელი თეზისი ღმერთის არსებობის უარყო და მეექვსეთი, ანუ, თვითონ დაამტკიცა, რომ ღმერთი არსებობს და ამას მიხვდა ვარსკვლავებიანი ცით და ზნეობრივი კანონით საკუთარ თავში.

– **ხშირად ადამიანები საკუთარ თავს მორწმუნედ მიიჩნევენ, ინახავენ მარხვას, ეზიარებიან, თუმცა, მათ ცხოვრებაშიც არის მომენტი, როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკლესიას ჩამოშორდებიან ხოლმე.**

– ეს ჩვენი რწმენის ხარისხზეა დამოკიდებული. ვინც სამი კვირის განმავლობაში არ მივა ეკლესიაში, ის მისდაუნებურად განყენებულია ზიარებიდან. ეს ყველაფერი ჩვენი რწმენიდან მომდინარეობს – ესე იგი, ის არ არის იმ ხარისხში, როგორშიც უნდა იყოს; რაღაც ნაკლი აქვს მის რწმენას. ნუ იქნებით მხოლოდ რელიგიური ადამიანები: ეს მარხვა შევინახე, ის ვერ შევინახე, ახლა წავალ ეკლესიაში, ახლა – არა. თუ მორწმუნე ხარ, უნდა გინდოდეს ღმერთთან ურთიერთობა, მასთან მისვლა. როგორ შეიძლება, შენი საყვარელი არსება, ღმერთი არ მოგენატროს? თუ ღმერთი გიყვარს, არა მხოლოდ მარხვაში, ისედაც მოგინდება მასთან ყოფნა, საუბარი, სიახლოვე. თუ ადამიანს ეზარება წირვა-ლოცვაზე დასწრება, ზიარების მიღება, ის მცირედ მორწმუნეა. თუ გინდა, ხშირად მიხვიდე ღვთისმსახურებაზე, გინდა მოსმენა, დასწრება; თუ ისე მარტივად და ადვილად გადის წირვა, რომ ვერც იგებ, ესე იგი, შენ კარგი მორწმუნე ხარ. მაგრამ, როცა ერთი სული გაქვს, როდის დამთავრდება წირვა, როდის მორჩება ქადაგება, რომ დროზე წახვიდე სახლში, ესე იგი, შენ რელიგიური ადამიანი ხარ: იცი, რომ უნდა მიდიოდე გონებით, მაგრამ შინაგანად შორს ხარ ღმერთისგან.



**როცა გავიგებთ, რომ ჩვენს მტერს რამე უბედურება შეემთხვა, ან მის შვილს, ოჯახს, გამოვისახავთ პირჯვარს და ვამბობთ: სამართალი არსებობს**

– **როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი, როდესაც მას მოუნათლავი ახლობლების მოხსენიება უნდა, მათთვის დახმარება?**

– ადამიანს ადამიანის ცხონება არ შეუძლია. კარგია, როცა ქრისტიანი ზრუნავს თავის წინაპარზე, მაგრამ, თუ ის არ იყო მონათლული, მორწმუნე, მაშინ არ აქვს ჩვენს ლოცვას აზრი. მაგრამ ასეთი ხერხი გამონახა ეკლესიამ: თუ ადამიანი მონათლული არ არის, მას ნათლავს და ამატებს ფორმულის წინ: „თუ ნათელღებული არ არის, ნათელს იღებს სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისა“. თუ ჩვენ არ ვიცით, ის მონათლული იყო თუ არა, მოხსენიების დროს შეგვიძლია ვთქვათ: „თუ მონათლული იყო, მოიხსენიე,” – ანუ, ეს მომენტი შეგვიძლია მარტივად გადავჭრათ და უარი არ ვთქვათ ჩვენი წინაპრების მოხსენიებაზე. ღმერთი არ გვეტყვის, რატომ ლოცულობდი მათთვისო, პირიქით, გვეტყვის: რატომ არ იხსენიებდით და რატომ ლოცულობდით მათთვისო. უბრალოდ, არ შეიძლება მათი კვეთაში მოხსენიება, თუ არ იცი, მონათლულები იყვნენ თუ არა ისინი. ღმერთი იმის გამო კი არ დაგვსჯის, ისინი რატომ მოვიხსენიეთ ლოცვებში, არამედ იმისთვის, რომ დავივიწყეთ ჩვენი წინაპრები. პავლე მოციქული ბრძანებს: ის ადამიანია გადასული რწმენიდან, ვისაც თავისი ახლობლები არ ახსოვსო. ახლობლებში იგულისხმებიან როგორც ცოცხლები, ასევე მიცვალებულებიც. თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია არავის ცხონება, უბრალოდ, მათთვის ვევედრებით ღმერთს. უფლის მადლი, წმიდა სამებაა მაცხონებელი. თუ ჩვენ დავიჯერებთ იმას, რომ ვინმეს ცხონება შეგვიძლია, ესე იგი, ჩვენთვის ღმერთი აღარ იქნება საჭირო.

– **სად გადის ზღვარი რწმენასა და ურწმუნოებას შორის?**

– იაკობ მოციქული, მაცხოვრის ხორციელი ძმა, ბრძანებს, რომ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია. მარტო დოგმატების ცოდნა, იმის ცოდნა, რომ ღმერთი ერთია, მაგრამ სამსახოვანი, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. ამ ყველაფერს ცხოვრების წესში დანერგვა სჭირდება. მორწმუნე ადამიანი არის თავმდაბალი, გლახაკი სულითა, მშვიდი, მოსიყვარულე. როგორ შეიძლება, ადამიანი მორწმუნე იყოს და ის იყოს ამპარტავანი, უხეში, უსიყვარულო, ბილწი, მოჩხუბარი?! ხე ნაყოფით შეიცნობა და ასეა მორწმუნე ადამიანიც. არის მოჩვენებითი სიმშვიდეც, სიყვარულიც; როცა განსაცდელი ეშვება, მერე ყველას რწმენა გამოაშკარავდება ხოლმე. თუ კარგად ჩავიხედავთ ჩვენს გულში, ბევრ რამეს დავინახავთ. როგორ შეიძლება, მორწმუნე ადამიანს სხვისი პატიება არ შეეძლოს, ან, ბაგეებით მიუტევოს ადამიანს და მის გულში მუდმივად იყოს წყენა?! როცა გავიგებთ, რომ ჩვენს მტერს რამე უბედურება შეემთხვა, ან მის შვილს, ოჯახს, გამოვისახავთ პირჯვარს და ვამბობთ: „სამართალი არსებობს.” როგორ შეიძლება, მორწმუნე ადამიანს სხვისი უბედურება უხაროდეს? ან, გაიგე, რომ შენი მტერი სამსახურში დააწინაურეს ან სახლი იყიდა და ამბობ: „სად არის ღმერთი? მე ვაპატიე და ცუდად ვარ, ის კი როგორ კარგად არის.” ასეთ დროს ჩვენ შორს ვართ პატიებისგან და, შესაბამისად, რწმენისგან. უფალი ბრძანებს: თუ გინდათ, რომ უფალმა გაპატიოთ თქვენი ცოდვები, თქვენ აპატიეთ მათ. თუ შენ არ აპატიებ და არც ის გაპატიებს, ჯიბრში გიდგება, ესე იგი, ისიც შენნაირი ადამიანია. ღმერთს უნდა, დაგანახვოს, რომ, თუ შენ არ აპატიებ სხვას, ესე იგი, არ განიცდი შენს ცოდვებს. ღმერთმა რომ გაპატიოს ისე, რომ შენ სხვას არ აპატიო, ვერ იგრძნობ, რამხელა სიხარულია ცოდვების პატიება. თუ გინდა, რომ ეს სიხარული შემოვიდეს შენში, ღმერთმა გაპატიოს, ღმერთი შემოვიდეს შენში, ჯერ შენ უნდა აპატიო შენს მსგავს თიხას. მთავარი დანაშაული ეშმაკისა და დაცემული ადამიანისა რა არის? – ის, რომ მათ მოინდომეს ღმერთის გარეშე არსებობა. ისინი ფიქრობდნენ: „მე შემიძლია ღმერთის გარეშე ღმერთობა, არანაირი ვალი არ მაქვს ღმერთის და, შემიძლია, მის გარეშე არსებობა.” ნუ დავიტოვებთ გულში ცოდვებს, ბოღმას, არპატიების სურვილს, თორემ, მერე ჩვენ გავხდებით ბოროტის ჭურჭელი. მერე ეს ყველაფერი გვტანჯავს და ადამიანი თეთრად შეფეთქილ საფლავს ემსგავსება, ისეთს, როგორებიც ფარისევლები იყვნენ. თუ გვინდა, ჩვენში იყოს სიკეთე, რწმენა, დავიწყოთ ცოდვების მონანიებით. ყველა დიდი მამა ტიროდა საკუთარი ცოდვების გამო. ღმერთი მუდმივად გაპატიებს ცოდვებს, მაგრამ, შენ სიკვდილი უნდა გერჩიოს ერთი და იმავე ცოდვის ჩადენას. პატიება მაშინ ხდება, როცა ადამიანი იმავეს არ ჩაიდენს. თავის მართლება აღარ უნდა იყოს ჩვენში და ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცოდვები, რომელიც გვაქვს საკუთარი თავის მიმართ, ღმერთის, საზოგადოების მიმართ და უფრო მეტად მორწმუნეები უნდა გავხდეთ, უფრო მეტად მიმტევებლები და მოსიყვარულეები.

**ნათია უტიაშვილი**

# ქრისტიანული სასწაულები

## მორჩილი ქალის განკურნება

მალევის ღვთისმშობლის მადლითა და წყალობით მომხდარ უამრავ სასწაულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უჩვეულო იყო მორჩილ ვერონიკას განკურნება. ეს სასწაული დაბა აპაგუს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის მონასტერში მოხდა.

ვერონიკას კიბო ჰქონდა. მას არაერთგზის უმკურნალეს ვულის საქალაქო საავადმყოფოში, მაგრამ, საბოლოოდ, იქიდან დადამბლავებული დაბრუნდა მონასტერში, რათა იქ მშვიდად მომკვდარიყო.

მონაზვნებმა გადაწყვიტეს, რომ 1970 წლის 8 მარტს, ოთხშაბათს, ის დიდ სქემაში აღეკვეცათ, რათა ღვთის წინაშე მონაზვნად წარმდგარიყო, მაგრამ, ექიმი ეჭვობდა, რომ ვერონიკა იმ დღემდე ვერ მიაღწევდა და, ამიტომ, გადაწყვიტეს, დაუყოვნებლად აღეკვეცათ ის პირველივე კვირა დღეს. 5 მარტს, საღამო ხანს იგი სავარძლით უნდა გადაეყვანათ ტაძარში. ერთმა ქალმა მას მონაზვნური სქემა მოუმზადა, თან მასზე მალევის მირონით გაჟღენთილი ბამბის ფთილა მიამაგრა.

ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი დღეები სნეულმა მდუმარებაში გაატარა. მიმწუხრს ვერონიკამ მოითხოვა, მისთვის გამაყუჩებელი ნემსი გაეკეთებინათ, რამაც მდგომარეობა შეუმსუბუქა და ჩაეძინა. ძილში მორჩილმა მკაფიოდ გაიგონა კარზე დაკაკუნების ხმა.

– ვინ არის? – დაუფარავი უკმაყოფილებით, ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა მან, – არ მასვენებენ!

ანაზდად, დაინახა, როგორ გაიხსნა კარი და ოთახში სამი ადამიანი შემოვიდა: დიდებული შესახედაობის ქალბატონი, მღვდელმთავარი და კვართით შემოსილი ვიღაც პატივცემული კაცი.

სანამ სნეული შეცბუნებითა და უხერხულობით ათვალიერებდა მოულოდნელ სტუმრებს, ქალბატონმა მას მიმართა:

– შენ, რა თქმა უნდა, გაინტერესებს, ვინ ვართ და საიდან ვართ ჩვენ. მე შენთან მალევის სავანიდან მოვედი. შენი სამშობლოს მღვდელმთავარიც ეგონში ცხოვრობს (შესაძლოა, ეს წმინდა ნექტარიოსი იყო). ამავე მიწიდანაა ჩვენი უფლის საყვარელი მოწაფე, რომელიც თქვენი მეოხია და აქ ცხოვრობს (ალბათ, ეს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი იყო). მე შენს მონახულებას რამდენიმე დღის შემდეგ ვაპირებდი, მაგრამ, ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, დღეს საღამოს მოვსულიყავი – იქნებ ხვალ უკვე მონაზონი გახდე? მე დაგეხმარები გამოჯანმრთელებაში; იმდენად გაგაძლიერებ, რომ შეძლებ ყველა შენი აღთქმის შესრულებასა და ღვაწლით ცხოვრებასაც.

– მე, ჩემო ქალბატონო, – უპასუხა ვერონიკამ, – არა მხოლოდ ფეხზე დგომა, არამედ, განძრევაც კი არ შემიძლია! ყოველდღიურად ჩემთან ორი-სამი და მოდის, რომ წამომაყენოს.

– გწამს უფლის ძალის? – შეეკითხა მას დიადი ქალბატონი.

– მწამს!

– შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ!

მან აიღო სენაკში მყოფი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი „მალევი“, მისცა იგი მორჩილს და უთხრა:

– აი, აიღე ეს, რათა მიხვდე, ვინ ვარ მე!

ხატის შეხედვისთანავე სნეულს აღმოხდა:

– ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, ეს შენ ხარ?

ღვთისმშობელმა წყნარად გაუღიმა მას და მხლებლებთან ერთად გაუჩინარდა, მორჩილი კი განიკურნა.

სასწაულის შესახებ პირველმა დედა ნექტარიამ შეიტყო, რომელიც ვერონიკას ეხმარებოდა. ის მაშინვე გაიქცა, რათა ტაძარში ყველასთვის შეეტყობინებინა, რამეთუ სერობის ჟამი იდგა. სავანის დების კაეშანი სიხარულად იქცა, რასაც თან ზარების რეკვა, სიხარულის ცრემლები, ჟამნობის „დიდება მაღალიანი“, ღვთისმშობლის დაუჯდომელი და ლიტანია მოჰყვა.

მომდევნო დღის საღამო ხანს მონასტერში უამრავი ხალხის თანდასწრებით შედგა მონაზვნად აღკვეცა. ვერონიკას ახალი სახელი – მაგდალინა დაარქვეს. ის უკვე აღარ იჯდა სავარძელში, სრულიად ჯანსაღი, მყარად იდგა ფეხზე.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: აუცილებელია თუ არა, სახლში გვქონდეს ნაკურთხი წყალი? როგორ შევინახოთ და გამოვიყენოთ ის?**

**პასუხი:** ნაკურთხი წყალი ყველა ქრისტიანულ ოჯახში უნდა ინახებოდეს. ის გამოიყენება როგორც დასალევად, ასევე, მისასხურებლად. სასურველია, თუ ნაკურთხ წყალს ყოველ დილით უზმოზე, ლოცვის შემდეგ დალევთ. ასევე, ყოველთვის მიიღეთ ავადმყოფობისას. ნაკურთხი წყალი უნდა შეინახოთ საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ ჭურჭელში.

**კითხვა: როგორც გავიგე, ჯვრისწერის სანთლები ბედნიერ დღეებში უნდა აინთოს. მე კი, ისინი უკვე დავწვი. ცოდვა ხომ არ ჩავიდინე ამით?**



**პასუხი:** საქორწინო და ნათლობის სანთლების დიდი ხნის განმავლობაში შენახვა და მათი ბედნიერ ან განსაცდელის დღეებში დანთება ლამაზი ტრადიციაა. საეკლესიო კანონიკით, მნიშვნელობა არ აქვს, როდის დაანთებთ მათ. უფალი მისთვის დანთებულ სანთელს ყოველთვის შეიწირავს.

**კითხვა: გარდაცვალების შემდეგ შერჩებათ თუ არა თავ-თავიანთი სქესი ქალისა და მამაკაცის სულებს?**

**პასუხი:** სულს სქესი არ გააჩნია და ადამიანების სულები გარდაცვალების შემდეგ იქნებიან, როგორც ანგელოზები, რომლებიც უსქესოები არიან.

**კითხვა: ცნობილია, რომ ბავშვი უცოდველია, მაგრამ თუ ის მოუნათლავი გარდაიცვლება, რა შეიძლება ახლობლებმა მისი ცხონებისთვის გააკეთონ?**

**პასუხი:** სამწუხაროდ, მოუნათლავ ყრმათათვის შეგიძლიათ მხოლოდ მოწყალება გაიღოთ, დანარჩენი კი ყოვლადმოწყალე უფალს უნდა მიანდოთ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## უმჯობესია, თუ ერთ მოძღვარს იყოლიებთ იქვე ახლოს, სადაც ცხოვრობთ...

წმიდა მთაზე მოსალოცად მყოფმა ერთმა მსმენელმა, რომელიც მოიხიბლა მამა პაისის ქადაგებით, თხრობა შეაწყვეტინა მას:

– ღერონდა, მე მსურს, აღსარება თქვენ ჩაგაბაროთ.

– თუ აღსარების თქმა გსურთ, – უპასუხა მან, – მიდით აქვე, ქვემოთ, ერთ მოძღვართან და ის ჩაიბარებს თქვენს აღსარებას, თუმცა, უმჯობესია, თუ ერთ მოძღვარს იყოლიებთ იქვე ახლოს, სადაც ცხოვრობთ, რადგან, სულიერი მოძღვარი მკურნალი ექიმივით არის, რომელიც ვალდებულია ნებისმიერ მომენტში იცოდეს ავადმყოფის მდგომარეობა და ყოველთვის შეეძლოს საჭირო წამლის მიცემა. მე შემიძლია, ახლა თქვენ წამალი მოგცეთ, მაგრამ, თუ ორი-სამი დღის შემდეგ თქვენი მდგომარეობა შეიცვლება და თქვენი სულიერი ბუნებისთვის შეუფერებელი რამ შეგემთხვათ, ეს ჩემ მიერ დანიშნული წამლის უსარგებლობაზე იმეტყველებს. ერთხელ, როდესაც გაციების გამო თავის ძლიერი ტკივილები მაწუხებდა, თავზე სალბუნი დავიდე და ტკივილმაც უცებ გამიარა. ერთმა პიროვნებამ, რომელმაც დამინახა, თუ როგორ განვიკურნე, თვითონაც დაიდო სალბუნი თავის ტკივილის შესაჩერებლად, მაგრამ, ტკივილი უფრო გაუძლიერდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მისი ტკივილი მაღალი სიცხით იყო გამოწვეული და არა გაციებით. ახლა ხომ გესმით, თუ რისი თქმა მსურდა, თუ რატომ უნდა იცოდეს მოძღვარმა კარგად აღმსარებლის სულიერი მდგომარეობა?

***

ერთხელ მამა სერაფიმეს ერთი მონაზონი ესტუმრა და დაინახა, თუ როგორ ჩამომჯდარიყო ღირსი მამა ხის მორზე, მის გვერდით კი უზარმაზარი დათვი მოკალათებულიყო. მონაზონს შიშისაგან ელდა ეცა და იქვე დაეცა. მამა სერაფიმემ დათვს ოდნავ ხელი შემოჰკრა და ანიშნა, რომ ტყისკენ წასულიყო. დათვი მაშინვე დაემორჩილა. ამის შემხედვარე მონაზონი შიშისაგან ძრწოდა და იმეორებდა: ჩემი სიკვდილი მოახლოვდაო... მამა სერაფიმემ მიუგო: „ნუ გეშინია, დედაო, სიკვდილი ჯერ შორსაა, ეს სიკვდილი კი არა, სიხარულია!“ შემდეგ ილოცა მისთვის, იმ ხის მორზე დასვა, სადაც ცოტა ხნის წინ თავად იჯდა და თვითონაც იქვე, შორიახლოს ჩამოჯდა. როგორც კი დათვმა მამა სერაფიმე დამჯდარი იხილა, ტყიდან გამოვიდა და ისევ მის ფერხთით მოკალათდა. მონაზონი ისევ გაფითრდა. ღირსი მამა ეალერსებოდა და თავისი ხელიდან აჭმევდა. ამ დროს მამა სერაფიმეს სახე სიხარულით უბრწყინავდა და ზეციური ნათელი ეფინებოდა. ამის მხილველი მონაზონი გამხნევდა. ღირსმა მამამ მას პურის ნატეხი გაუწოდა და უთხრა: „მოდი, შენც აჭამე დათვს“. მონაზონმა შეიცხადა: „მეშინია, მამაო, ხელს მომაჭამს!“ წმიდა მამამ დაამშვიდა იგი: „გახსოვს, დედაო, ღირს გერასიმეს იორდანეზე ლომი რომ ემსახურებოდა? მე კი, გლახაკ სერაფიმეს, დათვი მემსახურება. აი, მხეცებიც გვემორჩილებიან. შენ კი, დედაო, სასოწარკვეთილებას მისცემიხარ. გამხნევდი! დათვი სრულიად მემორჩილება, ახლა მაკრატელი რომ მქონდეს, ცხვარივით გავკრეჭდი...“

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების სექს-სკანდალების ტოპ-შვიდეული

*ფეხბურთის ვარსკვლავები, ისევე, როგორც შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები, მუდმივად ჟურნალისტების დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან და, შესაბამისად, მათი ნებისმიერი „არასწორი" ნაბიჯი განსჯის საგანი ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე სექსუალური ხასიათის სკანდალს ეხება. გთავაზობთ ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული სკანდალების ტოპ-შვიდეულს.*

### ჯონ ტერი

„ჩელსის" კაპიტნისა და მისი თანაგუნდელის მეგობარი ქალის რომანის შესახებ მსოფლიო სპორტულ პრესას ბევრი აქვს დაწერილი. უეინ ბრიჯის საცოლესთან, ფრანგ მოდელ ვანესა პერენსელთან რომანი ჯონ ტერის ინგლისის ნაკრების კაპიტნის წოდების ჩამორთმევად დაუჯდა, რის შემდეგაც მან საბოლოოდ დაასრულა საერთაშორისო დონის კარიერა.

### ოლივიე ჟირუ

საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელ ოლივიე ჟირუს ოჯახის წევრებისა და თაყვანისმცემლებისთვის ბოდიშის მოხდა მოუწია. საქმე ისაა, რომ ჟირუმ ერთ-ერთ მოდელთან ერთად გაატარა ღამე სასტუმროში და ეს ფაქტი ცნობილი გახდა ჟურნალისტებისთვის. ოჯახის შენარჩუნება ოლივიე ჟირუს დიდ ნერვიულობად დაუჯდა.

### ფრანკ რიბერი და ქარიმ ბენზემა

2008 წელს საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებს არასრულწლოვან მაროკოელ მეძავთან კავშირში ედებოდათ ბრალი. როგორც გაირკვა, რიბერთან და ბენზემასთან შეხვედრის მომენტში მავანი მეძავი 16 წლის ყოფილა, თუმცა ფეხბურთელებისთვის ეს ფაქტი უცნობი იყო. ყველა ბრალდება ფეხბურთელებს საბოლოოდ მხოლოდ 2013 წელს მოეხსნათ.

### ეშლი კოული

ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელის, ეშლი კოულისა და პოპ-მომღერალ შერილ კოულის ქორწინებას მალე მოჰყვა ფეხბურთელის ღალატი. ეშლი არაერთ სასიყვარულო რომანში ამხილეს, რამაც სანიმუშო ოჯახის კაცის რეპუტაცია საბოლოოდ დაუნგრია ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მცველს.

### მექსიკის ნაკრების ფეხბურთელები

2010 წელს კოლუმბიის ნაკრებთან გამარჯვება მექსიკის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა „დიდებულად" აღნიშნა: კარლოს ველასა და კარლოს სალციდოს 14 მეძავი და ერთი ტრანსექსუალი მოემსახურა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა პრესას. შედეგად, მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთელები ფულადი ჯარიმითა და დისკვალიფიკაციით „დააჯილდოვა".

### უეინ რუნი

მეძავებთან კავშირში ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი კაპიტანი უეინ რუნიც არის შემჩნეული. ერთ-ერთი მათგანი, მავანი ქალბატონი, ყვითელ პრესაში სტატიის გმირადაც მოგვევლინა – მისი თქმით, რუნი მისი ხშირი კლიენტი იყო და დიდძალ ფულსაც ხარჯავდა გართობაში.

### რონალდო

2008 წელს ბრაზილიელი რონალდო უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა: სასტუმროს ნომერში ორ ლამაზმანთან ჩაკეტილმა ფეხბურთის ვარსკვლავმა აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში საქმე ტრანსსექსუალებთან ჰქონდა. მოგვიანებით ერთ-ერთი „ტრანსი" რონალდოს დაშანტაჟებას ცდილობდა. თავად ლეგენდარული მოთამაშის თქმით, ეს ისტორია უცუდესია მის ცხოვრებაში.

## სექსუალური ირინა შეიკის გულახდილი ფოტოსესია

ცნობილმა სუპერმოდელმა და კრიშტიანუ რონალდუს მეგობარმა ქალმა ირინა შეიკმა ბრენდ „აგუა ბენდიტას" 2015 წლის საზღვაო სეზონისთვის განკუთვნილი საცურაო კოსტიუმების სარეკლამო კამპანიაში მი-



ილო მონაწილეობა. გადაღებები ტროპიკულ ჯუნგლებში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე ჩატარდა, სადაც „რეალის" ვარსკვლავის სექსუალურმა გერლფრენდმა თავისი უნაკლო სხეულით, რუჯითა და დაუვიწყარი მზერით 2015 წლის საუკეთესო საცურაო კოსტიუმების დემონსტრირება მოახდინა.

## გარეთ ბეილი და ლუის ჰემილტონი წლის ადამიანის პრემიისთვის იბრძვიან

ლუის ჰემილტონი, სამეფო რბოლების წლევანდელი გამარჯვებული, სპორტში „ბიბისის" მიერ დაწესებულ „წლის ადამიანის" ნომინაციაში გამარჯვების რეალურ ფავორიტად სახელდება. ჰემილტონთან ერთად ჯილდოს ფავორიტებად მეგოლფე რორი მაკილროი და მადრიდის „რეალის" უელსელი ვინგერი გარეთ ბეილი სახელდებიან. სამეულთან ერთად ნომინირებულია კიდევ შვიდი სპორტსმენი, თუმცა, ბრიტანეთის სპორტული მედია მათ შორის გამარჯვებულს ვარაუდობს.

# თურქი პოლიტიკოსი ლაზური ფესვებით

რეჯებ თაიპ ერდოღანი სტამბოლის რაიონის სოფელ ბეიოღლუში დაიბადა 1954 წელს. მისი მშობლები ლაზური წარმოშობის იყვნენ, რიზედან.

1976 წელს სტუდენტი რეჯები სათავეში ჩაუდგა ეროვნული გადარჩენის ისლამისტური პარტიის ახალგაზრდულ უჯრედს – აქედან დაიწყო მისი პოლიტიკური მოღვაწეობა. რამდენიმე პარტია და...

1994 წელს ერდოღანი სტამბოლის მერად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სტამბოლის გამწვანების საქმეში; მოაგვარა ნაგვის გატანისა და წყლით მომარაგების პრობლემები; ამასთანავე, ატარებდა ერბაკანის მთავრობის ისლამურ პოლიტიკას, მაგალითად, სტამბოლში ალკოჰოლური სასმელების მოხმარების შემცირების საკითხში. რეჯები სკოლის წლებიდანვე გამოირჩეოდა რელიგიურობით და მეტსახელად „ხოჯაც" კი შეარქვეს.

1997 წელს ერდოღანი იძულებული გახდა, გადამდგარიყო. მალე „კეთილდღეობის პარტიაც" აიკრძალა; 1998 წელს კი ერდოღანი გაასამართლეს მიტინგზე ისლამისტური შინაარსის ლექსის სახალხოდ დეკლამირებისთვის და ათთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა, ეს ლექსი სულაც არ იყო აკრძალული – თურქეთის განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, ის სასწავლო წიგნშიც იყო შეტანილი.

ნასამართლეობის გამო, ერდოღანი პარლამენტში ვერ შევიდოდა, თუმცა, 2003 წლის გაზაფხულზე პარლამენტმა კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები მიიღო და ერდოღანი ხმების 85 პროცენტით პარლამენტის დეპუტატი გახდა, 11 მარტს კი პრეზიდენტმა ნეჯეთ სეზერმა იგი პრემიერ-მინისტრად დანიშნა, რომლის ხელშიც იყო, ფაქტობრივად, ქვეყნის მმართველობა.

ერდოღანის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს ძირითად მიღწევებად შეიძლება ჩაითვალოს ფულის რეფორმა 2004-2005 წლებში, რამაც შეამცირა ინფლაცია; ახალი სოციალური დაწესებულებებისა და ელექტროსადგურების მშენებლობა, დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება. ამ დროის გარდაქმნებს „მდუმარე რევოლუცია" უწოდეს.

საგარეო პოლიტიკაში აღსანიშნავია თურქეთის ინტეგრაცია ევროპული კავშირისკენ; გადაიჭრა კვიპროსის პრობლემა; ერდოღანი პირველი იყო თურქეთის მთავრობიდან, რომელიც საბერძნეთს ესტუმრა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი მოკავშირე გახლდათ, ერდოღანის მთავრობა ცდილობდა, დამოუკიდებელი ყოფილიყო ამერიკის ქმედებებისგან, კერძოდ, 2003 წელს თურქეთმა თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა ამერიკის ჯარი, რომელიც ერაყის ომისთვის ემზადებოდა. ამან ხელი შეუწყო თურქეთის ურთიერთობის განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ერდოღანის მთავრობამ რამდენჯერმე შეცვალა პოლიტიკა ქურთული რაიონების მიმართ, 2008 წელს კი ერდოღანმა ამ რაიონების ეკონომიკაში ახალი ინვესტიციების ჩადების შესახებ გამოაცხადა.

2008 წლის მარტში თურქეთის გენერალურმა პროკურორმა მოითხოვა, შეწყვეტილიყო სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოღვაწეობა და ძირითად ფუნქციონირებს, მათ შორის ერდოღანს, 5 წლის განმავლობაში აეკრძალა რაიმე პარტიაში მონაწილეობა, თუმცა, თურქეთის პარლამენტმა 1 მაისს მიიღო სიმბოლური შესწორება, რის შედეგადაც იმავე წლის ივლისში თურქეთის უმაღლესმა სასამართლომ გენერალური პროკურორი მარტის მოთხოვნის უკანონობაში დაადანაშაულა.

2009 წელს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, დავოსში, როდესაც გაზის სექტორის სამხედრო კონფლიქტის შესახებ გამოსულ ისრაელის პრეზიდენტს, შიმონ პერესს პასუხობდა, ერდოღანს დისკუსიის წამყვანმა, „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტმა, სიტყვა შეაწყვეტინა. პროტესტის ნიშნად, ერდოღანმა უარი თქვა ფორუმის შემდგომ მუშაობაში მონაწილეობაზე და კონფერენცია დემონსტრაციულად დატოვა. სოლიდარობის გამოსახატავად და მხარდასაჭერად რეჯებ ერდოღანს სტამბოლის აეროპორტში თურქეთის უამრავი მოქალაქე დახვდა.

2014 წლის აგვისტოდან კი ერდოღანი თურქეთის პრეზიდენტია.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ფუტკრის რძე

ფუტკრის რძე (სამეფო ჟელე) - ცხოველური წარმოშობის ერთ-ერთი ძლიერმოქმედი სტიმულატორია.

## საიდუმლო მასალები

ფუტკრის რძის სეკრეტს მუშა ფუტკრების ჯირკვლები გამოყოფს. ამ სეკრეტით იკვებებიან მუშა, მამრი და მდედრი ფუტკრების მატლები, ასევე იკვებება ზრდასრული დედა. სხვადასხვა ავტორის კვლევების მონაცემების თანახმად, სხვადასხვა ფუტკრის რძე ქიმიური შემადგენლობით ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. ლიოფილიზირებული ფუტკრის რძე, ჩვეულებრივ, 45% ცილას, 8-13% ცხიმებს, 20-38% ნახშირწყლებს შეიცავს. ფუტკრის რძეში აღმოჩენილია 23 ამინომჟავა, ნუკლეინისა და ორგანული მჟავები, B1, B2, B6, B12, B8, PP, C ვიტამინები, პანტოთენისა და ფოლიუმის მჟავა, ბიოტინი, ასევე 14-15 მიკროელემენტი: რკინა, გოგირდი, მაგნიუმი, მანგანუმი, კალციუმი, ოქრო, ქრომი, სილიციუმი, ნიკელი, ვერცხლი, თუთია, კობალტი და სხვ. ახალი ფუტკრის რძე მკვეთრად გამოხატული ბაქტერიოციდური და ბაქტერიოსტატური თვისებებით ხასიათდება, მას შეუძლია ოქროსფერი სტაფილოკოკის, სტრეპტოკოკის, ნაწლავის ჩხირის განადგურება, ვირუსების გამრავლების შეჩერება.

## სასიცოცხლო ძალა

ფუტკრის რძის დახმარებით შესაძლებელია ზრდის, რეგენერაციის, უჯრედული დიფერენციაციის პროცესების რეგულირება, ბავშვების, მოზრდილებისა და ხანდაზმული ადამიანების დისჰორმონული მდგომარეობის კორექცია. ის არეგულირებს სისხლში ერითროციტების, ჰემოგლობინისა და ცილის დონეს. მოქმედების ფართო სპექტრის წყალობით პედიატრიასა და გერიატრიაში გამოიყენება. ფუტკრის რძე ასთენიისა და მენსტრუაციის, ასევე კლიმაქსური მოვლენების დროს ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას აუმჯობესებს, ზრდის სქესობრივ აქტივობას. ფუტკრის რძის მცირე დოზების გამოყენებას გამოცდილი ექიმები ხშირად ურჩევენ მძიმე დაავადების შემდგომ, გამოჯანმრთელების პერიოდში, კვების დარღვევისას, პოსტოპერაციულ პერიოდში, მიოკარდიუმის ინფარქტის ან გულზე ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაციის პერიოდში, ასევე თვალის დისტროფიული დაავადებების, ტრავმების შემდგომ, დამწვრობების, პოსტოპერაციული ჭრილობების დაჩირქების, ოსტეოპოროზის მკურნალობისას. ფუტკრის რძეს, როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას, ძლიერი გადაღლილობის, ორგანიზმის გამოფიტვის დროს იყენებენ. მისი ერთ-ერთი საოცარი თვისებაა მშობიარობის შემდგომ პერიოდში დედის რძის არასაკმარისი სეკრეციული ფუნქციის მქონე მეძუძურ ქალებში ლაქტაციის სტიმულაცია.

## მიიღეთ ფუტკრის რძე და ჯანმრთელები იქნებით

სს „გრინდექსი" (ლატვია) აწარმოებს „აპილაკის" ტაბლეტებს, რომელთა შემადგენლობაში ფუტკრის რძე შედის. რეკომენდებული დოზა: მოზრდილებში 1 ტაბლეტი (10 მგ) 3-ჯერ დღეში, ბავშვებში – 1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში 10-15 დღის განმავლობაში. ტაბლეტი თავსდება ენის ქვეშ სრულ გაწოვამდე. ფუტკრის პროდუქტების მიმართ მომატებული მგრძნობელობის დროს „აპილაკი" სიფრთხილით ინიშნება.

„აპილაკის" ტაბლეტები შემდეგი თვისებები ხასიათდება:

- ასტიმულირებს იმუნურ სისტემას და ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს ინფექციების მიმართ;
- ახასიათებს მატონიზირებელი და ანტისპაზმური მოქმედება, ზრდის სტრესის მიმართ ორგანიზმის მდგრადობას;
- აუმჯობესებს ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას ხანგრძლივი დაავადებების შემდგომ პერიოდში;
- ზრდის არტერიულ წნევას ჰიპოტონიის დროს;
- ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას;
- აუმჯობესებს მადას დასუსტებულ და ავადმყოფ ბავშვებში, ახდენს სხეულის მასის რეგულაციას;
- ასტიმულირებს ლაქტაციას ჰიპოგალაქტიის დროს.

**„აპილაკი"-ს ტაბლეტები ხანგრძლივი და აქტიური ცხოვრების მსურველთა ერთგული მოკავშირეა!**

**„აპილაკი" ბუნების საჩუქარია!**





## უძილობა ნევროზის ერთ-ერთი მთავარი სიმპტომია

ძილის დარღვევა ნევროზის ერთ-ერთი სიმპტომი ან მისი მომასწავებელი ნიშანია. უძილობის მიზეზი შეიძლება იყოს სექსუალური მოშლილობა, გადაღლა, ნერვიულობა, სტრესი, უარყოფითი ემოციებით გადატვირთული მდგომარეობა და ასე შემდეგ.

უძილობის მედიკამენტური მკურნალობის გარდა, არსებობს ზოგადი რჩევები, რომლებიც ხშირად ძილის აღდგენისა და ნერვული სისტემის გაჯანსაღების საშუალებას იძლევა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

სანამ დასაძინებლად დაწვებით, საძინებელი ოთახი კარგად გაანიავეთ; უმჯობესია, ღამით ფანჯარა ოდნავ შეღებული დატოვოთ. ლოგინი ზომიერად რბილი შეარჩიეთ, სასთუმალი კი, უმჯობესია, ჩრდილოეთით გქონდეთ.

გირჩევთ, დაძინებამდე ნახევარი საათით ადრე, სუფთა ჰაერზე გაისეირნოთ ან აივანზე დადგეთ და ჰაერი ღრმად ისუნთქოთ. სანამ დასაძინებლად გაემზადებით, მიიღეთ თბილი შხაპი.

ძილის წინ ნუ მიეძალებით საკვებს.

არ არის სასურველი, ძილის წინ მძაფრსიუჟეტიანი ფილმის ყურება და უარყოფითი ემოციებით გადატვირთვა; ასევე, ნერვული სისტემის აღგზნება არასასიამოვნო წიგნის კითხვით ან გადაცემებით.

ძილის წინ მოუსმინეთ სასიამოვნო მუსიკას, ისაუბრეთ ოჯახის წევრებთან სასიამოვნო თემებზე და ნუ აჰყვებით ცუდ ფიქრებს.

## არ მიიღოთ საკვები ძილის წინ

ღვიძლი შლის ორგანიზმში მოხვედრილ ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს. ვიტამინების სინთეზიც მას ეხება, სისხლსაც ამდიდრებს და გვიცავს ორგანიზმში მოხვედრილი სანმლავისგან. დროდადრო ღვიძლს ძალიან უჭირს. დადგენილია, რომ სწორი მუშაობისთვის მას ესაჭიროება B ჯგუფის ვიტამინები, ასევე, E და F ვიტამინი, მაგნიუმი, ფოსფორი, კალიუმი და კალციუმი.

არავითარ შემთხვევაში, არ მიიღოთ საკვები ძილის წინ. ივახშმეთ საღამოს შვიდ საათზე მსუბუქად. მნიშვნელოვანია საკვების ტემპერატურაც. ის არ უნდა იყოს მეტისმეტად ცივი ან ცხელი. უპირატესობა მიანიჭეთ ხაჭოს, რძეს, თევზს, წიწიბურას, მცენარეულ ზეთს და ასე შემდეგ. ძალიან სასარგებლოა ვიტამინებით მდიდარი საკვები პროდუქტები, მაგალითად, სტაფილო, გარგარი, ჭარხალი და სხვა.

ღვიძლისთვის ძალიან კარგია ძველი პური, განსაკუთრებით შავი. მავნეა თეთრი, თბილი და ფუმფულა პური. ყოველდღე მიირთვით ვეგეტარიანული წვნიანი კერძი, ასევე, მწვანილი, თაფლი, რძიანი ჩაი.

რაციონიდან ამოიღეთ სპირტიანი სასმელები, ნუ მიეძალებით ცხიმიან ხორცს და შემწვარ თევზს, სოკოს, ნაყინსა და შოკოლადს.

## რა იწვევს თვალის ანთებას

უევიტი თვალის საკმაოდ სერიოზული და რთული დაავადებაა. მისმა განვითარებამ, შესაძლოა, მხედველობის მკვეთრი გაუარესება, კატარაქტა, გლაუკომა და სიბრმავეც კი გამოიწვიოს.

არ არის გამორიცხული, თვალის ანთების მიზეზი ბაქტერიული ან ვირუსული ინფექცია აღმოჩნდეს. ხშირად ეს ინფექცია ნუშურა ჯირკვლებში ან ჰომოსის ღრუშია ლოკალიზებული. ეს ის ორგანოებია, რომელთაც თვალებთან საზიარო სისხლის მიმოქცევა აკავშირებს და ადვილი შესაძლებელია, ინფექციის გადადება.

უევიტი, ასევე, შესაძლებელია, გამოიწვიოს ტუბერკულოზმა, რევმატიზმმა, სკლეროზმა, პიელონეფრიტმა, რევმატოლოგიურმა პოლიართრიტმა და ასე შემდეგ. ამ დროს ზიანდება ორივე თვალი. უევიტი აზიანებს თვალის კაკლის სისხლძარღვოვანი გარსის სტრუქტურას, ფერად გარსსა და ცილურ სხეულს.

მნიშვნელოვანი ფაქტორია თვალების დაცვა მაპროვოცირებელი ფაქტორებისგან, მაგალითად, ორგანიზმის გადაციების ან გადახურებისგან, ორპირი ან ძლიერი ქარისგან, ყინვისგან და ასე შემდეგ.

უევიტის დაავადების გამწვავების პერიოდში, ადამიანი უნდა მოერიდოს კითხვას, წერას, ტელევიზორის ყურებას, კომპიუტერთან ჯდომას, რადგან ამ დროს თვალები იცრემლება და ადვილად იღლება. სასურველია, ამ პერიოდში სინათლის ფილტრიანი სპეციალური სათვალის ტარება. ის დაიცავს თვალს დღის შუქის მკვეთრი გამოსხივებისგან. ყინვასა და ქარში კი აუცილებლად გაიკეთეთ მუქი ფერის სათვალე. თუ ადამიანს უევიტი ერთხელ დაემართა, მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგაც შესაძლოა, პათოლოგია განუვითარდეს.

## ზოგიერთი ალკოჰოლური სასმლის მცირე დოზით მიღება სასარგებლოა ორგანიზმისთვის

სამკურნალო თვისებები გააჩნია ღვინოს, ლუდს და არაყსაც კი. მცირე დოზით მიღებული არაყი აქტიურებს ორგანიზმს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, განაპირობებს ორგანიზმის ყველა ორგანოს სისხლით მომარაგებას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, ხსნის ორგანიზმში ნერვულ დაძაბულობას, ამაღლებს გუნება-განწყობას.

მაღალი ხარისხის არაყი ამარაგებს ადამიანის ორგანიზმს არომატული აქროლადი ნივთიერებებითა და ნაერთებით, რომლებიც ქოლესტერინის დონეს ამცირებს.

არსებობს საკვები, რომელზეც არყის დაყოლება მავნეა ორგანიზმისთვის, ასეთებია: მწვანილი, ბოსტნეული, ხილი, სუპები, თევზი. თუ ზემოთ ჩამოთვლილი საკვების ჭამისას დალევთ არაყს, მიღებული პროდუქტები ვერ შეითვისება ორგანიზმის მიერ. არაყთან რეაქციაში მწვანილსა და ბოსტნეულში არსებული ორგანული მჟავები წარმოქმნის მავნე ნივთიერებებს, რამაც, შეიძლება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლა გამოიწვიოს. არყის მიყოლება სასარგებლოა ხორცთან და ცხიმიან საკვებთან.

## გადადის თუ არა სურდო კოცნითა და ხელის ჩამორთმევით

ორგანიზმის ბუნებრივ ძალებს გამყარება სჭირდება. თუ იმუნური თავდაცვისთვის მას საკუთარი ინტერფერონი არ ჰყოფნის, შეიძლება მისი დამატებით უზრუნველყოფა, თუმცა, აუცილებელია პროცესის სწორად წარმართვა, რათა ვირუსებმა ღრმად არ შეაღწიოს ორგანიზმში.

C ვიტამინი ხელს უწყობს ინტერფერონის გამომუშავებას, რაშიც ნიორი, ხახვი და ლიმონი უდავოდ დაგეხმარებათ.

ნიორი და ხახვი, C ვიტამინის გარდა, დიდი რაოდენობით შეიცავს ბაქტერიოციდულ ეთერზეთებს, მიკრობებს კი მათი სპეციფიკური სუნის „ეშინიათ“. საკმარისია ნივრის შეყნოსვა, რომ ვირუსებმა უკან დაიხიონ.

A ვიტამინი ლორწოვანი გარსის აღდგენასა და იმუნური სისტემის გაძლიერებას უწყობს ხელს.

იმისთვის, რომ დააჩქაროთ ორგანიზმიდან მიკრობების გამოდევნა, უნდა მიიღოთ დიდი რაოდენობით სითხე. სასურველია, მასში ლიმონის ან წითელი მოცვის წვენი ჩაუმატოთ.

გაციებისას ყველაზე უსაფრთხო საშუალება დაძინებამდე რამდენიმე წუთით ადრე ფეხების ცხელ წყალში ჩაყოფა.

სურდო გადადის არა მხოლოდ კოცნით, არამედ, ხელის ჩამორთმევითაც. არსებობს მისგან თავდაცვის წესები. კერძოდ: რინოვირუსები ბინადრობენ თვალებისა და ცხვირის ლორწოვანაში, პირის ღრუში კი არცთუ კარგად გრძნობენ თავს. ვირუსები ხელისგულებშიც გროვდება, ამიტომ, ხელით თვალების მოსრესა ან ცხვირზე ხელის მოკიდება არ ვარგა. ის ნივთები კი, რომელსაც სურდოიანი ადამიანი ხელით ეხება, სპირტით ან სხვა საშუალებით უნდა გაწმინდოთ. სურდო არ ხვდება მათ, ვინც დღეში 2 გრამ C ვიტამინს იღებს და ბევრ ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევს.

თუ გრძნობთ, რომ სურდო გეწყება, 1 ჩაის ჭიქა ოთახის ტემპერატურის წყალში გახსენით 3 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი, 2 ჩაის კოვზი თაფლი და ყელში გამოივლეთ.

ასევე, გაიკეთეთ ნივრის ინჰალაცია, რადგან, ეს ძალიან ეფექტურია: გაჭყლიტეთ ორი ან სამი კბილი ნიორი, წაუსვით დოლბანდზე და ხუთი წუთით ისუნთქეთ მისი მძაფრი არომატი, ოღონდ, ამოისუნთქეთ არა პირით, არამედ ცხვირით. ცოტა ხანში

სურდოც უკან დაიხევს და არც ანგინა და ბრონქიტი დაგტანჯავთ.

### რატომ არის შარდის გამოყოფის დარღვევა საშიში სიმპტომი

პიელონეფრიტი თირკმელების ტუბულოინტერსტიციული ქსოვილისა და შარდგამომყოფი გზების ლორწოვანი გარსების ინფექციურ-ანთებითი დაავადება და ის ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. როდესაც უარესდება საშარდე გზების სისხლისა და ლიმფის მიმოქცევა, პიელონეფრიტით დაავადების საფრთხეც იქმნება. პიელონეფრიტის განვითარება ყოველთვის უკავშირდება ინფექციას. შემთხვევათა უმრავლესობაში გამომწვევია ნაწლავის ჩხირი, რომელიც ძირითადად პათოგენურ ფლორას წარმოადგენს. ინფექცია თირკმელში ხვდება ჰემატოგენური, ლიმფოგენური გზებით, შარდსაწვეთისა და ბუშტ-შარდსაწვეთის რეფლექსის დროს.

პიელონეფრიტის განვითარების რისკ-ფაქტორებია: შარდგამომყოფი გზების დახშობა, სხვადასხვა დონის რეფლექსები, ორსულობა, შაქრიანი დიაბეტი და ასე შემდეგ. მიმდინარეობის მიხედვით კი გვხვდება მწვავე, ქრონიკული და მორეციდივე ფორმებიც.

მწვავე პიელონეფრიტისთვის დამახასიათებელია ტემპერატურის მომატება, წელის ტკივილი, შარდის გამოყოფის დარღვევა. ხშირია გულისრევა; იშვიათად ვითარდება თირკმლის ჭვალი. ამ დროს შარდის გამოყოფა დარღვეულია. აღინიშნება ხშირი და მტკივნეული შარდვა. ამიტომ, აუცილებელია შარდის ბაქტერიოლოგიური ანალიზის ჩატარება.

ქრონიკული პიელონეფრიტი ცუდად ნამკურნალევი მწვავე პიელონეფრიტის შედეგია. აქტიური ანთებითი პროცესის შემთხვევაში, კლინიკური სიმპტომები გაცილებით მკვეთრია. მომატებულია ტემპერატურა, გახშირებულია შარდვა. აღინიშნება ტკივილი წელის არეში, სისუსტე, შრომისუუნარიანობის დაქვეითება, მადის დაკარგვა, გულისრევა, თავის ტკივილი, წყურვილის მუდმივი შეგრძნება. თირკმელების უკმარისობის განვითარებისას აღნიშნულ სიმპტომებს ემატება არტერიული ჰიპერტენზიაც.

პიელონეფრიტის პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმალური შარდვის პროცესის აღდგენას. თირკმლის კენჭების არსებობის შემთხვევაში, ასევე, მნიშვნელოვანია უროსეპტიკური თერაპიის კურსის ჩატარება. პიელონეფრიტის განვითარების დროს, გამწვავების პროფილაქტიკისთვის აუცილებელია, თავიდან აიცილოთ გაციება, გამწვავების შემთხვევაში კი უნდა დაიცვათ წოლითი რეჟიმი. საკვებიდან უნდა ამოიღოთ მწარე და სანელებლებიანი კერძები. უპირატესობა მიანიჭეთ უცხიმო რძის პროდუქტებს, ფაფებს. ამ დროს ეფექტურია ანტიბიოტიკების კურსის ჩატარება.

### თაფლი სიცოცხლისთვის საჭირო მიკროელემენტების უნიკალურ კომპლექსს შეიცავს

ნატურალური თაფლი სიცოცხლისა და ახალგაზრდობის ბუნებრივ ელექსირად მიიჩნევა. ადამიანი მისგან ძალასა და ენერგიას იღებს.

თაფლი მიკროელემენტების უნიკალურ კომპლექსს შეიცავს. მასში შემავალი ნივთიერებების წყალობით, არცერთი ბუნებრივი პროდუქტი არ არის ისეთი სასარგებლო, როგორც თაფლი, კერძოდ, მის შემადგენლობაში შედის ფერმენტები, ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები, ამინომჟავები, ჰორმონები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმის ყველა ფუნქციაზე.



ეს პროდუქტი განსაკუთრებით საჭირო და სასარგებლოა ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ანტიბაქტერიული შემადგენლობის წყალობით, ის დეზინფექციას უკეთებს პირის ღრუს.

ასე რომ, თაფლი აუცილებელი პროდუქტია და მისი ჩართვა ყოველდღიურ რაციონში, მით უმეტეს, როცა წინ ცივი ზამთარი გველის, აუცილებელია. გამყარებული იმუნიტეტი ამ სეზონზე მთელ რიგ ვირუსებს უწევს წინააღმდეგობას, ამაში კი თაფლს უდიდესი როლი ენიჭება.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ძალიან გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს ახალშობილის პრენატალური ჰიპოტროფია და მორფო-ფუნქციური უმწიფრობა?**

**პასუხი:** ჰიპოტროფია (hypotrophy) – კვების ქრონიკული მოშლა, რომელიც ვლინდება სხეულის მასის სხვადასხვა ხარისხის შემცირებით. თანდაყოლილი ჰიპოტროფია ხშირად განპირობებულია დედის დაავადებებით, ან უკავშირდება მუცელშიგა ჰიპოქსიას, ნაყოფის ინფექციას, გენურ და ქრომოსომულ მუტაციებს. მორფოფუნქციური უმწიფრობა აღენიშნებათ როგორც დიდ ბავშვებს, ისე მცირეწონიანებსაც, როდესაც ზოგიერთი ორგანო ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული და ახალშობილის რეფლექსებიც სუსტია.

**კითხვა: ჩემი შვილი 4 წლის და 8 თვისაა, აწუხებს შეკრულობა. ბევრი რამ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. მირჩიეს, რომ დავალევინო ბაობაბ ლაიფი. თქვენ რას მირჩევთ და ამ ასაკში თუ შეიძლება მისი მიღება?**

**პასუხი:** გაწვდით იმ ინფორმაციას, რაც გაგვაჩნია ამ პრეპარატის შესახებ: არსებული ანოტაციის თანახმად, Baobab Life არის კვებითი პროდუქტი, რომლის ძირითადი შემადგენლობა ბაობაბის ნაყოფია. ხის ნაყოფი და ფოთლები შეიცავს ანტიოქსიდანტებს, ინულინს, C ვიტამინს, Ca-ს, Mg-ს და სხვას. ინულინი არის პრებიოტიკი, რომელიც არეგულირებს გულ-სისხლძარღვთა პრობლემებს, დიაბეტს და ამცირებს ზოგიერთი სიმსივნური დაავადების წარმოქმნას. კერძოდ: სწორ ნაწლავში ინულინის ხარჯზე ხდება ნაწლავური ფლორის აღდგენა და გაჯანსაღება, დისბაქტერიოზის პროფილაქტიკა და საკვების მონელების გაუმჯობესება. დეტოქსიკაცია – ნაწლავების მთლიანი გაწმენდა, რის ხარჯზედაც ხდება მთელი ორგანიზმის ფილტრაცია, უმჯობესდება ორგანიზმში შეწოვა იმ აუცილებელი ელემენტებისა, როგორიცაა: ვიტამინები, მინერალები – Ca, Mg და სხვა. შედეგად მცირდება ოსტეოპოროზის რისკიც. ბაობაბის ნაყოფის რბილობის ბოჭკოები არეგულირებენ ნაწლავების მოქმედებას. ხდება იმუნიტეტის ინტენსიური გაძლიერება. იზრდება ორგანიზმის ტონუსი. პროდუქტი დღეს წარმოდგენილია ფხვნილის სახით და ეწოდება „Baobab Life" (ბაობაბის სიცოცხლე). ის ვრცელდება ქსელური მარკეტინგის კომპანიის მიერ. სამეცნიერო შრომები და სერიოზული კვლევები პრეპარატის ეფექტურობის თაობაზე არ მოიპოვება, ამიტომ, არ შეგვიძლია, გირჩიოთ მისი გამოყენება. რაც შეეხება ყაბზობას, გირჩევთ მიმართოთ ბავშვთა გასტროენტეროლოგს, გააკეთოთ განავლის საერთო ანალიზი, განავლის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა (დისბაქტერიოზზე) და განავალი ჰელმინთებზე. ბავშვის კვების რაციონში უნდა შედიოდეს ხილი და ბოსტნეული (ყაბაყი, ჭარხალი, ყვავილოვანი კომბოსტო). ყოველდღიურად მიაღებინეთ მაწონი და იოგურტი, შავი ქლიავის, გარგარის ჩირის კომპოტი, მწვანილი (ოხრახუში – ცოცხლად), წვნიანი საკვები, დაღერღილი ხორბლის ფაფა. არ არის რეკომენდებული ცხიმიანი საკვები, ცხიმიანი ხორცის ნახარშები, მანის ფაფა, მაკარონი, კისელი, კომში, ხურმა. ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესიც ხელს უწყობს ამ პრობლემის მოუგვარებლობას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რა უთხრა თვითმკვლელობამდე ნახევარი საათით ადრე პაოლო იაშვილმა ირაკლი აბაშიძეს

„იაშვილი სტალინს მეტად მოსწონდა – ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თავის სტიქიაში ის იმ შეხვედრაზე. სტალინმა გადაარქვა მაშინ სახელები ნატა ვაჩნაძეს და პაოლო იაშვილს და ქართულად უწოდა მათ – ნატო და პავლე. არსებობს იმ შეხვედრის ჯგუფური ფოტოსურათიც, პაოლოს დისწულის ვახტანგ მოდებაძის არქივში. თითქოს ყველაფერი „ბრწყინვალედ" იყო. შორს კი, შორს იძროდნენ შავი ღრუბლები, რომელთა მოახლოებამდე ერთი წელიც აღარ რჩებოდა. „მეტისმეტად ხმაურობ შვილო, მეტისმეტად..." მეტისმეტად გახმაურდა ვლადიმერ ჯიქიას სახელიც... საქართველოს თავკაცს ახელებდა და ნერვებს უშლიდა... ჯიქია მას თითქმის არ უწევდა ანგარიშს. მას ცენტრთან ჰქონდა უმჭიდროესი კავშირი და უდიდესი ძველი ნაცნობობა, საქართველოს ადგილობრივი მთავრობა მას თითქმის არაფრად სჭირდებოდა..."



„ზარები ოცდაათიანი წლებიდან" – ამ მოგონებების წერა ირაკლი აბაშიძემ 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო და თავისი ცხოვრების ბოლო დღეებში დაასრულა. უკანასკნელი კორექტურა წაიკითხა, მაგრამ გამოქვეყნებას ვერ მოესწრო. მწერლის არქივში ინახება ამ მოგონებების რამდენიმე ვარიანტი, თუმცა მკითხველი რომ არ აეფორიაქებინა, მან ეს ვარიანტი არჩია. ემზადებოდა მის თვალწინ დატრიალებული ტრაგიკული ისტორიის გადმოსაცემად. მაშ ასე, პაოლო იაშვილის ცხოვრების ბოლო პერიოდი თვითმკვლელობამდე:



„...ხმამაღალი ლაპარაკიც კი აღარ ისმოდა საქართველოს მწერალთა სასახლესა და ეზოში; იყო საიდუმლოებით მოცული ჩურჩული. ახლა ჩურჩულებდნენ უფრო ნიკო ლორთქიფანიძეზე, რომელიც იმ წინა დღეს ბათუმში სასამართლო პროცესზე თავის მეგობრად და თანამებრძოლად დაესახელებინა ბრალდებულ გრიგოლ ლაღიძეს, მენშევიკების დროინდელ ქართველ მოღვაწეს. ნიკო ლორთქიფანიძეც იქვე უსიტყვოდ იდგა. პაოლო იაშვილი შუადღისას მოვიდა მწერალთა კავშირში. ხელში გაზეთებში შეხვეული თავისი დაშლილი თოფი ეჭირა, მისი ცნობილი ძვირფასი „ლებო" (ერთ დღეს რომ, კინაღამ სერგეი ესენინს აჩუქა, ის რომ თავმდაბლად არ შეჰპირებოდა, მოსკოვში დაბრუნებისთანავე სწორედ ასეთ თოფს ვიყიდიო) – გასაყიდად წამოიღე, მაგრამ მონადირეთა კავშირში კაპიკები მაძლიესო. მწერალთა კავშირის ბუფეტის გამგეს, რიფსიმეს, ვალი – 7 მანეთი გადაუხადა და წავიდა. არავის მიუქცევია ყურადღება, რომ წასვლისას მას თოფი ხელში უკვე აღარ ეჭირა. სადღაც დატოვა და მწერალთა სახლიდან უკან, უთოფოდ გაბრუნდა.



ამ საიდუმლო ჩურჩულში გაისმოდა სახელი პაოლო იაშვილისაც, რომელიც როგორც ყველამ იცოდა, იმ დღეებში არაერთხელ იყო გამოძახებული უმაღლეს დაწესებულებაში. იქიდან კი ყოველთვის უსაზღვროდ აღელვებული ბრუნდებოდა. არავინ იცოდა, რაზე იყო იქ საუბარი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან. საუბარი კი, როგორც ჩანდა, იყო უკიდურესად მკაცრი და კატეგორიული. ასე იკითხება ეს პაოლო იაშვილის უკანასკნელ, თვითმკვლელობის წინა დღით ცოლისა და შვილისთვის დატოვებულ წერილებშიც (ჩვენ მხოლოდ შვილის წერილს შემოგთავაზებთ, – ავტორი) უკვე ყველამ იცოდა, რომ ვლადიმერ ჯიქიასა და გიორგი ელიავას შემდეგ, ჯერი პაოლო იაშვილზეც მიდგა, მაგრამ არავის შეეძლო მისი დახმარება. ამას, როგორც ზემოთ ვთქვით, ვერც ვერავინ მოიწადინებდა. ის ახლა მხოლოდ ბედის ანაბარა რჩებოდა ამ უსაზღვრო ცისქვეშეთში. ამ ტერორს შეიძლება, საუკუნის ტერორიც ეწოდოს. ის ჯერ კიდევ 1905-იან წლებში დაიწყო და თავის ზენიტს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს მიაღწია და შეიძლება ითქვას, მას შემდეგ არ შეწყვეტილა.



...იმ საღამოს, მწერალთა კავშირისკენ კრებაზე მიმავალს, ის მოედანზე, კიროვის ქუჩის მოსახვევში შემხვდა... მე იქით, ის აქეთ; შევჩერდით, ერთმანეთს მივესალმეთ – ცოტა რუსთაველზე გავლა მინდოდა მომესწრო, მითხრა (მე მაშინ მეგონა, კრების დაწყებამდე მოსწრებაზე მეუბნებოდა), შემობრუნდა და წამოვიდა. სახე უსაზღვროდ ჰქონდა შეცვლილი. არ გამკვირვებია, რაც მას იმ დღეებში მღელვარება შეხვდა. ისიც ვიცოდი, რომ წინა დღითაც იყო „გამოძახებული". მერე უცებ მკლავში ხელი ჩამჭიდა და თავის ბოხი ხმით, მოულოდნელად მკითხა: გეშინია, ჩემ გვერდით სიარული? მე გაკვირვებით შევხედე – არა, კი არ გეწყინოს, მაგრამ გუშინ ბაბოსთან რომ მიდიოდი, მე ფანჯარაში ვიყავი გადმომდგარი, შენ არ მომესალმეო (პაოლოს გვერდით, ჯაფარიძის ქუჩაზე ჩემი დაი, ბაბო ცხოვრობდა, პაოლო №7-ში, ბაბო – №5 სახლში. მე, უცოლშვილო კაცი, ჩემს დასთან ხშირად ვსადილობდი). პაოლო, გუშინ მე ბაბოსთან საერთოდ არ ვყოფილვარ, რას ამბობ, რა შიშზე მეუბნები. აგერ, ხომ გვერდით მოგყვები-მეთქი. არა, მე ყველას დავუმტკიცებ, რომ ვაჟკაცი ვარ, ყველას დავუმტკიცებ... იმათაც, იმათაც... და მე მაშინ კარგად ვერ მივხვდი ვის „იმათაც" – რესპუბლიკის თავკაცებს, რომლებსაც ის იმ დღეებში იძულებით, ხშირად ხვდებოდა, თუ რეპრესირებულ, უკვე დაღუპულ მის უახლოეს მეგობრებს.



იგი თითქმის ძაგძაგებდა და არეული ლაპარაკობდა, ამიტომაც ჩვენი საუბარი გზადაგზა ვერაფრით გაება. მეც ერთსა და იმავე ფრაზას ვიმეორებდი – პაოლო, შენს ვაჟკაცობას კიდევ მეტი მტკიცება რაღად უნდა-მეთქი. არა, მე დავუმტკიცებ ყველას და „იმათაც"... მერე გზად

# 1987 წელს დაკარგული მამა-შვილი ერთმანეთს ეძებს

*ოლესია ალექსანდრეს ასული მაისურაძე ეძებს 56 წლის ალექსანდრე მაისურაძეს.*

**ისტორია**: ვეძებ მამას, 56 წლის ალექსანდრე მაისურაძეს. ბოლოს მამა 1987 წელს ვნახე, როდესაც ის ჩემს სანახავად სკოლაში იყო მოსული. იმის შემდეგ მამა აღარ მინახავს და ძალიან მინდა მისი პოვნა. მე რუსეთში ვცხოვრობ და მამის მოძებნა ტერიტორიული სიშორის გამო ძალიან მირთულდება. მაქვს მამის ახალგაზრდობის ფოტო, სადაც მე და მამა ერთად ვართ, იმედია, ის გამოგადგებათ.



**– როგორ დაკარგეთ ერთმანეთი მამა-შვილმა?**

– ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და მე დედასთან დავრჩი. მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ მამა მაინც მახსოვს. ის მოდიოდა და მნახულობდა ხოლმე. ბოლოს მამაჩემი 1987 წელს ვნახე, ის სკოლაში იყო მოსული ჩემს სანახავად. ვიცი, რომ მას შემდეგ ის საქართველოში დაბრუნდა, თავის სამშობლოში, მე კი რუსეთში ვცხოვრობ. მამის მოძებნა უზომოდ მინდა. მაინტერესებს, როგორ აეწყო მისი ცხოვრება, მყავს თუ არა ნახევარდაძმები – ბუნებრივია, ეს ჩემთვის ძალიან საინტერესოა.

**– ამდენი წლის განმავლობაში მამის მოძებნა ერთხელაც არ გიცდიათ?**

– რაც თავი მახსოვს, მამას სულ ველოდები, ანუ, სულ იმის მოლოდინში ვიყავი, რომ მამა მოვა, წერილს მომწერს ან დამირეკავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მე გადავწყვიტე, მამა თავად მომეძებნა, მაგრამ მასზე თითქმის არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ მყავს მამიდა, რომელიც თბილისში ცხოვრობს (სამწუხაროდ, მისი სახელი არ ვიცი და არც დედას ახსოვს). მამას პოვნის იმედს მის ფოტოზე ვამყარებ. მივმართე სამძებრო საიტებს, მაგრამ, ვიცი, რომ ძებნის პროცედურები, შეიძლება, წლები გაგრძელდეს, ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა.



**– ანუ, ამდენი წლის განმავლობაში მამა არასდროს შეგხმიანებიათ?**

– სიმართლე გითხრათ, უკვე დიდი ხანია, რაც მე და დედამ საცხოვრებელი მისამართი შევიცვალეთ და, არაა გამორიხული, რომ მამა ამის გამო არ შემხმიანებია. დარწმუნებული ვარ, მასაც გაუხარდებოდა ჩემი პოვნა. რა არის ამის მიზეზი, დანამდვილებით მისი პოვნის შემდეგ გაირკვევა, მაგრამ, ჯერჯერობით ასე მგონია.

**– მამის პოვნის შემთხვევაში, თუკი, რა თქმა უნდა, ისიც დაგვთანხმდება შენთან დაკავშირებაზე, აპირებთ თუ არა საქართველოში ჩამოსვლას?**

– საქართველოს ნახვა ყოველთვის მინდოდა. ასეა თუ ისე, მე ქართველი ვარ და მამის სამშობლოში ჩამოსვლა ჩემთვის დიდი პატივი იქნება. იმედია, მას ვიპოვი და შევხვდებით ერთმანეთს. ფიზიკურად მამას ვგავარ და, საერთოდაც, ქართველს მამსგავსებენ. მთელი ცხოვრება ყველა მეკითხებოდა – ქართველი ხარო? ძალიან მინდა, მამა მალე ვიპოვო და ჩვენი ურთიერთობის დაკარგული წლები ერთად ავინაზღაუროთ.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

სხვა მწერლებიც შემოგვხვდნენ. ჩვენ ერთად წავედით იმ საბედისწერო სხდომაზე. მწერალთა კავშირის კრებაზე ცოტა დაგვიანებით მივედით. სხდომის დარბაზი მაინცდამაინც გადატენილი არ იყო. კრებას მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ... სამარისებური სიჩუმით უსმენდნენ მწერლები ხელისუფლების წარმომადგენელს ტრიბუნაზე. ერთხანს დარბაზში ნერვიულად იჯდა, მერე დარბაზიდან გავიდა. კრებაც დიდი ხნის დაწყებული არ იყო, რომ ამ სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ის ჯოჯოხეთური ქუხილი, ისეთი სიძლიერით, როგორიც შემდეგ მე დიდ მსოფლიო ომში, საჰაერო დაბომბვის დროს მსმენია და რომელიც მე, თავის მხრივ, იქ, ომში, ყოველთვის ამ გასროლას მაგონებდა. ეს იყო გასროლა მისი საამაყო „ლებოს" ორივე ლულიდან, ჩვენი სასახლის მეორე სართულზე, იმ მისი საყვარელი თოფისა, რომელმაც, სამწუხაროდ, ახლაც ისევე როგორც ყოველთვის, არ უღალატა. ყველანი თავგზააბნეული წამოვცვივდით, რა მოხდა? ვინ საით, ვინ საით. აფეთქება? მაგრამ სად? რისი? კედლებიც და ყველაფერიც თავის ადგილზეა. მაშ სად? და ამ დროს მეორე სართულიდან კიბეებზე ჩამორბის დამლაგებელი ქალი ანა, წივილ-კივილით – იაშვილი, იაშვილი! სულ ხუთიოდე წუთში გაჩნდნენ ადმინისტრაციული დაწესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა. ისევ სამარისებური სიჩუმე, ახლა უფრო მეტი. ახლა მართლა უფრო სამარისებური. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბული ხმა: – ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვათ! და მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე: რას ნიშნავდა მისი სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ: მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარო!..





მე ჩემს მკითხველს ახლა კიდევ უფრო მძიმე სტრიქონები უნდა შევთავაზო: დღემდე არ გამოქვეყნებულა პაოლო იაშვილის უკანასკნელი წერილები ცოლ-შვილისადმი, დაწერილი იმ ტრაგიკული დღის წინა ღამეს, 22 ივლისს... „ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო, ჩემო სიხარულო და ბედნიერებავ! მედეა! მაპატიე, გემუდარები, მაპატიე, ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის და ხალხის წინაშე. მთელი ღამე არ მიძინია. დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა და ვერც შენ გადამარჩინე. არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი ჯობდა. შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს დედა და ყველა ჩემი ახლობელი. ისინი არ დაგტოვებენ არც ერთი წუთით და რამდენიმედ მაინც გაგიადვილებენ ობლობას. მეტის წერა აღარ შემიძლია. მშვიდობით, მამიკო. მედეა, მედეა, მშვიდობით. ისწავლე, იშრომე, ყოველთვის მართალი სთქვი, ეცადე სასახელო ქალი გამოხვიდე, გიყვარდეს სამშობლო, მუდამ გახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა" 22.7.37. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, მკითხველს მეტად გაუჭირდება კვლავაც გაჰყვეს ჩემს მოგონებებს. მეც აქ დავამთავრებ."

**ეკა პატარაია**

**თითოეული ადამიანი თავისი შეხედულებისამებრ ცხოვრობს, საკუთარი მისწრაფებები, ფიქრები და მიზნები ამოძრავებს. ყველა ინდივიდია და დედამიწაზეც თავისი მისია აკისრია. თუმცა, როგორც პარაფსიქოლოგი, ბატონი გია ამბობს, ჩვენ, ყველას, დაბადების მომენტშივე, საკუთარი წერტილები გვიჩნდება დედამიწაზე, იქ მოხვედრისას კი აზრებიც, ფიქრებიც და მისწრაფებებიც აშკარად გვეცვლება და სულ სხვა ადამიანად წარმოვჩნდებით. ეს, რასაკვირველია, ბევრისთვის ღიმილის მომგვრელია, მაგრამ, თუ ბატონი გიას ნათქვამს დაუფიქრდებით, მიხვდებით, რომ სამყაროში ყველასა და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, ანუ, ამქვეყნად ყველას ცხოვრება გაწერილია.**

# არის თუ არა ჩვენი ცხოვრება წინასწარ გაწერილი და როგორ გავიგოთ მომავალი



**გია**: ნებისმიერ ადამიანს, დაბადების მომენტშივე, დედამიწაზე საკუთარი წერტილები აქვს და ის აგებს პასუხს ჩვენს წარმატება-წარუმატებლობაზე. ეს თემა ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგთა წრეებში საკმაოდ აქტუალურია. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ნებისმიერ ჩვენგანს დედამიწაზე აქვს ეგრეთ წოდებული საკუთარი წერტილები და ასეთ ადგილებში მოხვედრისას აურა და ბიოველი საგრძნობლად გვეცვლება.

**– გამიგია, რომ დედამიწაზე არსებობს ეგრეთ წოდებული დადებითი და უარყოფითი წერტილები, ამაზე ვსაუბრობთ?**

– დიახ, დედამიწაზე არსებობს დადებითი, უარყოფითი და, ასევე, ნულოვანი წერტილებიც. ეს წერტილები იმისთვის არის საჭირო, რომ დედამიწაზე კონკრეტულ ადამიანს თავისი შესაბამისი ადგილი ჰქონდეს. ასეთ ადგილებში დიდხანს ყოფნისას კი, უარყოფითი წერტილების გავლენით, ადამიანის ბედისწერა ცუდისკენ იცვლება. ასეთი ენერგეტიკული ადგილები დედამიწაზე ძალიან ბევრია. დადებით წერტილზე მოხვედრისას ადამიანს ბედიც ეხსნება, წარმატებულიც ხდება და სასიკეთოდაც იცვლება მისი იღბალი. ამ ადგილებში თავს მშვიდად და კომფორტულად გრძნობთ. იმუხტებით დადებითი ენერგეტიკით და დაცული ხართ; უარყოფით ზონებში კი ადამიანი სუსტდება, ღიზიანდება, კარგავს სასიცოცხლო ენერგიას, ერღვევა ფსიქიკა, ეფანტება ყურადღება და, არ არის გამორიცხული, საკუთარი შვილის სახელიც კი დაავიწყდეს. ნულოვანი წერტილი დედამიწაზე ის ზონაა, სადაც ადამიანი განმარტოვდება და ფიქრებში მიდის. ამ მდგომარეობაში არ შეიძლება დიდხანს დარჩენა, რადგან, თქვენი სასიცოცხლო ენერგია იყინება და არ არის გამორიცხული, ზიანი მიადგეს თქვენს ჯანმრთელობას. ამიტომ, დააკვირდით, სახლში ყოფნისას, რომელ ადგილას როგორ გრძნობთ თავს – სად ისვენებთ, სად ულრმავდებით ფიქრებს, სად შფოთავთ და განიცდით რაღაცას – ეს ძალიან მარტივია.

**– იმასაც ხომ ამბობენ, თუ კონკრეტულ ადგილას მოხვედრისას თვალი გიშტერდება და კიდურები გიბუჟდება, ესე იგი, უარყოფით ზონაში აღმოჩნდიო?**

– სწორედ ასეა. ამიტომ, დააკვირდით სახლში რომელ ადგილას ყოფნისას გიბუჟდებათ კიდურები ან გიშტერდებათ თვალი. ეს თქვენთვის საშიში ზონაა და მას სასწრაფოდ უნდა გაეცალოთ. შესაძლოა, ასეთი საშიში ზონა ბინაში არაერთი იყოს. აგრეთვე, არ არის გამორიცხული, ასეთ ადგილებში ადამიანს უეცრად დაეწყოს შიშები, თავში მოუვიდეს უაზრო ფიქრები, დაეწყოს თავის ტკივილი, შფოთვა და აღგზნება. ეს თქვენთვის ანომალიური ზონაა, რაც ადამიანის ენერგეტიკულ სტრუქტურაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს. თუ იგრძენით, რომ წამოვიდა ცუდი აზრები, აკვიატებული ფიქრები, რაღაცას ავადმყოფურად განიცდით და ვერ ხვდებით, რა არის თქვენი გუნება-განწყობის უარესობისკენ შეცვლის მიზეზი, სასწრაფოდ მიიღეთ შხაპი – აბაზანა სწორედ ის ადგილია, სადაც უარყოფითი ზონისგან აკრეფილი ენერგიის ჩამორეცხვა ხდება. ასევე, მაგიური თვისებებით გამოირჩევა და უარყოფითის საუკეთესო „ჩამომრეცხავია" წვიმის წყალი. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები წვიმის დროს წყალს აგროვებდნენ ჭურჭელში და შემდეგ ამ წყლით ბანაობდნენ. ეს ტრადიცია სოფლებში დღესაც შემორჩენილია, თუმცა, ბევრმა არ იცის, რომ წვიმის წყლით ბანაობის დროს ბედს უკეთესობისკენ აბრუნებს, წარმატებებსაც იბევებს და ჯანმრთელობასაც სასიცოცხლო ტონუსით აძლიერებს.

**დააკვირდით შინ, რომელ ადგილას როგორ გრძნობთ თავს – სად ისვენებთ, სად უღრმავდებით ფიქრებს, სად შფოთავთ და განიცდით რაღაცას**

**– ამბობენ, როდესაც ადამიანი აფორიაქებულია, მისი ქვეცნობიერი წინასწარ გრძნობს მომავალი საფრთხის შესახებო. ეს თუ შეესაბამება სიმართლეს?**

– დააკვირდით, ჩვენი ქვეცნობიერი ხშირად გვკარნახობს და გვაფრთხილებს მომავალი უსიამოვნებების შესახებ, რომელსაც ჩვენ ჯერ ვერც ვხედავთ და ვერც ვგრძნობთ. დამეთანხმებით, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ ოცნებობდეს, იყოს წარმატებული, ჰქონდეს ბევრი ფული, აიწყოს ოჯახური ცხოვრება თუ კარიერა, გახდეს სასიამოვნო კომპანიონი, იდილია შეიქმნას გარშემო და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს ყოველივე ბევრს ცხოვრების ბოლომდე ოცნებად რჩება, ბევრი კი საწადელს აღწევს. საწადელის მიღწევა, რასაკვირველია, ადვილია თუ გონივრულად იცხოვრებთ და გეცოდინებათ, რა დროს რა უნდა მოიმოქმედოთ, რა გააკეთოთ, რა თქვათ და გაიაზროთ. მფარველი ანგელოზი ადამიანს ყოველთვის აძლევს შანსს, იყოს ბედნიერი, აიხდინოს ოცნებები, იყოს სასურველი და წარმატებული. ხშირად მეკითხებიან – იქნებ, გაგვანდოთ, როგორ აღმოვჩნდეთ სასურველ დროს სასურველ ადგილასო. ამისთვის დაკვირვება და ფხიზელი თვალია საჭირო და ყველაფერს თავად მიხვდებით. მიაქციეთ ყურადღება, რა მინიშნებას გაძლევთ ცხოვრება – ასეთი მინიშნებები ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავია. მაგალითად, თუ ფეხსაცმელზე ქუსლი მოგტყდათ, აუცილებლად ელოდეთ სასიამოვნო ცვლილებას ბედში; თუ ქუჩაში ქუდი მოგძვრათ და დავარდა მიწაზე, პირად ცხოვრებაში უსიამოვნებები გელით: არ აგცდებათ უსიამოვნო შეხვედრა ან საუბარი უფროსობასთან, ამიტომ, ეს დღე ფრთხილად და წინდახედულად განვლეთ – მოერიდეთ ძალაუფლების მქონე ადამიანებთან საუბარს, კომპანიონებთან ან კოლეგებთან ერთობლივ საქმიანობას; თუ საათი უეცრად გაჩერდა, ცუდი ამბის გაგების მოლოდინში უნდა იყოთ, ხოლო, თუ საათზე დრო ჩამორჩა, არ გირჩევთ ამ დღეს ფულის სესხებას ან გასესხებას; თუ ხელიდან გიცვივდებათ ნივთები, ეს დიდი ბედნიერების ნიშანია, მაგრამ, თუ ჩაი ან ყავა გადაგესხათ ტანსაცმელზე, ფრთხილად იყავით – შესაძლოა, რამე დაკარგოთ ან ახლობელ ადამიანთან უსიამოვნება მოგიხდეთ; თუ ხელიდან ჩანთა დაგივარდათ, მოერიდეთ ამ დღეს სტუმრად წასვლას ან სახლში სტუმრების დაპატიჟებას. ეს მინიშნებები შემთხვევითი არ არის და თუ მათი ახსნაც გეცოდინებათ, მაშინ ადვილად გაართმევთ თავს შესაძლო პრობლემებს. ძველად, ეგვიპტეში, ქურუმები ყოველ დილას ატარებდნენ რიტუალს ბრინჯით და იგებდნენ, როგორი დღე ელოდათ. მოკლედ, თუ გსურთ, გაიგოთ თქვენი მომავალი დღის პროგნოზი, ამ მეთოდს გასწავლით: დილით, გაღვიძებისას, არავის გასცეთ ხმა, ონკანიდან აიღეთ გამდინარე წყალი და ჩაასხით გამჭვირვალე ჯამში, დაამატეთ ერთი მუჭა მარილი, კარგად მოურიეთ და დადგით მისაღები ოთახის ცენტრში. წყალი რომ „დაწყნარდება", ანუ დადგება, მასში თვალდახუჭულმა ჩაყარეთ ერთი მუჭა ბრინჯი. გაახილეთ თვალი და დააკვირდით: თუ ბრინჯი ძირზე მიმოიფანტა, ესე იგი, კარგი დღე გელით, მაგრამ, თუ ბრინჯი შუაგულში შეგროვდა, მოერიდეთ ამ დღეს კამათს, შეხვედრებს, მოლაპარაკებებს, საქმიან მიმოწერებს და განვლეთ დღე მშვიდად და მეტი სიფრთხილით.

**ნონა დათეშიძე**

# აი, ისიც – ბედნიერება!

ჩვეულებრივ, ადამიანებს ჯერაც არ აქვთ პასუხი კითხვაზე – რა არის ბედნიერება. მამაკაცები ამბობენ, ქალმა თავადაც არ იცის, რა უნდა და, რომელ ბედნიერების ფორმულირებაზეა ლაპარაკიო... თუმცა, მთლად ასეც არ არის საქმე. სხვათა შორის, მამაკაცებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხშირად ქალები უფრო ახერხებენ, დატკბნენ ცხოვრებით და იპოვონ თავიანთი პატარა ბედნიერება... ვინც ამას ვერ ახერხებს, იმან გაითვალისწინოს: დილა – ეს შესანიშნავი მონაკვეთია დღისა; გნებავთ, მას ის ეპიზოდი უწოდეთ, საიდანაც რაღაც ახალი და ძალიან კარგი დაიწყება. დილა თუ პოზიტიური იქნება, დღეც წარმატებას მოგიტანთ; ყოველ შემთხვევაში, სახლიდან გამოყოლილი კარგი განწყობა ხალისსა და სტიმულს შეგმატებთ. ჩვეულებრივ, ბედნიერებას სულის ყველაზე „მიჩქმალული" კუთხეებით გრძნობ. მნიშვნელობა არა აქვს, სად და რაში გამოავლენს თავს, უბრალოდ, უნდა გჯეროდეს, რომ ის ნამდვილად არსებობს და მუდმივად შენთან არის. როცა გიყვარს ახლობლები, გყავს გარშემო ის ადამიანები, ვისთვისაც სიცოცხლე გინდა და გიხარია – ან, როცა შეგიძლია, უმწეოს დაეხმარო და ატირებული ბავშვი გაალიმო – განა ეს უკვე არ არის ბედნიერება?! თითოეულ ჩვენგანს უზარმაზარი დადებითი რესურსი აქვს და ბევრი კარგი საქმის გაკეთებაც შეუძლია. უნიკალურია ყველა ქალი და ყველა კაცი... ისიც უნიკალურია, ვინც ცხოვრებამ შეგახვედრა და გვერდით გყავს, ხელის გაწვდენაზე... ვერ იქნები ბედნიერი, თუკი არ გჯერა, რომ შენს ცხოვრებაში ბევრი კარგი ხდება და კიდევ მოხდება. პრობლემები სულ იქნება, მაგრამ მათ არ უნდა შეეწიროს ჩვენი პატარა ბედნიერება. მსუბუქად, ხალისით და უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენით, უკეთესად გადაჭრით მათ, თანაც, გაცილებით სწრაფადაც, მით უფრო, თუ ახლობლები, ოჯახის წევრები და მეგობრები დაგიჭერენ მხარს. ისინი აუცილებლად გააკეთებენ ამას, თუკი თქვენს პატარა ბედნიერებას გაუნაწილებთ... სულ ადვილად – ღიმილით და თბილი სიტყვით!

# პირველად და სამუდამოდ...

ვთქვათ, მოხდა სასწაული და შეხვდით მამაკაცს, რომელთან ერთადაც ისურვებდით ცხოვრებას. შესაძლოა, ის ნამდვილად ის არის, ვისზეც ოცნებობდით, მაგრამ, ბედნიერ ქორწინებამდე ჯერ კიდევ ბევრი გაკლიათ, რადგან, მთავარი წინ გაქვთ – პირველი პაემნები და პირველი შთაბეჭდილებები... რომელ ქალს არ უნდა, რომ ამ პერიოდში თვალისმომჭრელი და შეუდარებელი იყოს?! ეს აქსიომაა, მაგრამ, ყველამ არ იცის, როგორ მოახერხოს ეს...

დასაწყისისთვის, კარგად გაიხსენეთ, როგორ გამოიყურებოდით იმ პირველ, სულ პირველ შეხვედრაზე, როცა დაგინახათ და...

გარდა ამისა, სასურველია, მეტ-ნაკლებად იცოდეთ თქვენი რჩეულის გემოვნება და ხასიათი...

მაგალითად, თუ მამაკაცი არის ძალიან ენერგიული, სიცოცხლით სავსე და მშფოთვარე ცხოვრების წესის ტრფიალი, მას მოეწონება, თუკი ფლირტში იაქტიურებთ. მთავარია, როცა მასთან ერთად იქნებით, სხვა კაცების ყურადღებაც მიიქციოთ. „მოსწონს ყველას – ესე იგი, კარგია" – ასეთია მისი ლოგიკა.

ახლა მიხვდით, როგორ იმოქმედოთ. რა ჩაიცვათ და როგორ მოიქცეთ?! კიდევ ერთიც: ამ კაცების ყურადღებას იპყრობთ ძვირფასი გემოვნებით. შერჩეული აქსესუარები, ჩანთა, სამაჯური, ხელთათმანი... და, სასურველია, ფეხსაცმელიც მაღალ ქუსლზე იყოს...

კონსერვატორ მამაკაცს სხვანაირი ქალები მოეწონება – „რუბენსისეული" სხეულის ფორმებით, მშვიდი ნაკვთებით. მნიშვნელობა არ აქვს, რა ეცმევა, მთავარია, ტანსაცმელმა სხეულის ფორმები არ დამალოს. მოსწონთ მოწესრიგებული, კლასიკური ტიპის ქალები, მყარი მსოფლმხედველობით, პრინციპებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით. პრინციპში, გაგიმართლებთ, თუკი მოახერხებთ და ამ ტიპის მამაკაცს ცხოვრების თანამგზავრად გაიხდით, მაგრამ, ბუნებრივია, თქვენც მორგებული უნდა იყოთ იმ „ჩარჩოს", რომელზეც შევთანხმდით...

# ჰაერის და მიწის...

არიან მამაკაცები, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული, ინდივიდუალური თვისებები გააჩნიათ და, თუ ასეთს იპოვით, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ. მათ, ძირითადად, აქვთ შინაგანი თავისუფლების მაღალი ხარისხი და აფასებენ სხვის თავისუფლებასაც. თუ ასეთი მამაკაცის გვერდით აღმოჩნდებით, შეგიძლიათ, ისე იცხოვროთ, როგორც მოგესურვებათ: ჩაიცვით ისე, როგორც მოგწონთ და გსიამოვნებთ... არ შეიზღუდოთ არაფერში, გარდა ერთისა: არ უნდა იყოთ ჩვეულებრივი და სტანდარტული – არც ძალიან მიწიერი და არც ძალიან ზეციური...

მამაკაცების უმრავლესობას ნაკლებად ადარდებს, როგორია ქალი შინაგანად; ისინი უყურებენ მხოლოდ გარეგნულ, ვიზუალურ ეფექტებს – როგორი თმა აქვს, როგორი ფეხები, მკერდი... ერთი სიტყვით, სტანდარტულად აზროვნებენ და პარტნიორიც სტანდარტული სჭირდებათ..

„ჰაერისა და მიწის შვილები" – შეიძლება, ასეც ვუწოდოთ ამ ადამიანებს, რომლებიც ცოტათი გულდახურულები, ემოციურები და ფაქიზი ბუნების არიან. მათი წყენინება ძალიან ადვილია. უყვართ რომანტიკოსი ქალები, რადგან, თავადაც ხშირად არიან რომანტიკულ განწყობაზე. თუკი შეგიძლიათ, აუბათ მხარი და გადახვიდეთ მის „რელსებზე", ყველაფერი კარგად გამოგივათ – ზოგჯერ „ჰაერის" იქნებით, ზოგჯერ „მიწის" და სრულ ჰარმონიაში იცხოვრებთ. ხან თქვენ იქნებით მისთვის შთაგონებისა და აღმაფრენის წყარო, ხან კი – პირიქით... იფიქრეთ იმაზეც, რომ თქვენ ძალიან გაგიმართლათ და, ამასაც თუ დააფასებთ, ბედნიერება არასდროს მიგატოვებთ...

# ასეთია სამყარო

არსებობს მარადიული ფასეულობები და მარადიული პრინციპები... მარადიული ურთიერთობები და მარადიული გრძნობები... დიახ, ასეა მოწყობილი სამყარო. ჩვენ ხან ვეთანხმებით ამას, ხან არა. თუმცა, ამით არაფერი იცვლება. როცა ცხოვრება მშვიდად, ექსცესების გარეშე მიედინება, ჩვენ ვდუნდებით და ვეშვებით. არადა, ბრძოლაა საჭირო... ყოველდღიური ბრძოლა... არც ის ფაქტი უნდა უარვყოთ, რომ მამაკაცებს უყვართ საკუთარი ძალის დემონსტრირება. ისინი უბრალოდ, მოკვდებიან, თუ ერთხელაც ვერ მოახერხებენ თქვან – „მე ვარ ცხოველთა მეფე"... რა დაშავდება, თუკი მას ამის საშუალებას მივცემთ? ბოლოს და ბოლოს ასეთია სამყარო. გვიკითხავს, ერთხელ მაინც საკუთარი თავისთვის, რატომ ვერ ვამჩნევთ პატარ-პატარა სიხარულებს?! სამაგიეროდ, ვხედავთ და გვაწუხებს რუტინა... იჩხუბეთ? სკანდალი ატეხეთ? – დაივიწყეთ და კიდევ ერთხელ თქვით – ასეთია სამყარო! ზოგჯერ რაღაცაზე თვალიც უნდა დახუჭო.

გავაკეთოთ ჩვენი საქმე ისე, როგორც შეგვიძლია და როგორც გამოგვდის. თანაც, მუდმივად გვახსოვდეს, რომ ცხოვრება მშვენიერია.

ხან იმედი გვიცრუვდება, ხან მარცხი წამოგვეწევა, ხან გვეტკინება და გვეწყინება... ეს არ არის ტრაგედია. ეს არ არის ქვეყნის აღსასრული... ასეთია სამყარო და ხვალ ყველაფერი კარგად იქნება.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# გავხდეთ ჰოლივუდურად!

*როგორც წესი, გახდომაზე ფიქრს უფრო ხშირად მაშინ ვიწყებთ, როცა რამე დღესასწაული ან მნიშვნელოვანი თარიღი ახლოვდება – ამ დღეს გვინდა, განსაკუთრებით კარგად გამოვიყურებოდეთ: ზედმეტი კილოგრამებიც მოვიშოროთ და სახე და სხეულიც მოვლილი გვქონდეს.*

*ჰოლივუდის მეგავარსკვლავები თავიანთ საიდუმლოს გვიმხელენ ამ საკითხთან დაკავშირებით.*

### რენე ზელვეგერი – 5 დღეში – მინუს 5 კილოგრამი

რენე ყოველთვის სერიოზულად ემზადება დღესასწაულებისთვის: 3-5 დღის განმავლობაში ის იცავს ეგრეთ წოდებულ „მოდელების დიეტას“.

***საუზმე*** – 1 ცალი მოხარშული კვერცხი.

***სადილი*** – 120 გრამი უცხიმო ხაჭო და უშაქრო მწვანე ჩაი.

***ვახშამი*** – 150 გრამი უცხიმო ხაჭო და უშაქრო მწვანე ჩაი.

შუალედებში მსახიობი სვამს ბევრ წყალს (მინიმუმ 2 ლიტრამდე) და, როგორც თვითონ ამბობს, 3-დან 5 კილოგრამამდე იკლებს წონაში.

სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე იკეთებს ცოცხალი ხილის ნიღბებს და იღებს მცენარეული ნახარშების აბაზანებს.

### ჯულიანა მური – სამთვიანი შეზღუდვა

ერთხელ ჯულიანამ ჟურნალისტებთან აღიარა, რომ საკმაოდ მკაცრი დიეტის დაცვა უწევს დეკემბრის შუა რიცხვებიდან მარტის დასაწყისამდე: „ჯერ – შობა, მერე – „ოქროს გლობუსი“ და „ოსკარი“ – დღესასწაულები და ცერემონიები ერთმანეთის მიყოლებით არის გადაბმული და, ამიტომ, თავს მოდუნების უფლებას ვერ ვაძლევ“. მთელი ამ ხნის განმავლობაში მსახიობი არ ჭამს ცომეულს, ცხიმიანს, ტკბილეულს და უპირატესობას ანიჭებს უცხიმოდ მოხარშულ ჭვავის ფაფას კენკრით, თევზს, ხილსა და ბოსტნეულს.

სხეულის გასაკაჟებელი ვარჯიშები კი მისი ცხოვრების წესია.

### ჯენიფერ ლოპესი – დიეტა სუსნიებისთვის

ჯენიფერი გიჟდება ტკბილეულზე და სასუსნავებზე, მაგრამ ეს სულაც არ აისახება მის გარეგნობაზე. იდეალური ფორმის შენარჩუნებაში მას ეხმარება ფიტნესი და ერთკვირიანი ფიტნეს-დიეტები, რომელსაც ის პერიოდულად იცავს.

ერთ-ერთი ასეთი დიეტაა:

***საუზმე*** – 1 ჭიქა წყალი, 1 ჭიქა კაკაო (წყალზე დამზადებული, უშაქრო), 1 ცალი ფორთოხალი; 15 წუთის შემდეგ – 1 ცალი ვაშლი.

***სადილი*** – 150 გრამი უცხიმო ხაჭო კენკრით ან ხილით.

***სამხარი*** – სხვადასხვა ხილის ჩირი.

***ვახშამი*** (არაუგვიანეს 18 საათისა) – 150 გრამი მოხარშული თევზი ან ქათმის ფილე ბოსტნეულის გარნირით.

შუალედებში – წყალი.



### ევა ლონგორია – საუზმეზე თევზი, სადილზე თევზი

მიუხედავად იმისა, რომ ევა ლონგორია ცნობილია, როგორც საუკეთესო დიასახლისი, ის არასდროს შეუწუხებია ზედმეტ წონას და, თან, ყველგან და ყოველთვის ფანტასტიკურად გამოიყურება, რადგან, სახისა და სხეულის მოვლა მისი ცხოვრების წესია: ყოველ შესაძლო წუთს წასავარჯიშებლად იყენებს (გარდა იმისა, რომ ფიტნესით არის დაკავებული), კანისთვის მხოლოდ ნატურალურ საშუალებებს ყიდულობს, ფოტოსესიების წინ კი, მიუხედავად იმისა, რომ წონის პრობლემა არასდროს ჰქონია, მაინც აკეთებს განტვირთვის დღეებს, რაც, როგორც თვითონ ამბობს, საკუთარი თავის რწმენას ჰმატებს.

მისი განტვირთვის დღის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

***საუზმე*** – 200 გრამი მოხარშული თევზი და ამდენივე ცოცხალი ბოსტნეული.

***სადილი*** – იგივე.

***ვახშამი*** – იგივე.

შუალედებში – წყალი.

### შერილ კროუ – ჯადოსნური კოქტეილი

ამ კოქტეილის სმას შერილი დღესასწაულის დადგომამდე სამი კვირით ადრე იწყებს. ის თვავად ამზადებს იდეალური აღნაგობის ელექსირს და ჭამამდე ნახევარი საათით ადრე სვამს. მისი თქმით, ეს სასმელი უქრობს მადას, ჰმატებს ენერგიას და კარგ განწყობაზე აყენებს.

კოქტეილის დამზადება ძალიან იოლია: 1 სადილის კოვზი პსილიუმი (მრავალძარღვას დაფქული თესლი) გახსენით 60 მილილიტრ ბროწეულის ან მაყვლის წვენში და პატარ-პატარა ყლუპებით დალიეთ.

თავისი სახის კანს შერილი საუკეთესო კოსმეტოლოგებს ანდობს, სხეულის გასაკაჟებლად და ყოველ დილით დარბის ახლომდებარე პარკში, ცურვა კი მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ვიცი, რომ სტრესი ძალიან უარყოფითად მოქმედებს თმაზე. რა პროცედურები უნდა ჩავიტარო, რომ სტრესების შემდეგ თქმა ძალიან არ დამიზიანდეს?**

**პასუხი:** კვირაში ორჯერ მაინც დაიბანეთ თავი ბუნებრივი საშუალებებით, მაგალითად, კვერცხის გულით და ჩამოიბანეთ გვირილის ნახარშით. ფენი საერთოდ ამოიღეთ ხმარებიდან. თმა შეიმშრალეთ რბილი პირსახოცით და შეიზილეთ პიტნის ან ჭინჭრის ნაყენი; ასევე, კარგი იქნება, თუ გაიკეთებთ ნატურალური პროდუქტებისგან დამზადებულ ნიღაბს (თმის მთელ სიგრძეზე უნდა წაისვათ და მეჩხერკბილებიანი სავარცხლით ჩამოივარცხნოთ) ან სპეციალურ ბალზამს. ნიღაბიც და ბალზამიც 5-10 წუთი გაიჩერეთ (თავზე პირსახოცი უნდა შემოიხვიოთ) და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

**კითხვა: მაინტერესებს, რა ნივთიერებები უნდა შედიოდეს ხარისხიან სკრაბში?**

**პასუხი:** ვიტამინებისა და მიკროელემენტების გარდა, ხარისხიან სკრაბში უნდა შე-



დიოდეს გაფილტრული მარილი და ეთერზეთები. ასეთ სკრაბს აქვს როგორც ამქერცლავი და დამატენიანებელი, ისე გამაგრილებელი ეფექტიც.:

**კითხვა: როგორი სავარცხელი უნდა შევარჩიო თმის დასახვევად ან გასასწორებლად და რომელი სპრეი ჯობია თხელი თმისთვის?**

**პასუხი:** თმის დასახვევადაც და გასასწორებლადაც, უმჯობესია, გამოიყენოთ სავარცხელი-ჯაგრისი, რომელსაც კერამიკული ზედაპირი აქვს; თხელი თმისთვის კი შეიძინეთ თხელი კონსისტენციის სპრეი.

**კითხვა: მაქვს ზედმეტად ცხიმიანი სახის კანი და, არცთუ იშვიათად, მაქვს გამონაყარი. მაკიაჟის გაკეთების შემდეგ კი კანი მაინც პრიალებს. რას მირჩევთ?**

**პასუხი:** შეიძინეთ მსუბუქი დამატენიანებელი კრემი, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს: ზღვის წყალმცენარეები, ჰიტოზანი, მცენარეული ზეთები. ფორების გასაწმენდად კვირაში ორჯერ გაიკეთეთ კაოლინის შემცველი ნიღბები.

**მომზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

## მინდა ჩემი მშობლები შევარიგო

უკვე ხუთი წელი ხდება, ჩემი მშობლები გაყრილები არიან. ორივემ შექმნა მეორე ოჯახი, მაგრამ არცერთი არ არის ბედნიერი, რადგან, ზუსტად ვიცი, რომ ისევ ერთმანეთი უყვართ, მაგრამ, ორივე ისეთი ჯიუტია, არასდროს არაფერს არ უთმობენ ერთმანეთს, სულ დაკა-დაკა ჰქონდათ და ამიტომაც დაშორდნენ. მეც მთელი ბავშვობა თავიანთი ჩხუბებისა და კინკლაობის ყურებაში გამატარებინეს. ამიტომ, ყოველთვის მეგონა, რომ ყველა ცოლ-ქმარი ასე ჩხუბობს. რომ წამოვიზარდე და მეგობრებთან დავიწყე სიარული, მიკვირდა, იმათი მშობლები რომ არ ჩხუბობდნენ.

მაშინ მამაჩემს ვამტყუნებდი და დედის მხარეზე ვიყავი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მარტო მამა არ იყო დამნაშავე. დედაჩემი სულ იმას საყვედურობდა, ყურადღებას არ მაქცევ, ფეხებზე გკიდივარ, ჩემზე არ ზრუნავო. შეიძლება, რაღაც დონეზე, ასეც იყო, მაგრამ, როცა მამა რამე საჩუქარს მოუტანდა, დედა აუცილებლად უწუნებდა; თუ ეტყოდა, სადმე წავიდეთო, დედა ეუბნებოდა, დაღლილი ვარ და არსად წასვლის თავი არ მაქვსო. მერე მამა ბრაზდებოდა, რაღაცას უხეშად ეტყოდა, დედაც პასუხს უბრუნებდა და ასე ხდებოდა ლამის ყოველდღე. მაგრამ, საკმარისი იყო, რამე მიზეზის გამო რომელიმე თუნდაც ერთი დღით წასულიყო სადმე, რომ ვერ ძლებდნენ და ყოველ თხუთმეტ წუთში ურეკავდნენ ერთმანეთს, როდის მოხვალო. ბოლოს ველარ გაუძლეს ერთმანეთს და გაშორდნენ. ჩემი აზრით, ერთმანეთს კი არა, ერთმანეთის სიყვარულს ვეღარ გაუძლეს.

მერე მამამ ცოლი შეირთო. დედამ ეს ისე განიცადა, დეპრესიაში ჩავარდა და ძლივს გამოვიდა მდგომარეობიდან. ერთი წლის შემდეგ დედაც გათხოვდა. ჩემი მამინაცვალი წყნარი, მშრომელი და წესიერი კაცი იყო. ორივეს თვალებში გვიყურებდა და თან გვყვებოდა. დედაჩემის სიტყვა და სურვილი მისთვის კანონი იყო. ერთხელაც არ წაკინკლავებიან ერთმანეთს, რადგან ყოველთვის უთმობდა და უჩუმდებოდა ცოლს, რომ უსიამოვნება არ მომხდარიყო მათ შორის, მაგრამ, ვგრძნობდი, რომ დედას არ უყვარდა თავისი მეორე ქმარი, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მხოლოდ პატივს სცემდა, როგორც პიროვნებას მეტი არაფერი.

ერთ დღეს კი ჩემმა მამინაცვალმა ძალიან წყნარად უთხრა დედაჩემს: ვერ შეგაყვარე თავი, ვგრძნობ, რომ იტანჯები ჩემთან, მე კი შენი ტანჯვის ყურება არ შემიძლიაო, – და, წავიდა. დედას ერთხელაც არ უთქვამს, დარჩიო. საწყალმა კაცმა კარი რომ გაიხურა, დედაჩემმა აშკარად შვებით ამოისუნთქა და ისე განაგრძო სადილის მომზადება, თითქოს არც არაფერი მომხდარა.

დაახლოებით ორი თვის წინ მამამ დამირეკა – სადმე გავისეირნოთო. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს, მასთანაც დავდიოდი და ის ქალი ყოველთვის ნორმალურად მხვდებოდა, მაგრამ, ვგრძნობდი, რომ იქაც არ იყო საქმე მთლად კარგად. ერთხელ ისე მოხდა, რომ სამი დღე დავრჩი მამასთან და მთელი ამ სამი დღის განმავლობაში ერთხელ არ უსაუბრიათ, ერთხელ არ გაუცინიათ; ისხდნენ ცალ-ცალკე, თავიანთი საქმეებით გართულები, როგორც უცნობები და ელემენტარული სასაუბრო თემაც კი არ ჰქონდათ.

მამამ რომ დამირეკა, მაშინვე წავედი. ცოტა ფეხით გავისეირნეთ და მერე კაფეში შემიყვანა. ჯერ ჩემი ამბები გამომკითხა, მერე კი სულ დედაზე მელაპარაკა. იცოდა, ის კაცი რომ წავიდა ჩვენგან და აშკარად ეტყობოდა, რომ უხაროდა. ბოლოს მითხრა, ცოლს ვეყრებიო. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: კარგი ქალია, მაგრამ, მოსაწყენი ადამიანია. ვიცი, რომ ვუყვარვარ, ყველანაირად თან მყვება, მაგრამ ვერაფრით ვერ შევიყვარე. საერთო შვილიც არ გვყავს და, ან თავი რატომ დავიტანჯო, ან ის რატომ დავტანჯოო. ცოტა ხნის წინ კი მამამ ისევ დამირეკა და აშკარად გახარებულმა მითხრა, ცოლს გავეყარეო. მერე კი ძალიან მორიდებით მკითხა, საშობაოდ თქვენთან რომ მოვიდე, დედაშენი თუ მიმიღებსო. კინაღამ გული გამისკდა სიხარულით. მე ვუთხარი, დედასაც ისევ უყვარხარ და, სცადე-მეთქი. ახლა მამა იმას ფიქრობს, ახალი წლის ღამეს მოვიდეს ჩვენთან თუ შობის ღამეს. ჯერ ვერ გადაწყვიტა, მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, მოვიდეს. ზუსტად ვიცი, რომ გულში ორივემ აპატია ერთმანეთს და ახლა ისაა მთავარი, რომელი გადადგამს პირველ ნაბიჯს შესარიგებლად, მე კი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს მოხდეს. მართალია, დარწმუნებული არ ვარ, რომ მერე სულ ხავერდივით და აბრეშუმივით ურთიერთობა ექნებათ, მაგრამ, რაც მთავარია, მიხვდნენ, რომ ერთმანეთი უყვართ. ასე მოხდა, რომ ორივე ცალ-ცალკე გამომიტყდა, რომ ერთმანეთი მოენატრათ, მაგრამ, ჩემი აზრით, ცოტა ჩხუბიც ენატრებათ და ამას უნდა შევეგუო – რა ქნან, ასე გამოხატავენ სიყვარულს.

**მარიკა, 18 წლის.**



## წელს ყველაზე ბედნიერი შობა მექნება

ბევრი დღესასწაული მიყვარს, მაგრამ შობა-ახალ წელს ბავშვობიდან განსაკუთრებული გრძნობით ველოდები. უკვე ამხელა გოგო ვარ და აქამდე გამომყვა ის სიხარული, ბედნიერებისა და სასწაულის მოლოდინის შეგრძნება, რაც ამ საოცარი დღესასწაულის წინ, ყოველთვის მეუფლება ხოლმე. პატარაობიდან მოყოლებული, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ შობის და ახალი წლის ღამეს აუცილებლად რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო, მაგრამ კონკრეტულად რა, არ ვიცოდი; ახლა კი პირველად ვიცი, რა სასწაულიც მოხდება, თანაც – ორი. ერთი სასწაული ის არის, რომ შეყვარებულმა, რომელმაც აგვისტოს ბოლოს მიმატოვა (უცხოეთში წავიდა სასწავლებლად და იქიდან მომწერა, აღარ დამელოდო, აქ სხვა გოგო შემიყვარდაო – ერთი ნახვით შეჰყვარებია თურმე), ერთი კვირის წინ დამირეკა და მითხრა, საშობაოდ ჩამოვდივარ; მივხვდი, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია და, თუ მაპატიე და თუ ისევ გიყვარვარ, დამხვდიო. რა თქმა უნდა, ვაპატიე და, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვა, რომ მეორე სასწაული ვახარო: 5-დან 10 იანვრამდე უნდა ვიმშობიარო, ანუ, დედა გავხდები. აგვისტოში, როცა ლევიკო გავაცილე, უკვე თითქმის 4 თვის ორსული ვიყავი, მაგრამ, დავუმალე (მით უმეტეს, რომ საერთოდ არ მეტყობოდა), რადგან, არ მინდოდა, ჰგონებოდა, რომ რაღაცეები წინასწარ მქონდა ჩაფიქრებული ან აკიდებას ვაპირებდი; არც ის მინდოდა, მისი მომავალი კარიერისთვის შემეშალა ხელი და ამიტომაც არ ვუთხარი არაფერი. წერილი რომ მივიღე, სხვა შემიყვარდა და უნდა დავშორდეთო, ისე განვიცადე, კინაღამ მოვკვდი, მაგრამ, მერე შემეშინდა, ბავშვს არაფერი მოსვლოდა და, როგორც იქნა, თავი ხელში ავიყვანე. დედამ ძალიან ინერვიულა, მაგრამ ბოლოს მაინც გამიგო და ბოლოს აქეთ მამხნევებდა.

ლევიკო დეკემბრის ბოლოს ჩამოდის. როგორც ვთქვი, ჩემი ფეხმძიმობის შესახებ არაფერი იცის არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრებმა. ამიტომ, ეს სიხარული ყველასთვის მოულოდნელი იქნება. ასე რომ, შობისთვის, ალბათ, უკვე დედაც ვიქნები და, თანაც, გვერდით მეყოლება ადამიანი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მეყვარება.

ეს შობა ჩემთვის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი იქნება და ასეთსავე ბედნიერებას ვუსურვებ ყველა ქალს, ვისაც ნამდვილი სიყვარული შეუძლია.

**ნეკო, 23 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ეძიე კაცი

● გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №31-49(728)

– იმ ძმაკაცს არ შეხმიანებიხარ? – ჰკითხა ნათიამ.

– ერთხელ შევუთვალე, შენი ნახვა მინდა-მეთქი, მაგრამ, ჯერ დამემალა, მერე კი დამემუქრა – თავი დამანებე, თორემ, ისევ იქ დაგაბრუნებ საიდანაც გამოხვედიო.

– რანაირად უნდა დაებრუნებინე?

– ორგანოებში დაწყებინა მამამისმა მუშაობა და არ გაუჭირდებოდა. ჯერ ვიფიქრე, ჭკუას ვასწავლი-მეთქი, მაგრამ, მერე დედაჩემი შემეცოდა და დავანებე თავი.

– არ გაუგია, რომ ქურდობდი? ხომ შეეძლო, ეს გამოეყენებინა შენს დასაჭერად? – დაინტერესდა ქეთა.

– ვერ გაიგებდა. მარტო ვმუშაობდი, თანაც, სხვა უბნებში და აბსოლუტურად არავინ არ იცოდა ჩემი საქმიანობის შესახებ, მით უმეტეს, რომ ძალიან იშვიათად გავდიოდი საქმეზე – მაშინ, როცა ძალიან მჭირდებოდა ფული. მოკლედ, ერთხელაც არ ჩავვარდნილვარ. ბინა არასდროს გამიქურდავს, არც დაწესებულებები... სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი ძალიან ამომივიდა ყელში, მაგრამ, არ ვიცოდი, სხვა რა გზას დავდგომოდი. უცხოეთში ვერ წავედი – ნასამართლეობის და, კიდევ იმის გამო, რომ დედას ვერ დავტოვებდი უპატრონოდ.

– რომელი ფაკულტეტი დაამთავრე?

– არქიტექტურის და, სხვათა შორის, საკმაოდ კარგი სტუდენტი ვიყავი, მაგრამ, ვერ დავამთავრე – სწორედ დიპლომის დაცვამდე ორი კვირით ადრე დამიჭირეს და ჩემი პროფესიული კარიერაც მაშინ დამთავრდა.

– ახლა რით აპირებ ცხოვრებას? – გამომცდელად შეეკითხა ლიკა, – როგორც ვიცი, არც ახლა ყრია ქუჩაში სამსახურები.

– ჯერ ზუსტად არ ვიცი. შეიძლება, ისევ არქიტექტურასა და დიზაინს მოვკიდო ხელი – ახლა ყველა რაღაცას აშენებს და... ვნახოთ, რა გამოვა. რაც მთავარია, ახლა მიზანი გამიჩნდა ცხოვრებაში, – ბოლო წინადადება გიორგიმ ძალიან თბილად წარმოთქვა და ღიმილით გახედა სოფოს, – ოღონდ, რაღაც პერიოდი მცხეთაში მომიწევს გადასვლა – იქ კარგი პირობები მექნება სამუშაოდ, თან, პატარა მეურნეობის გაკეთებაც მინდა.

გოგოებმა კიდევ რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს გიორგის და მალე წამოიშალნენ.

– ჩვენი წასვლის დროა, – თქვა მიამ და გიორგის ხელი ჩამოართვა, – გულწრფელად



გეტყვი: მოგვეწონე და, შეიძლება ითქვას, მიგიღეთ „სასტავში“, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძალიან გაწყენინებთ, თუკი ოდესმე სოფოს აწყენინებ. ეს მუქარა არ გეგონოს, გაფრთხილებაა.

– მეც მომეწონეთ, – ალალად თქვა გიორგიმ, – ასე მგონია, ბავშვობიდან გიცნობთ.

– ჰოდა, ძალიან კარგი. აბა, დროებით გემშვიდობებით. იმედია, მალე გნახავთ, – გოგოებმა სათითაოდ გადაკოცნეს გიორგი და სოფო და ჟივილ-ხივილით გავიდნენ ბინიდან.

– აი, ასეთი მეგობრები მყავს, – თქვა ბედნიერებისგან სახეგაცისკროვნებულმა სოფომ და კარი ჩაკეტა.

– ძალიან მაგარი გოგოები არიან, – თქვა გიორგიმ და უცებ ხმამაღლა გაეცინა.

– რა გაცინებს? – დაინტერესდა სოფო.

– ამხელა კაცი ვარ და რა არ გადამხდენია, მაგრამ, ამდენ ქალს ერთდროულად არასდროს უკოცნია, – გიორგიმ ლოყაზე ჩამოისვა ხელი, – მგონი, ცხრა პირი კანი გამაძრეს, თან, ყველამ რომ მარცხენა ლოყაზე მაკოცა...

– არ მოკვდები, ნუ გეშინია, – უთხრა სოფომ და ოდნავ შეწითლებულ ლოყაზე ნაზად მიადო ტუჩები. თვითონვე გაუკვირდა თავისი სითამამის, მაგრამ, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ გიორგის ძალიან დიდი ხანია, იცნობდა და უყვარდა. კაცი ლამის დაადნო ამ ნაზმა და უშუალო კოცნამ, სოფო გულში ჩაიხუტა, თვალები დახუჭა და ჩურჩულით უთხრა:

– ღმერთო ჩემო... სად იყავი აქამდე, ამდენი რატომ მალოდინე?..

***

მიას მთელი კვირა დასჭირდა იმისთვის, რომ შვილები თავის გვარზე გადაეყვანა. ტომასი ყველგან დაჰყვებოდა და, რაც შეეძლო, ეხმარებოდა. ისიც კი შესთავაზა, ჩემს გვარს მივცემ და ოფიციალურად ვიშვილებო, მაგრამ მიამ არ ქნა – ჩემს შვილებს ქართული გვარი უნდა ჰქონდეთო, ბავშვების შვილად აყვანა კი მხოლოდ ოფიციალურად ხელის მოწერის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

ამასობაში ტომასის ამერიკაში გამგზავრების დროც დადგა – აუცილებლად უნდა წასულიყო, რადგან, ფირმის საქმეებისთვისაც უნდა მიეხედა და ცოლის შერთვასთან დაკავშირებული საბუთებიც უნდა მოეწესრიგებინა. მიას შეჰპირდა, მაქსიმუმ ერთ თვეში ჩამოვალო და გაფრინდა.

– კი მაგრამ, ხელს როდისლა მოაწერთ? – დაეჭვებით ჰკითხა მიას ქეთამ, აეროპორტიდან რომ ბრუნდებოდნენ.

– როცა ჩამოვა. განცხადება გუშინ შევიტანეთ.

– რა ვიცი, მაინც ვნერვიულობ...

– რა განერვიულებს? – გაეცინა მიას.

– ისევ არ გიმტყუნოს შენმა „შეუმცდარმა“ ალღომ, ანუ, ისევ შეცდომა არ დაუშვა.

– იმაზე მეტი შეცდომა, რაც უკვე ორჯერ დავუშვი, აღარ არსებობს. ასე რომ, უკეთესის იმედი ვიქონიოთ.

– გეხვეწები, გულწრფელად მითხარი, – თქვა ნათიამ და მიას თვალებში ჩახედა, – ნამდვილად გიყვარს?

მია დააბნია ამ შეკითხვამ, დააბნია და ჩააფიქრა. კარგა ხანს არ ამოუღია ხმა, მერე კი, ისე, რომ გოგოებისთვის არ შეუხედავს, ჩაილაპარაკა: – მგონი, კი; ზუსტად არ ვიცი...

– მერე... – წამოიწყო ქეთამ.

– მერე ის, რომ, – სიტყვა ჩამოართვა მიამ, – ისევ მცდარი რომ აღმოჩნდეს ჩემი ეს ნაბიჯი, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი მაინც ექნება – ჩემი შვილები იცხოვრებენ ნორმალურ ქვეყანაში, ნორმალურ პირობებში და ნორმალურ გარემოში. მერე კი, როცა მყარად დადგებიან ფეხზე, ჩამოვიდნენ თავიანთ სამშობლოში და გააკეთონ ყველაფერი, რაც შეეძლებათ. იმას მაინც არ წამოაძახებენ მეზობლები, დედათქვენმა სხვადასხვა კაცისგან გაგაჩინათ, თვითონ კი ახლაც გულაობსო... – მიას უცბად აეშალა ნერვები და თვალები ცრემლით აევსო.

– კარგი, დაწყნარდი, მაგიტომ არ გვიკითხავს... – შეწუხდნენ გოგოები, – ისე კი, მგონი, მართლაც არ ჩანს ტომასი ცუდი ტიპი.

– მეც ასე მგონია, – ჩუმად თქვა მიამ და ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი ხელის ზურგით მოიწმინდა.

***

მია ყოველ საღამოს სკაიპით ელაპარაკებოდა ტომასს. საქმროს ჩამოსვლამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩებოდა, ამერიკაში წასვლამდე კი – დაახლოებით ორი თვე. ტომასმა უთხრა, ქორწილის საორგანიზაციო საკითხები უკვე მოვაგვარე, ბილეთებიც შევუკვეთე და შენ ნურაფერზე ნუღარ ინერვიულებო. მიას არც აქ უნდოდა ქორწილის გადახდა და არც ამერიკაში, მაგრამ ტომასი არ დაეთანხმა: თბილისში შენი ნებაა, აქ კი აუცილებელია წვეულების მოწყობა და ამას წინასწარ შეეგუეო.

რეალურად რომ დადგა ფაქტის წინაშე, მია მხოლოდ ამის შემდეგ აფორიაქდა: უკვე აშკარად წარმოიდგინა, რომ უნდა მიეტოვებინა მშობლები და მეგობრები, რომელთა გარეშეც ერთ დღესაც ვერ ძლებდა; უნდა მიეტოვებინა თავისი მყუდრო ბინა, სადაც თავს ძალიან მშვიდად, კომფორტულად და დაცულად გრძნობდა; მოაკლდებოდა უამრავი რამ, რასაც ასე შეჩვეული იყო წლების განმავლობაში, რაც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და, უცებ, წინასწარ იგრძნო, როგორ მონატრებოდა საღამოობით თბილისის ქუჩებში სეირნობა; თავის გოგოებთან „სხოდკებზე“ მისვლა და ქაქანი; მამის თბილი, მზრუნველი მზერა და დედის დატუქსვა და ჭკუის სწავლება; სამსახური და საქმე, რომელიც ასე ძალიან უყვარდა... ყველა და ყველაფერი გაიხსენა და წარმოიდგინა და, უნებურად, ძალიან გულწრფელად იგრძნო, რომ შინაბერა მეზობელი ლამარაც კი მონატრებოდა თავისი კატებიან-ძაღლებიანად და ცრემლებიც კი წამოუვიდა.

– რაღაც, ძალიან ამიჩვილდა გული. ისე ვეთხოვები ყველაფერს, თითქოს უკან აღარასდროს დავბრუნდები! – ცოტა არ იყოს, გაბრაზებულმა უთხრა საკუთარ თავს ხმამაღლა და მერე ისევ თავიდან „გადაქექა“ ყველაფერი, რომ, რაც შეიძლება მეტი ნათელი წერტილი, ანუ, ის ძაფები ამოეჩინა, რომლებიც არასდროს განწყდებოდა და, რომელთა სათავისოდ დაგულება წასვლასაც შეუმსუბუქებდა და დაბრუნების იმედსაც შეუნარჩუნებდა. მშობლებისა და მეგობრების შემდეგ, ასეთი „ძაფი“ სამსახური იყო და, უზომოდ

გაუხარდა, ორიოდე დღის წინ უფროსმა რომ უთხრა, ჩვენს შტატიან თანამშრომლად დარჩები, ოღონდ, საინტერესო სიუჟეტები უნდა გამოგვიგზავნო, მე შენნაირ ჟურნალისტს ასე ადვილად ვერ დავთმობო. ეს ძალიან დიდი სტიმული იყო; სტიმულიც და პროფესიული სიამაყით გამოწვეული სიხარულისა და ბედნიერების შეგრძნებაც. წასვლამდე კი, ალბათ, ამ წელიწადში ბოლო სერიოზული სიუჟეტი უნდა დაესრულებინა და დაეტოვებინა; მეორე სერიოზული საქმე კი, შეეძლო, ამერიკაშიც დაემთავრებინა და თავისი გოგოებისთვის საშობაო სიურპრიზი მოეწყო. გადაწყვეტილი ჰქონდა, სიუჟეტის მასალა ყველასთვის ერთად ეჩვენებინა როგორც ოპონენტებისთვის, რადგან, მათი აზრებისა და საქმიანი შენიშვნების გათვალისწინება მხოლოდ დახვეწდა და უფრო საინტერესოს გახდიდა, როგორც თვითონ უწოდებდა გულში, თავის „საკანდიდატო ნაშრომს“; აი, სიურპრიზის გამხელას კი არ აპირებდა – ეს მისი პირველი მცდელობა იყო რომანის დაწერისა და, უნდოდა, მხოლოდ „თავისი“ ყოფილიყო.

სატელევიზიო სიუჟეტი, პრაქტიკულად, დასრულებული ჰქონდა: ტექსტი – დადებული და მონტაჟი – გაკეთებული. „რა სტკივა თბილისს“ – ასე დაარქვა თავიდან პირობითად. მართალია, სათაური ორიგინალური ნამდვილად არ იყო და საკმაოდ სევდიანადაც ჟღერდა, მაგრამ, იმდენად ზუსტად გამოხატავდა სიუჟეტის შინაარსს, რომ აღარ შეცვალა. გადაწყვიტა, გოგოებთან „პრეზენტაცია“ ორი დღის შემდეგ, შაბათს მოეწყო, რადგან, ჯერ ერთი, შეიძლება, მერე ველარც მოეცალა და, თანაც, ტომასის ჩამოსვლამდე აუცილებლად უნდა მიეტანა ტელევიზიაში – უნდოდა, მანამდე გაეშვათ, სანამ ამერიკაში გაფრინდებოდა. რაც შეეხება რომანს, ბოლო თავიღა ჰქონდა დასაწერი და, თუ დროზე დაასრულებდა, შეეძლო, სტამბაში დასაბეჭდად ჩაშვებაც მოესწრო. ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეკეთებინა, რომ დაქალებისთვის საშობაო საჩუქარი არ დაეგვიანა... ამაზე როცა ფიქრობდა, ის დღეც გაახსენდა, ამ რომანის პირველი თავი რომ დაწერა – ქეთასთან იყვნენ „სხოდკაზე“ და გოგოებიდან რომელიღაცამ თქვა, ვინმემ ჩვენი ისტორიები ერთ რომანად რომ შეკრიბოს, რა კარგი იქნებოდაო. ჰოდა, იმ დღიდან წერდა მია ამ რომანს, რომელშიც მეტ-ნაკლებად ათივეს ცხოვრების ეპიზოდები შეიტანა და ახლა სულ რამდენიმე ფურცელიღა ჰქონდა დარჩენილი, ანუ – ფინალი.

მაშინვე ამოიღო უჯრიდან ფურცლებად აკინძული რომანი და გადაიკითხა. ზოგან პატარა შესწორება გააკეთა, ზოგან რაღაც წაშალა, ზოგან რაღაც ჩაუმატა და, პრინციპში, კმაყოფილი დარჩა, რადგან, ამ ფურცლებში საკუთარი და თავისი უახლოესი ადამიანების ტკივილი და სიხარული იყო თავმოყრილი, რაც ძალიან ახლობელი იყო მისთვის. მხოლოდ ბოლო თავზე მოუწია მეტხანს ფიქრი, რადგან, ვერ გადაწყვიტა, როგორ დაესრულებინა.

– რა ჯობია: „ჰეფი ენდი“, ტრაგიკული ფინალი თუ პესიმისტური გაურკვევლობა? – ისევ ხმამაღლა ჰკითხა საკუთარ თავს და მაშინვე გასცა პასუხი: – რა თქმა უნდა, „ჰეფი ენდი“! ბედნიერი დასასრული, როგორი არარეალური და არაბუნებრივიც უნდა იყოს, არც მკითხველს „დაგრუზავს“ და პერსონაჟების პროტოტიპებსაც ბედნიერი მომავლის იმედს ჩაუნერგავს, ეს კი აუცილებელია ჩემი გოგოებისთვისაც და, ყველა იმ ქალისთვისაც, ვინც საკუთარ ცხოვრებას დაინახავს ამ რომანში, – თქვა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე იგრძნო, როგორ მოუნდა წერა – უკვე ზუსტად იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ბოლო თავი. სასწრაფოდ მიუჯდა კომპიუტერს და ტექსტის აკრეფა დაიწყო:

„მიას პატარა ქორწილისა და მისი გაცილების შემდეგ გოგოებმა მოიწყინეს. მართალია, ისევ იკრიბებოდნენ; ისევ ჭორაობდნენ; ისევ ებუტებოდნენ და ურიგდებოდნენ ქმრებსა თუ შეყვარებულებს; ისევ უკმაყოფილოები იყვნენ კაცებით და მაინც ისევ ეძებდნენ ნამდვილ მამაკაცს; ისევ ოცნებობდნენ, ანუ, ყველაფერი ისევ ისე ხდებოდა, როგორც მანამდე, მაგრამ, ყველაფერ ამას აკლდა ეშხი, მულამი, მთავარი ძარღვი, მამოძრავებელი ძალა და სიხალისე – მია, რომელიც იმით უვსებდა გოგოებს ამ დანაკლისს, რომ, როგორი მოუცლელიც არ უნდა ყოფილიყო, „სხოდკის“ დღე მისთვის „წმიდათაწმიდა“ იყო და სკაიპით უერთდებოდა ამ შეკრებას.

მიას წასვლიდან ძალიან მალე სოფომ და გიორგიმაც იქორწინეს და მცხეთაში გადავიდნენ საცხოვრებლად, ცხადია, გიორგის დედასთან ერთად, იქ პატარა მეურნეობაც წამოიწყეს და ნელ-ნელა გიორგიმაც გაითქვა სახელი, როგორც ძალიან მაგარმა არქიტექტორმა და დიზაინერმა. გოგოებს უხაროდათ, რომ სოფო ძალიან ბედნიერი იყო ქმართან და, ამის გამო, ცდილობდნენ ხაზგასმული ყურადღებითა და პატივისცემით გამოეხატათ სიძისთვის მადლობა. ერთ-ერთ „სხოდკაზე“ კი, რომელსაც, ცხადია, მიაც ესწრებოდა სკაიპით, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ, თუ არ ჩათვლიდნენ კატოს გარდაცვლილ ქმარს, რომელსაც ცხოვრებაში „დადებითი ანომალია“ შეარქვეს, გიორგი მართლაც უნიკალური შემთხვევა იყო.

– კატოს გარდა ცხრა ქალი ვართ აქ და როგორ წრეში და როგორ „სასტავში“ არ გაგვიცნია კაცები, მაგრამ, სოფო ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა; იმ დონეზე იღბლიანი, რომ, მგონი, მთელ საქართველოში არსებული ერთადერთი ნამდვილი მამაკაცი შეხვდა. ამაზეა ნათქვამი, ეძიებდე და ჰპოვებდეო, – თქვა სიძით კმაყოფილმა ქეთამ.

– ჩვენი აღზრდიდან, მენტალიტეტიდან და კიდევ რაღაც-რაღაცეებიდან გამომდინარე, ეტყობა, იქ არ ვეძებდით, სადაც საჭიროა; უფრო სწორად, ვეძებდით იქ, სადაც ნამდვილი მამაკაცი რეალურად არ არსებობს... – დაასკვნა ელისომ.

– ან, არსებობს, მაგრამ, იმდენად მცირე რაოდენობით, რომ, ამდენი წელია, ვერ მივაგენით, – შედარებით ოპტიმისტურად განაცხადა რუსამ.

– სოფომ კი, ხომ ხედავთ, სულ სხვა მხარეს გაიხედა, თანაც, ერთადერთხელ და... – თვალი ჩაუკრა ელისომ სოფოს.

– სოფო არაფერ შუაშია, მას არავინ უძებნია. აქ მთავარ როლშია „მისი უდიდებულესობა შემთხვევა“, – აღნიშნა ლიკამ.

– მე კი დავამატებდი, რომ მთავარ როლში მარტო შემთხვევა კი არა, ბედი და იღბალიცაა, – სიტყვაში გამოვიდა ნათია, – არ გაგიგიათ, ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდებაო?

– გაგვიგია, მაგრამ, მთავარი ის კი არ არის, შემთხვევის ბრალია გიორგის პოვნა, ბედის თუ იღბლის; მთავარი ის არის, რომ მისმა აღმოჩენამ ერთ ძალიან მნიშვნელოვან



რამეში დაგვარწმუნა: ამ ჩვენს ყოველმხრივ დაჩაგრულ საქართველოში, თურმე, არსებულა ნამდვილი მამაკაცი, ოღონდ, შესაძლოა, გინესების, ან, სულაც, „წითელ წიგნში“ გაგვიხდეს შესატანი...

– შესაყვანი, – ღიმილით შეაწყვეტინა სიტყვა სალომემ.

– ჰო, წითელ წიგნში შესაყვანი რაოდენობით, მაგრამ, თუნდაც ჯერჯერობით ამ მინიმალურმა რაოდენობამაც კი, გააცოცხლა ჩვენი გარდაცვლილი იმედი ნამდვილი მამაკაცების არსებობის შესახებ – საზეიმო ხმით დაასრულა რუსამ გამოსვლა.

– ისე, ძალიანაც ნუ ავჭყლოპინდებით, თვალი არ ეცეს, – დაეჭვებით თქვა მირანდამ.

... ამ „სხოდკიდან“ ორი-სამი კვირის შემდეგ გოგოებმა კიდევ სამი ახალი ამბით გაახარეს მია: ლიკა, მართალია, გარკვეული პირობების სანაცვლოდ, მაგრამ, მაინც შეურიგდა ქმარს; რუსას ყოფილმა შეყვარებულმა სთხოვა ხელი და, ალბათ, დათანხმდება ცოლად გაყოლაზე; სალომე კი სამსახურში დააწინაურეს – ძალიან დიდი და სერიოზული განყოფილების უფროსად დანიშნეს, რაც, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვნადაც დაგვირგვინდეს, რადგან, მას შემდეგ, რაც „დიდი ქალი“ გახდა, სერიოზულ თაყვანისმცემელთა რაოდენობაც გაათმაგდა და, დაქალებსაც და ოჯახის წევრებსაც იმედი გაუჩნდათ, რომ, ბოლოს და ბოლოს, სალომეც იპოვის თავის ბედს“... – მიამ წერა შეწყვიტა, სიგარეტს მოუკიდა და ნაწერი ორჯერ წაიკითხა.

– ცოტათი კი წააგავს ზღაპრის დასასრულს, თუმცა, არც ისე არარეალურია, – ისევ ხმამაღლა მიმართა საკუთარ თავს, – მაგრამ, ელისო და კატო, მგონი, გაურკვევლობაში რჩებიან...

მია ჩაფიქრდა. გონებაში რაღაც-რაღაცეები გადაალაგ-გადმოალაგა, რაღაცეები აწონდაწონა და გოგოების სახელები გაიმეორა.

– ელისო და კატო... მათი ასე დატოვება რომანში დაუშვებელია... კარგი, ელისოს რაღაც გზაზე დავაყენებ; ბოლოს და ბოლოს, ამასაც გავათხოვებ რამენაირად, მაგრამ, კატოს რა ვუყო? მისი სახელის გვერდით თუნდაც ხუმრობით რომ ვახსენო ვინმე კაცი, სამუდამოდ დამკარგავს... – მია საგონებელში ჩავარდა. კარგა ხანს იჯდა და ისე ფიქრობდა, მერე კი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. უცბად მექანიკურად გახედა ჩართულ და ხმაჩაწეულ ტელევიზორს, რომლის ეკრანზეც რომელიღაცა მომგებიანი ლატარიის სარეკლამო რგოლს უჩვენებდნენ და უცებ გონება გაუნათდა.

– ევრიკა! – იყვირა გახარებულმა, მაშინვე მიუჯდა კომპიუტერს და წერა განაგრძო:

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# რა მიზანს ისახავდა სტალინის მიერ მოფიქრებული საიდუმლო ოპერაცია „სერპანტინი”



1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე, ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დიდი სამამულო ომის პირველი ექვსი თვე დიდი დანაკარგებით წარიმართა საბჭოთა კავშირისთვის და ქვეყანა უდიდესი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. დაიღუპა ორ მილიონზე მეტი ადამიანი. ამდენივე ტყვედ ჩავარდა და სახელმწიფოს უდიდესი მატერიალურ-ტექნიკური ზიანი მიადგა. მრავალი წლის განმავლობაში, მთელ ამ უბედურებას ერთადერთ ადამიანს, ქვეყნის მთავარსარდალს, იოსებ სტალინს აბრალებდნენ. კიდევ უფრო დამამცირებელია მავანთა მტკიცება, თითქოს ომის დაწყების წუთებიდან, საბჭოთა ბელადი პანიკამ შეიპყრო, შოკში ჩავარდა და სამი დღის განმავლობაში პარალიზებული იყო. ამ აბსურდის დამადასტურებელ ფაქტად კი, ის მოჰყავთ, რომ 22 ივნისს, შუადღეს რადიომიმართვით საბჭოთა ხალხის წინაშე წარდგა ვიაჩესლავ მოლოტოვი და არა – სტალინი. არსებობს აკადემიკოსის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ევგენი პორტნოვის დოკუმენტურად დადასტურებული განცხადება, რომ სტალინი 20-30 ივნისს ანგინის უმძიმესი ფორმით იყო ავად. მას მაღალი სიცხეები ჰქონდა და არამც თუ რადიოთი გამოსვლა შეეძლო, საჭმელსაც კი ვერ ჭამდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ბელადი ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობდა და წამითაც არ დაუკარგავს კონტროლი ქვეყნის მართვაზე.

როგორც კი, 1940 წლის დასაწყისში გამოჟონა ცნობებმა „ბარბაროსას” შესახებ, სტალინმა 19 იანვარს დაიბარა თავდაცვის მინისტრი – კლიმენტი ვოროშილოვი და გენერალური შტაბის უფროსი – ბორის შაპონშიკოვი. შეხვედრა შედგა კუნცევოს, ეგრეთწოდებულ ახლომდებარე აგარაკზე. საბჭოთა ბელადმა სტუმრები კაბინეტში მიიწვია და ახლად მიღებული სამი სადაზვერვო ინფორმაცია წაუკითხა. სხვადასხვა წყაროსგან გამოგზავნილი ეს ცნობები შინაარსით აბსოლუტურად იდენტური იყო და ეწერა, რომ ფაშისტური გერმანიის გენერალურმა შტაბმა დაიწყო საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის შემუშავება და რომ მისი სამუშაო სახელია „ბარბაროსა”.

– რას იტყვი, კლიმ? შენი აზრი მაინტერესებს. – ჰკითხა სტალინმა თავდაცვის მინისტრ კლიმენტი ვოროშილოვს და სადაზვერვო ცნობები მაგიდაზე დადო.

– რა უნდა გითხრა, კობა. ჩვენ ამას უკვე დიდი ხანია, ვვარაუდობდით. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზეც ამიტომ წავედით, რომ დრო მოგვეგო (ლაპარაკია 1939 წელს, საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე თავდაუსხმელობის შესახებ), – მიუგო სტალინს ვოროშილოვმა, ფაშისტებმა ყინული დაძრეს და „სერპანტინის” მომზადება უნდა დავაჩქაროთ.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა სტალინი ვოროშილოვს. შემდეგ გენერალური შტაბის უფროსს, ბორის შაპონშიკოვს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ბორის მიხაილოვიჩ, როგორ მიმდინარეობს „სერპანტინისთვის” მზადება?

– გეგმურად, ამხანაგო სტალინ, ჯგუფების შეკრება, შეიარაღება და მომზადება ზუსტ გრაფიკშია ჩასმული, – ზოგადად თქვა შაპოშნიკოვმა.

– კონკრეტულ ციფრებზე გადადით, – თქვა სტალინმა.

შაპოშნიკოვმა ჩაახველა და სტალინს ზეპირად მოახსენა:

– ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წლის პირველი მაისიდან დღემდე მომზადებულია პარაშუტისტების ათი ათასი ჯგუფი. თითოეული მათგანი უახლესი მსუბუქი შეიარაგებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებითაა აღჭურვილი. აგრეთვე, ათდღიანი მშრალი საკვები აქვთ და ნებისმიერ დროს მზად არიან, ბრძანების შესასრულებლად. ანუ, დღე „იქსისთვის”, იმ პერიოდში არსებული ძალა მაქსიმალურად შეძლებს დასმული ამოცანის შესრულებას.

სტალინმა, მაგიდაზე დადებულ სადაზვერვო ცნობებზე მიუთითა გენერალური შტაბის უფროსს და უთხრა:

– ამ ცნობებიდან გამომდინარე, დღე „იქსის” გადმოწევა მოგვიწევს და „სერპანტინი” ადრე უნდა ჩავატაროთ. თუმცა, ოპერაციის

**თავდასხმის თარიღად 1942 წლის აგვისტო იყო მიჩნეული, ანუ – დღე „იქსი” და სწორედ „ბარბაროსას” შესახებ მიღებულმა ცნობებმა შეაცვლევინა საბჭოთა ბელადს პირველი გეგმა და ჰიტლერზე თავდასხმა 1941 წლის აგვისტოსთვის გადმოიტანა**

ხარისხი ისეთივე უნდა დარჩეს, როგორიც დავგეგმეთ. ამიტომ, ყველაფერი მომავალი წლის აგვისტოს მიწურულისთვის მზად უნდა იყოს და ამისთვის კი, მზადების ტემპები გაასამმაგეთ! – ბოლო სიტყვა სტალინმა დამარცვლით წარმოთქვა და იქვე, დასძინა, – „ოსოავიაქიმს” კადრების მოზიდვის ტემპები დააჩქარებინეთ და ჩემს ახალ ბრძანებასთან მოიყვანეთ შესაბამისობაში. მე კი, დღესვე დავავალებ შესაბამის უწყებებს, უპირველესად, მსუბუქი შეიარაღებისა და საფრენი აპარატების წარმოების გასამმაგებას. იმატებს, აგრეთვე, უახლესი ტანკებისა და მობილური ჯავშანტექნიკის წარმოებაც. წარმატებას გისურვებთ.

შაპონშიკოვი და ვოროშილოვი თავიანთ უწყებებში დაბრუნდნენ და სტალინის ბრძანების შესრულებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ. საბჭოთა ბელადმა კი, საბჭოთა სამხედრო იარაღის მწარმოებელი უწყებების ხელმძღვანელები დაიბარა და იარაღის წარმოების გაზრდა დაავალა. თუმცა, ოპერაცია „სერპანტინის” შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს მათთან.

სტალინისა და საბჭოთა სამხედრო უწყებების ხელმძღვანელთა საუბარი, ამ ცოტა ხნის წინ გასაიდუმლოებული საარქივო დოკუმენტაციებიდან გახდა ცნობილი, რომელიც რუსულმა მედიამ გამოაქვეყნა.

„ოსოავიაქიმი”, „დოსააფის” წინამორბედი, 1927 წელს, სტალინის უშუალო მითითებით შექმნილი უწყება იყო და ის მეპარაშუტე ახალგაზრდებს ამზადებდა. ანუ, ერთი შეხედვით, ეს იყო პარაშუტით ხტომის მოყვარულთა კლუბი. სინამდვილეში კი, მომავალ პროფესიონალ მეპარაშუტეებს ამზადებდა და სტალინის ჩანაფიქრით, შორს მიმავალი გეგმები გააჩნდა. ეს უწყება საიდუმლო ოპერაცია „სერპანტინის” ბაზისს წარმოადგენდა. საიდუმლო ოპერაცია „სერპანტინი” კი იყო, არც მეტი არც ნაკლები, ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და თვით ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე ელვისებური შეჭრა უზარმაზარი ძალებით ჰაერიდან. შემდეგ, ამ ქმედებას უნდა მოჰყოლოდა ჯავშანტექნიკის შესვლა და ჰაერიდან შეჭრილი მედესანტეების მხარდაჭერა. რასაც, საბოლოო ჯამში, სტალინის თქმით, მთელი ევროპის „გაწითლება” უნდა მოჰყოლოდა... ანუ, სტალინი თავადვე გეგმავდა ფაშისტურ გერმანიაზე ელვისებურ თავდასხმასა და მასზე გამარჯვებას. თავდასხმის თარიღად კი 1942 წლის აგვისტო იყო მიჩნეული, ანუ – დღე „იქსი” და სწორედ „ბარბაროსას” შესახებ მიღებულმა ცნობებმა შეაცვლევინა საბჭოთა ბელადს პირველი გეგმა და ჰიტლერზე თავდასხმა 1941 წლის აგვისტოსთვის გადმოიტანა.

„ჩვენს ყოჩაღ მეომრებს სერპანტინივით ჩამოვყრით ევროპის ცაზე,” – ამბობდა სტალინი თავის უახლოეს გარემოცვასთან და ოპერაციის საბოლოო სახელწოდებაც სწორედ მან მოიფიქრა. თითოეული ჯგუფი ათი მეომრისგან შედგებოდა და 1941 წლის აგვისტოსთვის სტალინს ორასი ათასი ჯგუფი, ანუ ორმილიონიანი შეიარაღებული ჯგუფები უნდა დაეტეხა თავზე ფაშისტებისთვის. საგულისხმო ფაქტია, რომ 22 ივნისისთვის, ანუ ომის დაწყების დღეს, საბჭოთა კავშირს გერმანიაზე სამჯერ მეტი მსუბუქი თვითმფრინავი ჰყავდა, რომელსაც დესანტირება შეეძლო. ორ-ნახევარჯერ მეტი მსუბუქი შეიარაღება იწარმოებოდა იმ დროს საბჭოთა კავშირში, ვიდრე გერმანიაში. მეპარაშუტეთა რაოდენობამ კი ორ მილიონს გადააჭარბა... გაზრდილი იყო აგრეთვე ჯავშანტექნიკის წარმოებაც და არმიის საკვები პროდუქტებით მომარაგებაც. ერთი სიტყვით, 22 ივნისისთვის თითქმის დასრულდა „სერპანტინისთვის” მზადება და დანიშნული იყო ამ ოპერაციის დაწყების დღე - 1941 წლის 23 აგვისტო, კვირა, ღამის 4 საათი და 30 წუთი.

სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ თავდასხმისთვის მომზადებულმა საბჭოთა სამხედრო მანქანამ ომის დასაწყისში თავდაცვაზე გადაწყობა ვერ მოასწრო. თუმცა, ყოვლად გაზვიადებულია ის, რომ თითქოს სტალინი რეალობას მოწყდა, ჰიტლერს ენდო და ომის დასაწყისში ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა.

ფაქტს, ოპერაცია „სერპანტინის” არსებობის შესახებ, საბჭოთა კავშირი მხოლოდ იდეოლოგიური მოსაზრებით მალავდა, რადგან, პოლიტიკური საბჭოთა დოქტრინა მშვიდობისმოყვარეობას და პაციფიზმს ქადაგებდა. „სერპანტინი” კი ხაზს გადაუსვამდა ამას.

**ნიკა ლაშაური**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ჯოიაშვილი-ჯორჯიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯოია.**

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, **ჯოიას** უცხოვრია სოფელ ტბისის ეკლესიის გვერდით, სულ მარტოს. როგორც ჩანს, ის იქ ეკლესიის განძს იცავდა. ერთხელ, ლაშქრობიდან მიმავალ მეფე ერეკლეს ამ ეკლესიის მახლობლად დაუსვენია. მამაცი მეფის წვევით გახარებულ **ჯოიას** ერეკლესთვის საკუთარი ოქროს ჯამი მიურთმევია. მეფეს ესიამოვნა ასეთი ძღვენი და უკითხავს, რით გადაგიხადო ეს პატივისცემა, რას მთხოვ სამაგიეროდ. **ჯოიას** უთქვამს, არაფერს გთხოვთ, მხოლოდ ერთი მეზობელი კაცი დამისახლე გვერდით, რომ ხმა გავცეო. შემდეგ ირკვევა, რომ **ჯოიას** მარტოდმარტო ვერ გაუძლია, ალგეთის პირას, უფრო დაბლა ჩამოუნაცვლია და ხალხის გვერდით, დიდ ენაგეთში დასახლებულა.

1906 წლის 31 მარტამდე ცნობილი გვარი იყო **ჯოიაშვილი**. 1 აპრილს, მეფის ჟანდარმერიამ გენერალ გრიაზნოვის მკვლელის გვარად დაასახელა **ჯარიაშვილი**, ორი დღის შემდეგ ის შეიცვალა გვარით – **ჯავიაშვილი**, რამდენიმე დღის შემდეგ კი – **ჯორჯიაშვილით**. ასე გაჩნდა **ჯოიაშვილიდან** გვარი **ჯორჯიაშვილი**. (**ჯორჯიაშვილების** რამდენიმე ოჯახი გადავიდა მეტეხში და იქ ბოგველებად დაეწერნენ).

**ჯორჯიაშვილების** სოფელს ადრე ბოგვი ერქვა.

საქართველოში 92 **ჯოიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 63, თეთრი წყაროში – 28, ახალგორში – 1.

### ზარიძე-ჯამაგიძე

გვარიდან **ზარიძე** მომდინარეობს გვარი **ჯამაგიძე**. 1842 წელს, ერთ-ერთ **ჯამაგიძეს** სახელად ერქვა **ზარიძე**. სახელი „**ზარიძე**" დადასტურებულია ბადაგიძეების, ზაქაიძეების, ასტამაძეების, კარელიძეების გვარებში.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დავთრების მიხედვით, ერთ-ერთ კარელიძესაც **ზარიძე** ერქვა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქსნის ხეობაში მოსახლე კარელიძეები **ზარიძეებიდან** წარმომავლობენ.

სისველაური-სისველაშვილების გვარის ძირიც გვარი **ზარიძეა**, ისინი გადმოსახლებულები არიან ლუდიდან. გიორგი **ზარიძე** გვარით ჩაჩუნაშვილი, იყო მემკვიდრედ, თელათაგორს ნასახლები.




„წირდალს მცხოვრებ **ზარიძე** გულბაათს ჰყავს განაყოფი შიორშა, რომელთან ერთადაც ალექსანდრე მეფემ ის შესწირა სვეტიცხოველს (1570 წელი)".

საქართველოში 1 103 **ზარიძე** ცხოვრობს: თბილისში – 800, თიანეთში – 167, რუსთავში – 136.

371 **ჯამაგიძე**. თბილისში – 181, თიანეთში – 162, გარდაბანში – 28.

### ქალიაშვილი

**ქალ** ფუძიდან ბევრი სახელია ნაწარმოები. სწორედ **ქალი** დასდებია საფუძვლად და გაჩენილა მისგან საკუთარი სახელები: **ქალალა, ქალდან, ქალურა, ქაილ, ქალა, ქალაია, ქალთათავი, ქალთამზე, ქალია, ქალიკა, ქალიკელი, ქალილა, ქალიმათ.**

აქედანაა ნაწარმოები გვარები – **ქალებაშვილი და ქალიაშვილი.**

მეჩვიდმეტე საუკუნის მესამე მეოთხედში მოიხსენიება, ასევე, გვარი **ქალიძე**.

ზემოთ ხსენებული გვარის წარმომადგენლები ქართველები და მართლმადიდებლური სარწმუნოებისანი არიან.

საქართველოში 406 **ქალიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 144, თელავში – 30, ბორჯომში – 21. არიან სხვაგანაც.

### ჭყოიძე

ილია მაისურაძე წერს: „გვარი **ჭყოიძე** ზესტაფონსა და ხარაგაულის რაიონებში აღიარებულია, როგორც **ჭყონიძისგან** მომდინარე". სხვა მკვლევრები და ავტორებიც მიანიშნებენ, რომ **ჭყოიძეთა** გვარი **ჭყონიძიდან** მომდინარეობს – ადრე ასე იყვნენ ჩაწერილნი, შემდგომ კი ასო **ნ** დაიკარგა და მივიღეთ **ჭყოიძე**. ასეთი მაგალითები მრავლადაა ისტორიულ წყაროებში.

**ჭყოიძეთა** გვარის ფუძედ გამოყენებულია **ჭყო**. ეს ფორმა არც ერთ ლექსიკონში, მათ შორის, სულხან-საბასთანაც კი არ იძებნება. ამ ფუძით მას ნახსენები აქვს მხოლოდ ორად ორი სიტყვა, კერძოდ: **ჭყორველი** და **ჭყორი**.

ამ გვართან დაკავშირებით კვლევა დღესაც გრძელდება.

საქართველოში 1 260 **ჭყოიძე** ცხოვრობს: თბილისში – 353, ხარაგაულში – 332, ზესტაფონში – 118. არიან სხვაგანაც.

45 **ჭყონიძე**. დმანისში 18, თბილისში 16, ბოლნისში 11.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

(მე-9 გვერდიდან)

# როგორ უნდა მოვიქცეთ ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებისას ზარალის თავიდან აცილების მიზნით და რატომ კლავს პანიკა ლარსაც

ებითად მკვეთრი ზარალი არავის განუცდია. კიდევ ერთი ლოგიკური ფაქტორი არის ის, რომ ლარის გაუფასურებით ძვირდება იმპორტი, მაგრამ არსებობს არაერთი კვლევა, ადგილობრივიც და საერთაშორისოც, თუ როგორ აისახება ლარის ერთი პროცენტით გაუფასურება ფასებზე, ანუ ერთ მოქალაქეს რამდენად დააზარალებს და საკმაოდ მწირი ზემოქმედება აქვს: მაგალითად, ფინეთის ბანკის კვლევით, ლარის ერთი პროცენტით გაუფასურება 0,2 პროცენტით ზრდის ფასებს, ანუ ათი პროცენტით გაუფასურების შემთხვევაში ფასნამატი 2-პროცენტიანია. ამდენად, რაღაც მკვეთრ გაუარესებაზე ვერ ვისაუბრებთ. თუ, ერით მხრივ, დაზარალდნენ ისინი, ვისაც სესხები აქვს უცხოურ ვალუტაში და ასეთია მსესხებელთა 60 პროცენტი, მეორე მხრივ, საპირისპიროდ, სარგებელს ნახავს ის, ვისაც დეპოზიტები აქვს უცხოურ ვალუტაში, ასეთიც დეპოზიტთა საერთო რაოდენობაში 60 პროცენტია. ასევე, სარგებელს ნახავენ ის ოჯახები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ფულად გზავნილებზე უცხოეთიდან. თითოეულ გამოგზავნილ დოლარზე ისინი უფრო მეტ ლარს მიიღებენ. შესაბამისად, ვისაც შეხება აქვს უცხოურ ვალუტასთან, ყველა გაიყოფა ორ ნაწილად: ვინც იხეირა და ვინც იზარალა.

**– რა უნდა ვურჩიოთ ვალუტის ასეთი მოულოდნელი რყევებისას მოსახლეობას, რომ მინიმალურად ვიზარალოთ?**

– ამჟამად ლარი გამყარებისკენაა წასული, რაც კარგი სიგნალია მოლოდინების ფორმირების კუთხით, იმიტომ რომ, მაგალითად, თუ მაქვს ლარი და მინდოდა დოლარის ყიდვა, როდესაც შევატყვე, რომ გაუფასურებაა, მაგრამ ოდნავ ქვემოთ წამოვიდა კურსი, ჯობია, დაველოდო, კიდევ როდის გამყარდება ლარი. ამგვარი მოლოდინის ფორმირება უფრო წაახალისებს ლარის გამყარების პროცესს. ან, თუ დოლარი მაქვს და დროზე მინდოდა გადახურდავება ლარზე, მაგრამ ვატყობ, რომ ლარი იწყებს გამყარებას, რაც შეიძლება, მალე მოვიშორებ და ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდება მოლოდინების გამო ლარის გამყარებას წაახალისებს. ეს უმნიშვნელო, მაგრამ დადებითი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც ლარის გამყარებაზე კარგ ზეგავლენას მოახდენს.

**– ანუ მოქალაქეებს, რომლებსაც, მაინცდამაინც, ლარის არც ყიდვა უნდათ და არც გაყიდვა, დაატიონ ჯიბეებში ვალუტა იმ მდგომარეობაში, რაშიც აქვთ?**

– მე პირადად რომ მქონდეს შესაბამისი უფლებამოსილება და გავლენა, აუცილებლად ვურჩევდი მოსახლეობას სიმშვიდეს ამგვარ ვითარებაში, რაც არ ნიშნავს, რომ ისინი უნდა მოატყუო. თუმცა, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე საპირისპირო მოხდა და ამაში ბევრმა მხარემ მიიღო მონაწილეობა: განსაკუთრებით, მედიამ. ოპოზიციამაც ისარგებლა მომენტით და გაცილებით მძიმე სურათი დახატეს, ვიდრე იყო. ხალხის ფსიქოლოგიაზე ამ ბოროტმა თამაშმა გამოიწვია პანიკა. პანიკის პირობებში კი გაუფასურება გამძაფრდა, აი, ეს კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის. ლარის კურსს არ განსაზღვრავს ერთი და ორი ფაქტორი, მის კურსს განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი და ამ ფაქტორების ანალიზით, ჩემი აზრით, არ იყო იმის წინაპირობა, რომ ლარი ამ დონემდე გაუფასურებულიყო. ეს რომ კარგად აეხსნათ საზოგადოებისთვის, მეტი სიმშვიდე იქნებოდა და ლარიც უფრო გამყარდებოდა.

**ნინო ხაჩიძე**

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

20 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

21 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

18 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

### მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966.**

17, 21 დეკემბერი, **ოთხშაბათი, კვირა** 20.00 - **„პროცესი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: თემო კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, ანუკა გრიგოლია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

18 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ეჭვი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

19 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

20 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„საზღვრები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

### მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

19 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჰარალეთი, ჰარალეთი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, მალხაზ აბულაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

20 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ანდერგრაუნდი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, რამაზ იოსელიანი, ბექა ჯუმუტია, ნიკა წერედიანი, პაატა ბარათაშვილი, ირინა გიუნაშვილი, ვანო დუგლაძე, გუგა კახიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

21 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ზვავი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: რუსუდან ბოლქვაძე. მონაწილეობენ: ლია კაპანაძე, რევაზ თავართქილაძე, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

16 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

17 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** (ინგლისურ ენაზე) - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ 15 წუთი;***

18 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

19 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„მამა"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 9 ლარი), რეჟისორი: კადრი ოზჯან. მონაწილეობენ: კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, მამუკა მუმლაძე, ვანო ქურასბედიანი, ქეთა ლორთქიფანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.;***

21 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

### ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

18 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სხვა საქართველო სად არი?!"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი: მერაბ ყოლბაია. მონაწილეობენ: მერაბ ყოლბაია, პაატა ვახტანგიშვილი, რამაზ ხომასურიძე, ნინო შავგულიძე, მარიამ ყოლბაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

18-19 დეკემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ფსკერზე"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ზაალ ჩიქობავა, ნანა ბუთხუზი, ანა წერეთელი, ტატო ჩახუნაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი, ალეკო ბეგალიშვილი, ბუბა გოგორიშვილი, ნანკა კალატოზიშვილი, ეკა დემეტრაძე, შაკო მირიანაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, დავით ბეშტაიშვილი, კახა კინწურაშვილი, გოგა გველესიანი, გიგი ქარსელაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

20-21 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„მერი პოპინსი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, ლაშა რამიშვილი, გიორგი ყველაშვილი, სალომე ყიფიანი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

### ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

16 დეკემბერი, **სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბალათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

16 დეკემბერი, **სამშაბათი** 12.00 - **„სიცოცხლის ხე"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

17, 21 დეკემბერი, **ოთხშაბათი, კვირა** 12.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

18 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 12.00, 15.00 - **„სიცოცხლის ხე"** - (ბილეთის ფასი - 7,

10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 12.00, 15.00 - **„ივანენამ რა ჰქმნა?!"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

19 დეკემბერი, **პარასკევი** 12.00, 15.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20 დეკემბერი, **შაბათი** 12.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

20 დეკემბერი, **შაბათი** 13.00, 15.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20 დეკემბერი, **შაბათი** 17.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ჩვენ გველის დიდება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

21 დეკემბერი, **კვირა** 13.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

21 დეკემბერი, **კვირა** 15.00, 17.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

21 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა გაწერელია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი.*

### საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

16 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„კიდევაც დაიზრდებიან"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 60 წუთი;*

19 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„სამყარო"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: დავით შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.*

### გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

19 დეკემბერი, **პარასკევი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, ირინა კვიჟინაძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ნანა დარჩიაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

20 დეკემბერი, **შაბათი** 18.00 - **„ყვითელი ანგელოზი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობს: ირინა მელვინეთუხუცესი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

21 დეკემბერი, **კვირა** 18.00 - **„უფროსი ვაჟი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გიორგი (გოგი) მარგველაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, ლაშა გურგენიძე, დიმიტრი მერაბიშვილი, ვალერი ხარიუტჩენკო, ალექსანდრე ლუბინეცი, ივანე ქურასბედიანი, მარიამ კიტია, სოფიო ლომჯარია, ინა ვორობიოვა, მედეა მუმლაძე, ნინა კალატოზიშვილი, ქრისტოფორე ფილიევი; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

### გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
**კუს ტბის ქუჩა №2; კულტურის ცენტრი მუზა. ტელ.: 568 14-51-99.**

21 დეკემბერი, **კვირა** 12.00 - **„მაწანწალა ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ელენე მაცხონაშვილი. მონაწილეობენ: თამთა ბაქრაძე, მალხაზ გაბუნია, მაია მალხაზიშვილი, გიორგი მეძმარიაშვილი, ნინო ნატროშვილი, გიორგი ტალახაძე, ნათია შეშაბერიძე, გიორგი ღონღაძე, მანანა წიკლაური, ლევან ხიზანაშვილი, ნათია ხმიადაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.*

## დაუთმობს თუ არა თურქეთი რუსეთს ბათუმს და საქართველოს რამდენ ნაწილად დაშლას ითვალისწინებს რუსეთის ახალი სტრატეგია უკრაინის მოვლენების ფონზე

**(მე-6 გვერდიდან)**

ალმოჩნდა, „ნატო" მართლაც არ არის საფრთხე, თუმცა უკრაინის მოვლენებმა ყველაფერი შეატრიალა და რუსეთს დაუდგა აუცილებლობა, შეექმნა...

**– ახალი ბუფერი უკრაინის ნაწილის სახით?**

– ბუფერს ველარ შექმნის. რუკა რომ წარმოვიდგინოთ, უკრაინა ერთგვარად შეჭრილია რუსეთში და ვინაიდან რუსეთი ევროპას საფრთხედ არ აღიქვამდა, მისი თავდაცვითი ინფრასტრუქტურა აწყობილი იყო იმაზე, რომ უკრაინა არის ბუფერი. როგორც ჩანს, უკრაინის „ნატოში" გაწევრიანება კარგა ხნით გადაიდო, ვინაიდან საკუთარი აგრესიული მიდგომით რუსეთმა სტრატეგიული უპირატესობა უკვე მოიპოვა. შევხედოთ მოვლენებს რუსეთის თვალით – მას სჭირდება ისეთი პლაცდარმი, რომელიც უკრაინიდან სირთულეების შექმნის ნებისმიერ მცდელობას გააჩერებს ან საფრთხეს შეუქმნის. როდესაც უკრაინაში ეს პროცესები დაიწყო, რამდენიმე ადამიანი ვისხედით რუკასთან და პირველი ის ვთქვით, რომ რუსეთი, როგორც ჩანს, დაიკავებდა ყირიმს. და დაიკავა კიდეც. ანუ სამხედრო-სტრატეგიული კუთხით, ეს იყო ბუნებრივი ნაბიჯი და ყველას უნდა სცოდნოდა, თუ რა მოხდებოდა.

**– მაგრამ არ ჰყოფნის მარტო ყირიმი.**

– მართალია, ყირიმი დიდი ბაზაა, მთლიანად ნახევარკუნძულია ბაზა, მაგრამ მასაც სჭირდება საკომუნიკაციო ხაზი, ანუ მიწოდება უნდა იყოს მყარი, ვიდრე ეს შეიძლება, იყოს ჰაერით და ზღვით მიწოდება. ამდენად, ბუნებრივია, რომ რუსეთს სჭირდება სახმელეთო დერეფანი. და ის, რაც ხდება აღმოსავლეთ უკრაინაში ჯერჯერობით ემსახურება იმას, რომ ეს დერეფანი შედგეს და ამ ვითარებამ რუსეთი ისევ სამხრეთ კავკასიისკენ შემოატრიალა. ანუ 2008 წელს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში თავისი საქმე გაკეთებული ეგონა და რესურსების მიმართვას აპირებდა შუა აზიისკენ, რათა შეექმნა ბუფერი იმ საფრთხისთვის, რაც შესაძლოა, წამოვიდეს ავღანეთიდან. მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო საინტერესო მოვლენები: თუ რუსეთმა და ევროპამ ვერ მოილაპარაკეს უკრაინის შესახებ.

**– ანუ, თუ რუსეთმა და დასავლეთმა ვერ გაიყვეს უკრაინა?**

– ეს ტერმინი არ მინდა, გამოვიყენო. რუსეთს უნდა, რომ მიიღოს ყირიმამდე მისასვლელი გარანტირებული სახმელეთო გზა და ეს შესაძლებელია, გაუყოფელი უკრაინის მოდელშიც და უკრაინის გაყოფის შემთხვევაშიც. ამ დერეფანს ემსახურება ნოვოროსიის იდეა. ხოლო თუ ამის რეალიზაცია გაჭირდა, მაშინ მას აუცილებლად დასჭირდება, რომ ხელახლა გადაიაზროს კავკასიაში ის ინფრასტრუქტურა, რომელსაც განიხილავს, როგორც თავის ფარს და ამ შემთხვევაში შეიძლება, რეალურად დადგეს საქართველოს გაყოფის საკითხი. ანუ ფაქტია, რომ აფხაზეთი-ცხინვალი-გიუმრის ბაზები მოითხოვს საყრდენ წერტილად ბათუმს. მაგრამ არავინ იცის, როდის დადგება ეს მომენტი.

**– ბათუმზე ხომ თურქეთს აქვს თავისი ინტერესები?**

– თურქეთთან რუსეთი ყოველთვის მონახავს საერთო ენას.

**– რთულად ვიჯერებ, რომ ყარსის ხელშეკრულებით გარანტირებული ბათუმი თურქეთმა დაუთმოს რუსეთს.**

– ჯერ ერთი, ყარსის შეთანხმება ვადიანია. მეორე – კავკასიაში დადგება გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების საკითხი და აქ რეალურად იქნება ორი მოთამაშე: რუსეთი და თურქეთი, შესაბამისად, დიდი ანგარიშით, რუსეთი და თურქეთი უფრო მონახავენ საერთო ენას, ვიდრე თურქეთი და ევროპა ან ვიდრე რუსეთი და ევროპა. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ჩანს. ამის დასტურია რუსეთ-თურქეთის წინა კვირის შეთანხმება გაზსადენის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ იმითაა ცუდი, რომ ევროპას უკარგავს გაზის პირდაპირი მიწოდების საშუალებას, არამედ იმიტომაც, რომ გარკვეულწილად, ჩვენი მილსადენი, რჩება თამაშგარე მდგომარეობაში. და მაშინ ჩვენ ხელახლა ვდგებით იმ დილემის წინაშე, თუ რა ფუნქცია გვაქვს ამ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში. ანუ ფუნქცია ხელახლა გვიხდება საძებარი და ყველა პრობლემა, რომელიც გვაწუხებს, აქტუალდება.

**– ამბობთ, საზღვარი გადმოიწევა აფხაზეთისა და ცხინვალის ბაზების დასაკავშირებლადო, მაგრამ იქ ხომ მოსახლეობა ცხოვრობს, ისინი სად მიდიან?**

– რჩებიან თავიანთ ადგილებზე, მაგრამ ჩნდება ახალი კონფიგურაცია, რომელშიც მათ მოუწევთ ცხოვრება.

**ნინო ხაჩიძე**

## ორშაბათი 15 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.30 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** 17.00 "ქართული ჯარი" 17.30 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 18.30 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "არენა" 23.30 მხ/ფ **"კოტონ მერი"** 02.10 "სამოთხის ვაშლები".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნიჭიერი 00.30 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნეს-კონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40, 22.00, 1.30 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 23.30, 3.30 **სერიალი "მდუმარენი"** 1.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35 სერ. **"ბოშა ქალი"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 მხ/ფ **"გაქცევის გეგმა"** (ა.შვარცენეგერი) 00.20 ქ.მხ/ფ **"კომა"**.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ **"ლაჰა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** 13.25 კონცერტი - კამერული მუსიკის საღამო (მანანა დოიჯაშვილი) 15.05 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 15.25 სპექტაკლი "აკაკი" 17.10 დ/ფ "მოგზაურობა ფოლკლორში" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"ძმა"** 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერიკი 21.30 ღვთის სახლი 21.45 დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ისე წილკნელი" 22.25 დ/ფ "ქართული კალათბურთი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "შორ ვართ" 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ხარება და გოგია"** / სერ. 01.10 ნიამორი.

## სამშაბათი 16 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.00 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 "ტელებლოგი" 18.30 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.40 მხ/ფ **"ამალია ერჰარტი"** 01.40 "სამოთხის ვაშლები".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 23.30 სოციალური ცელი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"**7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30. ბიზნესკონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"**14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**17.40, 22.00, 1.30 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"**23.30, 3.30 **სერიალი "მდუმარენი"**1.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 "*ID*".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40 ქრონიკა. 10.05 სერ.**"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ.**"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ.**"უდანაშაულო"** 17.35 სერ.**"ბოშა ქალი"** 18.45, 19.03 სერ.**"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ **"შავი წიგნი"** 02.50 მხ/ფ **"კაშკაშა ვარსკვლავი"** (პ.შნაიდერი).

06.10 საგალობელი 06.15 ნიამორი 06.35 მხ/ფ **"ხარება და გოგია"** / სერ. 07.45 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "შორ ვართ" 11.05 პატერიკი 11.10 დ/ფ "ქართული კალათბურთი" 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ **"ძმა"** 13.30 კონცერტი -თბილისური ავტოგრაფი 14.40 დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ისე წილკნელი" 15.05 სახლი ღვთისა (აფხაზეთი) 15.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.45 მხ/ფ **"ხსოვნა"** / ნაწ. 16.50 დ/ფ "გელინო" / ნაწ. 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ./ფ **"სუფთა დაფა"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჩვენი საგანძური" . გვანცელაძე 23.30 დ/ფ "მრავალთათვის საკეთილო" ერლომ ახვლედიანი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ხარება და გოგია"** // სერ. 01.10 ნიამორი

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**15 – 21 დეკემბერი**

*დარბაზი 1*
12.00, 14.15 - „მადაგასკარის პინგვინები" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
16.30, 19.30, 22.30 - „ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*
12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.10, 22.15 - „ნაღმი", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 3*
12.00, 14.15 - „ფუტკარი მაია" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*
16.45 - „შიმშილის თამაშები", *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
19.15, 22.30 - „ინტერსტელარი", *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 4*
12.00, 20.00, 22.30 - „შიმშილის თამაშები", *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
14.30, 17.30 - „აუტანელი ბოსები 2" (ქართულად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 5*
12.00, 15.00 - „ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
18.00, 20.15 - „მადაგასკარის პინგვინები" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
22.30 - „აუტანელი ბოსები 2" (რუსულად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*
12.00, 14.30, 17.00 - „მადაგასკარის პინგვინები" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
19.30, 22.30 - „ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*
12.00 - „შიმშილის თამაშები", *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
15.00, 20.15 - „აუტანელი ბოსები 2" (ქართულად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
17.15 - „ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
22.30 - „აუტანელი ბოსები 2" (რუსულად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 3*
12.00 - „ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
14.45, 17.15 - „შიმშილის თამაშები", *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
19.30 - „ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა" 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
22.30 - „ინტერსტელარი", *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com




# მოწევა კლავს
# მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

**მას შემდეგ, რაც „პავლოვიჩი" „რუსთავი 2-ის" სხვადასხვა შოუში გამოჩნდა, ის თითქმის მთელმა საქართველომ გაიცნო. „პავლოვიჩს" საკმაოდ ბევრი გეგმა და მიზანი აქვს და განათლების მინისტრთან შეხვედრასაც ითხოვს.**

# რატომ ითხოვს „პავლოვიჩი" განათლების მინისტრთან შეხვედრას და რა სიურპრიზებით ანებივრებს ის გოგონებს

**პავლოვიჩი:** შალვა მქვია, „პავლოვიჩი" სკოლის პერიოდში გავხდი, მამის სახელიდან გამომდინარე; მასწავლებელიც ასე მეძახდა და ძალიან მსიამოვნებდა.

**– გურჯაანში ვცხოვრობ, მაგრამ, მთიული ვარო, მითხარი.**

– დიახ, მამაჩემი ყაზბეგიდან იყო. მებრძოლი ადამიანი, 9 აპრილს მოიწამლა და შემდეგ დაავადდა. ონკოლოგიური ავადმყოფი იყო, სამი წლის წინ გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ფარ-ხმალი არ დამიყრია – ბავშვობიდან მებრძოლი ადამიანი ვარ, ჩემით ვიკვლევ გზას. სხვათა შორის, 2008 წელს პრეზიდენტმა დამაჯილდოვა „პატრიოტის" დიპლომით – ანუ, „ბანაკის კოლორიტის" დიპლომი მაქვს. კოლორიტი ადამიანი ვარ, ყველაფერი შემიძლია და მეხერხება: ლექსები, შაირები. სამსახიობოზე დავდიოდი და საკმარისი ცოდნა მაქვს მიღებული.

**– როგორ ცხოვრობდი, რას საქმიანობდი შოუში გამოჩენამდე?**

– ძალიან კარგად ვსწავლობდი. მოწესრიგებული ადამიანი ვარ. დღეს მასწავლებლები რომ მხედავენ, უკვირთ, რადგან, სკოლის შემდეგ შევიცვალე, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდისკენ შევიცვალე. სკოლაში უფრო მოკრძალებული ვიყავი, მერე კი უფრო „ჟილკიანი" გავხდი – მეტად მოვინდომე, რომ საკუთარ თავს დავეხმარო და გავიკვლიო გზა. როგორც ყველას, მეც შემიძლია საკუთარი თავის დაცვა, თუმცა, სხვას არ ვეტყვი: წინ ზიხარ, უკან დაჯექი-მეთქი, თუ რამეს არ დამიშავებს. უკონფლიქტო ადამიანი ვარ. გოგონებს, ქალბატონებს ყოველთვის ვანებივრებ – ლექსებს ვუძღვნი, სიურპრიზებს ვუკეთებ. მამაკაცებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს, ვაჟკაცური.

**– ია ფარულავას მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენ.**

– ია ფარულავა ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობია, თავისი საქმის უბადლო შემსრულებელი. გული მწყდება, რომ ია ფარულავას არ აქვს თავისი შოუ, გადაცემა. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ მეც არ ვიტყოდი უარს სატელევიზიო შოუს წამყვანობაზე და საკმაოდ კარგადაც გავაკეთებდი. ყველაფრისთვის საკუთარი სახელის დარქმევა მიყვარს. მე ია ფარულავა ქართველ სექს-სიმბოლოდ მიმაჩნია. სხვა სიურპრიზებიც მაქვს მის მიმართ, მაგრამ, საიდუმლოდ დავტოვებ. ჩემში ნება და ვნება არ ილევა.

**– ამჟამად რითი ხარ დაკავებული, რა არის შენი შემოსავლის წყარო?**

– ბავშვობიდან არაფერზე მითქვამს უარი, შრომაც არ მეზარება – ვშრომობ და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი ჯიბის ფული მქონდეს და ოჯახს დავეხმარო. როდესაც „ნიჭიერი" დაიწყო, ჩემს შესაძლებლობებში დავრწმუნდი და მივიღე მონაწილეობის გადაწყვეტილება. ადამიანები ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ და ყველაფერი საუკეთესო უნდა გავაკეთოთ, რომ ვისიამოვნოთ ჩვენც და ვასიამოვნოთ მაყურებელსაც. საკმაოდ დიდი გეგმები მაქვს, განსაკუთრებით – პოლიტიკის მხრივ.

**– ხომ არ აპირებ პოლიტიკაში მოსვლას?**

– ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა პოლიტიკა და აქტიურად ვიყავი ჩართული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მინდა, ხალხს და ქვეყანას გამოვადგე; მინდა, წინ წავიდეს ქვეყანა. დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაა, გული მწყდება და, მინდა, ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდეს. როდესაც ხალხი ჩემთან ერთად სიამოვნებას იღებს, მინდა, ეს სხვა მხრივაც გავრცელდეს, ჩემი ცხოვრებაც წინ წავიდეს და ხალხსაც გამოვადგე. ასჯერ რომ წავაგო, ასმეერთეჯერ მაინც წავალ მოგებისკენ. მუდმივად მიზნისკენ მივდივარ, მოტივირებული ადამიანი ვარ. საკუთარი თავის პირადი ექიმი ვარ, იმ გაგებით, რომ, მიყვარს ყველაფრის კარგად გაანალიზება, დიაგნოზის დასმა და სწორი მიმართულებით წაყვანა.





ჩემში ნება და ვნება არ ილევა

**თანხა გადავუხადე, საკმაოდ სერიოზული თანხა აიღეს, ვიქირავე**

**– შენი სასცენო სამოსი ვინ შეარჩია?**

– დიზაინერმა, ოღონდ, ჩემთან ერთად. ის საკმაოდ ცნობილი და ერთ-ერთი საუკეთესოა თავის საქმეში. მიყვარს ასეთი რაღაცეები. სამსახიობო გამოსვლები არ მესწავლება – საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს ამ მხრივ. თამამად ჩაცმაც მიყვარს. ქალმაც, გოგონამაც უნდა გამოაჩინოს ის, რაც ლამაზი აქვს, ოღონდ, ეს ლამაზად უნდა მოხდეს. ღმერთმა რისთვის მოგცა სილამაზე, თუ არ გამოაჩენ? ოღონდ, ეს უნდა იყოს ლამაზად, მისაღებად და არა ამაზრზენად.

**– და როგორი გოგონები მოგწონს?**

– ტანწერწეტა გოგონები და ქალბატონები მომწონს, გრძელფეხება, ლამაზი, გრძელი ქერა თმით, სახეზეც ნორმალურად ყველაფერი. სლავური გარეგნობის გოგონები მიზიდავს. გოგო კაბაშია ლამაზი, შარვალში იმალება მისი სილამაზე. კოლგოტი ამშვენებს ქალს ფეხზე, განსაკუთრებით კი შავ კოლგოტშია ქალის ფეხი ლამაზი, თან, პლუს მინი ჯინსის კაბა და ქუსლიანი ფეხსაცმელი. როდესაც ვინმე მომწონს, ვცდილობ, მასთან შევიდე კონტაქტში, ნორმალური ურთიერთობა ავაწყო, კომპლიმენტები ვუთხრა, სიურპრიზებით ავავსო – მთავარი ურთიერთგაგებაა.

**– სად იშოვე ის მოცეკვავე გოგონები?**

– ვიქირავე, საკმაოდ სერიოზული თანხა აიღეს. ამ ყველაფერში საკმაოდ დიდი თანხები მიდის და, მინდა, დამიფასდეს, თან, ყველაფერს ჩემით ვაკეთებ, ამხანაგი მეხმარება და გვინდა, ეს თანხები ამოვიღოთ. მოტივაციაც მაქვს და გულშემატკივრების იმედიც, რომლებიც ძალიან მიყვარს. ქუჩაშიც საოცარ სითბოს ვგრძნობ და ტელეფონის ზარებიც არ ჩერდება. მე მათთვის ვაკეთებ ყველაფერს, მიყვარს პუბლიკა და დიდ სიამოვნებას ვიღებ. ძალიან მინდა, ერთი რაღაც ვთქვა და, იქნებ, დაწეროთ: წლებია, განათლების მინისტრთან შეხვედრას ვითხოვ – განათლებასთან დაკავშირებით მინდა საუბარი. დღეს, თუ რეპეტიტორებთან არ მოემზადები, ისე ვერ ჩააბარებ ეროვნულ გამოცდებს. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ, თავს ზევით ძალა არ იყო, არ გვქონდა იმის საშუალება, რომ რეპეტიტორებთან წავსულიყავი და მოვმზადებულიყავი. დღეს სკოლის ცოდნას არანაირი ფასი არ აქვს – ამაზე არაერთხელ მისაუბრია, უბრალოდ, ამას არავინ აღიარებს. მე ვამბობ, რომ სკოლის ცოდნას დაედოს ფასი, უმაღლესში ბარდებოდეს ის, რაც სკოლაში ისწავლება. აბა, რისთვის ახეხინებენ 12 კლასს მოსწავლეებს, თუ მერე რეპეტიტორებთან მიდიან?! ყველას არ აქვს ამის საშუალება. განათლების მინისტრს, თამარ სანიკიძეს მივმართავ: ამდენი ხანია, ვცდილობ თქვენთან შეხვედრას და მიკადრეთ. სწავლის გაგრძელება მინდა და, ვითხოვ, რომ უმაღლეში ჩაბარება ატესტატის ნიშნებითა და სკოლაში მიღებული ცოდნით მოხდეს. რომ ამბობენ, ეროვნულზე ის ბარდება, რასაც სკოლაში ასწავლიანო, ორჯერ გავედი გამოცდაზე და ორჯერვე ისეთი რაღაცეები შემხვდა, რაც სკოლაში არ მისწავლია; რეპეტიტორი რომ მყოლოდა, ჩავაბარებდი. საერთაშორისო ურთიერთობებზე მინდა ჩაბარება და არ ვყრი ფარხმალს. საკმაოდ ნაკითხი, ნასწავლი ადამიანი ვარ და, მინდა, უფრო გავიღრმავო ცოდნა, შევძლო ჩაბარება უმაღლესში. თუ არაფერი გამოვა, მაშინ წავალ საქართველოდან, რომელიმე ქვეყანას ლტოლვილად ჩავბარდები და იმ ქვეყანას გამოვადგები, რომელიც გვერდში დამიდგება.

**ნათია უტიაშვილი**

# თევზი ჩინურად ნივრის ცხარე სოუსში





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი კალმახი, 2-3 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი თეთრი მშრალი ღვინო, 1,5 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, ცოტა მწვანე ხახვი, 1 კბილი ნიორი, კოჭა, წითელი ცხარე წიწაკა, 1,5 ჩაის კოვზი შაქარი, 1 სადილის კოვზი თეთრი ღვინის ძმარი, 2 სადილის კოვზი სახამებელი, 150 მილილიტრი წყალი, ზეთი.

**მომზადების წესი:** თევზი გაასუფთავეთ და გააკეთეთ მასში ღრმა ჩანაჭრები, ღვინოში შეურიეთ სოიის სოუსი, მოასხით თევზს და გააჩერეთ 10-15 წუთი (თევზი დროდადრო გადააბრუნეთ). მწვანე ხახვი დაჭერით წვრილად და ერთმანეთისგან გააცალკევეთ მისი თეთრი და მწვანე ნაწილები.

ზეთი გააცხელეთ ტაფაზე და შებრაწეთ თევზი ორივე მხრიდან (თითოეული მხრიდან 3-4 წუთის განმავლობაში).

ამოიღეთ თევზი და ტაფაზე მოხრაკეთ დაკეპილი ნიორი, ხახვის თეთრი ნაწილი, წვრილად გახეხილი კოჭა (1 სანტიმეტრი სიგრძის ფესვი საკმარისია); დაუმატეთ წყალი, ცხარე წიწაკა, ტომატ-პასტა, ძმარი, შაქარი. ამ სოუსში ჩააწყვეთ თევზი და 3-4 წუთის განმავლობაში შუშეთ. შემდეგ მოაყარეთ ხახვის მწვანე ნაწილი და კარტოფილის სახამებელი. ფრთხილად ამოურიეთ და მზად არის.



# უცნაური ბლინები



**საჭირო ინგრედიენტები:** 130 მილილიტრი მდუღარე წყალი, 70 გრამი ზეთი, 200 გრამი ფქვილი, 400 გრამი ხაჭო, 10 გრამი ტკბილი ვანილი, 1 ცალი კვერცხი, 2 სუფრის კოვზი შაქარი, 20 გრამი კარაქი.

**მომზადების წესი:** ზეთი და მდუღარე წყალი შეურიეთ ერთმანეთში, დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. ჩაყარეთ მაშინვე ფქვილი და ძალიან კარგად აურიეთ, ჯერ კოვზით, მერე – ხელით. სანამ ცომი გაცივდება, მოამზადეთ შიგთავსი: ერთმანეთში შეურიეთ ხაჭო, კვერცხი, შაქარი, ვანილი და გამდნარი კარაქი.

ცომი დაჭერით მომცრო ნაჭრებად, თითოეული გააბრტყელეთ და შუაგულში კოვზით მოათავსეთ შიგთავსი. შეკარით, როგორც კონვერტი და ნაპირები კარგად დაუკეცეთ, პირი კი ბოლომდე არ შეუკრათ, რომ გამოცხობისას ხაჭო ცომში არ გამოვიდეს. გამოაცხვეთ 200 გრადუსზე, 25 წუთის განმავლობაში. ზემოდან წაუსვით რძე ან კვერცხის გული.

* ლეიკოპლასტირისა და სალეჭი რეზინისგან დატოვებული ლაქების მოშორება მაცივრის გარეშე შეუძლებელია: სველი ნივთი მოათავსეთ საყინულეში; გაყინვის შემდეგ ლაქიანი ადგილი აფხიკეთ ბლაგვი დანით, ხოლო ლაქა ბენზინში დასველებული ბამბით კარგად ამოწმინდეთ (გამოდგება სპირტიც და აცეტონიც), ბოლოს კი ჩვეულებრივად გარეცხეთ.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# საახალწლო ხორცის ბურთი





**საჭირო ინგრედიენტები:** 450 გრამი ხორცის ფილე (300 – ღორის, 150 გრამი – ქათმის), 1 თავი ხახვი, 1 ცალი მოზრდილი სტაფილო, 80 გრამი მაგარი ყველი, 6-7 ცალი ქამა სოკო, ქინძი და ოხრახუში, დაფნის ფოთოლი, სურნელოვანი პილპილი, მარილი, სოიის სოუსი, ცოტა მდოგვი, 1 ცალი ლიმონი, 3 კბილი ნიორი, ზეთი.

**მომზადების წესი:** ღორის ხორცის ფილე დაბეგვეთ ძალიან კარგად და მოაყარეთ მარილი და სუნელი; ქათმის ფილე დაჭერით წვრილ ჩხირებად, ასევე მოაყარეთ სუნელი, მარილი და ჩაალბეთ მარინადში.

მარინადი მოამზადეთ ასე: სოიის სოუსს შეურიეთ 2 სადილის კოვზი მდოგვი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და 2 სადილის კოვზი ზეთი.

სანამ ხორცი მარინადში დევს, ძალიან წვრილად დაჭერით ხახვი, სტაფილო, მოხარშეთ სოკოს „ქუდები“ (წყალი რომ ადუღდება, 3 წუთში მზად იქნება). ხარშვისას წყალში ჩააგდეთ დაფნის ფოთოლი. სოკო გააცივეთ. სახეხზე გახეხეთ ყველი, წვრილად დაჭერით მწვანილი, ნიორი დაჭყლიტეთ. ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ და ამოავსეთ სოკოს ქუდები. მრგვალ ფორმაში ჩააფინეთ ფოლგა და ჩადეთ მასში ღორის ხორცის ფილე (ნაპირები ფორმაზე უნდა იყოს გადმოფენილი), ფსკერზე კი დააწყვეთ ორი სადილის კოვზი ზეთში მოშუშული სტაფილო და ხახვი, ზემოდან დაალაგეთ სოკოს „ქუდები“ და მოაყარეთ (უნდა დაიფაროს) ქათმის ნაჭრები. ბოლო ფენად ისევ მოშუშული ბოსტნეული გადააფარეთ ფილეს და შეფუთეთ ფოლგაში. მოათავსეთ ცხელ აირღუმელში და გამოაცხვეთ 180 გრადუსზე. 35 წუთის შემდეგ ფოლგა გახსენით, რომ ხორცი დაიბრაწოს. მოაყარეთ ცოტა ყველი და სუნელი. რამდენიმე წუთის შემდეგ საოცარი კერძი მზად იქნება.



# ბოსტნეულის ჩაშუშული ბერძნულად – ბაია დვალიშვილისგან



*მიუხედავად დატვირთული დღის რეჟიმისა, ძალიან მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი და კერძების მომზადება. ყოველთვის ვცდილობ, ოჯახის წევრები და ახლობლები უცხო საჭმელებით გავანებივრო. მოშუშული ბოსტნეული ბერძნულად – ის კერძია, რომელიც საკმაოდ მარტივად მზადდება და არც ბევრი ინგრედიენტი სჭირდება.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი კიტრი, 1 კბილი ნიორი, ნახევარი ლიმონი, 150 გრამი იოგურტი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 თავი ხახვი, 250 გრამი პეკინური კომბოსტო, 1 სადილის კოვზი სანელებლების ნაკრები, მარილი, პილპილი და დაღერღილი წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კიტრი გაფცქვენით, სიგრძეზე გაჭერით, თესლი ამოაცალეთ და მსხვილად გახეხეთ ან ძალიან თხელ, მოგრძო ნაჭრებად დაჭერით. გახეხილ კიტრს მოაყარეთ მარილი და 15 წუთი დატოვეთ. ნიორი წვრილად დაკეპეთ, ლიმონი გამოწურეთ. ერთმანეთში შეურიეთ იოგურტი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, იოგურტი, დაღერღილი წიწაკა და მარილი; კიტრი გაწურეთ და შეურიეთ დანარჩენ ინგრედიენტებს. ხახვი გაფცქვენით, წიწაკას ამოაცალეთ თესლი. პეკინური კომბოსტო, ხახვი და წიწაკა თხლად დაჭერით. წიწაკა და სტაფილო დარჩენილ ზეთში 3-4 წუთი შუშეთ, დაუმატეთ ჯერ კომბოსტო, ხოლო 2 წუთში – ხახვი და წვრილად დაჭრილი ნიორი. მოაყარეთ სანელებელი, მარილი, პილპილი და დარჩენილ ლიმონის წვენთან ერთად მოასხით იოგურტის სოუსი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# კვერცხი ბეკონით

**საჭირო ინგრედიენტები:** 6 ცალი კვერცხი, 24 ნაჭერი თხლად დაჭრილი ბეკონი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი წვრილად დაჭრილი ოხრახუში, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ღუმელი 180 გრადუსზე გააცხელეთ. 6 ცალ მაფინის ფორმას წაუსვით ზეთი, ფორმებში ჩააფინეთ ბეკონის ნაჭრები ისე, რომ ფენებმა ფორმა სრულად შეავსოს და გვერდებზეც გადმოვიდეს. შუაში ჩაახალეთ კვერცხი, მოაყარეთ მარილი და პილპილი და 10-12 წუთით შედგით გახურებულ ღუმელში. ღუმლიდან გამოღების შემდეგ შეაგრილეთ, ფრთხილად ამოიღეთ ფორმებიდან, მოაყარეთ ოხრახუში და მიიტანეთ სუფრაზე.





# სამარხვო დესერტი

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ჭიქა ქოქოსის ფანტელი, 2 ჭიქა წყალი, 1 ჭიქა შაქარი, 1/2 ჩაის ჭიქა ფქვილი, 200 გრამი სამარხვო კარაქი, ნახევარი ფილა თეთრი, სამარხვო შოკოლადი, 1 ფინჯანი დაჭრილი ხილი (სხვადასხვა სახეობის), ცუკატები – მოსართავად.

**მომზადების წესი:** 1/2 ჭიქა ქოქოსის ფანტელს დაასხით 2 ჭიქა წყალი, ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში და გადაწურეთ. 1,5 ჭიქა ქოქოსის ნახარშში, გახსენით შაქარი და ფქვილი და მუდმივი მორევით ხარშეთ. კარგად რომ შესქელდება, ათქვიფეთ მიქსერით და გააცივეთ. ცივ კრემს შეათქვიფეთ ოთახის ტემპერატურაზე დარბილებული კარაქი. კრემი ხილთან და დანარჩენ ქოქოსის ფანტელთან ერთად გადაანაწილეთ ფორმებში, ზემოდან მოაყარეთ დაფხვნილი შოკოლადი და ცუკატები.

# ვემზადებით საახალწლოდ!

**ეს კომპოზიციები საკმაოდ ძვირად ღირებული საახალწლო სამშვენისებია, არადა, საკმაოდ ადვილად შეგიძლიათ, დაამზადოთ საკუთარი ხელით.**





პირველი – ეს არის ორიგინალური ნაძვის ხე. თქვენი ფანტაზია და გემოვნება აქ შეუზღუდავია. შეგიძლიათ, პირდაპირ შეიძინოთ მინიატურული მოდელი და შეუდგეთ საქმეს, ან, დააკვირდეთ სურათებს და ხმელი ყლორტებისგან თავად დაწნათ საწყისი „ბაზა“ თქვენი კომპოზიციისთვის. დაგჭირდებათ ბაწარი, ოქროსფერი ან ვერცხლისფერი საღებავი (პულვერიზატორში). მძივები, გირჩები, ხის „შპილკები“ (სარეცხისთვის), ნაძვის ხის ძველი სათამაშოები. როცა ყველაფერს მოიმარაგებთ, შეუდექით საქმეს: ორიგინალურ ნაძვის ხეზე დაამაგრეთ გირჩები, მძივები, შპილკები, ბაფთები... ზოგი შეღებეთ; შეგიძლიათ, ნაძვის ხეს შიგნიდან ძველი მაგიდის სანათი დაუმაგროთ და გაანათოთ კიდეც. ასეთ კომპოზიციას თქვენგან საჩუქრად სიამოვნებით მიიღებენ მეგობარ-ახლობლებიც.



## ზღაპრული საახალწლო სასანთლეები

ჯერ კარგად დააკვირდით სურათებს. მიხვდით, მასალად რა დაგჭირდებათ? საღებავი-პულვერიზატორი – ოქროსფერი ან ვერცხლისფერი... ან, უბრალოდ, ლაკი; ნაძვის, ფიჭვის ან კვიპაროსის ტოტები; სანთლები და შუშის ფუჟერები (ნებისმიერი ფორმის. სწორკუთხა უკეთესია). კომპოზიციის „აწყობა“ კი, თავადაც ხედავთ, ძალიან ადვილია.

**ქეთი ორჯონიკიძე ყველასთვის ცნობილი და საყვარელი მომღერალია... ის წლებია, ქართულ ესტრადაზე ჩანს. მომღერლის ცხოვრება ყოველთვის უამრავი სიახლითაა სავსე. ამ ეტაპზე მას კარიერაში შესვენება აქვს. თუ რატომ – ამ საკითხზე თავად უკეთ გვიამბობს.**

# რატომ იგონებდა ქეთი ორჯონიკიძე სიმელოტის საწინააღმდეგო წამალს და ვისზე გამოცადა მან საკუთარი ხელით დამზადებული წამლები

**ქეთი ორჯონიკიძე:** ამ ეტაპზე ახალი არაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში. ზოგადად, არც ქვეყანაში ხდება რამე. შესაბამისად, ჩემს კარიერასაც სძინავს. ერთადერთი სიახლე ისაა, რომ აღდგა „გეპეის" ორკესტრი, სადაც სოლისტი ვარ და ვემზადები კონცერტისთვის. ბავშვობიდან ძალიან აქტიური ცხოვრება მქონდა და სულ დატვირთული ვიყავი. წარმატებასაც 8 წლის ასაკში მივაღწიე – საფრანგეთში, პიანისტთა კონკურსზე პირველი ადგილი ავიღე. ახლა, უცებ რომ მოვეშვი, რაღაცნაირად ავიბურდე. ბევრ რამეზე დავდიოდი, ფიგურულ სრიალზედაც კი, სხვათა შორის ცეკვაზე უკეთაც გამომდიოდა *(იცინის).* ქართულებს ვერ ვცეკვავდი. დიდი კიკინები მქონდა და ლურსმნებზე მკიდებდნენ ხოლმე თმებით, თითის წვერებზე რომ დავმდგარიყავი. აღმოვაჩინე, რომ მუშა მდგომარეობაში ყოფნისთვის, საჭიროა, მქონდეს სტრესული სიტუაცია *(იცინის).*

**– რადგანაც საქართველოში „მიძინებულია" შენი კარიერა, უცხოეთში გამგზავრებას ხომ არ გეგმავ?**

– ბევრ რაღაცას ვგეგმავ, მაგრამ ჩემი გეგმები ისევე გაჰყვა წყალს, როგორც შარშანდელი თოვლი *(იცინის).* საერთოდ, როცა, რაღაცას ვგეგმავ, არასოდეს გამომდის. ყოველთვის, ყველაფერი ერთად მაქვს, ან პირიქით. მაგალითად, თვეები ისე გადის, ერთი კონცერტიც არ მაქვს, მაგრამ შეიძლება, ერთ დღეს სამი კონცერტი მქონდეს და წასვლას ვერ ვასწრებდე რომელიმეზე. ასე მეთამაშება ცხოვრება *(იცინის).* ისე, ყველაფერს სხვას ვერ დავაბრალებ. ბოლო პერიოდში აღარ ვარ ისეთი აქტიური, როგორც ადრე. ალბათ, ეს დროებითია და იმედია, გამივლის. ბერლინში მინდა, ვისწავლო. ამ ბოლო დროს ეს ამეკვიატა.

**– მსახიობობა გინდოდა, ხომ არ ეუფლები უკვე ამ პროფესიას?**

– მინდოდა და დღესაც მინდა. ჯერ არ ვეუფლები. ძალიან მინდა მსახიობობა, მაგრამ ამასაც ვერ მოვაბი თავი. რაღაცა მჭირს, ბევრ რაღაცას მოვედე და ცოტა დავიბენი, მაგრამ იმედია, მალე მოვუყრი თავს ამ ყოველივეს. ბევრი გატაცებიდან გამომდინარე, კონცენტრაცია ველარ მოვახდინე ერთ რამეზე. ამან კიდევ, ასე ვთქვათ, „დამატორმუზა" *(იცინის).* ჩემთვის მომღერალი, რომელსაც არ აქვს სამსახიობო განათლება, შემდგარი მომღერალი არაა. ის შეიძლება, იყოს კარგი ვოკალისტი. დიდი განსხვავებაა მომღერალსა და მხოლოდ ვოკალისტს შორის. ძალიან მალე უნდა მივიღო გადაწყვეტილება, ბოლოს და ბოლოს რა მინდა, თორემ უკვე ცოტა უხერხულია *(იცინის).*

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება? იქაც ყველაფერი სტაბილურადაა?**

– აბსოლუტურად არაფერი ხდება. რამე რომ ხდებოდეს, არ გავასაჯაროებდი ნამდვილად. პირადი იმიტომ ჰქვია, რომ შენ გეხება და არაა აუცილებელი, მასზე ისაუბრო. ზოგადად, ურთიერთობა და ქორწინებაც სხვა ცნებაა. ქორწინება არაა გამოსავალი. ჯერ არ ვფიქრობ ოჯახის შექმნაზე. კარიერაში, ასე ვთქვათ, კრიზისი მაქვს, რა დროს ქორწინებაა *(იცინის).* როდესაც დამოუკიდებელი ვიქნები და ნაწილობრივ მაინც მივაღწევ, რაც მინდა, შემდეგ უკვე ვიფიქრებ ოჯახის შექმნაზე. შემოქმედი ადამიანი, თუ თავის სფეროში, რაღაც დონეზე არაა, არ ვითარდება, არ მუშაობს მუდმივად და ასე შემდეგ, ძალიან ხშირად ცუდ ხასიათზეა. საერთოდ, არ მიყვარს უხეშობა და მსგავსი რაღაცეები, მით უმეტეს, პირად ურთიერთობებში. ჩემთვის ურთიერთობა დაფუძნებულია გაგებასა და ურთიერთპატივისცემაზე. როცა ხვდები, რომ რაღაც მომენტში, შენი ქცევა არ ემთხვევა შენს იდიალებს, მაშინ სხვა არ უნდა შეაწუხო და პირადი პრობლება უნდა მოაგვარო. მერე უკვე შეგიძლია, დაიწყო ურთიერთობაც და ყველაფერი.



**ჩემი ლაბორატორია არ ჰგავდა ბავშვისას, სულ რაღაცეები დუღდა და გადმოდუღდა**

**– ანუ, კარიერისტი ხარ?**

– ასეც ვერ ვიტყვი. ყოფილა შემთხვევები, როცა მყოლია შეყვარებული და მის გამო არ გამიკეთებია რაღაც, რაც კარიერაში დამეხმარებოდა. ვფიქრობ, ადამიანი, რომელიც შენ გვერდითაა, თუ ხელს გიწყობს, ერთად ფონს გახვალთ. ერთად გაიტანთ ორივეს – კარიერაც და ურთიერთობაც ძალიან კარგი გექნებათ.

**კარიერაში, ასე ვთქვათ, კრიზისი მაქვს, რა დროს ქორწინებაა**

**– სპორტული სტილი გაქვს, ქუსლიან ფეხსაცმელს როგორ ეგუები?**

– ნორმალურად. უბრალოდ, მეზარება სულ მაღლებზე დგომა. იყო დრო, სულ ქუსლებზე ვიდექი და მინი კაბები მეცვა. ასევე, გრძელი თმაც მქონდა *(იცინის).* მაშინ პატარა ვიყავი, დაახლოებით 16-17 წლის, დიდობა მინდოდა *(იცინის).* ახლა, ცოტა რომ გავიზარდე, ისევ პატარა მინდა, ვიყო. საერთოდ, ცვლილებები მიყვარს. თუ რაღაც დიდხანს მაქვს, ესე იგი ჩემთვის კომფორტულია. თუ რამე შემაწუხებს, არც დავფიქრდები, ისე მოვიცილებ *(იცინის).*

**– ყოველთვის მომღერლობა გინდოდა?**

– ბავშვობაში, რა თქმა უნდა, მეც ვჭრიდი და ვკერავდი რაღაცეებს და თოჯინებითაც ვთამაშობდი, მაგრამ მომღერლობაზე არ ვფიქრობდი. ძალიან მინდოდა, ვყოფილიყავი ქიმიკოსი. მქონდა კოლბები, სადუღებლები, მიკროსკოპები და ასე შემდეგ. ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა მიყვარდა. სულ ვცდილობდი, რაღაც გამომეგონა. მაგალითად, სიმელოტის წამალი. ჩემს გარშემო არავინაა მელოტი და რატომ ვიყავი ამ პრობლემით შეწუხებული, არ ვიცი *(იცინის).* ეს ჩემი წამალი ვერავისზე რომ ვერ მოვსინჯე, ჩემს ძაღლს წავუსვი. საწყალს იმ ადგილზე საერთოდ აღარ ამოუვიდა თმა *(იცინის).* ამის შემდეგ გადავწყვიტე კანის გამაჯანსაღებელი წამალი შემექმნა. ეს წამალი უკვე საკუთარ თავზე გამოვცადე და ხელზე წავისვი. შეიძლება ითქვას, რომ ძლივს აღვიდგინე კანი *(იცინის).* მაშინ პატარა ვიყავი, დაახლოებით მეორე, მესამე კლასში. ჩემი ლაბორატორია არ ჰგავდა ბავშვისას, სულ რაღაცეები დუღდა და გადმოდუღდა.

**– ბოლოს თავად მიხვდი, რომ ეს საქმე არ გამოგდიოდა, თუ ვინმემ მიგახვედრა?**

– ბოლოს დედამ მითხრა, შვილო, ვიდრე სიცოცხლის ელექსირის გამოგონება დაგიწყია და მსხვერპლი მოჰყოლია შენს საქმიანობას, შეეშვიო *(იცინის).* თუ ძალიან გინდა, წესიერად წაიკითხე და ისე გააკეთე რამე, ან გაჩერდი საერთოდო *(იცინის).* ისე, ძალიან ცელქი ვიყავი, ვამზადებდი ასაფეთქებლებს სხვადასხვა – სუნი და ფერი ჰქონდა. კლასელებს ვაშინებდი *(იცინის).* ახლა რომ ვიხსენებ, უფრო ვხვდები, რამდენად მაგარი ბავშვობაც მქონდა.

**– თაყვანისმცემლებისგან განებივრებული იქნები სიურპიზებით...**

– კი, მაგრამ ეს უფრო ადრე იყო. ამ ბოლო დროს მოიკლო, არ გაქრა, ოღონდ... ესეც ტალღასავითაა *(იცინის).* სახლთან მიტოვებდნენ საჩუქრებს, თავად ისინი კი, არ ჩანდნენ *(იცინის).* სერენადა არავის უმღერია, ალბათ, იმ ჟანრში ვერ ჩასვეს, რომელსაც თავად ვმღერი და ვუსმენ *(იცინის).* ფანჯარაში გუნდებსა და კენჭებს მესროდნენ ხოლმე, რომ გამეხედა. საერთოდ, გუნდებს ძალიან ვიზიდავ *(იცინის).* ერთ-ერთ საახალწლო კონცერტზე კურიოზი გადამხდა თავს. სცენაზე ისროდნენ გუნდებს. ფიზიკურად მაღლები, სულ დაგუნდული გამოდიოდნენ სცენიდან. იმათ რომ ტანზე ხვდებოდათ, ჩემი პარამეტრებიდან გამომდინარე, ვიცოდი, სახეზე არ ამცდებოდა. ამიხდა კიდეც – თვალის არეში მომხვდა გუნდა და საბოლოო ჯამში, თვალი ჩამილურჯდა, დამიწვრილდა. უბედურება ის იყო, რომ იქიდან პირდაპირ მეორე კონცერტზე მივდიოდი. ცალი თვალი მქონდა დაწვრილებული, ცალი ჩვეულებრივი – ასე ხომ ვერ გავიდოდი სცენაზე?! ამიტომ, მეორე თვალიც დავაწვრილე, ძლივს ვიხედებოდი *(იცინის).* ხალხს ეგონა, სულ სხვა მდგომარეობაში ვიყავი *(იცინის).*

**– ახალ წელს სად იქნები?**

– არ ვიცი. ძალიან მინდოდა, უცხოეთში წასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე. თოვლის ბაბუის ფორმა მაქვს. ადრე ვიცვამდი ხოლმე და მივდიოდი ჩემს რამდენიმე მეგობართან კანფეტებით ხელში *(იცინის).* ახალი წელი და ჩემი დაბადების დღე მიყვარს ძალიან. ნაძვის ხე აუცილებლად თავად უნდა მოვრთო, დაშლა მეზარება *(იცინის).* ეს ბოლო 3 წელია, რაც სახლი არ მომირთავს, თორემ ადრე ყველა ჭაღსა და კედელზე რაღაც იყო ჩამოკიდებული.

**ეთო ხურციძე**

**გიორგი მახარაშვილი და ლეკა მიქაძე რამდენიმე თვეა, შეყვარებულები არიან. „ორ ვარსკვლავში“ გიორგიმ ყველაზე დიდი საჩუქარი მიიღო: ლეკა, რომელიც „იმედში“ მუშაობს და მათ ერთმანეთი სწორედ შოუს მიმდინარეობისას გაიცნეს.**

# როგორ „მოიგო“ შეყვარებული გიორგი მახარაშვილმა და რატომ უმღეროდა ის სასიდედროს სერენადებს

**– გიორგი, „ორი ვარსკვლავი“ კი მოიგე, მაგრამ არაფერი შეგხვდა. სამაგიეროდ, ყველაზე დიდი საჩუქარი მიიღე – ლეკას სახით.**

**ლეკა**: მე მომიგო.

**გიორგი**: ხალხი მეკითხებოდა: რა მოიგე, რა მოიგეო და მერე სტატუსიც დავწერე „ფეისბუქზე”: ყველაზე კარგი პრიზი მოვიგე-მეთქი. იმ პერიოდში მანქანაც გამოვცვალე და ყველას ეგონა, მანქანა შოუში მოვიგე ან ირინამ მიყიდა. არა, მხოლოდ ლეკა მოვიგე იმ პროექტში-მეთქი.

**– როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა?**

**ლეკა**: ძალიან ჩვეულებრივად. მანამდე არც ვიცნობდი გიორგის, „ორ ვარსკვლავში“ გავიცანი.

**გიორგი**: ტელევიზორს საერთოდ არ უყურებს. ერთადერთი „ვოისზე“ ჩემი ნამღერი – Moon river ჰქონდა „ფეისბუქზე“ გაზიარებული.

**ლეკა**: ეს სიმღერა მიყვარს მთელი ცხოვრება. მომეწონა ამის ნამღერი და დავდე.

**გიორგი**: ოღონდ, არ იცოდა, ვინ მღეროდა, ვინ იყო ეს გიორგი მახარაშვილი. „ორ ვარსკვლავში“ ხშირად მთელი დღე ერთად გვიწევდა ყოფნა, ან სადმე მივდიოდით. მაშინაც და მერეც, სულ ერთად ვართ.

**ლეკა**: ისე დაემთხვა, რომ მე რუსთაველზე ვცხოვრობ, გიორგი – სოლოლაკში. ხან სახლში დამტოვებდა, ხან გამომივლიდა, ხან ვჭამდით, ხან ვსამდით.

**გიორგი**: თავიდან მაგრად ვეჩალიჩებოდი: „მაკდონალდსში“ ვპატიჟებდი.

**ლეკა**: მესიჯები კი მქონდა: „დილა მშვიდობისა“.

**გიორგი**: პირველი, რაც საერთო აღმოგვაჩნდა: ორივეს გვიყვარს ჭამა. ასე, ნელ-ნელა შევყევით. რეპეტიციებზე მასწავლებლები იყვნენ და კიდევ ეს და ერთი გოგო, რომლებიც მირეკავდნენ: ამ დროს მოდი რეპეტიციაზე და ასე შემდეგ. მეორე რომ მირეკავდა, არ მინდოდა, მინდოდა ლეკას დაერეკა. ამიტომ, მე ვურეკავდი: რომელ საათზე გვაქვს რეპეტიცია-მეთქი. ბოლოს ვიარეთ, ვიარეთ და ასე, ეტაპობრივად, განვითარდა ყველაფერი. ლეკა ის ადამიანია, რომელიც ძალიან კარგად მიცნობს. რაც მთავარია, არასდროს უთხოვია: იმღერეო.

**ლეკა**: ერთი წამით მოიცადე. ლაშას ქორწილში არ გთხოვე, იმღერე-მეთქი?

**გიორგი**: კი და კიდევ – რაჭაში. მოკლედ, რაჭაში ვართ, ჩვენი ძმაკაცის შეყვარებულს ჩავაკითხეთ. ისე მოგვეწონა, ერთი კვირა დავრჩით. მგონი, მაშინ პირველად მითხრა: დაუკარი, უნდა ვიცეკვოო. წარმოიდგინე, მთაში ვართ, ძალიან ცივა, ვსვამთ მეგობრები, მეზობლები. ეს კი მეუბნება: დამიკარი, უნდა ვიცეკვოო, თან, გიტარა მიჭირავს ხელში, გაყინული მაქვს თითები. აჭარული დავუკარი, მეტი რა უნდა დამეკრა. არა, გაჩერდი, უსიტყვო და ჩქარები დამიკარიო. მივხვდი, რომ ჩემი სიმღერა კი არ უნდოდა, ვერ აერთებდა დინამიკში. ლაშას ქორწილი ***(ღუღუნიშვილი – ავტორი)*** სულ სხვა ფენომენი იყო. ისე გავერთეთ, ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც მეორე დღეს არ მახსოვდა.

**ლეკა**: მაგალითად, მანქანა ხეზე გააჩერა.

**გიორგი**: რომ ვაყენებდი „ზადნით“, თურმე ორი ბორბლით ხეზე ავსულვარ. მეორე დღეს, რომ მივედი, ისე შემეშინდა დაძვრის, კარი რომ გამოვაღე ჩამოვარდა. ვერ მივხვდი, რა სჭირდა – უკნიდან რომ შემოვუარე, მერე დავინახე.

**– რაში ემთხვევა თქვენი გემოვნება?**

**ლეკა**: მუსიკაში, გართობაში – ვერა. ანუ, თან ემთხვევა, თან – ვერა. კლუბებში სიარული არ უყვარს, თუმცა არც მე დავდივარ ხშირად. მაგრამ, თუ მიდის, კარგად ერთობა.



ლეკა: „მაგალითად, მანქანა ხეზე ჰყავდა გაჩერებული“

**გიორგი**: კლუბებში რომ გევლო, მე არ მომეწონებოდი. „კამანდა“ თუ ვართ სადმე, მაშინ, რატომაც არა, შეიძლება.

**ლეკა**: მეზიზღება კლუბებიო და ჩემზე კარგად კი ერთობა ხოლმე. ძირითადად, სულ ერთად ვართ. სამსახურში, თათბირზეც ხშირად მიზის.

**გიორგი**: „იმედში“ ყველა „შაფიორს“ მეძახის, ყველა მელადავება.

**ლეკა**: ახლაც, რომ მოვდიოდით, მკითხეს: სად არის მძღოლიო. ქვემოთ არის-მეთქი. დაუძახე, თათბირს ვიწყებთო.

**– როგორია შეყვარებული გიორგი?**

– კარგი, კომფორტული. ძალიან კარგი ადამიანია. ჩემთვის შეყვარებული კი არა, მეგობარი, მამა, ყველაფერია. ზღვაზეც რომ ვიყავით, თბილი რაღაცეები ჩამოჰქონდა: არ გაცივდეო. ყურადღებიანია და არასდროს არაფერი ავიწყდება. ასეთი რამ გაგიგია: ცხვირში ხელის შეყოფამდე მიყვარხარო – გიორგი ამბობს.

**– ლეკა ლამაზი გოგონაა. მაგრამ, რა იყო ის, რაც ყველაზე მეტად მოგეწონა მასში და რამაც მომღერალ კაცს „შაფიორობა“ დაგაწყებინა?**

**გიორგი**: ზოგადად, საქმიანი გოგონები არ მსიამოვნებს – სულ საქმეში და სხვაგან რომ არიან. მაგრამ, ლეკა მათ შორის ყველაზე „დასტოინი” ტიპი იყო და არის. პირველი ეს იყო რითაც მომეწონა, გარეგნობაზე აღარაფერს ვამბობ. ისიც, რომ ჩვენი ყველა აზრი არ ემთხვეოდა ერთმანეთს, ამას უფრო მეტი მუღამი ჰქონდა. ერთი აზრი რომ გვქონოდა ყველაფერზე, ალბათ, ერთ თვეში მოგვბეზრდებოდა ერთმანეთი.

**ლეკა**: ხშირად ვკამათობთ, მაგრამ ორწუთიანია ხოლმე.

**გიორგი**: მთავარია, ვჭამოთ და ეგრევე, გადაგვივლის.

**ლეკა**: მე ვიყავი „ფსიხი” – რომ გავბრაზდებოდი, შემეძლო, ერთი კვირა გავბუტულიყავი, დედაჩემთანაც კი. მაგრამ, ამასთან ეს მხოლოდ ორ წუთს გრძელდება. რაღაცნაირად ახერხებს ჩემს შემორიგებას.

**გიორგი**: რომ გაბრაზდება, დილით, სანამ გაიღვიძებს, ავალ და ჰამბურგერებს დავაყრი. ესეც მირიგებდა.

**– ალბათ, ყველა გეკითხებათ: როდის აპირებთ დაქორწინებასო.**

**ლეკა**: სამსახურშიც იმდენჯერ მკითხეს, ვუთხარი: 13-ში-მეთქი.

**გიორგი**: აღარ აპირებთ? – უკვე ასე გვეკითხებიან. სულ ერთად რომ გვხედავენ, ჰგონიათ, 10 წელია, ერთად ვართ. ჯერ ფეხზე უნდა დავდგეთ, თორემ დაქორწინებას არაფერი უშლის ხელს – ერთი დღე უნდა. ლეკას ოჯახთან ახლოს ვარ, ლეკაც იცნობს ჩემი ოჯახის წევრებს. ის, რომ მიწისქვეშა გადასასვლელში შეყვარებულს შევხვდე – ასეთი რაღაცეები არ მჭირს, არაფერს ვმალავ. „ფეისუქზეც,“ მე თვითონ მიხარია ფოტოს დადება.

**ლეკა**: გიორგის დედაზე ვგიჟდები. როცა საჩუქრებს აკეთებს გიორგი – ხან მე ვეუბნები, რა აქვს ნაყიდი, ხან ის მეუბნება. ერთხელ გიორგიმ სიურპრიზი გამიკეთა: ეზოში მიმღერა და აღმოჩნდა, რომ დედაჩემს უმღერა.

**გიორგი**: „რაჭა, ჩემო სიყვარულო“ დაგვემართა. რაღაცაზე გაბრაზდა, ნასვამი ვიყავი და სრულიად ყრუ ორ ძმაკაცთან ერთად, მივედი ლეკასთან. იტალიურ ეზოში ცხოვრობს, კიბეზე განვლაგდით და დავიწყეთ სიმღერა. ბოლო სართულზე ცხოვრობს, კონტრაჟური იყო და ვერ ვიცანი, თვითონ იყო თუ დედამისი. ყველაფერი ვიმღერეთ, მეზობლები უკვე ტაშს გვიკრავდნენ და ამ დროს დედამისმა: მოიცა, ლეკას დავუძახებო.

**– როგორი ურთიერთობა გაქვს მომავალ სიდედრთან?**

– სასიდედროსთან ამაზე კარგი ურთიერთობა მაქვს. ჩვენი შეთქმულება ძირითადად დედამისს უკავშირდება, მე და ლეკა რაღაცეების გაკეთებას ვაძალებთ.

**ლეკა**: ადრე ხომ იყო: მიყიდე, მიყიდე, ახლა არის: უყიდე, უყიდე.

**– ჭამა რომ გიყვართ ასე ძალიან, ლეკა, იცი რამის მომზადება?**

– კარტოფილს ვწვავ ძალიან გემრიელს, მოსწონს. ესეც კარგ საჭმელებს აკეთებს. უცნაური გემოვნება მაქვს, ყველაფერს ერთად ვჭამ.

**გიორგი**: სუფრასთან რომ ვზივართ, შეიძლება, გული გაგისკდეს: ყველაფერს ერთად ასხამს: მაიონეზს, ტყემალს, არაჟანს, კეტჩუპს, მდოგვს, ყველაფერს და ისე გემრიელად ჭამს... მარილს აყრის უამრავს და ვუმალავ: კენჭი გაგიჩნდება-მეთქი. ვიცი, რა საშინელება, ერთი გაუჩნდეს, იქნებ, დამიჯეროს.

**– არის რამე, რაშიც გიორგი არ გიჯერებს?**

**ლეკა**: მანქანას ატარებს ძალიან ჩქარა. რაც უნდა ვიყვირო და ვიკივლო, არ ესმის.

**გიორგი**: რაღაცაზე, ან ვინმე მძღოლზე რომ ნერვები მომეშლება, უნდა დავეწიო იმ მანქანას, შევაგინო, დავახტე თავზე. ამ დროს ეს უკვე ღვედს იჭერს, ქუდს ჩამოიფარებს და ზის ჩუმად.

**ნათია უტიაშვილი**

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 17 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.00** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად" 14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი" 17.00** დოკ/ფილმი: "ჩერჩილის გამოწვევა" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას" 19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** მხ/ფ **"მეორე დღე რომ დაღამდა"** (მ.ზრანდო) **23.30** მხ/ფ **"დათქმული დრო" 01.40** "სამოთხის ვაშლები".

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"ქარადაი" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.00** "ნანუკას შოუ" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**7.00, 3.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე" 7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ" 11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა" 14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** უცნობი ისტორიები **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 17.40, 22.30, 1.30** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.45 სერიალი "ქუჩეი და გუნეი" 0.00, 3.30 სერიალი "მდუმარენი" 2.50** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45** ქრონიკა. **10.05** სერ.**"სიცოცხლის სიყვარული" 11.20** სერ.**"სილა" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"უდანაშაულო" 17.35** სერ.**"ბოშა ქალი" 18.45, 19.03** სერ.**"ღირსების საქმე" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** სასწრაფო დახმარება **00.55** მხ/ფ **"ბოროტების სავანე: აპოკალიპსი"** (მ.იოვოვიჩი).

**06.10** საგალობელი **06.15** ეთნოგრაფიული ჩანახატი **06.30** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** // სერ. **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "ჩვენი საგანძური" . გვანცელაძე **10.50** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ **"სუფთა დაფა" 13.30** კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.25** მხ/ფ **"ხსოვნა"** // ნაწ. **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** წმინდა დიდმოწამე ბარბარე **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დ/ფ "გემღერებოდეს,დედაო" **01.10** ნიამორი.

## ხუთშაბათი 18 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.40** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად" 14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი" 17.00** "ეს საქართველოა" **17.30** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას" 19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ **"ძმები გრიმების ფიფქია"** (ს.ნილი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"ქარადაი" 22.00** პროფილი **23.55** აჭარა ბეთის გათამაშება **00.30** ვინ დაამარცხებს ვასოს **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 2.00**, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე" 7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ" 11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა" 14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 17.40, 22.00, 1.30** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩეი და გუნეი" 23.30, 3.30 სერიალი "მდუმარენი" 1.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45** ქრონიკა. **10.05** სერ.**"სიცოცხლის სიყვარული" 11.20** სერ.**"სილა" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"უდანაშაულო" 17.35, 19.03** სერ.**"ბოშა ქალი" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად – თოქ შოუ **23.45** შალვა რამიშვილის შოუ **00.55** მხ/ფ **"გაქცეული პატარძალი"**.

**06.10** საგალობელი **06.15** ეთნოგრაფიული ჩანახატი **06.30** დ/ფ "გემღერებოდეს,დედაო" **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს" 13.35** ივერიის ეკლესია **13.50** კონცერტი - რობერტო ვილაზონი **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.20** მხ/ფ **"მოწურავე" 16.35** დ/ფ "იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა" **17.25** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ **"სტუმარი" 20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მწვანე არქიტექტურა **22.25** დ/ფ "ლიტურგია საუკუნის საქართველოზე" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "იერუსალიმი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დ/ფ "მარბენალი" **01.15** ნიამორი.

## პარასკევი 19 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.30** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად" 14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი" 17.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას" 19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ. **23.30** მხ/ფ **"საით მივყავართ ოცნებებს"** (რ.უილიამსი) **02.10** "სამოთხის ვაშლები".

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"ქარადაი" 20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** გააცინე და მოიგე **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 2.00**, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე" 7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ" 11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა" 14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** გადაცემა *"ID"* **16.00 სერიალი "სიყვარუ-**

**ლის იმპერია"** **17.40, 22.00, 1.30** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 23.30, 3.30 სერიალი "მდუმარენი" 1.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** "უცნობი ისტორიები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.05** სერ.**"სიცოცხლის სიყვარული" 11.20** სერ.**"სილა" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"უდანაშაულო" 17.35, 19.03** სერ.**"ბოშა ქალი" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** რეაქცია **00.00** მხ/ფ **"გრეისი მონაკოდან"** (ტ.როტი) **02.10** მხ/ფ **"ამაო გარჯა სიყვარულისა"**.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ **"დღე უკანასკნელი,დღე პირველი" 07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მწვანე არქიტექტურა **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **14.00** მოკ./ფ **"სტუმარი" 13.30** კონცერტი -ანს."მძლევარი" **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.20** მოკ./ფ **"სიყვარულის ცეცხლი" 16.00** დ/ფ "გელინო" // ნაწ. **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"პირველი მერცხალი" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" **23.30** დ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ეი,მაესტრო"**.

## შაბათი 20 დეკემბერი

**08.00** ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** ან/ფ "ჭიანჭველების რისხვა" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ლოლა" ვინ ხარ შენ" ლოლა" 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – "შავი ზღვის პირას" რაღაც ჩვენთვის ნაცნობი ქვეყანა" **14.00 კალათბურთი**. სუპერლიგა: **"დინამო" – შსს 16.30** ქართ. მხ/ფ **"ფიროსმანი" 18.00** დ/ფ "რევოლუცია და მოდა" **19.00** "ეტალონი" **21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი" 22.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **23.00** "წითელი ზონა" **00.00** მხ/ფ **"შიშის კონცხი" 02.00** "ეტალონი" **03.00** მხ/ფ **"დიდი ლებოვსკი"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** კომედი შოუ **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** ვინ დაამარცხებს ვასოს **15.30** ნიჭიერი **19.00** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.30** რა? სად? როდის? **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **03.30** მხ/ფ.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"მაგიის რაინდები" 9.00 სერიალი "რვაფეხა" 10.00** *NX* სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა **11.50, 14.50, 18.35** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" **13.05 სერიალი "10 წლის შემდეგ" 15.30** გადაცემა "ფული და სურვილები" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 17.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 20.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **22.00** "*KLUB* 11" **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **0.00 სერიალი "მდუმარენი" 2.20** მხ. ფილმი **"ლეიქ სითი"**.

**07.30** სერ. **"სონის შანსი" 2** სერ. **08.00** მხ/ფ **"საშინლად ლამაზი" 10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი" 7** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ.**"უდანაშაულო" 17.35, 19.03** სერ.**"ბოშა ქალი" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00, 23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში – 6" 4-5-6** სერ. **01.00** მხ/ფ **"მხოლოდ შენნაირი"**.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მოკ./ფ **"სიყვარულის ცეცხლი" 07.20** მოგზაურობა სამშობლოში **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"პირველი მერცხალი" 13.25** დ/ფ "მესხეთის ძველი" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"ნორმა" 18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ევრომასტერი **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** დ/ფ "სამი საქართველო" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "პიანისტი" ა. კორსანტია **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ **"ამისტადი"** / სერ.

## კვირა 21 დეკემბერი

**08.00** ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** მხ/ფ **"ვილის გათავისუფლება" 10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ლოლა" ვინ ხარ შენ" ლოლა" 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ფერმა" **13.00** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **13.30** მხ/ფ **"ოცნების მოედანი"** (კ.კოსტნერი) **15.30** "ვაშინგტონი დღეს" **16.30** ქართ. მხ/ფ **"ხევისბერი გოჩა" 18.00** მხ/ფ **"ბორნის უპირატესობა " 20.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი" 22.00** "მშვიდობით იარაღო" **23.00** მხ/ფ **"კარი იატაკში"** (კ.ბესინჯერი) **01.00** მხ/ფ **"სულიერი სამზარეულო" 02.40** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **03.40** მხ/ფ **"ოცნების მოედანი"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** "სახლი" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქერის უბანი **16.00** პროფილი **18.40** ექიმები **19.40** კომედი შოუ **21.00** *P.S.* **22.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.30** სოციალური ცელი **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"მაგიის რაინდები" 9.00 სერიალი "რვაფეხა" 10.00** *NX* სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება **11.30** უცნობი ისტორიები **11.55, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.10** გადაცემა "*ID*" **13.35** "*KLUB* 11" **15.30** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 17.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **18.30** "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "სხვისი სხეული" 20.00** გადაცემა "ფული და სურვილები" **20.30** "აბების/ კვირის ანეკდოტები **21.30** სერიალი "10 წლის შემდეგ" **23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00 2.00 სერიალი "მდუმარენი" 2.20** მხ. ფილმი **"გველის კოცნა"**.

**07.30** სერ. **"სონის შანსი" 3** სერ. **08.00** მხ/ფ **"უფლისწული ვალიენტი" 10.00** სტუმრად იუმორინასთან **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი" 8** სერ. **13.00** *EMERGENCY* **14.35** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.35** ცეკვავენ ვარსკვლავები **20.00** იმედის კვირა **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ქ/სერ. **"ფსიქოპატთა თამაშები" 8** სერ. **00.00** მხ/ფ **"მწერალი მოჩვენება" 02.25** მხ/ფ **"მხოლოდ შენნაირი"** (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.25** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ **"ძნელი დასაწყისი" 13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** ევრომასტერი **16.05** ერთსულოვნების სალონი **17.00** ეპოქის სახელები **17.25** დ/ფ "სამი საქართველო" **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** "ჩვენი ამბავი" **19.30** მხ/ფ **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში" 21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წერილი ძმას" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ **"ამისტადი"** // სერ.

# როგორ მოვახერხოთ ახალმთვარეობისას ენერგეტიკული გასუფთავება და დადებითი ემოციებით წარმატებების მომტანი ენერგიით დამუხტვა



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
**კურტ ვონეგუტი**

თუ გაითვალისწინებთ ასტროლოგიურ რჩევებსა და რეკომენდაციებს, ადვილად შეძლებთ უარყოფითი ენერგიების განმუხტვას და სუფთა აურით, უსაფრთხოდ ცხოვრებას. ადამიანის გარემომცველ საგანთა შორის სარკე ყველაზე იდუმალი, ამოუცნობი და შეუსწავლელია. მის შესახებ ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა, მაგრამ, ჯერ კიდევ ბევრია ამოუხსნელი. თუმცა, ასტროლოგიაში არსებობს მის შესახებ უტყუარი ინფორმაცია. კერძოდ, ის ჯადოს, საგვარეულო წყევლისა და ავი თვალის წინააღმდეგაც კი მოქმედებს და ოჯახს ნეგატიური ენერგიებისგან იცავს.

სარკეს როგორც უბედურების, ისე სიკეთის მოტანაც შეუძლია. დღეს, არც ის არის საიდუმლო, რომ სარკე სხვა სამყაროში გადასასვლელი ერთგვარი კარია და თავად ადამიანებზეა დამოკიდებული, რომ ეს იდუმალი კარი სწორად და ფრთხილად გააღონ. სარკე, ასევე, პარალელური სამყაროების კარიბჭედ მიიჩნევა. ასე რომ, გირჩევთ, ყურადღებით და სწორად მიუდგეთ როგორც სახლში, კედელზე დაკიდებულ დიდ სარკეებს, ასევე, დეკორატიულ, პატარა სარკეებს, რომლებსაც ჩანთით ატარებთ და ქალბატონების საყვარელი ნივთია. ის ინფორმაციას ინახავს და რაც უფრო დიდხანს გაქვთ სახლში, მით მეტ ინფორმაციას „იწოვს“ თქვენგან – უფრო კარგად „გეცნობათ“ და, შესაბამისად, იცის, როგორ დაგიცვათ, ან, პირიქით, მიგანიშნოთ მომავალ საფრთხეზე. სხვათა შორის, დიდი შანსია, ცუდი ამბები თავიდან აიცილოთ, თუ სარკეს ენერგეტიკულად ხშირად გაწმენდთ.

ნეგატიური ზემოქმედებისგან სარკეს ყველაზე კარგად ახალი მთვარის ენერგიით დამუხტული წყალი წმენდს. კერძოდ, ახალი მთვარის დროს, ღამის 12 საათზე, აიღეთ რაიმე ჭურჭლით წყალი, ჩააგდეთ მასში ვერცხლისფერი მონეტა, მაგალითად, ოცთეთრიანი და დადგით ფანჯრის რაფაზე. ღამით, მთვარის შუქზე, წყალი დაიმუხტება მთვარის ენერგიით. დილით ამ წყლით დაასველეთ უხმარი, თეთრი ქსოვილი და გაწმინდეთ ყველა სარკე, რომელიც სახლში გაქვთ ან ჩანთით ატარებთ. მონეტა კი, ამ ქსოვილში გაახვიეთ და ბალიშის ქვეშ დაიდეთ, რათა ღამით ტკბილი ძილი გქონდეთ და კოშმარულმა სიზმრებმა არ შეგაწუხოთ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ, მეორედ გაწმენდის დროს, ის ნაჭერი აღარ გამოგადგებათ, მონეტა კი იგივე უნდა იყოს. ყოველ ახალ მთვარეზე ასეთი წესით გაწმენდილი სარკე ენერგეტიკულად სუფთავდება და ის თქვენთვის დადებითი ემოციებისა და წარმატებების მომტანი გახდება.

ასევე, გარკვეულ დღეებში ნანახი სიზმრები ადამიანებს, მართლაც აუხდებათ რეალურ ცხოვრებაში. ამ დღეების ცოდნა დაგეხმარებათ, გაარკვიოთ, ღირს თუ არა ნერვიულობა ღამით ნანახ სიზმარზე და არის თუ არა ის რეალურად, თქვენი მომავალი ბედის წინასწარმეტყველი. მაგალითად, აუცილებლად ახდება ის სიზმარი, რომელსაც თვის 1, 3, 5, 9, 18, 19, 20, 21, 23, 29 და 30 რიცხვებში ნახავთ. ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში ნანახი სიზმრების ახდენის დიდი ალბათობაა. ასევე, ამათგან ყველაზე საშიშია 23 და 29 რიცხვში ნანახი კოშმარული სიზმარი, რადგან, ის ცუდზე მიგანიშნებთ. მაგრამ, არ შეგეშინდეთ, ეს ღამის გაფრთხილებაა. თქვენ კი უნდა ეცადოთ, დღე მეტი დაკვირვებით, კონფლიქტებისა და ექსტრემის გარეშე განვლოთ და შესაძლო სახიფათო რისკების ალბათობა შეამციროთ. საერთოდ, წინასწარმეტყველურ სიზმარს ადამიანი გამთენიისას ხედავს. შუადღით ნანახ სიზმარს კი არ უნდა დაუჯეროთ. რაც შეეხება სარკის ნახვას სიზმარში, თუ სიზმარში სარკეში იხედებით და საკუთარი გარეგნობა არ მოგწონთ, ეს კარგი სიზმარია, მაგრამ, თუ გამოპრანჭული და გასუქებული ხართ, ეს ცუდზე მიგანიშნებთ.

ზოგადად, ყოველდღიურად ხდება ადამიანის ორგანიზმის ენერგეტიკულად დაბინძურება. ამიტომ, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ და გაითვალისწინოთ ის წესები, რომლებიც ასტროლოგიურად დასაბუთებული და აპრობირებულია. ეს ასტროლოგიური რჩევები უძველესი დროიდან იღებს სათავეს და, თუ საუკუნეების წინანდელ ცნობებში ჩაიხედავთ, დარწმუნდებით, მას ადამიანების უმრავლესობა საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებდა.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 13 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესია მომიტანს წარმატებებს?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ მეტად კეთილშობილი, ენერგიული, ინიციატივიანი, ლიდერი, ორგანიზებული და ჰარმონიული სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობებში. დაეყრდენით ოპტიმიზმს, ცოდნას, კომუნიკაბელურობას. გახდით მარტოხელა მებრძოლი, გამოიმუშავეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, დაიცავით წესრიგი. იყავით პრაქტიკული. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგია, კარდიოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, იურისპრუდენცია, საიუველირო საქმე ან ბიზნესი, სადალაქო საქმიანობა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი ან საქმიანობა, გასართობი ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1985 წლის 1 სექტემბერს, დღის 2 საათზე. მინდა უცხოეთში წასვლა. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელი ქვეყნებია ჩემთვის ასტროლოგიურად მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმულ-კოსმიური მისია ნამდვილად არ არის, მაგრამ, წარმატებების შანსი ნამდვილად გაქვთ, მაგრამ, იქ მიღებული ცოდნა, გამოცდილება და ფინანსები სამშობლოში უნდა დააბანდოთ. ქვეყნებიდან კი კარგია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, შვედეთი, ყაზახეთი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ვიეტნამი, ჩინეთის აღმოსავლეთი მხარე, გერმანიის ბავარიის მხარე, მაროკო, შვედეთის დასავლეთი მხარე, კუბა, მექსიკა, უნგრეთი; არ გირჩევთ წასვლას შემდეგ ქვეყნებში: ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ინდოეთი. დანარჩენი ქვეყნები მეტ-ნაკლებად მისაღებია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2004 წლის 10 მაისს. რომელი პროფესიაა მისთვის წარმატების მომტანი და რომელი ქვების ტარებაა კარგი?**

**პასუხი:** მისთვის კარგია: ტოპაზი, ოპალი, აქატი, მალაქიტი და ზურმუხტი. პროფესიებიდან კი კარგია: მედიცინის სფერო, კერძოდ, პლასტიკური ქირურგია, სასწრაფო დახმარება, რეანიმაცია, ფსიქიატრია, ქირურგია; ასევე, მაკონტროლებელი ორგანიზაციები: კონტროლის პალატა, საგადასახადო, სადაზღვევო, საბაჟო საქმე; სამართალდამცავი, სამხედრო სტრუქტურები; საგამომცემლო საქმე, ტექნიკა-მექანიკა, პედაგოგიკა, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული სფერო, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა.

**კითხვა: დავიბადე 1979 წლის 8 მაისს. მაინტერესებს, გამიმართლებს თუ არა უცხოეთში?**

**პასუხი:** თქვენი წარმატების ფაქტორი უკავშირდება სამშობლოს, უცხოეთი კი არც ცუდია და არც კარგი, ის თქვენთვის საშუალოა, ამიტომ, გამარჯვებისა და წარმატებების შანსიც ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. თქვენთვის შედარებით კარგია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი მხარე, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი, მაროკო, ნეპალი, უზბეკეთი, უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდოვა, ბელგია, არგენტინა, ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ბულგარეთი.

### ვერძი

მთელი ენერგია მიმართეთ მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად. კარგია უცხოელებთან კონტაქტი. იმოქმედეთ მშვიდად და წინდახედულად. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში. ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჭორებს. საყვარელი ადამიანი კი სიყვარულით გაგანებივრებთ.

### კურო

ნაკლები იოცნებეთ და აქტიურად იმოქმედეთ. დააკვირდით ცხოვრებისეულ მოვლენებს. მოერიდეთ კონფლიქტებს. სასიყვარულო ურთიერთობაში კი საჭირო გახდება ზოგიერთი დეტალის საიდუმლოდ შენახვა. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### ტყუპები

გაგიჭირდებათ აქტიური მოქმედება, ხშირი გადაადგილებები და კონტაქტების დამყარება. მოაგვარეთ პირადი პრობლემები. საყვარელი ადამიანი კი ამაში დაგეხმარებათ. სიამოვნებას მოგანიჭებთ საქმეები, რომელსაც წინასწარ გათვლით.

### კირჩხიბი

მიუხედავად მძიმე შინაგანი მდგომარეობისა, არ აჩქარდეთ გადაწყვეტილებების მიღების დროს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საბუთებს და საქმიან კონტრაქტებს. ნუ დახარჯავთ ზედმეტ ენერგიას. ცხოვრებისეული ცვლილებები გაიძულებთ, შეცვალოთ ინტერესები. საყვარელ ადამიანთან კი გამონახეთ მეტი საერთო ენა.

### ლომი

დაასრულეთ დაწყებული საქმეები. არ გირჩევთ ახლის დაწყებას. ნუ დახარჯავთ ფულს უყაირათოდ. კარგია შეხვედრები და ახალი კავშირების დამყარება. პირადი ცხოვრება სასიამოვნო და მრავალფეროვანი იქნება. კარგია, თუ დროს დასვენებისთვისაც გამონახავთ.

### ქალწული

ეცადეთ, თქვენი პრობლემები სხვებს თავზე არ მოახვიოთ. ნუ მოაკლებთ ყურადღებას საყვარელ ადამიანებს. უცხოელებისგან მიღებულ ინფორმაციას გულისყურით მოეკიდეთ, რადგან ეს მომავალში კარგ შედეგებს მოგიტანთ.

### სასწორი

შეინარჩუნეთ არსებული სიტუაცია და ნუ ეცდებით რაიმეს შეცვლას. არ გირჩევთ ახალ გაცნობილ ადამიანებთან გულის გადაშლას. ნუ გასცემთ დაპირებებს, რომელსაც ვერ შეასრულებთ. სასიყვარულო კონფლიქტებისგან თავის დასაცავად, კარგია თუ დროდადრო განმარტოვდებით.

### მორიელი

მოერიდეთ ურთიერთობების გარკვევას, როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში. სწრაფად მოაგვარეთ საკითხები და შეინარჩუნეთ სტაბილური ურთიერთობა კოლეგებთან. მოერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ახალი სასიყვარულო კავშირი კი თქვენს პირად ცხოვრებას პოზიტიურად შეცვლის.

### მშვილდოსანი

მოერიდეთ ფარულ და საიდუმლო საქმეებს, იქნება ეს პირადი ცხოვრება თუ სამსახური. დახმარებისთვის მიმართეთ გავლენიან მეგობრებს. ნუ დაუშვებთ შეცდომებს, რადგან მათი გამოსწორება გაგიჭირდებათ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი მეტ სტიმულს მოგანიჭებთ. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### თხის რქა

თავდაჯერებულად მართეთ საქმეები. მოუსმინეთ სხვების რჩევებსაც. მშვიდად აიტანეთ კრიტიკა. ნუ გადაიტვირთებით ფიზიკურად. სასიყვარულო პარტნიორი კი ცხოვრებას რომანტიკული შეხვედრებით გაგილამაზებთ. მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას.

### მერწყული

კარგია ახალი გეგმების დასახვა. თუმცა ახალი საქმის წამოწყება მომავლისთვის გადადეთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და საყვარელ ადამიანთან კონტაქტს. სიფრთხილე გამოიჩინეთ გადაადილებებისას, რადგან დიდია ტრავმების ალბათობა.

### თევზები

ადვილად შეძლებთ სიტუაციის კონტროლს. წარმატება გელით, როგორც პირად, ასევე, კარიერასა და საქმიან ურთიერთობებში. მოსალოდნელია რომანტიკული გრძნობების გაძლიერება, ან ახალი სასიყვარულო რომანის წამოწყება. არ გირჩევთ მოგზაურობას.

**ახალმთვარეობა – 22 დეკემბერი, 01:50 სთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია დაწყებული საქმის დასრულება, საბუთების მოწესრიგება და გეგმების დასახვა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან საფირონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია რაიმეს შეძენა, გართობა, სასიყვარულო კავშირები, შემოქმედებითი მუშაობა, მკურნალობის დაწყება, ექიმებთან კონსულტაცია. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამძაფრდება სექსუალური ენერგია. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს და მოერიდეთ კამათს. კარგად გაიაზრეთ ყველა გეგმა და ქმედება. ნუ იზარმაცებთ. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, მწვანე ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, სარდიონი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, გართობა, სასიყვარულო კონტაქტები, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

### ოთხშაბათი

გამოავლინეთ მეტი შრომისუნარიანობა, შეუპოვრობა და ნებისყოფა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, მწვანე, ნარინჯისფერი, წითელი, შავი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ოპალი ან ტოპაზი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, საყიდლების გაკეთება, აპარატურის შეძენა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, შარდ-სასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი

მისტიკური და შემოქმედებითი დღეა. კარგია თვითშემეცნება, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, მასაჟი, კოსმეტიკური პროცედურები, სამეცნიერო კვლევა. ნაკლები ილაპარაკეთ და მეტი იმუშავეთ. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, ამეთვისტო ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს შეძლებთ, რადიკალურად შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. მიანიჭეთ გარშემო მყოფებს მეტი თავისუფლება. იყავით ყურადღებიანი. დაიცავით სიმშვიდე. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ურთიერთობების გარკვევას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ წითელი, შავი, მწვანე ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ონიქსი, ტოპაზი, მწვანე იასპი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### შაბათი

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგად აკონტროლეთ ფინანსები და ნუ დახარჯავთ ზედმეტს. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, იაგუნდი, ლაზურიტი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია იურიდიული საქმიანობა, მოგზაურობა, სამეცნიერო კვლევა, სწავლა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მაღალია ცდუნებების, შეცდომის დაშვების, კონფლიქტების ალბათობა. არ ვარგა მშენებლობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი, ქვებიდან კი ფირუზი, სარდიონი, ნეფრიტი, აკვამარინი ან წითელი იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, სწავლა, ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# შეიცანი... სახლი შენი

*სახლი ადამიანის სახეა. ჩვენ სწორედ სახლში ვართ ისეთები, როგორებიც ვართ სინამდვილეში. თუ გულახდილად უპასუხებთ ამ ტესტის შეკითხვებს, საკუთარ თავზე ბევრ ახალს და საინტერესოს შეიტყობთ. თითოეული შეკითხვისთვის შეარჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი. ნახეთ შედეგები და შეიცანით თქვენი ხასიათი.*

**1. გაწუხებთ და გაღიზიანებთ სახლში უწესრიგობა?**

ა) ვცოფდები, როცა ჩემი ნივთები იქ არ დევს, სადაც მისი ადგილია (1 ქულა);

ბ) მსუბუქი არეულობა საჭიროც კია, თუმცა, სტუმრების მოსვლამდე ყოველთვის ვაწესრიგებ (3 ქულა);

გ) ძალიან აკურატული ვარ. სხვისი არეული სახლიც ნერვებს მიშლის (2 ქულა);

დ) სახლში საშინელი არეულობა და ქაოსი მაქვს (5 ქულა);

ე) თუ არეულობა და ქაოსი შემოქმედებითია, არა უშავს (4 ქულა).

**2. სახლში რომელ ფერებს ანიჭებთ უპირატესობას?**

ა) ძირითადად, შავს ან თეთრს. კონტრასტები არ მომწონს (1 ქულა);



ბ) ნებისმიერ ნათელ ფერსა და ტონს (3 ქულა);

გ) რომანტიკულ ცისფერს, ღია მწვანეს (5 ქულა);

დ) მყვირალა წითელს ან ყვითელს. ცხოვრება ისედაც ნაცრისფერია (4 ქულა);

ე) რაიმე ნეიტრალურს – კრემისფერს, ნაცრისფერს (2 ქულა).

**3. რას დაკიდებდით კედელზე?**

ა) ძირითადად გრაფიკულ გამოსახულებას (1 ქულა);

ბ) ოჯახურ ფოტოებს (2 ქულა);

გ) ნატურმორტს (3 ქულა);

დ) ვენეციურ ნიღბებს, პაპირუსს, ეგზოტიკას (4 ქულა);

ე) არ ვიცი. გააჩნია ბინის საერთო დიზაინს (5 ქულა).

**4. შუშის, ვიტრინის მიღმა ინახავთ:**

ა) წიგნებს, რა თქმა უნდა (1 ქულა);

ბ) ჭურჭელს და ფაიფურის სამშვენისებს (3 ქულა);

გ) კოლექციებს ფაიფურისგან (5 ქულა);

დ) ჩაის, ყავის სერვიზს (2 ქულა);

ე) სამშვენისებს (4 ქულა).

**5. ყველაზე კარგი ლარნაკია...**

ა) უბრალო და სადა. ის ყვავილებმა უნდა დაამშვენოს (1 ქულა);

ბ) გეომეტრიული ფორმის, გამჭვირვალე შუშის (3 ქულა);

გ) კერამიკის, ორიგინალური (5 ქულა);

დ) ჩინური, ძველებური ფაიფურის ლარნაკი (4 ქულა);

ე) ბროლის ლარნაკი (2 ქულა).

**6. სახლში სიამოვნებით გექნებოდათ...**

ა) ვარდი (1 ქულა);

ბ) მინდვრის ყვავილები (3 ქულა);

გ) მშრალი, ხმელი ყვავილების კომპოზიციები (5 ქულა);

დ) მდიდრული, ლამაზი თაიგული (4 ქულა);

ე) იაპონური იკებანა (2 ქულა).

**7. ქსოვილებიდან მე მომწონს:**

ა) უხეში ტილო (1 ქულა);

ბ) ბუკლე და შალი (3 ქულა);

გ) შიფონი, ტიული (5 ქულა);

დ) ტყავი, აბრეშუმი, ატლასი (2 ქულა);

ე) თანამედროვე, ხელოვნური ქსოვილები (4 ქულა).

**8. თუ ახალ დივანს იყიდით, ეს იქნება:**

ა) თანამედროვე ფორმისა და დიზაინის (1 ქულა);

ბ) მოხერხებული ტრანსფორმერი (3 ქულა);

გ) დაწნული და ლამაზი (4 ქულა);

დ) სოლიდური, რბილი, მაღალი ზურგით (4 ქულა);

ე) ანტიკვარული დივანი (2 ქულა).

**9. ყველაზე ძვირფასი ნივთები სახლში თქვენთვის არის:**

ა) ის ნივთები, რომლებიც ერწყმის ინტერიერს (1 ქულა);

ბ) რაც მემკვიდრეობით მერგო (5 ქულა);

გ) მოდური კოლექციების ნიმუშები (4 ქულა);

დ) ძვირფასია, როგორც მეხსიერება (3 ქულა);

ე) ის, რაც მე შევქმენი ხელით (2 ქულა).

**10. სარკეების მიმართ როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

ა) სარკე სახლში აუცილებელია (2 ქულა);

ბ) სივრცეს ზრდის, კარგია (3 ქულა);

გ) მიყვარს სარკესთან კეკლუცობა (4 ქულა);

დ) მიყვარს ძველებური სარკეები (5 ქულა);

ე) დიდი, ვეება სარკეები მომწონს (1 ქულა)

**11. როგორი განათება მოგწონთ სახლში?**

ა) მსუბუქი, რბილი, სუსტი განათება (4 ქულა);

ბ) სანთლები, ბრები, ფანრები (5 ქულა);

გ) მაქსიმალური, ძლიერი (2 ქულა);

დ) თბილი, ინტიმური განათება (3 ქულა);

ე) თითქმის ბნელში ვარ ხოლმე (1 ქულა).

**12. ყველაზე ლამაზი ფარდები, ეს არის:**

ა) ჟალუზები (1 ქულა);

ბ) სადა ფერის, მძიმე ფარდები (3 ქულა);

გ) თანამედროვე ფარდები, მკვეთრი ნახატებით (4 ქულა);

დ) გამჭვირვალე, მძიმე ფარდები იატაკამდე (5 ქულა);

ე) გობელენი – პროტურიები (2 ქულა).

**13. აბაზანაში უპირატესობას ანიჭებთ...**

ა) თეთრ კაფელს (1 ქულა);

ბ) მუქი ფერის მოზაიკას (4 ქულა);

გ) წყალ და ნესტგამძლე ხეს (3 ქულა);

დ) მეტლახს დეკორით (5 ქულა);

ე) შავ კაფელს და სარკის ჭერს (2 ქულა).

### ნახეთ შედეგები:

*20 ქულამდე: ცივი და მკაცრი, რაციონალური ადამიანი ხართ. მთავარი თქვენი კოზირი ლოგიკა და გონებაა. აკურატული და პედანტური ხართ. ჩაკეტილიც ანალიტიკური ჭკუა და ადამიანების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გაქვთ.*

*21-40 ქულა: სოლიდური და მშვიდი, სტაბილური ადამიანი ხართ. ძნელად ეგუებით ცვლილებებს. გიყვართ კომფორტი. რეალისტი ხართ და მიწაზე მყარად დგახართ. სახლსა და პირად ცხოვრებას ერთხელ იწყობთ და ძალიან დიდი ხნით.*

*40-ზე მეტი ქულა: მსუბუქი ხასიათი გაქვთ. ცოტათი უპრინციპოც ხართ. მრავალმხრივი ინტერესი გაქვთ. თქვენთან ურთიერთობა სასიამოვნოა. ადვილად უგებთ და ეკონტაქტებით ადამიანებს. მოგწონთ თანამედროვე ინტერიერი, ფუფუნების ელემენტების გარეშე. თქვენც ასეთი ხართ – სადა და კომფორტული.*

## რა მოხდა ამ დღეს

### 15 დეკემბერი

1749 – დაარსდა ქალაქი დონის როსტოვი (რუსეთი).

1840 – ნაპოლეონის ნეშტი წმინდა ელენეს კუნძულიდან პარიზში გადმოასვენეს და „ინვალიდთა სახლში“ დაკრძალეს.

1939 – ამერიკაში შედგა პრემიერა ფილმისა „ქარწაღებულნი“.

1948 – საფრანგეთში ამოქმედდა პირველი ატომური ელექტროსადგური.

### 16 დეკემბერი

1653 – ოლივერ კრომველი გამოცხადდა ინგლისის „ლორდ პროტექტორად“ (ფაქტობრივად, დიქტატორად).

1773 – „ბოსტონის ჩაის სმა“, ბოსტონის მცხოვრებლებმა ინგლისის ეკონომიკური გავლენის საწინააღმდეგოდ – პროტესტის ნიშნად ზღვაში გადაყარეს ინგლისიდან შემოტანილი ჩაით სავსე ყუთები.

1899 – იტალიაში დაარსდა საფეხბურთო კლუბი „მილანი“.

### 17 დეკემბერი

1777 – საფრანგეთი გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც სცნო ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა.

1791 – ნიუ-იორკში მსოფლიოში პირველად გაჩნდა ქუჩები ცალმხრივი მოძრაობით.

1903 – ავიაციის დაბადება, ცაში აიჭრა ძმები რაიტების პირველი თვითმფრინავი.

1962 – „ბითლზი“ პირველად გამოჩნდა ტელეეკრანებზე – რასაც ბიტლომანიის აფეთქება მოჰყვა.

### 18 დეკემბერი

1865 – ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კონსტიტუციის მე-13 ჩასწორება, რომლის მიხედვითაც ოფიციალურად აიკრძალა მონობა ნებისმიერი ფორმით.

1892 – ჩაიკოვსკის ბალეტის „მაკნატუნას“ პრემიერა სანკტ-პეტერბურგში.

1936 – ინდოეთიდან ამერიკის კონტინენტზე ჩაიყვანეს პირველი პანდა.

1940 – ადოლფ ჰიტლერმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის – „ბარბაროსას“ გეგმა.

### 19 დეკემბერი

1863 – ინგლისელმა ფრედერიკ უოლტონმა დააპატენტა ლინოლეუმი.

1909 – დაარსდა საფეხბურთო კლუბი დორტმუნდის „ბორუსია“.

1941 – ადოლფ ჰიტლერმა საკუთარ ხელში აიღო სრულიად რაიხის ჯარების ხელმძღვანელობა.

1997 – ეკრანებზე გამოვიდა ჯეიმს კემერონის ფილმი „ტიტანიკი“.

### 20 დეკემბერი

1880 – ბროდვეიზე პირველად მსოფლიოში აინთო ელექტრული ქუჩის განათება.

1892 – ამერიკელებმა ბრაუნმა და სტილმანმა აიღეს პატენტი პნევმატურ საბურავებზე ავტომობილებისთვის.

### 21 დეკემბერი

1898 – პიერ და მარია კიურებმა აღმოაჩინეს რადიუმი.

1902 – ბერლინში გამოჩნდა მოძრაობის პირველი მარეგულირებელი გზაჯვარედინზე.

1937 – შედგა პრემიერა უოლტ დისნეის პირველი სრულმეტრაჟიანი მულტფილმისა – „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“.

1967 – კეიპტაუნში გარდაიცვალა ლუის ვაშკანსკი – პირველი ადამიანი, რომელსაც გული გადაუნერგეს – მან გადანერგილი გულით 18 დღე იცოცხლა.

# როცა ქალს უყვარს...

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-49(728)

დიანა გულხელდაკრეფილი შესცქეროდა დამუნჯებულ ბიჭს. სანდრო ხვდებოდა, რას ნიშნავდა გოგოს მზერა; გრძნობდა, რომ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ენა დაუმძიმდა, პირი გაუშრა და ხელისგულები გაეყინა. დეაც არ ილებდა ხმას და ჯიუტად დუმდა. სანდრომ გამბედაობა მოიკრიბა, ღრმად ჩაისუნთქა და, ისე, რომ გოგოსთვის მზერა არ მოუშორებია ჰკითხა:

– შენ ჩემ გამო მიდიხარ? იმიტომ მიდიხარ, რომ ჩემი ნახვა აღარ გინდა?

– არა, ეს არაფერ შუაშია. მე ვბრუნდ-



ები ჩემს სახლში, ჩემს მშობლებთან – მგონი, ნორმალურია...

– არა, ჩემთვის არ არის ნორმალური, – ერთბაშად იფეთქა ბიჭმა და თავადაც გაუკვირდა ასეთი სითამამე.

დეამ ამოიოხრა. მიხვდა, რომ ბიჭის თავიდან მოშორება ასეთი ადვილი არ იქნებოდა. გაუჭირდა საჭირო სიტყვების მოძებნა.

– მომისმინე, მე რომ აქ არ ვცხოვრობ, ეს შენ თავიდანვე იცოდი.

– ჰო, მაგრამ, ასე უცებ რატომ გადაწყვიტე წასვლა?

– უცებ არ გადამიწვეტია, დრო მოვიდა და უნდა წავიდე.

– მე არ მინდა, რომ წახვიდე, – სანდრო კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ატირებას აღარაფერი უკლდა. ძლივს იკავებდა თავს. დეას შეებრალა ბიჭი, მაგრამ არ შეიმჩნია.

– მოკლედ, მე მივემგზავრები. მიხარია, რომ გაგიცანი. ალბათ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. ახლა კი მაპატიე, უნდა ჩავალაგო ბარგი და მერე აეროპორტში უნდა წავიდე.

სანდრო შეყოყმანდა:

– შეიძლება, გაგაცილო? მე წაგიყვან აეროპორტში.

– არ ღირს. ტაქსის გამოვიძახებ. არ მიყვარს, როცა მაცილებენ, რა საჭიროა. ლინაც არ მიმყავს. ჰო, მართლა, ალბათ, ლინამ გითხრა, რომ მივდიოდი... ასეა?

სანდრომ თავი დააქნია და გაჩუმდა. დეამ მომლოდინე მზერა მიაპყრო. ბიჭი მიხვდა, რას ელოდებოდა მისგან გოგო, მაგრამ წასვლასაც ვერ ახერხებდა. საკუთარ თავს არ აპატიებდა, ის რომ არ ეთქვა, რაც აწვალებდა და ღამეებს ათენებინებდა.

– დიანა... – დაიწყო ენის ბორძიკით, მაგრამ გოგომ მაშინვე გააწყვეტინა:

– ახლა არა... მართლა ძალიან მეჩქარება და სერიოზული საუბრისთვის მზად არ ვარ. რაც არ უნდა გქონდეს სათქმელი, მომავლისთვის გადავდოთ.

– მომავლისთვის? იქნება კი ეს მომავალი? შენ მიდიხარ, მე ვრჩები...

– ლონდონი არც ისე შორს არის, თანაც, შეიძლება, სულ სხვაგან შევხვდეთ ერთმანეთს – ცხოვრება ხომ სიურპრიზებით არის სავსე...

– მე მეშინია სიურპრიზების... ყოველთვის მეშინოდა.

სანდრო განადგურებული იდგა. ხელები უღონოდ ჩამოუშვა და გაფითრდა.

– კარგი. კეთილი მგზავრობა, – ამოილუღლუღა ბოლოს.

– გმადლობ. კარგი ბიჭი ხარ, – დიანამ ლოყაზე ტუჩები შეახო ბიჭს და კარი გამოაღო.

გარეთ გამოსულ სანდროს, გაჭირვებით რომ მობანცალებდა, მოუთმენლად მიეგებნენ ლინა და ტომასი.

– აბა, რა ქენი, უთხარი, რომ გიყვარს? გადააფიქრებინე წასვლა? – ჰკითხა ტომასმა შეციებული ხელების სრესით.

სანდრომ თავი გააქნია უარყოფის ნიშნად:

– არ მათქმევინა.

– მოიცა, რას ნიშნავს, არ გათქმევინა? გაგიჟდი? რისთვის ახვედი? ჩვენ კი აქ ვიყინებოდით, – გაოცებულმა ლინამ ტომასს გადახედა, – გამაგებინე, რას ამბობს შენი მეგობარი.

– სანდრო, წესიერად გვითხარი, რა მოხდა ზემოთ? – ტომასმა მხარში მოკიდა ბიჭს ხელი და შეანჯღრია, – სანდრო, რა გჭირს, ტირილს აპირებ?

– თავი დამანებე! არ ვჭირდები, არც კი მოვწონვარ! ერთი სიტყვაც კი არ მათქმევინა. მივდივარო... არ მცალიაო...

– მოიცა, მიხვდა, რა უნდა გეთქვა? – დაინტერესდა ლინა.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მიხვდა თუ არ მიხვდა? ფაქტია, რომ ვერაფერი ვუთხარი, ვერცერთი სიტყვა, – გალიზიანდა სანდრო, – წავედი მე... ძალიან ცუდად ვარ...

– მოიცა, – მკლავში მოჰკიდა ტომასმა მეგობარს ხელი და გააჩერა, – ასე არ გამოვა. მესმის, რომ ნერვიულობ, ყველაფერი მესმის, მაგრამ, საერთოდ ვერაფერი უთხარი? ან იმან რა გითხრა?

სანდრომ ხელი ჩაიქნია:

– რა აზრი აქვს, რა ვუთხარი და იმან რა მითხრა? ფაქტია, რომ მიყვარს, იმას კი არ ვუყვარვარ... და მე ეს სიყვარული მომკლავს. გეხვეწები, მომეცი საშუალება, წავიდე. მართლა ძალიან ცუდად ვარ...

ტომასმა ხელი გაუშვა... მერე დიდხანს გასცქეროდა მიმავალს, მხრებში მოხრილსა და თავჩაქინდრულ მეგობარს.

***

...თამრიკო მოულოდნელობისგან შეკრთა, როცა კოტემ შემოაღო ოფისის კარი.

– ბატონო კოტე, არ გელოდით. არ ვიცოდი, რომ ჩამოხვედით...

– გადამრევთ თქვენ! „არ გელოდით“, „არ ვიცოდი, რომ ჩამოხვედით“!.. ვერ გავიგე, უნდა შემეთანხმებინა წასვლა-წამოსვლის გრაფიკი? სასწრაფოდ მჭირდება ჩემი საბანკო ანგარიშების ამონაწერი, კიდევ ჩემს პირად ბანკირთან დამაკავშირე და ნუ მიყურებ ქათამივით, დროზე, გაინძერი!

თამრიკო გაწითლდა. კოტე კიტია დიდი გულისხმიერებით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ, ასე უხეშადაც არასოდეს მიუმართავს. შეურაცხყოფილმა წყენა დამალა და თავდახრილმა ჩაილაპარაკა:

– ახლავე, ბატონო კოტე... შეიძლება, რაღაც გითხრათ?

– მითხარი, ოღონდ ჩქარა, ამდენი დრო არ მაქვს.

– ის კაცი იყო კიდევ მოსული...

– გავიგე. მერე, რა უნდოდა?

– თქვენ გკითხულობდათ. კატეგორიულად მომთხოვა, დამერეკა და მეთქვა თქვენთვის, რომ მისი ვალი გაქვთ.

– „კატეგორიულად მომთხოვა“... – გამოაჯავრა კოტემ დამცინავი ტონით, – მერე პოლიციას ვერ გამოუძახე? ვიღაც მათხოვარს ამდენის უფლება როგორ მიეცი?

– ბატონო კოტე... – დაიბნა თამრიკო.

– ბატონო კოტე, ბატონო კოტე... მივხედავ მე მაგას. შენ რაც დაგავალე, ის გააკეთე, მერე შეგიძლია, წახვიდე... – კოტე კაბინეტში შევიდა და კარი მიიჯახუნა.

ერთი საათის შემდეგ მდივანმა ანგარიშების ამონაწერები მეილზე გადაუგზავნა კოტეს, ბანკირთან დააკავშირა და ოფისიდან გავიდა... სანამ შენობას დატოვებდა, დერეფანში თიკოს მოჰკრა თვალი და გახარებულმა ხელი დაუქნია, თან ფეხს აუჩქარა.

– უკვე მიდიხარ? – ჰკითხა აქოშინებულმა, როცა მასთან ახლოს მივიდა.

– ჰო... – მოკლედ მიუგო თიკომ. რამდენიმე წუთში ბეჟანიც უნდა გამოსულიყო ოფისიდან და არ უნდოდა, თამრიკოს მათი ახლო ურთიერთობა შეენიშნა...

– მეც მოვრჩი. ჩემმა უფროსმა რატომღაც ადრე გამიშვა. ვერ უნდა იყოს გუნებაზე. ძალიან აჭრილია...

– შენი შეფი? წასული არ იყო? – თიკო ამ მოულოდნელმა ინფორმაციამ შეაშფოთა – კოტესთან შეხვედრა არანაირად არ აწყობდა.

– ჰო, წასული იყო და მოულოდნელად დამატყდა თავს. მაგისას ვერაფერს გაიგებ. ამ ბოლო დროს მაინც, სულ აურია. მგონი, რაღაც პრობლემები აქვს. იმის მეშინია, საერთოდ უმუშევარი არ დავრჩე. თუ ასე მოხდა, სიტყვას ხომ შემაწევ შენს შეფთან? არ შეგარცხვენ.

– კი, რატომაც არა?! – დაუფიქრებლად უპასუხა თიკომ და სწრაფად დაუმატა, – მაპატიე, ახლა უნდა წავიდე, ძალიან მეჩქარება. საქმიან შეხვედრაზე მივდივართ და... დამირეკე მერე.

– აუცილებლად, განახავ კიდეც, – დაჰპირდა თამრიკო.

ბეჟანმა მხარზე მოჰხვია ხელი ქალს და

მკერდზე მიიკრა.

– სად წავიდეთ, საყვარელო?

– სადმე, ძალიან შორს, – მიუგო თიკომ და სახტად დარჩენილ კაცს ორივე ხელი მოხვია კისერზე, – მართლა მინდა, სადმე წავიდეთ... ავიღოთ თვითმფრინავის ბილეთები და გავფრინდეთ...

– მოიცა... კარგად გამაგებინე, რისი თქმა გინდა ამით, თორემ, ცოტა დავიბენი. შენ ამბობ, რომ ჩემთან ერთად გინდა სადმე, შორს წასვლა? იცი, ეს რას ნიშნავს?

– ვიცი, – დაუფიქრებლად მიუგო თიკომ, – ცოლობა ხომ შემომთავაზე, ჰოდა, თანახმა ვარ.

კაცს სახე გაუბრწყინდა და, ერთიანად გაბადრული, პატარა ბავშვივით აცქმუტდა.

– ახლავე წავიდეთ და ვიყიდოთ ბილეთები! თიკო, არ მჯერა... ხომ არ მეხუმრები?

– არა. არ გეხუმრები. ხომ გეუბნებოდი, მოულოდნელად გაგახარებ-მეთქი.

– გამახარე? – შენ მე გამაბედნიერე, საყვარელო... მითხარი, სად წაგიყვანო, სად უფრო გინდა?

– სულერთია, მართლა...

– მაშინ, ყველაზე ჩქარა სადაც მოვახერხებთ წასვლას, იქ გავემგზავროთ.

თიკომ თავი დაუქნია:

– და, არავის არაფერი ვუთხრათ, კარგი?

– კარგი... თიკო, შენს მეტი არც არავინ მჭირდება... სულ არავინ... – კაცმა ხელში აიტაცა ქალი და დაატრიალა...

***

კოტემ ყურმილი დაკიდა, შუბლი შეიჭმუხნა და მაგიდის უჯრაში რაღაცის ძებნა დაიწყო გამალებულმა. ბოლოს იპოვა ქაღალდის ნაგლეჯი ტელეფონის ნომრით...

– მე ვარ... ჰო, ჩამოვედი... არა, შენ რომ შემომითვალე, მაგიტომ არ ჩამოვსულვარ... არ ვაპირებ შენთან ამაზე ლაპარაკს... მოდი და მნახე... ახლა აქ ვარ, ოფისში... მოდი, მოდი, აქ გეტყვი სათქმელს... – კოტემ მობილური გათიშა და ზარიც გამოურთო, მერე სავარძელში ჩაჯდა და, ყოველი შემთხვევისთვის, სეიფიდან, რომელიც საწერი მაგიდის მარჯვნივ, კედელზე იყო ჩამონტაჟებული, რევოლვერი გამოიღო...

***

ლინამ ცრემლები ხელისგულებით მოიწმინდა:

– როგორ არ მინდა, რომ წახვიდე... რა უნდა გავაკეთო უშენოდ?.. იმის წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ ჩემთან აღარ იქნები.

– ლინა, საყვარელო, – დეამ ჩანთა შეკრა, მეგობართან მივიდა და მოეხვია, – მეც ძალიან შეგეჩვიე, დასავით შემიყვარდი და რაც არ უნდა მოხდეს, არასოდეს დაგკარგავ... ნახავ, გავა ცოტა დრო და ისევ ერთად ვიქნებით.

– ნეტავი ვიცოდე, რა საიდუმლო გაქვს ასეთი? ოღონდ, არ მითხრა, რომ მეჩვენება რამე. ვგრძნობ, ჩემი შინაგანი ხმა მეუბნება, რომ შენს თავს რაღაც ხდება. ვნერვიულობ... რატომ არ გინდა, ყველაფერი მომიყვე? იქნებ შევძლო და რამით დაგეხმარო.

– შენ უკვე დამეხმარე. არც კი იცი, როგორ დამეხმარე, საყვარელო. მაგრამ, ახლა აუცილებლად უნდა გავემგზავრო და არც არაფრის თქმა არ შემიძლია. ძალიან მიყვარხარ. ტომასს კი ძალიან ნუ გაათამამებ. ცუდი ბიჭი არ არის, მაგრამ, მაინც... ხშირად დაგირეკავ...

– აეროპორტში მაინც გამოგყვები.

– არა... – ჯიუტად გადააქნია თავი დიანამ, საჭირო არ არის.

– გპირდები. მარტო მე წამოვალ. არც ტომასს ვეტყვი, არც სანდროს...

– შენ ფიქრობ, გაბრაზებული ვარ, ალექსანდრეს ჩემი გამგზავრების შესახებ რომ უთხარი? არ იფიქრო მაგაზე, ოდნავაც არ მწყენია. თავს გაუფრთხილდი. ტაქსი მელოდება, უნდა წავიდე.

ლინა ასლუკუნდა. დეამ მაგრად აკოცა ატირებულ მეგობარს და ჩანთა აიღო...

***

კოტე არ განძრეულა, როცა მის კაბინეტში დიმიტრი შევიდა... იმანაც თავხედური სიცილით გაიარა მთელი ოთახი და კიტიას წინ დაუჯდა.

– გისმენ!

– პირიქით, მე გისმენ... – უხეშად მიუგო კოტემ, – რა დღეში ხარ, რა ამბავი ატეხე?! ჩემს ცოლთანაც მისულხარ... ამით რის მიღწევას ცდილობ? გგონია, შემაშინებ და შანტაჟით მიძულებ, ის მოგცე, რაც არ გეკუთვნის?

დიმიტრიმ უტიფრად ჩაიხითხითა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მერე რევოლვერს დახედა და მისკენ გაიშვირა სიგარეტიანი ხელი.

– ეს რა არის? მოკვლას ხომ არ მიპირებ?

– არა. ვწმენდდი და შენახვა ვერ მოვასწარი, – იცრუა კიტიამ, – შენ არ ღირხარ იმად, რომ ციხეში წავიდე. თუმცა, ცოტა გაუგებარია ჩემთვის, შენნაირი ნაძირლების მოკვლისთვის პატიოსანი ადამიანები ციხეში რატომ უნდა ისხდნენ.

დიმიტრი ახარხარდა. დიდხანს, ხმამაღლა იცინოდა.

– მოიცა, ეს შენ ხარ პატიოსანი ადამიანი? შენ? რა მოკლე მეხსიერება გქონია. გაგახსენო, ციხეში რატომ ვიჯექი?

– ციხეში იმიტომ იჯექი, რომ იდიოტი ხარ. ვატყობ, იმ წლებმაც ვერაფერი გასწავლა. მოდიხარ ჩემთან კაბინეტში და მაშანტაჟებ. არც კი ფიქრობ, რომ, შეიძლება, აქ მოსასმენი აპარატურა მქონდეს და შენს სისულელეებს ვიწერდე. შანტაჟი რომ კანონით ისჯება, შეიძლება, ეგეც არ იცი, მაგრამ, მე ამას არ გავაკეთებ, არ შეგაბრუნებ იქ, საიდანაც ძლივს გამოაღწიე... ისე, წესით, ისევ უნდა იჯდე. რატომ გამოგიშვეს, სანიმუშო საქციელისთვის?

– ტყუილად იცინი. არც ისეთი სულელი ვარ, შენ რომ გგონია, რაღაც-რაღაცეები მეც ვისწავლე. დარწმუნებული ვარ, არ გაწყობს ჩემთან დაპირისპირება. გადამიხადე, რასაც დამპირდი და შენი ცხოვრებიდან სამუდამოდ გავქრები.



– მართლა? სულ, სულ გაქრები?

– ჰო, სულ გავქრები.

– მაინც, რამდენი გინდა?

დიმიტრიმ ჯიბიდან პატარა ბლოკნოტი ამოიღო, ზედ რაღაც დაწერა და კიტიას წინ დაუდო. კოტემ დახედა...

– რა?! გაგიჟებულხარ! შენ ფიქრობ, რომ მე ამდენი ფული მაქვს?

– კი არ ვფიქრობ, ზუსტად ვიცი. ისიც ვიცი, რომ გადამიხდი... ბოლო თეთრამდე.

– ძალიან თავდაჯერებული ხარ. რომ არ გადავიხადო, რას იზამ?

– არ გირჩევ. მთელი ცხოვრება დაგენგრევა.

– შენ მაგაზე ნუ იდარდებ. ამდენი ფული არ მაქვს და, რაც არ მაქვს, იმას ვერ მოგცემ.

– კოტე, მე სამასხარაოდ არ მცალია.

– არც მე... ძალიან ბევრი პრობლემა მაქვს.

– ჰო? – დამცინავად მოჭუტა თვალები დიმიტრიმ, – რაო, შენმა ცოლმა გაიგო, საყვარელი რომ გყავს, თანაც, მისი დაქალი?

კოტე გაფითრდა:

– შენ ეგ საიდან იცი?

– ხომ გითხარი, რაღაც-რაღაცეები მეც ვისწავლე-მეთქი. კიდევ ბევრი რამე ვიცი და, თუ გონზე არ მოხვალ, მოვიწვევ პრესკონფერენციას, რომლის შემდეგაც მთელი ქვეყანა გაიგებს, სინამდვილეში როგორ იშოვა ფული „პატიოსანმა" ბიზნესმენმა კოტე კიტიამ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა აბუტილონი და როგორ მოვუარო ზამთარში და გაზაფხულზე?**

**პასუხი:** თბილ გარემოში მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში, როცა შედარებით ცივა, მორწყვიდან მორწყვამდე შეშრობა აცადეთ. აქტიური ზრდის პერიოდში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ თხევადი ბალანსირებული სასუქით. ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება. ძალიან რომ არ გაიზარდოს, აბუტილონი გაზაფხულზე უნდა გასხლათ. თუ წვეროებს წააჭრით, ბუჩქს დაემსგავსება, თუმცა, შეიძლება, გვიან აყვავდეს. ზაფხულში აქტიური ზრდის პერიოდი აქვს, ამიტომ, შემოდგომის დასაწყისში შეიძლება ხელახლა დასჭირდეს გასხვლა.

**კითხვა: რთული მოსავლელია თუ არა აგავა და როგორ პირობებში შეიძლება მისი გახარება?**

**პასუხი:** აგავა ძალიან გამძლე მცენარეა. ყველაზე კარგად ნათელსა და თბილ გარემოში ხარობს. მთელი წლის განმავლობაში სინათლე არ მოაკლოთ. ეს მცენარე ზამთრის დაბალ ტემპერატურას, 5-6 გრადუსსაც იტანს, მთავარია, მშრალ ადგილას დადგით. აქტიური ზრდის პერიოდში მორწყეთ რეგულარულად, ზამთარში კი, მიწა მთლიანად არ გამოაშროთ. მას განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება და პრობლემებს არ შეგიქმნით.

**კითხვა: რა სინათლესა და ტემპერატურაზე დავდგათ ალოკაზია?**

**პასუხი:** ეს მცენარე მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს, მაგრამ, არ მოაკლოთ გაბნეული შუქი. ზამთარში ტემპერატურა მინიმუმ 15-18 გრადუსი უნდა იყოს, ზაფხულში კი იდეალურია 20-25 გრადუსი. მას მუდმივად სჭირდება ტენი და სითბო. მოზრდილ ალოკაზიას ფოთლები სიგრილეში სცვივა, თუმცა, თუ ოთახის ტემპერატურა მოიმატებს, ფესურადან ახალი ფოთლები ამოუვა. მისთვის საუკეთესო ადგილი ნათელი სააბაზანოა.

**კითხვა: როგორ მოვუარო ქლოროფიტუმს?**

**პასუხი:** გაზაფხულიდან შემოდგომამდე, აქტიური ზრდის პერიოდში, ქლოროფიტუმს მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს. ამ დროს მინის ბალანსირებული, თხევადი სასუქით ორ კვირაში ერთხელ განოყიერება მას სიჯანსაღეს შეუნარჩუნებს. ზამთარში, დასვენების პერიოდში, მორწყვიდან მორწყვამდე აცადეთ მიწას შეშრობა. კარგია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ზამთარში კი – მინიმუმ 8 გრადუსი. ფოთლების სიხასხასის შესანარჩუნებლად მცენარე დადგით ნათელ ადგილას, ოღონდ, მწველ მზეს მოარიდეთ. მიწის ზედაპირზე ფესვების გამოჩენა ქლოროფიტუმის გადარგვის აუცილებლობის ნიშანია. ფოთოლს სიმშრალისა და უჰაერობისგან გაყავსიფრებული ბოლოები წააჭერით. კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს.

**კითხვა: როგორ მოვუარო კორდილინას?**

**პასუხი:** კორდილინას უყვარს ნათელი ადგილი, ამიტომ, დადგით ძალიან ნათელ ადგილას. დღეში ორი-სამი საათით მწველ მზეში ყოფნასაც აიტანს. ზაფხულში ნიადაგი ტენიანი უნდა ჰქონდეს. თუ ზამთარში ტემპერატურა დაბალია, იშვიათად მორწყეთ და მიწა მხოლოდ ოდნავ დაატენიანეთ. ამ იოლად მოსავლელ მცენარეს მინიმალური ყურადღებაც ჰყოფნის. ძველი, დამჭკნარი-დაჭმუჭნილი ფოთლები მოაშორეთ. ზაფხულობით მიწა რეგულარულად გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით, რათა ფოთლებმა ფერი შეინარჩუნოს. მცენარისთვის იდეალურია 18-24 გრადუსი ტემპერატურა, თუმცა, თითქმის ნულოვან ტემპერატურასაც გაუძლებს. კარგი იქნება, თუ კორდილინას ზამთრის ბაღში გაზრდით – ასეთ ადგილას ის უკეთ გაიხარებს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში ტარდება საგამოძიებო ექსპერიმენტი და აქვს თუ არა ადვოკატს უფლება, ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი პირადად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მიღებული ინფორმაციის ჩვენების და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად, მხარეს უფლება აქვს, ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი. შესაბამისად, ადვოკატი უფლებამოსილია, ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ უნდა ჩატარდეს საგამოძებო ექსპერიმენტი, რომელიმე კონკრეტული გარემოების აღსადგენად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, ის უნდა შეესაბამებოდეს შესამოწმებელ ინფორმაციას, ჩვენებას ან ვერსიას. იმ პირს, რომლის მიერ მიცემული ინფორმაცია მოწმდება, სთავაზობენ, აღიდგინოს შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველიც თავად იყო. საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება არაერთგზის. ამასთან საგამოძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი შემთხვევა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდეს მოწმის ჩვენების სისწორის შესამოწმებლად და თუ შესაძლებელია, როგორ უნდა მოხდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის გზით მოწმის ჩვენების შემოწმება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება ინფორმაციის ან მოწმის ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით, მხარე, საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის თანდასწრებით, კითხულობს შესამოწმებელ ჩვენებას და სთავაზობს ჩვენების მიმცემ პირს, დაადასტუროს ან დააზუსტოს მიცემული ჩვენება. ამას თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ჩვენების დაზუსტება. პირი, რომლის ჩვენებაც ადგილზე მოწმდება, განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების გარეშე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პირის ჩვენების ერთდროულად ადგილზე შემოწმება, დაუშვებელია.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორია საგამოძიებო ორგანოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას, პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა**: **მყავს ავტომობილი „ოპელ ვექტრა“, 2000 წლის გამოშვება. ძალიან მიჭირს უკვე დაძრული ავტომობილის პირველ სიჩქარეში გადაყვანა, როცა სათანადოდ შენელება ან აღმართზე ასვლა მჭირდება. ეს ავტომობილების ზოგადი პრობლემაა თუ რამე დავუზიანე გადაცემათა კოლოფს?**

**პასუხი**: ეს „ოპელების“ ზოგადი სენია, მაგრამ რიგ შემთხვევებში სხვა ავტომობილებსაც ემართება. საქმე ის არის, რომ თქვენ პირველ სიჩქარეში მოდების „ცეპლენიის“ ბოლომდე გათიშვით ეცადეთ „რიჩაგის“ ჩაგდება, რამაც გამოიწვია დაზიანება. პირველი სიჩქარე ყველაზე ხშირად იხმარება, რადგან მის გარეშე უბრალოდ ვერ დაძრავთ მანქანას. ამასთან, მას ვხმარობთ მაშინ, როდესაც სიჩქარეების კოლოფში არც ერთი კბილანა არ ბრუნავს, ანუ კბილანებს ერთმანეთის პოვნა უჭირთ, რაც იწვევს ეგრეთ წოდებული სინქრონიზატორის გარკვეულწილად დაზიანებას და ასე ვთქვათ, ამ მდგომარეობაში სიჩქარეში გადართვის მიჩვევას. ანუ ის ცალმხრივად იცვითება. როდესაც ჩვენ უკვე მეორე სიჩქარიდან პირველში გადმოტანა გვიწევს, ესე იგი, კბილანები უკვე ბრუნვაშია, ამ დროს მიჩვეულიდან უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩენილი დეტალები ერთმანეთს ვერ ეწყობა. აქ, პრინციპში, საშიში არაფერია. მსგავს მდგომარეობაში ავტომობილს ძალიან დიდხანს შეუძლია გვემსახუროს. ხოლო, იმისთვის, რომ მეორიდან პირველ სიჩქარეში გადმოტანა გავიმარტივოთ, გადმოტანისას შევეცადოთ, ძრავის ბრუნი გავზარდოთ. ამ დეტალების შეცვლა საკმაოდ დიდ სირთულეებთან და თანხასთან არის დაკავშირებული. ამიტომ აჯობებს, ეს პრობლემა დაივიწყოთ. მით უმეტეს, რომ ის სხვა პრობლემას, ანუ სხვა რომელიმე დეტალის დაზიანებას არ გამოიწვევს.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა**: **რომელი საბურავით უფრო იოლად და მოკლე მანძილზე შევძლებთ დამუხრუჭებას, რომელიც შორიშორს არის განთავსებული და ღრმა პროტექტორი აქვს, თუ პირიქით, ახლოს არის და არც ისე ღრმა ზედაპირიანია.**

**პასუხი**: ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ყველაფერს ენიჭება. როგორი გზის საფარზე ვმოძრაობთ, სად ვიმყოფებით, როგორი მანქანა გვყავს და სხვა. ზოგადად კი, საბურავი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს, რამდენად კარგად დავამუხრუჭებთ. თუ ჩვენ ორ ერთნაირ საბურავს შევადარებთ, რომელთაგან ერთს პროტექტორი საერთოდ არ აქვს, ხოლო მეორეს ყველაზე დახვეწილი პროტექტორი ექნება და მათ მოქმედებებში გამოვცდით, იოლად აღმოვაჩენთ, რომ ის საბურავი, რომელიც მეტი სიბრტყით ედებოდა სავალ ზედაპირს, ანუ არ ჰქონდა პროტექტორი, ბევრად ნაკლებ მანძილში გაჩერდება. რა თქმა უნდა, ეს გამოცდა ასფალტირებული და მშრალი გზის საფარზე უნდა მოხდეს. აქედან გამომდინარე, იმ ტიპის პროტექტორი, რომელსაც მეტი სიბრტყე შერჩება ზედაპირთან შეხებისას, უკეთ გაჩერდება. პროტექტორის სიუხეშე და მისი სიღრმე მოგვეხმარება ასფალტირებულ გზაზე დამუხრუჭებისას. ხოლო სპეციალურად წვიმიანი გზისთვის შექმნილი საბურავი იოლად განდევნის ზედაპირიდან წყალს. ის რბილია და რეზინი იოლად ცხელდება. აქ სპეციალური დიზაინის პროტექტორია გამოჭრილი. ასეთი ზედაპირი კარგად იმუშავებს სავალი გზის საფარზე და კარგად გაგვაჩერებს.

**კითხვა**: **მაინტერესებს, მოქმედებს თუ არა ავტომობილის წონა მის სისწრაფესა და სამუხრუჭე მანძილზე?**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**პასუხი**: ავტომობილის წონა იმდენად მნიშვნელოვანია მისი სისწრაფის, აჩქარების, დამუხრუჭებისა და რომელიმე მანევრის შესრულებისთვის, რომ ავტოსპორტში მინიმალური წონის შეზღუდვაც კია დაწესებული. მაგალითად, უხეში შედარება რომ მოვიყვანოთ, ასანთის კოლოფის გადასაადგილებლად ხელის ოდნავი შეხებაც კი საკმარისია, დატვირთული ვაგონის ასაჩქარებლად კი მრავალცხენისძალიანი ლოკომოტივიც კი საკმაოდ უნდა გაისინჯოს. იგივე ხდება ავტომობილებშიც. ტონანახევრიან ავტომობილს რომ ათასი ცხენის ძალა ჰქონდეს, მას მაინც გაუჭირდება მსუბუქი ავტომობილის გაწევა. იგივე მეორდება გაჩერებისას. ასანთის კოლოფის გაჩერების თითის დახვედრებაც ეყოფა, ხოლო გაქანებული ვაგონის გაჩერებას კი...

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

**კითხვა**: **ჩემი პეკინესი ორი დღეა, გამუდმებით აცემინებს. ეს მას შემდეგ დაეწყო, რაც აბაზანას ვწმენდდი და ისიც იქვე იყო. შეიძლება, ეს იყოს მისი ცემინების მიზეზი?**

**პასუხი**: უმჯობესია, თუ ძაღლს ვეტერინარს მიუყვანთ და საგულდაგულოდ გაასინჯებთ. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი საყოფაცხოვრებო საწმენდი თუ სხვა სახის ქიმიური საშუალების გამოყენებამ, შეიძლება, სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს ცხოველს. განსაკუთრებით ეხება ეს ისეთი საყოფაცხოვრებო საშუალებების გამოყენებას, რომლებიც შეიცავენ ქლორსა და ნაფტალინს. ეს ნივთიერებები იწვევს ჰემოლიზურ ანემიებს. ასე რომ, ნუ დატოვებთ ამ ფაქტს უყურადღებოდ და დაუყოვნებლივ მიმართეთ ვეტერინარს.

**კითხვა**: **მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ძაღლისთვის ანტიბიოტიკის მიღება?**

**პასუხი**: გააჩნია, რა შემთხვევაში. გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ დაუშვებელია ანტიბიოტიკის თვითნებურად გამოყენება. ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე მათი თვითნებური დანიშვნა ან ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის ხანგრძლივობის თვითნებური შეწყვეტა აუარესებს ძაღლის შემდგომ მდგომარეობას. განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო გენტამიცინისა და ბისეპტოლის თვითნებური გამოყენების დროს. აღნიშნული პრეპარატები ხასიათდება მაღალი ნეფროტოქსიკურობით და იწვევს ჰიპერსალივაციასა და ღებინებას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ დაუშვებელია ზოგი სახის ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება თვითნებურად, დიაგნოზის დაზუსტების გარეშე, მათი ტოქსიკურობისა და ზოგიერთი ჯიშის გენეტიკური თავისებურებების გამო. ასე რომ, ნუ გარისკავთ და ნუ ჩააგდებთ თქვენი ძაღლის სიცოცხლეს საფრთხეში.

**კითხვა**: **ოჯახში გვყავს 6 წლის კოკერ-სპანიელი. გვინდა კიდევ მექსიკური შიშველის აყვანა. გვაინტერესებს, ხომ არ დაიძაბება მათ შორის ურთიერთობა (ეჭვიანობას ვგულისხმობ)?**

**პასუხი**: როცა ახალი ლეკვი შემოგვყავს სახლში, როგორც წესი, პრობლემები ნაკლებად წარმოიშობა ხოლმე, რადგან, ნორმალური ზრდასრული ძაღლი ლეკვს არაფერს დაუშავებს. ლეკვს კი უნდა შეაგნებინოთ, რომ ზრდასრული ცხოველი უფროსია და უნდა დაუშალოთ მის საჭმელთან და სათამაშოებთან მიკარება, რაც თავიდან აგარიდებთ კონფლიქტურ სიტუაციებს. ასე რომ, თუ გადაწყვეტილი გაქვთ ახალი ლეკვის მოყვანა, პრობლემა არ არის, მთავარია, ორივე ცხოველზე თანაბრად გადაანაწილოთ ყურადღება და შეაჩვიოთ ისინი ერთმანეთს.

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-49(728)**

ხელფეხგაკოჭილი გივი ჯაფარიძე ფოლადის კაუჭზე ხელებით იყო ჩამოკიდებული. ჩოჩიანმა მძლავრი პროჟექტორი აანთო. ტყვეს



ორიოდე ნაბიჯით მიუახლოვდა და უთხრა:
– გაები, ნაბოზარო?
– რას მერჩი, რუზგენ, რა დაგიშავე? – მშვიდად თქვა ჯაფარიძემ.
– ჩვენი დაღუპვა გინდოდათ ხომ, შენ და მორფინას?
– რა დაღუპვა. საიდან მოიტანე. გაგიჟდი?
– კიდევ მე გავგიჟდი? – იღრიალა ჩოჩიანმა და ბეისბოლის ჯოხი ისეთი ძალით სთხლიშა წვივებში, ორივე ძვალი გაუბზარა.
ჯაფარიძემ ამოიკვნესა და მიუხედავად იმისა, რომ საშინელ ტკივილს გრძნობდა, ჩოჩიანს უთხრა:
– ძუკნა ხარ და ნაბოზარი.
ჩოჩიანი გამწარდა. ბეისბოლის ჯოხი ჰაერში აღმართა, რომ ჯაფარიძისთვის ტვინი გაესხმევინებინა, მაგრამ კალმარმა შეაჩერა. შემდეგ ჯაფარიძეს მწველი მზერა ესროლა და ჰკითხა:
– შენ ამბობ, რომ ძუკნა არ ხარ?
– არ ვარ.
– ვაჟა ზვიადაურს არ იცნობ?
– არა.
– აი, ის კი გიცნობს და სწორედ მან გაგვიყვანა შენზე.
– მოიყვანეთ და პირზე დამაყენეთ ეგ ვაჟა ზვიადაური.
– არ სურს. ასე ამბობს, – თვალებში ვერ შევხედავო.
– რატომ, – ჩაეცინა გივი ჯაფარიძეს, – დავწვავ?
– ის ჩვენზე მუშაობს. ფულს ვუხდით და ეტყობა, რცხვენია, რომ ჩაგიშვა.
– ბოდვაა.
– იქნებ არც გენერალ პავლე ლიადოვს იცნობ?
– ეგ ვინღაა?
– ეგეც ჩვენი კაცია. ფულის სანაცვლოდ შენს ოჯახზე ინფორმაციის გამხელას შეგვპირდა, – უთხრა კალმარმა ჯაფარიძეს.
გივი ჯაფარიძე წამით შეცბა, მაგრამ დამშვიდდა. ის დარწმუნებული იყო ზვიადაურსა და ლიადოვში. თუმცა, ვერ ხვდებოდა, საიდან ფლობდა ამ ინფორმაციას მის წინ მდგომი უცხო კაცი.
კალმარი ვარაუდებით ლაპარაკობდა და ჯაფარიძის გამოტეხვას ცდილობდა. თან, ბეისბოლის ჯოხს ატრიალებდა, რომელიც ჩოჩიანს გამოართვა.
– ბოდავთ რაღაცას. რატომ, არ ვიცი. მე პატიოსანი კაცი ვარ და ტყუილად მდებთ ბრალს, – თქვა ჯაფარიძემ.
– მე არასდროს ვბოდავ და ყოველთვის ზუსტად ვმოქმედებ. რამე რომ შემშლოდა, ახლა აქ არ ვიდგებოდი.
– გეშლება, – მტკიცედ თქვა ჯაფარიძემ.
– მეშლება? – ჩაეცინა კალმარს, – თუ იცი, ვინ ვარ?
– ვიცი.
– ვინ ვარ.
– ფანტომი! – ზიზღით წარმოთქვა გივი ჯაფარიძემ.
– ეგ გამრეკელმა შემარქვა. მე კი კალმარი ვარ! – იღრიალა კალმარმა. შემდეგ არაადამიანური ძალით მოიქნია ბეისბოლის ჯოხი. გივი ჯაფარიძეს ტვინი გაასხმევინა და ადგილზევე მოკლა. შემდეგ მკვლელობის იარაღი ცხვირსახოცით გაწმინდა. იატაკზე დააგდო და ჩოჩიანს უთხრა:
– შენებს უბრძანე, წაიღონ და უკვალოდ გააქრონ. მე შუაღამეს მოვალ და ახალ ამბავს მოვიტან. იმედია, ამ დროისთვის მორფინაც მოშორებული იქნება. დროებით ფსკერზე უნდა დავწვეთ და ფრთხილად იყავი.
– რას აპირებ?
– მაგას ღამით გეტყვი. ახლა კი ეს ნაბოზარი გააქრეთ.
– კარგი. ახლავე მიხედავენ.
კალმარი საიდუმლო კიბისკენ გაემართა. შემდეგ შეჩერდა და ჩოჩიანს უთხრა:
– კინაღამ დამავიწყდა. შილბანი ჩამოათრიე და უთხარი, კნუტი გაასაღონ.
– კნუტს რას ერჩი?
– მაგ ნაბოზარმა შემოგვიგდო ჯაფარიძე.
– კნუტიც ძაღლებზე მუშაობს?
– პირდაპირ არა მგონია, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს. მაგის გამო შეგვექმნა პრობლემები და უნდა დაისაჯოს.
– გასაგებია. დღესვე დავუკავშირდები.
– მხოლოდ ფრთხილად იმოქმედოს.
– კარგი.
კალმარი რომ წავიდა, რუზგენ ჩოჩიანმა ორი ხელქვეითი იხმო და უთხრა:
– ეს ტრუპი წაიღეთ და ისე გააქრეთ, ვერავინ იპოვოს. გასაგებია?
– გასაგებია, – მიუგეს რუზგენ ჩოჩიანს ხელქვეითებმა. შემდეგ გივი ჯაფარიძის ცხედარი ბრეზენტში გაახვიეს. მანქანის საბარგულში ჩადეს და როგორც კი ჩამობნელდა, ქალაქში გავიდნენ. საღამოს ათი საათი სრულდებოდა, როდესაც გირებგამობმული, ბრეზენტში გახვეული გივი ჯაფარიძის ცხედარი, რუზგენ ჩოჩიანის „გალავარეზებმა“ დიღმის მასივთან მტკვრის პირას ჩაიტანეს და წყალში გადააგდეს.

***

ვაჟა ზვიადაური ტანსაცმლიანად იყო წამოწოლილი ლოგინზე და გივი ჯაფარიძის ზარს მოუთმენლად ელოდა. პოდპოლკოვნიკი უზომოდ დაღლილი იყო. მიუხედავად ამისა, ძილი არ ეკარებოდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ჩვეულებისამებრ მშვიდი ზვიადაური ძალიან ღელავდა. რატომ, თავადაც ვერ გაეგო, მაგრამ მთელ მის სხეულს რაღაც უცხო ძრწოლვა იპყრობდა და სულს უშფოთავდა. ღამის ორ საათს რომ გადასცდა, ტელეფონმა დარეკა. „როგორც იქნა, გივიც გამოვიდა კავშირზე“, – გაიფიქრა ზვიადაურმა და შვება იგრძნო. შემდეგ ყურმილს დასწვდა და უპასუხა:
– გისმენთ.
– ვაჟა, მორფინა ვარ, – გაისმა ტელეფონში ზაურ ხრიკულის ხმა და ზვიადაურს საშინელი გრძნობა დაეუფლა. მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა. რის ვაივაგლახით მოთოკა თავი და მიუგო.
– გისმენ.
– ღიად იმიტომ გელაპარაკები, რომ დრო არ ითმენს. გავიშიფრე და სიკვდილს ძლივს დავაღწიე თავი. შენი რჩევა მჭირდება.
„გავიშიფრეზე“ ზვიადაურს ძალა წაერთვა და თვალწინ გივი ჯაფარიძე დაუდგა. თუმცა, კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალები და ჰკითხა:
– რა მოხდა?
– ჩოჩიანის ხალხი მოსაკლავად დამადგა სახლში და ძლივს გამოვასწარი. ერთ-ერთი მათგანი დავჭერი. იმან მიშველა, რომ არ მეძინა და ამ ბოლო დროს ძალიან ვფრთხილობდი.
– რა იცი, რომ ჩოჩიანის ხალხი იყო?
– ერთ-ერთი მათგანი ვიცანი. ადრე რომ დამადგა და ჩემი გამოტეხვა უნდოდა.
– ახლა სად ხარ?
– ადლერის ფოსტაში.
ვაჟა ზვიადაურმა მორფინას გულბათ მარგიანის მისამართი უკარნახა და უთხრა:
– მასთან უნდა ჩაალწიო გაგრაში და ჩემი სახელით უთხარი, დაგმალოს, თან მინისტრს დაუკავშირდეს.

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

– კარგი. მადლობა.

– ნახვამდის, – თქვა ზვიადაურმა და ხელის კანკალით გათიშა ტელეფონი. წამით ჩაფიქრდა. შემდეგ მერაბ გამრეკელის ბინის ნომერი აკრიფა და დაელოდა.

– გისმენთ, – მალევე უპასუხა მინისტრმა.

– ბატონო მერაბ, ზვიადაური ვარ.

– მოხდა რამე? – აღელდა გამრეკელი.

– მორფინა გაიშიფრა. ამწუთას დამირეკა ადლერიდან. ჩოჩიანის ხალხი მოსაკლავად დაადგა და გაქცევა მოასწრო, თან ერთი კაცი დაჭრა. მე მას გულბათ მარგიანის მისამართი მივეცი და გაგრაში გავუშვი.

– სწორად მოქცეულხარ. გივი?

– გივი არ გამოვიდა კავშირზე და მე მგონი, რაღაც მოხდა.

– ვაჟა, სასწრაფოდ სამინისტროში მოდი. თხუთმეტ წუთში ადგილზე ვიქნები, – უთხრა გამრეკელმა ზვიადაურს და ტელეფონი გათიშა.

ზვიადაურმა ყურმილი დადო. წამოდგა და ტაბელური იარაღი წელზე შემოირტყა. შემდეგ სწრაფად გავიდა სახლიდან. კიბეებზე შლეგიანივით დაეშვა და „ვოლგით" „გაფრინდა" სამსახურისკენ.

გამრეკელი და ზვიადაური ერთდროულად მივიდნენ სამსახურში და ერთმანეთს შესასვლელთან შეხვდნენ. გენერალს სახეზე ფერი არ ედო და ასევე ფერწასულ ზვიადაურს უთხრა:

– უპირველესად, ვინმე გაგზავნე, რომ გივი შეამოწმონ ბინაში და ეგრევე ჩემთან ამოდი.

– არის, – მიუგო ზვიადაურმა და თავისი განყოფილებისკენ გაიქცა. ხუთი წუთის შემდეგ უკვე გამრეკელს ეახლა და მოახსენა:

– გავგზავნე, ბატონო მერაბ. მაქსიმუმ ნახევარ საათში პასუხი გვეცოდინება.

– დაჯექი და შენი მოსაზრება გამიზიარე. რას ფიქრობ?

– აშკარაა, რომ მორფინა გაიშიფრა და თუ ეს ასეა, მაშინ გივიც გაშიფრული უნდა იყოს. ამიტომ, მის სიცოცხლეს დიდი საფრთხე ემუქრება.

– მეც მასე ვფიქრობ, მაგრამ ინფორმაციას საიდან უნდა გაეჟონა?

– არსაიდან, – თავი გააქნია ზვიადაურმა, – უფრო სწორად, ჩვენგან არა.

– მოსკოვიდან?

– გამორიცხულია, – მტკიცედ თქვა ზვიადაურმა.

– მეც დარწმუნებული ვარ ლიადოვში.

– აბა, რა უნდა მომხდარიყო?

– უნდა ვიფიქროთ. აქ სხვა რაღაცაშია საქმე.

– კი. მასეა.

– მაგრამ რაში?

– შეიძლება, მოვწიო?

– მოწიე.

ზვიადაურმა გააბოლა და ჩაფიქრდა. მინისტრმა კი რესპუბლიკის სამძებროს უფროსი გამოიძახა. შემდეგ მორიგე ოპერატიული ჯგუფის უფროსი დაიბარა და უთხრა:

– მოემზადეთ. როგორც კი დაგირეკავთ, რუზგენ ჩოჩიანის ასაყვანად უნდა წახვიდეთ.

მორიგე წავიდა. ზვიადაურმა კი მინისტრს უთხრა:

– ბატონო მერაბ, თუკი გავიშიფრეთ, გამოდის, რომ გვისმენენ.

– გვისმენენ? – გაოცდა გამრეკელი.

– დიახ. სხვაგვარად არ გავიშიფრებოდით.

– კი მაგრამ, ვინ? როგორ?

– თუ მასეა, ვიღაც შინაური, თანაც „ჟუჩები" ახალი დაყენებულია. გუშინ.

– „ჟუჩები", თანაც, გუშინ?

– დიახ. ჩვენ ყოველთვის ერთი-ერთზე ვლაპარაკობდით და მსგავსი არაფერი მომხდარა. ბოლოს გუშინ ვილაპარაკეთ თათბირის შემდეგ და სავარაუდოდ, ან თათბირის დროს დააყენა აქ ვიღაცამ „ჟუჩები", ან გუშინწინ ღამით. მე ვფიქრობ, ეს თათბირის დროს მოხდა.

გამრეკელი გაფითრდა. შემდეგ მოგრძო, სათათბირო მაგიდასთან მივიდა. ქვეშ შეძვრა და ნახევარიოდე წუთის შემდეგ ორი ცალი მოსასმენი მოწყობილობა გამოილო, აკანკალებული ხელით ზვიადაურს უჩვენა და თქვა:

– აი... შენ მართალი ხარ.

– გუშინ მანდ ვახტანგ პატარიძე იჯდა.

მინისტრი წამით ჩაფიქრდა. შემდეგ თავში ხელი შემოირტყა და ზვიადაურს უთხრა:

– გუშინ დილით პატარიძე სახლში გავუშვი. როგორც კი შენ გაგისტუმრე, დამირეკა და მითხრა, – ტანში მამტვრევს და სახლში წავალო. როგორც ეტყობა, ჩანაწერი წაუღო ვიღაცას.

– კაბინეტი გავუჩხრიკოთ, – წამოიძახა ზვიადაურმა და თავში სისხლი მოაწვა.

– წავედით, – თქვა გამრეკელმა და წამოდგა. ამ დროს კაბინეტში ზვიადაურის ხელქვეითი შემოვიდა და თქვა:

– თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე არავინაა. ბინა ცარიელია.

– ღმერთო ჩემო, გივი! – ზვიადაურმა თავში შემოირტყა ხელი. მინისტრმა კი მორიგე ოპერჯგუფის უფროსს დაურეკა და უბრძანა:

– სასწრაფოდ რუზგენ ჩოჩიანთან წადით და ვისაც იქ ნახავთ, ყველა აქ მოათრიეთ. ერთი ჯგუფი ადგილზე დარჩეს და ყველაფერი გულდასმით გამოიკვლიოს.

– ნება მომეცით, მეც მათ გავყვე, – სთხოვა ზვიადაურმა მინისტრს.

– არა. აქ დარჩი. ადგილზე მჭირდები, – მიუგო გამრეკელმა ზვიადაურს და ასე იმიტომ მოიქცა, რომ თუკი ჩოჩიანის სასახლეში გივი ჯაფარიძის გვამს აღმოაჩენდნენ, იმის დიდი შანსი იყო, ზვიადაურს ჩოჩიანი და მისი ხელქვეითები დაეხოცა.

– ამხანაგო გენერალო, გთხოვთ, – თქვა ზვიადაურმა.

– არა. წამოდი, პატარიძის კაბინეტი გავჩხრიკოთ.

გაფითრებული პოდპოლკოვნიკი მძიმედ გაჰყვა უკან გენერალს. მათ სამი მორიგეც თან გაიყოლეს და პატარიძის კაბინეტში შევიდნენ. ოთახის ჩხრეკამ შედეგი ვერ მოიტანა. ცეცხლგამძლე სეიფი კი საიმედოდ იყო ჩაკეტილი და ვერ გააღეს.

– უნდა გავჭრათ, – თქვა მინისტრმა.

– ამხანაგო გენერალო, ერთი იდეა მაქვს, – უთხრა გამრეკელს ერთ-ერთმა მორიგემ.

– რა იდეა?

– გაჭრას დიდი დრო უნდა. ჩვენთან „მედვეჟატნიკი" ზის მეტსახელად „კოდალა" და იქნებ მან გახსნას?

– ვცადოთ. ამოიყვანეთ კოდალა.

კოდალა ათ წუთში ამოიყვანეს საკნიდან. შემდეგ, ნივთმტკიცებულებად ამოღებული „ატმიჩკები" მისცეს და სეიფების გამხსნელი საქმიანობას შეუდგა. თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული რომ სამმაგსაკეტიანი, „ოტო და გრილის" სეიფი სუფთად გააღო და თქვა:



– მზადაა, „ჩიჩმეთ".

კოდალას ერთი ბლოკი სიგარეტი აჩუქეს. თან, არაყი და მშრალი საჭმელიც გაატანეს და საკანში დააბრუნეს. სეიფი კი გაჩხრიკეს და იქიდან მოსასმენ-ჩამწერი მოწყობილობა, რვა ათასი დოლარი და თოთხმეტი ათასი მანეთი ამოიღეს.

– ახლავე აქ მოათრიეთ პატარიძე! – თქვა განრისხებულმა გენერალმა და პირადად შეადგინა ჩხრეკის ოქმი, რომელზეც ზვიადაურმა და კიდევ ორმა ოფიცერმა მოაწერეს ხელი. საგანგებოდ გამოძახებულმა გამომძიებელმა კი სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მოკვლევას შეუდგა.

გამრეკელი და ზვიადაური რომ მინისტრის კაბინეტში დაბრუნდნენ, დილის ექვსი საათი სრულდებოდა. გაფითრებული ზვიადაური სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ადგილს ვერ პოულობდა. ორივე ახალ ცნობებს ელოდა და ტელეფონებისკენ ეჭირათ თვალი. პირველი ზარი რომ გაისმა, გამრეკელმა ყურმილი აიღო და უპასუხა:

– გისმენთ.

– მერაბ, გულბათ მარგიანი ვარ.

– გამარჯობა, გულბათ.

– დილა მშვიდობისა, მერაბ. ზაურ ხრიკული ჩემთანაა. თქვენი სახელით მოვიდა და მითხრა, დამმალეო. „მაკაროვი" ჰქონდა და ჩამაბარა. რა ვქნა?

– ახლავე წამოიყვანე, მაგრამ ძალიან ფრთხილად. „მაკაროვიც" წამოაყოლე. კუდზე მკვლელები აზიან და შარში არ გაეხვიოთ. შენები გააფრთხილე, რომ მობილიზებულები იყვნენ.

– გასაგებია. ათ წუთში გამოვალთ.

მეორე ზარი ათი წუთის შემდეგ გაისმა.

– გისმენთ, – უპასუხა გამრეკელმა.

– ამხანაგო გენერალო, პატარიძის ბინიდან გირეკავთ.

– რა ხდება?

– პოლკოვნიკი მოკლულია. მაყუჩიანი იარაღი აქვე, მაგიდაზე აღმოვაჩინეთ.

– გამოძიება დაიწყეთ, – მიუგო გამრეკელმა და ყურმილი დადო. შემდეგ ზვიადაურს მიუბრუნდა:

– პატარიძე საკუთარ ბინაში მოკლეს.

– როგორც ეტყობა, თავიდან მოიშორეს.

– ალბათ, – თქვა გამრეკელმა, – ნეტავ, კიდევ რა სიურპრიზები გველოდება...

დილის შვიდ საათზე სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ეახლა მინისტრს და მოახსენა:

– ამხანაგო გენერალო, რუზგენ ჩოჩიანის სახლი ცარიელი დაგვხვდა. იქ ახლა ჩვენი ბიჭები მუშაობენ და ყველაფერს იკვლევენ.



– მადლობა ღმერთს. რა იცი, რა ხდება.

ზვიადაურმა გააბოლა და ბოლთის ცემა დაიწყო. თან, გივი ჯაფარიძეზე ფიქრობდა. ამასობაში შუადღეც შესრულდა და მინისტრმა ზვიადაურს უთხრა:

– წადი, ცოტა დაისვენე.

– რას ბრძანებთ. რა დამაძინებს.

ტელეფონმა დარეკა და მინისტრმა უპასუხა:

– გისმენთ.

– ბატონო მერაბ, მაიორი გიგაური ვარ. ამ წუთას შემატყობინეს, რომ ორთაჭალჰესთან მეთევზეებმა უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს.

– მერე? – წამოიძახა მინისტრმა და ცუდი ამბის მოლოდინში სხეულში ჟრუანტელმა დაუარა.

– გვამი ბრეზენტში იყო გახვეული და აღწერილობით თქვენ მიერ მოცემული ძებნილის სიტყვიერ პორტრეტში ჯდება.

გიგაურის სიტყვებზე მერაბ გამრეკელს წელში გააცია, მაგრამ ნებისყოფა მოიკრიბა და მაიორს ჰკითხა:

– აღწერილობა გამიმეორეთ.

– მაღალი, ათლეტური აღნაგობის, ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წლის სიმპათიური მამაკაცი.

„გივი ჯაფარიძე“... – გაიფიქრა მინისტრმა. გიგაურს კი ჰკითხა:

– მიყენებული დაზიანების ხარისხი?

– პირველადი მოკვლევის შედეგად, ექსპერტს უთქვამს, თავში მძიმე დარტყმა აქვს მიყენებულიო. ტვინი აქვს გასხმული, ამხანაგო გენერალო. ექსპერტის თქმით მოკლული ჰაერში ხელებით იყო დაკიდებული და წვივები აქვს გაბზარული. სავარაუდოდ, ბეისბოლის ჯოხითაა ნაცემი, – მიუგო გიგაურმა.

– შემთხვევის ადგილზე არის ჩვენგან ვინმე?

– კიროვის რაიონის მილიციის უფროსი, ბატონო მერაბ. მასაც ჰქონდა გადაცემული „ორიენტიროვკა“. სწორედ მან დამირეკა და შემატყობინა ეს ამბავი.

– კარგი. გასაგებია. კიდევ რამე სიახლე თუ იქნა, დაუყოვნებლივ შემატყობინე, – უთხრა მინისტრმა რესპუბლიკის მთავარ მორიგეს და ყურმილი დადო.

– რა მოხდა, ბატონო მერაბ, – ჰკითხა მინისტრს ვაჟა ზვიადაურმა, რომელსაც სხეული უკანკალებდა.

– ორთაჭალჰესთან მეთევზეებმა უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს, – მძიმედ თქვა გენერალმა, თან გააბოლა, რომ მღელვარება დაემალა.

– გივის ცხედარი? – ღრიალით გააწყვეტინა სიტყვა ზვიადაურმა მინისტრს.

– არ ვიცი, ვაჟა. პიროვნება ჯერჯერობით დაუდგენელია და პროზექტურაში მიჰყავთ ექსპერტიზაზე.

გაფითრებული ვაჟა ზვიადაური ფეხზე წამოდგა და მინისტრს უთხრა:

– ამხანაგო გენერალო, პროზექტურაში უნდა წავიდე.

– მოიცა, ვაჟა. მეც მოვდივარ... – თქვა მინისტრმა. მანქანა გამოიძახა და პოდპოლკოვნიკთან ერთად კაბინეტი დატოვა.

გზაში არც გენერალს და არც ზვიადაურს ხმა არ ამოუღიათ. პროზექტურაში რომ მივიდნენ, იქაურობა ფორმიანი მილიციელებით იყო სავსე. „ვოლგიდან“ პირველი ზვიადაური გადმოვიდა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა შენობისკენ, სადაც გვამებს ათავსებდნენ. ვაჟას თვალებში უბნელდებოდა და სხეული ყინულივით გაჰყინვოდა. სუნთქვა უჭირდა. ფეხები ეკვეთებოდა და ოთახის ზღურბლს რის ვაი-ვაგლახით გადააბიჯა. შიგნით რომ შევიდა, საპროექციო მაგიდას მოჰკრა თვალი. მაგიდაზე გივი ჯაფარიძის შიშველი სხეული იდო. ზვიადაური ჯერ შედგა და ცხედარს დააკვირდა. შემდეგ ღრიალით დავარდა. მეგობრის უსულო, შიშველ მკერდზე თავით დაემხო და დაჭრილი დათვივით აღრიალდა.

***

დაპირებისამებრ, კალმარი შუაღამეს ეწვია რუზგენ ჩოჩიანს. მან საიდუმლო გვირაბით შეაღწია სახლში, საიდუმლო კიბით ავიდა უფანჯრებო ოთახში და სავარძელში მოკალათდა. ფრანგული კონიაკი დაისხა, მოწრუპა და სურნელოვანი სიგარეტი გააბოლა. ორიოდე წუთის შემდეგ ჩოჩიანიც გამოჩნდა. რუზგენი მოპირდაპირე სავარძელში ჩაეშვა და უხმოდ გააბოლა.

– რა ჰქენით? – ჰკითხა კალმარმა ჩოჩიანს.

– ჩემმა ბიჭებმა იმ ნაბოზრის გვამი უკვე გააქრეს, – თქვა ჩოჩიანმა.

– სად?

– ბრეზენტში გაახვიეს და ფეხებზე გირებგამობმული დილმის მასივთან, მტკვარში გადააგდეს.

– კრეტინები! – ზიზღით თქვა კალმარმა და კვამლი გამოუშვა.

– სიტყვები შეარჩიე... რას ერჩი ბიჭებს.

კალმარს სულ სამი ადამიანი იცნობდა და ორი უკვე მოშორებული ჰყავდა. ჩოჩიანთან კი იმიტომ მივიდა, რომ ისიც მოეკლა და მოწმე არ დაეტოვებინა. ამისთვის მაყუჩიანი პისტოლეტი ჰქონდა თან, რომელიც ქამარში გაერჭო. ამიტომ, ჩოჩიანის სიტყვები ჩაყლაპა. მომენტს ეძებდა, რომ მასპინძელი უხმაუროდ მოეკლა და კონფლიქტს ამიტომ მოერიდა. მან ჩოჩიანს გაუღიმა და უთხრა:

– ნუ ბრაზობ, რუზგენ. კაცის გაქრობა მე გასწავლო? ჯობდა, იმ ნაბოზრის გვამი ტყეში ღრმად ჩაემარხათ. ეს უფრო საიმედო იქნებოდა.

– რაც იყო, იყო. გვიანაა ახლა ამაზე ლაპარაკი, – არ დაუთმო ჩოჩიანმა კალმარს და თვალი თვალში გაუყარა.

– კარგი, კარგი, ნუ ცხარობ. მორფინაზე რა ჰქენით?

– მორფინას ხსენებაზე ჩოჩიანი შეიშმუშნა და კალმარს მიუგო:

– გაგვექცა ის ნაბოზარი, თანაც ერთი კაციც დამიჭრა. მაგრამ, ჩემი ბიჭები კუდზე აზიან და ოთხში ამოიღებენ.

– რაო? – წამოხტა კალმარი, – რას ჰქვია გაგექცათ? თქვენი დედაც.. თქვე კრეტინებო!

– ვის აგინებ, შე ბოზო! – ჩოჩიანი სავარძლიდან წამოხტა და კალმარზე გაიწია, მაგრამ კალმარი ხელიდან გაუსხლტა. ქამრიდან მაყუჩიანი პისტოლეტი გააძრო, ჩოჩიანს მიუშვირა და კბილებში გამოსცრა:

– დადგა შენი აღსასრულის დღე, შე ერთუჯრედიანო სირო!

ჩოჩიანი არ განძრეულა. გაეცინა და კალმარს მიუგო:

– „გლუშიწელიანი“ რკინით მაშინებ? ჩემს

მოსაკლავად მოიტანე, ხომ?

– როგორც იქნა, ტვინი აგიმოძრავდა... – ჩვეული ირონიით უთხრა კალმარმა.

– ტვინი მე უფრო ადრე ამიმუშავდა და არც ისეთი სულელი ვარ, როგორც შენ ფიქრობ. თმიდან რომ ბეწვიც ჩამომივარდეს, ჩემი კაცი იმ წუთშივე გაგშიფრავს და თავს წაგაცლიან.

კალმარი ასეთ პასუხს არ მოელოდა. ამიტომ, წამით დაიბნა. თუმცა, იარაღი არ დაუშვია და ჩოჩიანს უთხრა.:

– რაო, რა თქვი?

– შენ რა, დაყრუვდი?

– ჩამიშვი, რუზგენ?

– ჩაგიშვი კი არა, თავი დავიზღვიე. შენისთანა ტრაკისგან ყველაფერია მოსალოდნელი და ვიცოდი, ადრე თუ გვიან, ჩემი მოკვლაც მოგინდებოდა.

კალმარმა იარაღი შეინახა და მასპინძელს უთხრა:

– გაგიჟდი? რა შენი მოკვლა. საიდან მოიტანე. უბრალოდ, გავცხარდი და ეგაა სულ. რას ვდგავართ, ავახვიოთ აქედან. მორფინა ძაღლებზე მუშაობს და სულ მალე მილიცია მოვა.

– მოვიდეს მერე. გივი ჯაფარიძე მკვდარია და ვერაფერს იტყვის. მორფინა კი პირადად არ მიცნობს და ჩემ წინააღმდეგ მოწმედ არ გამოდგება. ტყუილად კი, ხელს ვერავინ მახლებს. სხვა დროა ახლა და დამცველებიც მყავს.

– ვინ დამცველები? რას ბოდავ, რუზგენ... თუ ჩაგავლეს, თავს ვერ დაიხსნი. შეკრიბე შენები და უთხარი, დაიფანტონ, სანამ ყველაფერი არ გაირკვევა. ჩქარა ავახვიოთ აქედან!

– შენ აახვიე. მე კი დავრჩები, – თავისას არ იშლიდა ჩოჩიანი.

„კრეტინი“, – გაიფიქრა კალმარმა. ჩოჩიანს კი ჰკითხა:

– მაინც, რისი და ვისი იმედი გაქვს?

– ჩემი პატრიოტი ხალხის.

– ვინ ხალხის? – ვერ მიხვდა კალმარი.

– ვისი და არაფორმალების. ვერ ხედავ, რა ხდება? ერმა გამოიღვიძა. თვალები გაახილეს და მთავრობას უტევენ. მიტინგი მიტინგზე იმართება და არავის იჭერენ.

– მერე, შენ რა?

– რა და ის, რომ ძმები მყავს იქ და თუ რამე გამიჭირდა, მხარში დამიდგებიან ისევე, როგორც მე ვეხმარები მათ. ამიტომ, არსად არ წამოვალ. შენ კი წადი. წადი და კარგად დაიმახსოვრე, რომ ფეხებსაც ვერავინ მომჭამს.

კალმარს საკმაო ძალისხმევა დასჭირდა, რუზგენ ჩოჩიანის დასარწმუნებლად და ბოლოს მაინც დაითანხმა. რუზგენს უთხრა:

– დროებით მაინც უნდა დაწვე ფსკერზე. ძაღლებს ამხელა ოპერაცია ჩაუშალე და რა იცი, რას მოიმოქმედებენ ცხელ გულზე. ბოლო-ბოლო, მოგკლავენ და იტყვიან, წინააღმდეგობა გაგვიწიაო. მკვდარს კი შენი არაფორმალი ძმებიც კი ვერ გაგაცოცხლებენ.

– კონკრეტულად, რას მთავაზობ?

– საიმედო ადგილზე დაგმალავ. ცოტა დრო გავიდეს და ისევ გამოჩნდები. ახლა კი ფსკერზე დაწექი.

– კარგი. მაგრამ კარგად დაიმახსოვრე: რომ მომკლა, არც შენ გაცოცხლებენ.

– სისულელეს ამბობ. შენი მოკვლა არც მიფიქრია. მოსაკლავის მეტი რა გვყავს?

– ვის გულისხმობ?

– გამრეკელს, ზვიადაურს, ლიადოვსა და თუ ჰყავს, იმ ნაბოზარს, გივი ჯაფარიძის ცოლ-შვილს.

– ცოლ-შვილს რაღას ერჩი?

– ვერ ხვდები, რუზგენ?

– ვერა.

– შური რომ არ იძიონ, – თქვა კალმარმა, – დამტკიცებით შეიძლება, ვერაფერი დაგიმტკიცონ და ციხეს გადაურჩე, მაგრამ, შეიძლება ბოლმა გულში ჩაიდონ და ადრე თუ გვიან, შურისსაძიებლად მოგაკითხონ.



– და, მერე ამას ვინ იზამს?

– ჩვენ, ყველა ერთად. ერთ „სვიაზკაში“ ვართ და ერთად უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი პრობლემები.

– შენ რა, ათას წელს აპირებ სიცოცხლეს? – ირონიულად ჩაეცინა ჩოჩიანს, – თუ იმ ნაბოზარს ცოლ-შვილი ჰყავს, შვილები პატარები ეყოლება და სანამ ისინი გაიზრდებიან და რამეს დააპირებენ, ალბათ, არც ჩვენ ვიქნებით ცოცხლები.

– არ უნდა გაიზარდონ! – მტკიცედ თქვა კალმარმა, – ეს ერთი. თანაც, ნუ დაგავიწყდება, რომ ბობოლა ძაღლები გადავიკიდეთ მტრად და სანამ აზრზე მოვლენ და დევნას დაგვიწყებენ, პირველებმა უნდა დავარტყათ და გავანადგუროთ. წავედით, წავედით. ახლა მთავარია, ფსკერზე დავწვეთ და ყველაფერი კარგად მოვიფიქროთ, რომ იალღიში აღარ მოგვივიდეს. წადი და შენები გაუშვი. მე აქ დაგელოდები და ერთად წავიდეთ.

– ნონას დავურეკავ და თან, წავიყვანოთ.

– ნონა ვერ წამოვა.

– რატომ? – ვერ მიხვდა ჩოჩიანი. შემდეგ შეცბა. კალმარს ზიზღნარევი მზერა ესროლა და უთხრა, – მოკალი ხომ?

– ყველა ადამიანი თვითონ იკლავს თავს, – ცინიკურად მიუგო კალმარმა, – სადაცაა ძაღლები მოვლენ... წავედით!

***

გივი ჯაფარიძე მშობლიურ სოფელში, საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოდპოლკოვნიკი ნათესავებმა გააპატიოსნეს და დაიტირეს. მეუღლე თეა კი მხოლოდ დასაფლავებას დაესწრო და ქმრის სიკვდილით შეძრწუნებული ახალგაზრდა ქალი მალევე მოარიდეს იქაურობას. ლიადოვის ორმა უერთგულესმა თანამშრომელმა თეა მოსკოვში წაიყვანა და ისევ კონსპირაციულ ბინაში დააბრუნეს.

იმ წუთიდან, როდესაც ძმაკაცის დაღუპვის ამბავი შეიტყო, ვაჟა ზვიადაური საკუთარ თავს არ ჰგავდა. გივის სიკვდილს საკუთარ თავს აბრალებდა და ამ მრავალხიფათგამოვლილ ვაჟკაცს ცრემლი არ შეშრობია.

ჯაფარიძის დაკრძალვაზე გენერალი პავლე ლიადოვი ჩამოვიდა მოსკოვიდან. იქ იყო მერაბ გამრეკელიც. ქელეხი რომ დასრულდა და ხალხი დაიშალა, ლიადოვმა გამრეკელს უთხრა:

– შენთან საქმე მაქვს, მერაბ. წამოიყვანე ზვიადაური და ერთად გავემგზავროთ. სადმე უსაფრთხო ადგილი გექნება, სადაც არ მოგვისმენენ.

– ჩემთან, სახლში წავიდეთ, – მოკლედ მიუგო გამრეკელმა ლიადოვს.

მინისტრის სახლში რომ მივიდნენ, შუაღამე სრულდებოდა. თამარი და ბავშვები გაგრაში იმყოფებოდნენ და ახლმოსულების გარდა, ბინაში არავინ იყო. მინისტრმა სახელდახელო სუფრა გაშალა. წითელი ღვინო გამოიტანა და მილიციელები სუფრას მიუსხდნენ. ჯერ გივი ჯაფარიძის ხსოვნის შესვეს, შემდეგ კი პავლე ლიადოვმა თქვა:

– არცთუ ისე მარტივი სიტუაციაა შექმნილი და ასე კონფიდენციალურად იმიტომ შეგკრიბეთ, რომ გაგაფრთხილოთ.

– რა ხდება, პავლე? – ჰკითხა გამრეკელმა.

– ჩემი განყოფილების ანალიტიკოსებმა რომ გააანალიზეს ეს წარუმატებელი ოპერაცია, საკმაოდ საგულისხმო დასკვნამდე მივიდნენ. უფრო სწორად, მე მოვედი ასეთ დასკვნამდე.

– რა დასკვნამდე.

– ჯერ მოკლედ გეტყვით. შემდეგ კი უფრო დაწვრილებით მოგიყვებით ყველაფერს.

– თქვი, გისმენთ.

– დასკვნა ისაა, რომ მე, შენ, ვაჟას და რაც მთავარია, თეას და ჯაბას დიდი საფრთხე გვიახლოვდება. ჩვენს წინააღმდეგ ძალიან ვერაგი, საშიში და რაც მთავარია, უხილავი ძალა მოქმედებს, რომელსაც ფართო შესაძლებლობები აქვს. ეს თუნდაც იქიდანაა ნათელი, რომ ოპერაცია ჩაიშალა. მეთანხმებით?

– გეთანხმები. შემდეგ... – თქვა გამრეკელმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

***ჩაწერა ხდება წინასწარ.***

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# როგორ გაიხსნა მსხვილი მაფიოზური დაჯგუფების საქმე ღამის მძარცველის მეშვეობით



## ღამის ძარცვა

ანტონ ლარინი, მეტსახელად „ანტოშკა“, მოსკოველი მძარცველი იყო. მეორე პატიმრობიდან სულ რაღაც ორი კვირის წინ გათავისუფლებული ანტოშკა მალოარბატსკის მეორე ჩიხში იდგა და საკბილოს ელოდა. ციოდა. ღამის პირველი საათი სრულდებოდა, როდესაც №11 სახლის სადარბაზოდან „დუბლიონკიანი“ მამაკაცი გამოვიდა და ეზოს გასასვლელისკენ გაემართა. სიბნელეში მდგარი ლარინი მოულოდნელად გამოუხტა ჩანთაგადაკიდებულ მამაკაცს, ალესილი ბებუთი მიუშვირა და საფულე, ძვირფასი ნივთები და ტყავის სპორტული ჩანთა მოსთხოვა. მამაკაცმა ანტოშკას მოულოდნელი ილეთით გააგდებინა ბებუთი ხელიდან და ძირს დასცა, მაგრამ ლარინმა მოასწრო და მამაკაცს ფეხებში გამოჰკრა ორივე ხელი. ის ყინულზე მოსრიალდა, კეფით დაეცა და აღარც განძრეულა. გაყინული თოვლი კი დაცემულის სისხლით შეიღება.

„შემომაკვდა“, – ჩაილაპარაკა ლარინმა, შემდეგ მამაკაცის ტყავის ჩანთას დასწვდა და სწრაფად გაეცალა შემთხვევის ადგილს. ხუთასიოდე მეტრი რომ გაიარა, მძარცველი „მურის“ მორიგე ჯგუფმა ერთ-ერთ ბნელ შესახვევში აიყვანა, სადაც ისინი მანქანით იყვნენ ჩასაფრებულები. მცდელობის მიუხედავად, ლარინმა გაქცევა ვერ მოახერხა და ის მილიციის უახლოეს განყოფილებაში მიიყვანეს, შემდეგ ტყავის ჩანთა გახსნეს და გაოცდნენ – ჩანთა საბანკო ზონრებით შეფუთული ასმანეთიანების დასტებით იყო სავსე. სულ ას ოცი ასეთი დასტა აღმოაჩინეს, რაც 1 მილიონ 200 ათას მანეთს შეადგენდა. ანტოშკამ აღიარებითი ჩვენება მისცა გამომძიებელს და აცხადებდა, რომ მამაკაცი მას სრულიად შემთხვევით შემოაკვდა. ღამის 2 საათსა და 40 წუთზე, ანუ, ძარცვიდან 100 წუთის შემდეგ, ოპერმუშაკები ლარინთან ერთად მალოარბატსკის შესახვევში, №11 სახლის ეზოში დაბრუნდნენ, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა, მხოლოდ გაყინულ თოვლზე შეყინული სისხლის კვალი ადასტურებდა ანტონ ლარინის სიტყვებს.

იმავე დღეს მოსკოვის სამოქალაქო პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ძარცვის მუხლით და 1977 წლის 23 იანვარს გამოძიება დაიწყო.

## იდუმალი მდგმური

„მურის“ ოპერმუშაკებმა დაადგინეს, რომ გაძარცული მამაკაცი №11 სახლის მეოთხე სართულზე №7 ბინას ქირაობდა. ბინის პატრონი 71 წლის პენსიონერი მარფა ზიკოვა იყო. მოხუცმა, რომელიც გვერდით, №6 ბინაში ცხოვრობდა, გამომძიებელს უთხრა:

– მდგმურს ანზორი ჰქვია და უკვე სამი წელია, ჩემთან ჩერდება. პირველად ის ჩემმა შვილიშვილმა, ლუდმილამ მოიყვანა. ლუდმილა შარშან ავარიაში დაიღუპა და სულ მარტო დავრჩი. ანზორი ყოველთვე ჩამოდის და ერთ კვირაზე მეტს არ ჩერდება. თვეში ოცდაათ მანეთს მიხდის, უფრო სწორად, ყოველი წლის დასაწყისში მთელი წლისას მიხდის 360 მანეთს მაძლევს. მას საკუთარი გასაღები აქვს. არც ის მაწუხებს და არც მე ვაწუხებ.

მოხუცმა გამომძიებელს 36 ცალი ათმანეთიანი უჩვენა და უთხრა:

– აი, ეს ფულიც ანზორმა მომცა – ოცში ჩამოვიდა და იმავე დღეს გადამიხადა.

მოხუცმა თქვა, რომ ანზორი საქართველოდან იყო, მაგრამ, რომელ ქალაქში ცხოვრობდა, არ იცოდა. ქალისავე თქმით, მისი მდგმური მოსკოვში მივლინებით ჩამოდიოდა, მაგრამ, არც მისი პროფესია იცოდა და არც მისი სამსახური. პროკურატურამ და „მურმა“ ქალისა და ლარინის მეშვეობით მდგმურის ფოტორობოტი შეადგინეს და, თოვლზე აღებული სისხლის ანალიზთან და ნაქირავებ ბინაში აღმოჩენილ თითების ანაბეჭდებთან ერთად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადმოგზავნეს საიდენტიფიკაციოდ. სიტყვიერი აღწერილობისა და ფოტორობოტის მიხედვით, იდუმალი მდგმური იყო საშუალო სიმაღლის 35-40 წლის მამაკაცი, შავი ფერის ხშირი თმით, რომელიც გემოვნებით და მდიდრულად იცვამდა. სისხლის კვალის ანალიზით კი დადგინდა, რომ ვინმე ანზორი დიაბეტით იყო დაავადებული და, სავარაუდოდ, მკურნალობდა.

## საიდუმლო შეკრება

მალოარბატსკის შესახვევში გაძარცული მამაკაცი სინამდვილეში 38 წლის ნოდარ მურია იყო. ის თბილისში ცხოვრობდა და ერთ-ერთ ფაბრიკაში მთავარ ინჟინრად მუშაობდა. უცოლშვილო მურია მოსკოვში მართლაც ყოველთვიურად ჩადიოდა, სადაც ეშელონით ჩაჰქონდა თავისი ფაბრიკის „ლევი“ (გაუფორმებელი) პროდუქცია, უკან კი ფულით ბრუნდებოდა, რომელსაც დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფი იყოფდა. ამ ჯგუფში მურიას გარდა შედიოდნენ: ფაბრიკის დირექტორი, მოადგილე, მთავარი ბუღალტერი და შინაგან საქმეთა სამინისტროს „ობეხეესის“ (დატაცებისა და ბანდიტიზმის განყოფილება) ორი თანამშრომელი. მოსკოვში მათ თანამზრახველები ჰყავდათ და ისინიც საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ. ეს ჯგუფი ამ დანაშაულებრივი სქემით 1974 წლიდან მოქმედებდა და ათეულ მილიონობით მანეთს იჯიბავდა. 23 იანვარს ნოდარ მურია მოსკოვური ვოიაჟიდან თბილისში უნდა დაბრუნებულიყო; ის ღამის მატარებლით აპირებდა გამგზავრებას, როდესაც მას ანტოშკა დაესხა თავს და გაძარცვა... გონზე მოსული მურია სწრაფად წამოდგა. აეროპორტში გაემგზავრა და რამდენიმე საათში უკვე თბილისში იყო. ნანერვიულებმა და ძალებგამოცლილმა მთავარმა ინჟინერმა ძლივს მიაღწია ლოგინამდე და ტანსაცმლიანად ჩაეძინა. საღამოს 10 საათზე კი გაეღვიძა, თავი მოიწესრიგა, წამალი დალია და პირდაპირ ფაბრიკაში გაემგზავრა დირექტორთან, რადგან ის შუაღამემდე ჩერდებოდა სამსახურში.

**მილიციელებმა ჩანთა გახსნეს და გაოგნდნენ – იქ მილიონ 200 ათასი მანეთი იდო**

– ზეგ არ უნდა ჩამოსულიყავი? – ჰკითხა მურიას გაოცებულმა დირექტორმა, – მოხდა რამე?

ნოდარ მურიამ დაწვრილებით მოუყვა უფროსს ყველაფერი და ბოლოს დაამატა:

– თანხას მე დავფარავ. კიდევ კარგი, რომ მხოლოდ გამძარცვეს და მილიციას არ გადავაწყდი.

– კიდევ კარგი... წადი და დაისვენე, – შვებით ამოისუნთქა ფაბრიკის დირექტორმა და ხელქვეითი კაბინეტიდან გამოისტუმრა.

28 იანვარს, „ობეხეესის“ პოდპოლკოვნიკმა მალხაზ ზარიამ, რომელიც დანაშაულებრივ ჯგუფში შედიოდა, ფაბრიკის დირექტორი შეხვედრაზე დაიბარა, მოსკოვიდან გამოგზავნილი ფოტორობოტი უჩვენა და უთხრა:

– შენი კრეტინი ხელქვეითი ჯერ ვიღაც ბასიაკმა გაძარცვა, შემდეგ ის კრეტინი ბასიაკი მილიციამ დაიჭირა და, აი, შედეგი – სამინისტროში დღეს ეს ფოტორობოტი მოვიდა და, თუ დაიჭირეს, ყველას დედას გვიტირებენ.

იმავე საღამოს, ნოდარ მურიას გარდა, მთელი დანაშაულებრივი ჯგუფი შეიკრიბა ფაბრიკის დირექტორის აგარაკზე, წყნეთში და მთავარი ინჟინრის თავიდან მოშორება ერთხმად გადაწყვიტეს.

– ჯაჭვი უნდა გავწყვიტოთ, – თქვა ზარიამ, – წინააღმდეგ შემთხვევაში, მურიას დაიჭერენ, ის კი ყველას ჩაგვიშვებს. შემსრულებელს მე ვიპოვი, ოღონდ, ამ საქმეში სამასი ათასი მანეთი მჭირდება.

მალხაზ ზარიას იქვე მისცეს 300 ათასი მანეთი და შეთქმულები დაიშალნენ. პოდპოლკოვნიკმა გუნებაში თანამზრახველებს დასცინა, 290 ათასი მანეთი სამალავში შეინახა, 10 ათასი მანეთი კი თავის ხელქვეითს, ლეიტენანტ გივი ლუაშვილს მისცა და ნოდარ მურიას მოკვლა დაავალა.

## მირსკის საქმე

მოისეი მირსკი მოსკოვის №19 სასაქონლო ბაზის დირექტორი იყო და მისი საქმიანობით „კაგებე“ მას მერე დაინტერესდა, რაც უშიშროებამ შეიტყო, რომ ის სავალუტო ოპერაციებით იყო დაკავებული. მასზე თვალთვალი „კაგებემ“ 1976 წლის მიწურულს დააწესა. სწორედ მირსკი უხდიდა ფულს მურიას თბილისიდან ჩამოტანილ საქონელში, მას ორმაგ ფასად ასაღებდა და მოგებული თანხით ამერიკულ დოლარებს ყიდულობდა. მირსკი 23 იანვარს აიყვანეს და მან გამომძიებლები მურიაზე გაიყვანა. იმავე დღეს მურიას მოხელთება ვერ მოხერხდა, რადგან ფულის გადაცემა ძალიან ეშმაკურად მოხდა – ფული შემნახველ საკანში იყო შენახული და ხელიდან ხელში გადაუციათ, რის გამოც, უშიშროების კინოკამერაში ეს ფაქტი არ დაფიქსირებულა. თუმცა, უკვე გაშიფრულ მურიას „კაგებეს“ საგანგებო ჯგუფი 3 თებერვალს თბილისში „დააჯდა კუდზე“ და თვალთვალი და გადაღება დაუწყეს. 5 თებერვალს მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ მურიას სახლში მოსაკლავად გივი ლუაშვილი დაადგა, რომელმაც პოდპოლკოვნიკ ზარიას მიერ შეკვეთილ მკვლელობაში 10 ათასი მანეთი აიღო. მოსკოველმა მოთვალთვალეებმა უკვე იცოდნენ მურიას შემთხვევითი გაძარცვის ამბავიც და ანალიზის შედეგად ისიც ივარაუდეს, რომ მას მკვლელს მიუგზავნიდნენ. ამიტომ, ლუაშვილის ვიზიტს მომზადებულები შეხვდნენ და მილიციის ლეიტენანტი ფაქტით აიყვანეს – მას „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი აღმოაჩნდა. ლუაშვილმა ჩვენებაში ყველაფერი აღიარა და თავისი უფროსი მკვლელობის შეკვეთაში ამხილა. 6 თებერვლის ღამეს, „კაგებეს“ მოსკოველმა ოპერმუშაკებმა ქართველ კოლეგებთან ერთად, თბილისში აიყვანეს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფი და, ამის პარალელურად, ანალოგიური ოპერაცია მოსკოვშიც ჩატარდა.

მოისეი მირსკისა და მძარცველ ანტოშკას მეშვეობით, პროკურატურამ, „კაგებესა“ და „მურთან“ ერთად, მსხვილი საქმე გახსნა და 25 ადამიანი საბრალდებო სკამზე დასვა. უმეტეს მათგანს 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მათ შორის იყო ნოდარ მურიაც, რომელიც დღეს ურალში ერთ-ერთი მსხვილი ფირმის პრეზიდენტია.

**ნიკა ლაშაური**

# რატომ გამოჭრა მამამ შვილს ყელი ხერხით და რა როლი შეასრულა სასტიკ მკვლელობაში მოღალატე რძალმა



ოპერატიული ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელიც სოფელში უცბად გახმაურდა, სამართალდამცველებისთვის გარდაცვლილი მამაკაცის, გოგა ქ-შვილის მეზობლებისგან გახდა ცნობილი. ჩხუბი და ხმაური სოციალურად დაუცველ ოჯახში, სადაც ცოლ-ქმარი, მათი ორი მცირეწლოვანი შვილი და გარდაცვლილის მამა – 68 წლის ნუგზარ ქ-შვილი ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი რამ იყო. თუმცა, დანაშაულის ჩადენამდე ცოტა ხნით ადრე, მათი ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველების მისვლამდე რამდენიმე მეზობელი მივიდა. მათ ბინაში საზარელი სურათი დახვდათ: გოგა ქ-შვილი საწოლში იწვა ყელგამოჭრილი, საწოლი სისხლით იყო მოსვრილი. იქვე ეგდო დანაშაულის იარაღი – პატარა ხერხი, რომელსაც საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის იყენებდნენ. მცირეწლოვანი ბავშვები გარდაცვლილი მამის ცხედრის ირგვლივ ტრიალებდნენ. იქვე იყვნენ ოჯახის სხვა წევრებიც – გარდაცვლილის მამა და მეუღლე, შორენა კ-ძე. ქალი მეუღლეს დასტიროდა და ამბობდა, რომ გოგამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამას გამოძიებასთან ადასტურებდნენ თვითმხილველებიც, რომლებიც შემთხვევის ადგილზე პირველები მივიდნენ. ამონაწერი მოწმის, ლეილა ტ-ის ჩვენებიდან: „ჩემი სახლი ქ-შვილების ბინასთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. როცა ქალის კივილი შემომესმა, მეუღლე გავაღვიძე და ვუთხარი: შორენას ხმაა, ალბათ, რამე ხდება და გადავალ-მეთქი. ჩემმა ქმარმა სასტიკად იუარა, რომ გამომყოლოდა. მე მაგათი თავი არ მაქვს, შენ რაც გინდა ის ქენიო. ამ ოჯახზე ყველას აცრუებული ჰქონდა გული. მაგრამ, ქალებს გვეცოდებოდა ბავშვები, რომლებიც სიღარიბეში იზრდებოდნენ და რითაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით ხოლმე. ნუგზარი სოფელში ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. ახალგაზრდობაში ორჯერ იყო ნასამართლევი, მეზობლების ბინების გაქურდვისთვის. მთელი ცხოვრება უსაქმოდ, ჩხუბსა და აყალმაყალში ჰქონდა გატარებული. მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, ორჯერ მოიყვანა ცოლი, მაგრამ ვერც ერთმა ქალმა ვერ გაძლო რამდენიმე თვეზე მეტი ამ ოჯახში. ბოლო დროს ნუგზარი და გოგა ხშირად ჩხუბობდნენ, ორივე სასმელს ეტანებოდა და როგორც კი, რომელიმე დალევდა, ჩხუბი გარდაუვალი იყო. ბოლო ორ თვეს კი მამა-შვილს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. შვილმა რომ არაფერი იცოდა, ნუგზარმა და შორენამ სახლი ჩუმად მიჰყიდეს ჩვენს სოფელში ჩამოსულ ფერმერს, რომელსაც იქვე, ახლოს, ფერმისთვის მიწები ჰქონდა ნაყიდი. როცა გოგამ ეს გაიგო, ცოლი სასტიკად სცემა, მამასთან კი, დიდი დაპირისპირება მოუხდა. მეზობლები გოგას მხარეზე ვიყავით. სად უნდა წასულიყვნენ ორი მცირეწლოვანი ბავშვით, მაგრამ მაინც ვანუგეშებდით, მაგ ფულით რამე პატარა ბინა მოგივათ და იქ გადახვალთ საცხოვრებლადო. გოგა ისე იყო გამწარებული, ცოლს და მამას მოკვლით ემუქრებოდა. იმ ღამეს, როცა კივილი გავიგე, ვიფიქრე, გოგამ მუქარა სისრულეში მოიყვანა-მეთქი, მაგრამ, როცა სახლში მივედი, თავად ვნახე ყელგამოჭრილი. შორენა ტიროდა, არ ვიცი რატომ, მაგრამ ვერ დავიჯერე თვითმკვლელობა. შემთხვევის ადგილზე მეზობლები მოგროვდნენ, ვიღაცამ პოლიცია გამოიძახა. ნუგზარი ხმას არ იღებდა, მხოლოდ შორენა ყვებოდა იმ დეტალებს, თუ როგორ გამოაღვიძა მომაკვდავი მეუღლის ხროტინის ხმამ, რომელსაც ყელი საკუთარ საწოლში ჰქონდა გამოჭრილი."

დანაშაულის იარაღი – პატარა ხერხი თავიდანვე გახდა საეჭვო. სამართალდამცველების განცხადებით, ადამიანი ამ ტიპის ხერხით საკუთარ თავზე სასიკვდილო დაზიანებას ვერ მიიყენებდა. სამართალდამცველებმა დაკითხეს ინციდენტის თვითმხილველნი. ნუგზარ ქ-შვილმა განაცხადა, რომ შვილის თვითმკვლელობის შესახებ რძლისგან მაშინ შეიტყო, როცა შორენამ საწოლში, გარდაცვლილი აღმოაჩინა. შორენა კ-ძემ პირველივე დაკითხვისას

**შვილის თავიდან მოშორება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საკუთარი რძალი შეუყვარდა**

დეტალურად მოუთხრო გამოძიებას ინციდენტის შესახებ. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „იმ საღამოს ყველა ადრე დავწექით დასაძინებლად. გოგა ნასვამი იყო და შემეშინდა, მამასთან კიდევ არ მოსვლოდა კონფლიქტი. ამიტომაც, საწოლამდე მივიტყუე. როგორც კი დაწვა, მაშინვე დაეძინა. მე იმავე ოთახში, მეორე საწოლში ვიწექი ბავშვთან ერთად. ჩემი მამამთილი გვერდით, საძინებელში იწვა. გვიან ღამით, უცნაური ხმა შემომესმა, ხროტინს ჰგავდა. თვალი გავახილე, მივიხედ-მოვიხედე. სიბნელეში ვერაფერი დავინახე, მაგრამ გავიგე დავარდნის ხმა. საწოლიდან წამოვდექი, შუქი ავანთე და საწოლში სისხლით მოსვრილი გოგა დავინახე. იქვე, ძირს იყო ჩამოვარდნილი პატარა ხერხი, რომლითაც მას ყელი გამოეჭრა. მაშინვე ჩემი მამამთილის ოთახში შევვარდი. ნუგზარს ეძინა, გავაღვიძე და ვუთხარი, გოგამ თავი მოიკლა-მეთქი. ჩემს კივილზე ბავშვებსაც გამოეღვიძათ. ტირილი დაიწყეს, მალე ჩვენს ბინაში მეზობლებიც მოგროვდნენ და პოლიციაც მოვიდა."

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. თვითმხილველთა ჩვენების მიუხედავად, თვითმკვლელობა საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა: როგორ გამოიჭრა ყელი მამაკაცმა საკუთარი ხელით ისე, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი გაიგო. პატარა ოთახში, სადაც ორ ბავშვს და მეუღლეს ეძინათ, ეს ძნელი წარმოსადგენი იყო. ბევრ საეჭვო გარემოებას შეიცავდა გარდაცვლილის მამისა და მეუღლის ჩვენებებიც, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ყველაზე მეტი ინფორმაცია გამოძიებას გარდაცვლილის უფროსმა შვილმა, 12 წლის ნანა ქ-შვილმა მიაწოდა. მასწავლებლის თანხლებით დაკითხვის დროს, მან განაცხადა, რომ დაინახა, როგორ ეჭიდავებოდა პაპა მამას და როგორ „დაატკა" მას ზურგზე შორენა კ-ძე. რის შედეგადაც, შეშინებული ბავშვი საწოლში დამალულიყო. საბოლოოდ, გამოძიების მიერ ჩიხში მოქცეულმა რძალ-მამათილმა აღიარა, რომ გოგა ქ-შვილი თავად მოკლეს. ეს კი ინციდენტამდე ერთი თვით ადრე დაგეგმეს. ნუგზარ ქ-შვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა – როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, დანაშაულის მოტივი ეჭვიანობა იყო, რომელიც გარდაცვლილ მამაკაცს მამისა და ცოლის ურთიერთობაზე, მათ ინტიმურ კავშირზე ჰქონდა. ეს კავშირი მოგვიანებით ნუგზარ ქ-შვილმა და მისმა რძალმაც აღიარეს. ამაზე ეჭვი ჰქონდათ მეზობლებსაც. მამა-შვილის დაპირისპირების მიზეზი ჩუმად გაყიდული ბინა კი არა, მამამთილისა და რძლის ინტიმური ურთიერთობა იყო, რასაც გარდაცვლილიც ხვდებოდა. როგორც საქმის მასალებით დადგინდა, მკვლელობის ღამეს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გოგა ქ-შვილმა ალერსის დროს შეუსწრო მამას და მეუღლეს. მათ გოგა საძინებელში მოკლეს, შემდეგ კი საწოლში ჩააწვინეს და თვითმკვლელობის სცენა გაითამაშეს.

ჩადენილი დანაშაულის დეტალები აღიარა ნუგზარ ქ-შვილმაც, რომელმაც განაცხადა, რომ შვილის თავიდან მოშორება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საკუთარი რძალი შეუყვარდა. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ნუგზარ ქ-შვილს სასამართლომ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მკვლელობის თანამონაწილე შორენა კ-ძეს კი, 9 წლით პატიმრობა შეეფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ ციყვის ხატვა

2. მიახატეთ თვალი

3. შემდეგ – ყურები

4. ტანიც აქ დაგავიწყდეთ

5. ტანს მიახატეთ კისერი და ფეხები

6. შემდეგ – წინა თათები

7. დაასრულეთ ნახატი

8. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ 10 განსხვავება






# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ხელნაკეთი ცხვარი




სათამაშო ცხვარი ძალიან ადვილად მზადდება. ამისთვის დაგჭირდებათ: ყურის ჩხირები, მუყაოს ფურცელი, ატლასის ლენტი და წებო. მუყაოს ფურცლისგან გამოჭერით ერთი ოვალის ფორმა, მეორე კი (თავისთვის) – მრგვალი. გადაჭერით ყურის ჩხირები, როგორც ნახატზეა ნაჩვენები და დააწებეთ მუყაოს ფურცელზე. დაახატეთ თვალები, პირი და დააწებეთ ატლასის ლენტი.

მუყაოს ფურცელი გადაკეცეთ სიგრძეზე, გააფერადეთ და მიაწებეთ მუყაოს ტანის ფორმა, ისე, რომ ფეხები ერთი ზომის გამოვიდეს. შეგიძლიათ, ატლასის ლენტით საკიდი გაუკეთოთ და ამ სათამაშოთიც დაამშვენოთ თქვენი ნაძვის ხე.

# რიცხვრებუსი

10,, ,,,,13, 10,, ,,3

# მგლები და ცხვრები

## (იგავ-არაკი)

ერთხელ მგლებმა გადაწყვიტეს, ცხვრები მოეტყუებიათ, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერი გააწყვეს. მაშინ ადგნენ და ცხვრებს შეუთვალეს: ჩვენ რომ ერთმანეთს ვემტერებით, სულ ძაღლების ბრალია, ეგენი თავიდან მოიშორეთ და მაშინვე, მშვიდობა ჩამოვარდებაო. ცხვრებიც გაბრიყვდნენ და ძაღლები გააძევეს. მგლებმა დრო იხელთეს და უპატრონოდ დატოვებულ ცხვრებს მუსრი გაავლეს.

ხალხი რომ ქალაქის თავს უღალატებს, თვითვე ჩაუვარდება მტერს ხელშიო, – გვასწავლის არაკი.






ქების ღირსი
შუამდინარეთის ქალაქი
დენთით და ტყვიით გატენილი მასრა
3
აღმოსავლელი მინისტრი
მშვიდობა
მალაყი
თოვლის ბაბო
დიღმის, გლდანის
ქალაქი იტალიაში
ჩვენი ენის უარყოფით. ნაწილაკი
ძველ.ბერძენთა ღმერთი
დაშინება
სენი
ჩეხური მანქანა
(......) ამოს კომენსკი
სადინარი
რუსული „ჯიპი“
დაბა სოხუმთან
დუშმანი
ქალაქი იტალიაში
ნორმა
სასმელი
ნუსხა
ტყორცნა
(.......)-სურვილი
სიო
ყალბი
ოსტაპ ბენდერის კომპანიონი
ორთოგრაფიული ხაზი
ცნობილი თარაში
კაცის იტალიური სახელი
შუშა
ქალაქი რუსეთის ამურის ოლქში
მაღალი ხე
ხაიამი
მწერის განვითარების სტადია
5
2
კინონარწერა
ინგლისელი ფანტასტი არტურ...
4
სურნელი
ჰოლივუდის მსახიობი ჯეკ.....
საკვები ბალახი
სპორტული ჩხუბი
(.......) კარპოვი
იყო ასეთი გაზეთი „ნორჩი...“
ველური ცხენი
წუნი, ზადი
მალვიძარა
„მაგრამ“ ძვ.ქართ.
(........) კვალიაშვილი
1
(........) ჭანკვეტაძე
ლეონარდო (.....) კაპრიო
სარეცხი ფხვნილი
პერუს ფულის ერთეული
მდინარე (......)-დარია
ტურ ჰეიერდალის ტივი
დიდი რეგიონი
ქალაქი ინდოეთში
ღრუბელი ასეთიც არის
(.......) იოსელიანი
7
ძვ.ქართვ. ფეხბურთელი, მეკარე
სხეული
თითქმის მეგობარი
ხელოვანი
არის ასეთი გომბეშო
(........) ბესინჯერი
სადემონსტრაციო სივრცე
ძველი სომხეთის ქალაქი
პირველი ბალერინა
ჩაპლინი
მოსწავლის მაგიდა
ვარდობის თვე
ესპანეთ. ქალაქი
ეგვიპტის რეგიონი
დიდი თევზი
(.......) კრისტი
შუა სს ფრანგი დრამატურგი
საკომუნიკაციო საშუალება
საკეტსაშუალება
თავისუფალი
ზღაპრის ცხენი
უარყოფითი პასუხი
ყანწის მასალა
თბილისის უბანი
6
კარგი ამინდი
გმირი დედიანი
ევროპის ქვეყანა
ქალაქი თურქეთში
ორმაგი ანუ?
ვიცოდით ასეთი რუსული გაზეთი
ტაბლეტი
8
არმია. ლაშქარი
პერუს დედაქალაქი
მესამე პირი
კასპის სოფელი
ჯარის მართვის ორგანო
საკვები ბალახი

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 5 |
| 2 | 7 1 |
| 3 | 3 10 |
| 4 | 12 2 |
| 5 | 13 1 |
| 6 | 4 1 |
| 7 | 1 |
| 8 | 5 1 |
| 9 | 7 1 |
| 10 | 3 10 |
| 11 | 12 2 |
| 12 | 1 13 1 |
| 13 | 1 4 1 |
| 14 | 2 1 |
| 15 | 3 6 1 |
| 16 | 16 2 |
| 17 | 1 13 3 1 1 |
| 18 | 8 2 3 2 1 2 |
| 19 | 9 3 2 12 |
| 20 | 5 3 4 5 1 |
| 21 | 10 4 2 |
| 22 | 11 5 2 |
| 23 | 10 5 3 |
| 24 | 15 1 |
| 25 | 6 1 |
| 26 | 1 |
| 27 | 1 |
| 28 | 1 |
| 29 | 4 1 |
| 30 | 13 1 |
| 31 | 12 2 |
| 32 | 3 10 |
| 33 | 7 1 |
| 34 | 6 |
| 35 | 2 |

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 4 |
| 2 | 2 3 |
| 3 | 7 |
| 4 | 9 |
| 5 | 5 |
| 6 | 5 |
| 7 | 5 |
| 8 | 7 |
| 9 | 3 4 |
| 10 | 4 3 |
| 11 | 5 3 |
| 12 | 3 5 |
| 13 | 2 5 |
| 14 | 1 1 3 5 1 |
| 15 | 1 1 3 5 1 |
| 16 | 2 2 1 2 4 2 |
| 17 | 3 3 1 1 4 3 |
| 18 | 3 3 2 1 3 3 |
| 19 | 3 3 4 3 3 |
| 20 | 2 2 3 2 2 |
| 21 | 3 3 4 1 3 |
| 22 | 5 5 7 5 |
| 23 | 6 6 1 5 6 |
| 24 | 6 6 1 4 6 |
| 25 | 6 6 1 4 6 |
| 26 | 5 5 1 3 6 |
| 27 | 4 4 2 2 5 |
| 28 | 2 2 1 1 2 3 |
| 29 | 2 2 1 2 3 2 |
| 30 | 32 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 4 | 5 | | 1 | 9 | | 3 |
| 1 | | 9 | 6 | | 7 | | 2 | |
| | 3 | 7 | | 8 | | 6 | | 1 |
| 3 | | | 2 | 5 | | 4 | 6 | |
| | 7 | | 1 | | | 2 | 9 | 8 |
| 9 | 6 | 2 | | 7 | | 1 | | 5 |
| | 2 | | 8 | | | 5 | | 9 |
| | | 6 | | | 5 | | | 2 |
| 5 | | 1 | 7 | 4 | | 3 | 8 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 7 | | | | 5 | 6 | 9 |
| | 4 | | | | | | 2 | 1 |
| | | | | 5 | | | | |
| | 1 | | | | | 2 | | |
| | 7 | | 6 | | | 3 | | 8 |
| | 8 | | | 2 | | | 7 | |
| | | | | 6 | | | | 5 |
| 3 | | | 5 | | | | 8 | |
| | 5 | 1 | 4 | | 2 | 6 | | 3 |

# მკვლელი სული

## რიჩარდ მატისონი

ემილია კმაყოფილი დაბრუნდა სახლში. დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვა, რაც უნდოდა – საჩუქარი თავისი შეყვარებულისთვის. არტური კმაყოფილი დარჩებაო, – გაიფიქრა ბედნიერმა და შეფუთულ კოლოფს ქაღალდი შემოხსნა. ხის ყუთში უცნაური თოჯინა იდო, საზიზღარი და შემაშინებელი გარეგნობის: ოცი სანტიმეტრი სიგრძის ჩონჩხ სხეულზე უზარმაზარი, არაპროპორციული თავი იყო დამაგრებული. მოწითალო, უცნაური სუნის ხისგან გამოთლილს, ბოროტად დაჭყეტილი თვალები და წვეტიანი, დაკრეჭილი კბილები ჰქონდა. თოჯინას ხელში მინიატურული, წვერწამახული შუბი ეჭირა. ყუთის ფსკერზე კი დაკრული იყო თხელი ლითონის ფირფიტა, რომელზეც ეწერა: „ის ვარ, ვინც კლავს“. ერთი შეხედვით, თოჯინა მხოლოდ უარყოფით ემოციებს აღძრავდა და ამ განწყობას ვერც მის სხეულზე შემოხვეული ოქროს წვრილი ჯაჭვი შველოდა. ამ სიმახინჯეში ემილიამ თავისი ერთი თვის ხელფასის ნახევარი გადაიხადა, მაგრამ, მაინც ძალიან უხაროდა, რადგან, არტურ ბრისბეინი ჭკუას კარგავდა სიძველეებზე. ანტიკვარულ მაღაზიაში, რომელიც მესამე ავენიუზე მდებარეობდა, უთხრეს, რომ ეს ორიგინალი თოჯინა-ფეტიში იყო ზულუს ტომიდან და ამ ფეტიშში ბუდობდა ბოროტი მონადირის სული. თოჯინას სხეულზე შემოხვეული ოქროს ჯაჭვი სულს გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა... გამყიდველმა ემილია გააფრთხილა, ყურადღებით ყოფილიყო და, ყოველი შემთხვევისთვის, თოჯინისთვის ჯაჭვი არ შემოეხსნა. ემილიამ გაიცინა – მას ამ სისულელეების არ სჯეროდა, განსხვავებით არტურისგან, რომელიც შეშლილი იყო ეთნოგრაფიაზე. დღეს მისი დაბადების დღე იყო. საღამოს უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ემილია 31 წლის გახდა, არტური კი ოცდაცამეტის ხდებოდა. ემილიას პირველად ჰქონდა ასეთი სერიოზული ურთიერთობა მამაკაცთან...



აბაზანაში აპირებდა შესვლას, როცა ტელეფონმა დარეკა...

– გისმენ, დედა!.. ჰო, ვიცი, რომ დღეს პარასკევია და ამ დღეს ერთად ვახშმობთ ხოლმე... არა, არ გამოვსულვარ ჯერ სახლიდან და, საერთოდაც... მომისმინე, დედა, ძალიან გთხოვ... ხვალ რომ მოვიდე, რა დაშავდება?.. რატომ აღარ მიყვარხარ და არაფერში მჭირდები, ეს რა ლაპარაკია... მერე რა, რომ ცალკე გადმოვედი საცხოვრებლად? უკვე დიდი ვარ, დედა, დამოუკიდებელი და ამაში ტრაგედიას რატომ ხედავ? დედა... – ემილიამ ამოიოხრა. ეს ქალი მთელი ცხოვრება მბრძანებლობდა მასზე. გაახსენდა, როგორ არჩევდნენ ამ ბინისთვის ინტერიერსა და ავეჯს... ემილიას თანამედროვე სტილი და დიზაინი უნდოდა, მსუბუქი, კომფორტული ავეჯით, მაგრამ, დედამისმა ისეთი ისტერიკა მოაწყო, ბოლოს მაინც ისე გააკეთეს ყველაფერი, როგორც მას უნდოდა...

– დედა, მომისმინე... ერთი კაცი გავიცანი, კოლეჯში ასწავლის, კარგი ადამიანია, წესიერი, არტურ ბრისბეინი ჰქვია. დღეს მისი დაბადების დღეა და, გვინდა, საღამო ერთად გავატაროთ. რატომ არ გესმის ჩემი, კვირაში ორ დღეს ხომ შენთან ვატარებ? რატომ გინდა სიკვდილი, მე მიყვარხარ... ჩემთანაც შეგიძლია, დარჩე. შენ აქ ოთახიც გაქვს. ბავშვი ხომ აღარ ვარ, ოცდათერთმეტი წლის ვარ, მინდა, ოჯახი მქონდეს, შვილიც გავაჩინო... რამდენი ხანია, ვხვდები არტურს? თვეზე მეტია და აუცილებლად მოგიყვებოდი ყველაფერს, ტყუილუბრალოდ მსაყვედურობ... ნუ მეუბნები ასეთ რამეებს, დამინდე, – ემილიას ბურთი მოაწვა ყელში და თვალები აუცრემლდა. ლოყებზე უკვე გრძნობდა მათ სითბოს...

– საღამოს სასიამოვნოდ გატარებას გისურვებ, ჩემ შესახებ კი, შეგიძლია, დაივიწყო, – უთხრა დედამ და ყურმილი დაუკიდა. ემილიამ ზუსტად იცოდა, რა მოჰყვებოდა ამას. ეს ქალი მას ხელს უშლიდა – ნორმალური ცხოვრების, ბედნიერების საშუალებას არ აძლევდა... გამწარდა. პატარა მაგიდაზე დასკუპებულ თოჯინა-ფეტიშს ხელი წამოჰკრა და ძირს გადმოაგდო. მექანიკურად დაიხარა, აიღო, ისევ ყუთში ჩადო და არცკი შეუნიშნავს, როგორ მოსძვრა საჩუქარს ოქროს ჯაჭვი... სააბაზანოში გავიდა და წყალი მოუშვა. მერე ტანსაცმელი გაიხადა, შიშველ ტანზე პირსახოცის ხალათი შემოიცვა და ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. დივანის კიდეზე ჩამომჯდარი ცოტა ხანს ფიქრობდა, მერე ტელეფონი აიღო და დარეკა.

– არტურ, საყვარელო... – ემილიას ხმა უკანკალებდა. ძლივს ახერხებდა საუბრის გაგრძელებას, – დედაჩემი... ყოველ პარასკევ საღამოს...

– ემილია, შენ უკვე მელაპარაკე ამის შესახებ, მაგრამ, დღეს ჩემი დაბადების დღეა, რომელიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ არის. ვიცი, რომ არ გინდა, დედაშენს აწყენინო, მაგრამ, ჩვენი ურთიერთობაც ხომ მნიშვნელოვანია – ამაზე თუ იფიქრე? ემილია, მე მარტო ერთ რამეს ვხედავ – დედაშენი მბრძანებლობს შენზე. ჩვენ ეს საღამო დიდი ხნით ადრე დავგეგმეთ. მერე რას იზამს, როცა საერთოდ ჩემთან გადმოხვალ საცხოვრებლად? ამის წარმოდგენა გიჭირს? მაშინ, საერთოდ რა აზრი აქვს ჩვენი ურთიერთობის გაგრძელებას? შენ მარტო დედაშენის გრძნობებზე ლაპარაკობ, ემილია, ჩემი არ გაინტერესებს. კარგი...

ემილიამ თვალები დახუჭა და ტუჩები მოიკვნიტა.

– არტურ, მეც ისე ველოდებოდი ამ დღეს...

– რაღაც, არ გეტყობა. ძალიან ვწუხვარ... – და არტური გაჩუმდა, მერე კი ტელეფონი გათიშა.

ემილია მეხდაცემულივით იჯდა. ყველაფერი დამთავრდა. ხვალ წავა და თოჯინას უკან დაუბრუნებს ანტიკვარს – ის უკვე აღარაფერში სჭირდება. დედამისმა ისევ მოახერხა, მისთვის ბედნიერება წაერთმია.

აბაზანიდან წყლის ხმაური ისმოდა. ემილია წამოდგა და იქით გაეშურა. აბაზანა უკვე სავსე იყო წყლით. ონკანი დაკეტა და დიდხანს იყო წყალს ჩაშტერებული. უცებ კოჭთან რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა. ტკივილისგან და მოულოდნელობისგან შეჰკივლა. ფეხზე პატარა ჭრილობა გაუჩნდა, საიდანაც სისხლმა გამოჟონა. ემილიამ შიშით მოათვალიერა იატაკი და უცებ ფეტიში-თოჯინა დაინახა, რომელმაც თვალები ბოროტად დაატრიალა და შუბმომარჯვებულმა ისევ გაიწია მისთვის დარტყმის მისაყენებლად. ემილიამ შეჰყვირა და გაიქცა. თოჯინა უკან გამოუდგა, დაეწია და შუბი რამდენჯერმე შეურჭო ქუსლში. ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო. ემილიამ დივანიდან ბალიში აიღო, თოჯინას დააფარა და ზემოდან დააჯდა. მძიმედ სუნთქავდა. გული გამალებით უცემდა. მის თავში საშინელი აზრები ცვლიდა ერთმანეთს. როცა მიხვდა, რომ თოჯინა აღარ მოძრაობდა, ადგა, ჩაიცვა, ტუალეტის მაგიდის უჯრიდან მაკრატელი ამოიღო და სახლიდან გავიდა...

***

... გამომძიებელმა უიმედოდ შეხედა სკამზე მჯდარ, ხელებზე ბორკილდადებულ ქალს და ექსპერტს მიუბრუნდა:

– აბა, რას იტყვით, სრულ ჭკუაზეა?

– როგორ გითხრათ. ერთი შეხედვით – კი, მაგრამ დაუსრულებლად იმეორებს, რომ მკვლელობა მის ქვეცნობიერში თოჯინამ ჩადო – იმან, ვინც კლავს; რომ მკვლელი სული ოქროს ჯაჭვისგან გათავისუფლდა და მასში გადმოვიდა...

– ანუ, ბოდავს!

ექიმმა თავი გადააქნია:

– აქ უფრო სერიოზულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ჰალუცინაცია ნერვული აშლილობის ფონზე. ეტყობა, დედამისმა ძალიან გაამწარა, რომ მაკრატლით მოკლა. დარტყმა პირდაპირ კისერში აქვს მიყენებული – მთავარი არტერია დაუზიანებია და სისხლიც ამიტომ არის ბევრი.

– საცოდავი, – ჩაილაპარაკა გამომძიებელმა.

– თქვენ დედა გეცოდებათ, სტივ, მაგრამ, შეიბრალეთ ქალიშვილიც – ის ახლა თავისი ცნობიერების მიღმაა. საინტერესოა, რამ მიიყვანა ასეთ მდგომარეობამდე... – ექსპერტი ემილიასთან ახლოს მივიდა, შუშასავით გამჭვირვალე თვალებში ჩააშტერდა და სინანულით გადააქნია თავი...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**კონკურსის თემა ირინა ონაშვილისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან, რა კონკურსებშიც მიიღო მონაწილეობა, უმეტესობა ან მოიგო ან სერიოზულ წარმატებას მიაღწია. ამ ეტაპზე კი ის ახალ წელთან შესახვედრად ემზადება და უსაყვარლეს საბასთან ერთად თოვლის ბაბუასაც ელოდება.**

# რას ვეღარ უყვება ირინა ონაშვილს მეუღლე და როგორ ივსებენ ისინი ერთმანეთთან ურთიერთობის დეფიციტს

**ირინა ონაშვილი**: ეიფორიულმა მომენტმა გადაიარა, თუმცა, როგორ დამავიწყდება ის ემოციები და შეგრძნებები, რაც კონკურსის დროს ძალიან უჩვეულოდ მქონდა იმ ასაკში. მაშინ ძალიან მინდოდა სიმღერა – ეს იყო ერთგვარი თერაპია ჩემს ცხოვრებაში. რასაც ველოდი და რა ემოციების მიღებაც მინდოდა ამ პროექტიდან, აბსოლუტურად ყველაფერი მივიღე და დადებითად დავიმუხტე.

**– კონკურსების მხრივ საკმაოდ იღბლიანი ხარ.**

– როგორ ვთქვა, რომ არ ვარ? აშკარად ვარ. ზოგადად, მგონია და მჯერა, რომ, ცხოვრების განმავლობაში რაც უფრო მეტ სიკეთეს დათესავ და მეტ პოზიტივს გასცემ; როცა ყველასთვის იქნები ის ადამიანი, რომელიც მუდმივად მზად არის, სხვებს გვერდში დაუდგეს; როცა ცდილობ, კარგი მეგობარი იყო, ეს ენერგეტიკა მერე შენვე გიბრუნდება. იყო პერიოდი, როდესაც იმდენი ნეგატივი დამიგროვდა, რომ შემდეგ რაღაც ცუდი მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. მთავარი ხომ მაინც მოთმინებაა, მეც, ნელ-ნელა ვსწავლობ ყველაფერს, გამოცდილება მემატება. ვცდილობ, ჩემი ხასიათით, ადამიანებთან დამოკიდებულებით, კეთილგანწყობა შევქმნა ჩემ გარშემო, არასდროს ვიჩხუბო, კონფლიქტურ სიტუაციებში არ გავერიო და ალბათ, ამიტომაც აღნიშნავენ, როგორი მშვიდი ხარო.

**– რა შემთხვევაში შეიძლება შენს სიმშვიდეს საფრთხე შეექმნას?**

– იშვიათად შეიძლება ჩემს სიმშვიდეს საფრთხე შეექმნას და, ესეც, ალბათ, ერთგვარი ჯილდოა. მგონია, რომ სუსტი ადამიანების თვისებაა ყველა წვრილმანზე ჯაჯღანი. ვერ ვიტყვი, რომ ნერვები სრულ წესრიგში მაქვს, მაგრამ, ყველანაირად ვცდილობ, ახსნითა და საუბრით გავარკვიო ყველაფერი.

**– როცა სახლში, მეუღლესთან კამათობ, ასეთ დროსაც შეგიძლია სიმშვიდის შენარჩუნება?**

– ლადოსთან ასეთ კონდიციამდე არ მისულვარ. კამათი შეიძლება ყოველდღე იყოს სხვადასხვა თემაზე, მაგრამ, კონფლიქტი – არა. ეს კამათიც ჯანსაღად ხდება, ზღვარგადასული ისტერიკები არ მაქვს, თუმცა, რაღაცაზე, შეიძლება, ავღელდე. დასაწყისში, როდესაც ერთმანეთს რაღაცეებს ვუმტკიცებდით, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო, მაგრამ, ახლა ისე ვართ, როგორც დიდი ხნის მეგობრები, უფრო მეტად ვმეგობრობთ. სახლში რომ ავდივარ, ყოველთვის ვუყვები, რა ხდებოდა დღის განმავლობაში. ის ვეღარ მიყვება, იმიტომ რომ...

**– ადრე უფრო ბევრი ჰქონდა მოსაყოლი... ახლა კი, ალბათ, შენ უფრო მეტ დროს ატარებ მუშაობაში, ვიდრე ის.**

– ეს ძალიან კარგია და მიხარია, რადგან, უფრო მეტი დრო დაგვრჩა ერთმანეთთან ყოფნისთვის. თუმცა, ვერ ვიტყვი, იდეალური ვითარებაა, სულ სახლში რომ არის, მაგრამ, თვითონ პოზიტიურად არის განწყობილი, რაღაცეებს გეგმავს, რაღაცეებს აპირებს. სასოწარკვეთილი არ არის.

**– ანუ, ერთად ყოფნის დეფიციტი შეივსეთ.**

– ყველანაირი სიტუაციით უნდა ვისწავლოთ ტკბობა. ახლა ამ სიტუაციით, მაშინ – იმ სიტუაციით. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მაშინ იმ სიტუაციით ვტკბებოდი, რადგან სულ სამსახურში იყო, მაგრამ, ამასაც გაგებით ვეკიდებოდი.



იშვიათად შეიძლება, ჩემს სიმშვიდეს საფრთხე შეექმნას. ესეც, ალბათ, ერთგვარი ჯილდოა

**– გაძლევს რჩევებს შენს საქმიანობასთან დაკავშირებით? ბიზნესს, შენს სილამაზის სალონს ვგულისხმობ.**

– ჩვენ ყოველთვის ჩვენი ცხოვრება გვქონდა და ერთმანეთის საქმეში არასდროს ვერეოდით აქტიურად. მე ლადო რჩევას ნაკლებად მეკითხებოდა, მე უფრო ვეკითხები; თუმცა, ეს სფერო ისეთია, ლადო ამაში ნაკლებად კომპეტენტურია, თუნდაც სამოდელოს ან სალონის მხრივ. სალონში მაშინ შემომყავს, როდესაც თმა აქვს შესაჭრელი. ზოგადად, რასაც ვაკეთებ, მინდა კარგი იყოს. სალონის თემა რაღაც მიზეზით დავიწყე. ვიცოდი, რომ ჩემი სტილისტი აპირებდა წამოსვლას, თუმცა, გადმობირება და ასეთი რაღაცეები არ მახასიათებს. ახლაც, ვინმე თუ მოდის, გვეუბნება: ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისითაც, თქვენთან ძალიან კარგი სიტუაციაა და მუშაობა გვინდაო. ბოლო ორი თანამშრომელი ასე ავიყვანე. სიყვარულით ვუდგები თანამშრომლებს, სამსახურს. დიქტატორული დამოკიდებულება ჩემგან შორს არის. მთავარია, იმით არ დამწყვიტოს ვინმემ გული, რომ ჩემი კეთილგანწყობა ცუდად გამოიყენოს.

> **ის, რომ ლამაზი თვალები და ტუჩები აქვს, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, მთავარია კარგი ბიჭი იყოს, რომ მისი სხვა თვისებებით ვიამაყოთ**

სამწლიანმა გამოცდილებამ დამანახვა შედეგი: მე თავდაჯერებული ვარ და დიდი ძალა მაქვს იმ კუთხით, რომ, ვიცი, ესენი არც იფიქრებენ სადმე წასვლაზე და ამიტომ მშვიდად ვარ. შეიძლება, ბევრი რამ მეშლება, მაგრამ, სამი წლის განმავლობაში ამ ადამიანებთან კრება არ ჩამიტარებია; აქ სულ განსხვავებული განწყობაა და ამას ყველა გრძნობს.

**– რა ბედი ეწია მოგებულ ავტომობილს?**

– სამწუხაროდ, გავყიდე, მაგრამ, სხვა ვიყიდე.

**– ორი წელია, ახალ წელს საბასთან ერთად ხვდებით, ალბათ, შეცვალა მან თქვენი ამ დღესასწაულისადმი დამოკიდებულებაც და სამზადისიც.**

– წელს მიხვდა, რომ არსებობს თოვლის ბაბუა. არარეალური სურვილები აქვს: „ბაბა-იაგა" უნდა, ოღონდ – სათამაშო. არ ითხოვს ძვირად ღირებულ რაღაცეებს, ჯერ ვერ ერკვევა ასეთ რამეებში. წესიერი და თბილი ბავშვია. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ კარგი ადამიანი გაიზარდოს, ბავშვები უყვარდეს, სათამაშოების თხოვება იცოდეს, ზრდილობიანი იყოს. თბილ, სიყვარულის გარემოში იზრდება და ეს აისახება მასზე. მისი ლაპარაკიდან ვასკვნი ხოლმე, რომ მასში ბევრი პოზიტივია ჩადებული. გენეტიკურადაც აქვს იმის ყველა პირობა, რომ კარგი ტიპი იყოს, მაგრამ, ჩვენც ვცდილობთ ყველაფერს. ერთი პერიოდი ვეჩხუბებოდი, თუ ვინმეს სათამაშოს არ ათხოვებდა, საათობით ვეჯექი და ვეუბნებოდი, რომ ეს არ შეიძლება; მერე, რომ აძლევდა, ტაშს ვუკრავდი და ვაქებდი: მაგარი ხარ, ჯილდო დაიმსახურე-მეთქი ის, რომ ლამაზი თვალები და ტუჩები აქვს, ყველამ ვიცით, მაგრამ, მთავარია, კარგი ბიჭი იყოს, რომ მისი სხვა თვისებებით ვიამაყოთ.

**– შენთვის მოაქვს თოვლის ბაბუას საჩუქრები?**

– ნაკლებად მანებივრებს თოვლის ბაბუა საჩუქრებით და ასე იყო ყოველთვის. ხომ არიან აქტიური თოვლის ბაბუები, მე ცოტა პასიური თოვლის ბაბუ მყავს. გული არ მწყდება, რადგან, ჩემმა თოვლის ბაბუმ თავიდანვე იმ თვისებით მომხიბლა, რომ უჩვეულო სიურპრიზებით არ გამოირჩეოდა. სხვა რამეებით უნდა მოხიბლო ადამიანი. ჩვენ მარტივი ურთიერთობები გვაქვს. რა თქმა უნდა, ერთმანეთს ვულოცავთ დაბადების დღეებს, დღესასწაულებს. ადამიანს შეგიძლია ნებისმიერ დროს უთხრა: „მე შენ მახსოვხარ" და ეს გამოხატო, ნებისმიერი ფორმით და არა შეფუთული ბრჭყვიალა ყუთით.

**– რამე კონკურსში კიდევ მიიღებ მონაწილეობას?**

– მესამე მანქანა გინდა, მოვიგო? ორი მოვიგე უკვე. ისე ბევრი მიმართულება მაქვს, ჩემს ნიჭებს ბოლომდე არ ვამჟღავნებ.

**ნათია უტიაშვილი**

**ალავერდი ხანი პირველი იყო უნდილაძეთა გვარიდან, რომელიც ირანის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა და დიდი გავლენა მოიპოვა შაჰ-აბას პირველის კარზე. თუ როგორ მოხვდა, აღზევდა, დამკვიდრდა და დაასრულა არსებობა უცხო დამპყრობლის კარზე ამ გვარმა, ამის შესახებ ჩვენს სტატიაში ვისაუბრებთ.**

# როგორ აღზევდნენ ირანში უნდილაძეები და ყველაზე მეტად რომელი ქართველი აქტიურობდა მათ დასჯაში

შაჰ-აბასი კავკასიაში პირველობისთვის ემზადებოდა და ეს განახორციელა კიდეც იმის საშუალებით, რომ მან სახელმწიფო მოხელეების ყველა დონეზე ჩამოაშორა ყიზილბაშები და დააწინაურა კავკასიური ელემენტები, რომლებიც, ან მონები იყვნენ, ან – პირადად მისი მორჩილები. ამ პოლიტიკაში აღმოჩნდნენ ჩართულნი უნდილაძეებიც.

პირველი უნდილაძე, რომელიც ირანში გამოჩნდა, არის ალავერდი ხანი. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ პირად წერილში, თავისი მოღვაწეობის პირველ წლებშივე, შაჰ-აბასი სწერს რომის პაპს, რომ ის ქრისტიანთა მფარველია. ამ წერილში იგი აღნიშნავს: ჯერ ერთი, მე ერთი მეუღლე ქართველი მყავსო, (გულისხმობს სიმონ ხანის ასულს – ელენეს) და, ამავე დროს, დაწინაურებული მყავს ქრისტიანი ალავერდი ხანიო.



რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღმოჩნდა ის სპარსეთში, ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს. ერთი ვერსიით, ის ბავშვობაში მოიტაცეს და ტყვედ წაიყვანეს; მეორე ვერსიით კი, საქართველოში ნელ-ნელა ხდებოდა უნდილაძეთა გვარის დამცრობა და ბოლოს იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილან, რომ აღარაფერი აღარ დარჩენიათ და ალავერდი ხანი თვითონ წასულა ირანში კარიერის გასაკეთებლად.

ერთ-ერთი პირველი ბრძოლა, რომელშიც ალავერდი ხანი გამოჩნდა, იყო ვანის ტბასთან ბრძოლა 1605 წელს, სადაც, თურმე, ისეთი მძიმე შეტაკება გამართულა, რომ თვით შაჰ-აბასიც კი შემდრკალა. ამ დროს ჯარის მეთაურობა ხელში აუღია ალავერდი ხანს და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოუპოვებია. ამის შემდეგ ალავერდი ხანიც დიდ ფიგურას წარმოადგენდა შაჰის კარზე. სხვათა შორის, ვერაგი შაჰის ცინიკური გამოთქმაცაა ცნობილი: მთელი ირანი მე მემორჩილება და მე ალავერდი ხანს ვემორჩილებიო. ამ გამარჯვების შემდეგ უნდილაძე გახდა შაჰ-აბასის რეფორმების ორგანიზატორი; ის ყველაფერში გვერდში ედგა შაჰს და ირანის დიდებას ემსახურებოდა.

**შაჰმა თავის კარზე ქართველთა მთელი დასი ჩამოაყალიბა**

თავდაპირველად უნდილაძეს საკმაოდ დაბალი თანამდებობა ეკავა, კერძოდ, იყო ოქრომჭედელთა უფროსი, ანუ ზარგარბაში. აქედან მოყოლებული, მისი კარიერა იმდენად განვითარდა, რომ ბოლოს ცენტრალური ირანის პროვინციის – ფარსის ბეგლარბეგი, მოგვიანებით კი – ყულის ჯარის უფროსი, ანუ ყულარ აღასი გახდა.

უნდილაძეთა წარმომადგენელთაგან, ალავერდი ხანის გარდა, ირანში ვხვდებით: იმამ ყული ხანს, მის ძმას – დაუდ ხანს, ალავერდი ხანის შვილიშვილს – სეფი ყული ხანს და იმამ ყული ხანის კიდევ ორ შვილს. ალავერდი ხანს, ისევე, როგორც იმამ ყული ხანს, ქართველი მეუღლე ჰყავდა და ეს ქალბატონებიც აქტიურ როლს ასრულებდნენ მათ მოღვაწეობაში. ყველა გამაჰმადიანებული იყო; სავარაუდოდ, მათი გამაჰმადიანება ზემოთ ნახსენები შაჰის წერილის შემდგომ პერიოდში მოხდა.

უნდილაძეებს ირანში აშენებული ჰქონდათ ბაზრები, ქარვასლები, სასახლეები, ხიდები, არხები, გზები. დღესაც კი შესანიშნავად გამოიყურება და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ალავერდი ხან უნდილაძის მიერ ისპაჰანში აგებული, ამჟამადაც მოქმედი ჯულფას ხიდი, ანუ – ჩაჰარ ბაღი. ცენტრალურ ირანში ძალიან ცუდი გადასასვლელი გზები ყოფილა და ალავერდი ხანის მეუღლის თაოსნობით გაუყვანიათ ეს გზები. არსებობს გადმოცემა, რომ უნდილაძეთა მიერ აშენებულ ჩეჰერ სუთუნის სასახლეში, რომელიც ფრესკებით იყო მოხატული, ქართული წარწერებიც ყოფილა, მაგრამ შემდეგ, ალბათ, მოშალეს, ვინაიდან, ასეთი რამ ირანში მიუღებელი იყო.

საინტერესოა, რომ ბევრი მოგზაური თუ ისტორიკოსი ახსენებს თავის ჩანაწერებში ალავერდი ხანს, იმამ ყული ხანს, დაუდ ხანს, მაგრამ არცერთი არ ამბობს მათ გვარს, მხოლოდ ქართული წყაროები იუწყებიან, რომ ალავერდი ხანიც, დაუდ ხანიც და იმამ ყული ხანიც უნდილაძეები არიან. ჩვენც ნამდვილად უნდა ვენდოთ მათ იმიტომ, რომ ამას ამბობს ვახუშტი ბაგრატიონიც, ბერი ეგნატაშვილიც, არჩილიც; თანაც, უნდა ითქვას, რომ ისინი დადებითად ახასიათებენ მათ, გარდა სპარსოფილი ფარსადან გორგიჯანიძისა. ის ქართველი ისტორიკოსია, სხვებისგან განსხვავებულ საინტერესო დეტალებსაც ხედავს, მაგრამ, შაჰის პოლიტიკის მომხრეა და, როდესაც მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ უნდილაძეები მთლად ბოლომდე შაჰის ერთგულები არ ყოფილან, ის მათ აკრიტიკებს.

საქმე ისაა, რომ შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ, დაუდ ხანი და იმამ ყული ხანი გადაუდგნენ ახალი შაჰის – სეფის პოლიტიკას.

არის ცნობები, რომ 1614 წელს ალავერდი ხანს შაჰი უხმობდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად (გიორგი სააკაძის მსგავსად), მაგრამ ალავერდი ხანმა როგორღაც მოახერხა და უარი თქვა საქართველოში ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე (ჩვეულებრივ, ასეთ დროს ავადმყოფობას იმიზეზებდნენ ხოლმე); შემდეგ მისი შვილი, იმამ ყული ხანიც ასე მოიქცა. ამის შემდეგ, ალავერდი ხანი ძალიან მალე, მოულოდნელად გარდაიცვალა. არსებობს ეჭვი, რომ შაჰმა ალავერდი ხანი სწორედ ამ უარის გამო მოაკვლევინა, თუმცა, ამის შესახებ არ გვაქვს ზუსტი ცნობები. ამის შემდეგ, გარკვეული ხნით, ირანში მოღვაწეობას განაგრძობენ მისი ვაჟები. იმამ ყული ხანი გახდა ფარსის ბეგლარბეგი, ანუ, უპირველესი მმართველი; ხოლო დაუდ ხანი ჯერ ფარსის ხანი იყო, მოგვიანებით კი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგობას მიაღწია; ალავერდი ხანის შვილიშვილი, სეფი ყული ხანი ლარის პროვინციის ბეგლარბეგი გახდა.

იმამ ყული ხანს ირანში განათლებული ადამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი. შირაზში არსებობდა კარმელიტების კათოლიკური რეზიდენცია. მათ ძალიან საინტერესოდ აქვთ აღწერილი ის, რაც იმხანად ირანში ხდებოდა და სწორედ ამ ქრონიკაში, ამ ორდენის ერთ-ერთი პრეფექტი, 1623 წელს წერს, იმამ ყული ხანმა ჩვენგან მოითხოვა პლატონისა და არისტოტელეს წიგნები და, ამავე დროს, ბიბლიის არაბული თარგმანიო. საინტერესოა, რომ ის აღარ იყო ამ დროს ქრისტიანი, თუმცა, ბიბლია მაინც აინტერესებდა. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო იმამ ყული ხანის მეუღლე; რაც შეეხება, მისი ძმის – დაუდ ხანის მეუღლეს, ის გახლდათ თეიმურაზ პირველის და – ელენე; ასე რომ, უნდილაძეებს კავშირები მაინც ჰქონდათ საქართველოსთან.

როდესაც იმამ ყული ხანი შირაზის ბეგლარბეგი იყო, იმ პერიოდში მოხდა ქეთევან დედოფლის წამება. არსებობს საინტერესო ცნობა, რომ შაჰ-აბასს შეუთვლია იმამ ყული ხანისთვის: თუ ქეთევანი მიიღებს მუსლიმანობას, მაშინ, დაანებე თავი და, თუ არა – უნდა მოვკლათო. მას გაუბედავს და შეუთვლია შაჰისთვის პასუხად: ეს ბერი დედაკაცია, არაფრით არ შეიცვლის რწმენას და თავი დაანებეო. წესით, მისი კარიერის ძალიან ცუდ მომენტად უნდა ჩათვლილიყო ის, რომ მისი ბეგლარბეგობის დროს ეწამა შირაზში ქეთევან დედოფალი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, როგორც ჩანს, მან მართლაც ყველაფერი გააკეთა ქართველი დედოფლის გადასარჩენად, დანარჩენი კი მასზე აღარ იყო დამოკიდებული; ამას იმიტომ ვვარაუდობთ, რომ, თეიმურაზ პირველი, ქეთევანის ვაჟი, აქებს იმამ ყული ხან უნდილაძეს თავის ისტორიულ პოემაში და ამბობს, იმამ ყული ხანის ქებას ენა ვერ იტყვისო.

1633 წელს, როდესაც თეიმურაზ პირველმა მოაწყო აჯანყება ახალი შაჰის წინააღმდეგ, იმამ ყული ხანმა მონაწილეობა მიიღო ამ აჯანყებაში, რის გამოც ის სიკვდილით დასაჯეს.

რაც შეეხება დაუდ ხანს, ის მრავალ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. მისი აშენებულია ირანში რამდენიმე ბაზარი, ორასოთახიანი ქარვასლა, ციხესიმაგრეები და ასე შემდეგ. დაუდ ხანიც 1633 წლამდე დარჩა ყარაბაღის ბეგლარბეგად. იმამ ყული ხანის დასჯის შემდეგ მასზე მიდგა ჯერი. როგორც ჩანს, დაუდ ხანს ძალიან შეეშინდა, ოჯახი მიატოვა და გაიქცა, შაჰმა კი ირანში დატოვებულ მის ცოლშვილზე იძია შური და, ასევე, სიკვდილით დასაჯა იმამ ყული ხანის სამი ვაჟიც. საინტერესოა, რომ უნდილაძეთა გვარის დასჯაში არა მარტო შაჰი აქტიურობდა, არამედ, სხვა ქართველიც, კერძოდ, ხოსრო მირზა, შემდეგში საქართველოს მეფე – როსტომ ხანი. მათ თავიდანვე კონფლიქტი ჰქონდათ – როგორც ჩანს, პირველობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს.

ასე დამთავრდა უნდილაძეთა უძლიერესი და უდიდესი ოჯახის ისტორია ირანში.

**ეკა სალაღაია**

# როგორ ახარისხებდნენ ადამიანის სხეულის ნაწილებს აცტეკები

აცტეკების მსხვერპლშეწირვის რიტუალებზე საინტერესოდ მოგვითხრობს ბერნალ დიასი:

„ტაძრის სამსხვერპლოს კედლები და იატაკი ისე იყო მორწყული ჩაშავებული და შედედებული სისხლით, რომ ძალიან მძაფრი და საძაგელი სუნი ტრიალებდა. შემდეგ სტუმრები მიიყვანეს მარცხნივ, სხვა გიგანტურ კერპთან, რომელიც ისეთივე სიმაღლისა იყო, როგორც უიტსილოპოჩტლი – ცხვირი დათვისას მიუგავდა, ხოლო თვალები, რომელიც მათი, ეგრეთ წოდებული, სარკისგან (ობსიდიანისგან) იყო გაკეთებული, მკვეთრ ბრწყინვალებას გამოსცემდა... და ეს ტესკატლიპოკა იყო მათი საიქიოს ღმერთი და მექსიკელთა სულების მფლობელი, რომელსაც მთელ სხეულზე გველის მსგავსი კუდებიანი ეშმაკეული ჯუჯების გამოსახულებები ჰქონდა შემოხლართული. აქაც სისხლის გუბეები და მყრალი სუნი დახვდათ სტუმრებს. ამ კერპთან იმავე დღეს შეწირულ ადამიანთა ხუთი გული „ესვენა“.

ამ ტაძრის წვერზე იყო სხვა კოშკიც, რომლის სადგომიც ხით იყო მდიდრულად გაწყობილი. იქ იყო სხვა კერპი – ძვირფასი ქვებით მთლიანად დაფარული ნახევრად ადამიანი და ნახევრად ხვლიკი. მათ გვითხრეს, რომ ეს იყო მცენარეთა თესლისა და ნაყოფის მწარმოებელი ღმერთი და აქედან გამომდინარე, მისი სხეული გავსებული იყო ყველა იმ მცენარის თესლით, რომელიც მათ მიწაზე იზრდებოდა. აქაც, ყველაფერი სისხლით იყო მორწყულ-გაჟღენთილი და ისეთი მყრალი სუნი იდგა, რომ ჩვენ ვეარ გავუძელით და გარეთ გამოვვარდით; იქვე იყო დიდი, კოლოსალური დოლი, რომელიც დარტყმისას ერთობ უსიცოცხლო ხმას გამოსცემდა, მაგრამ ორ ლეგუაზე (11 კილომეტრზე მეტი) მაინც ისმოდა მისი ხმა. იქვე მიმობნეული იყო სხვა ეშმაკეული საგნები – დიდი და პატარა მილები, ათასგვარი ქვის სამსხვერპლო დანები, ინდიელთა ბევრი შემომწვარი და დანაოჭებული გული... და ყველგან – სისხლი და სისხლი!“

დიასი ასევე აღწერს, თუ როგორ ეპყრობოდნენ აცტეკები თავიანთ მსხვერპლად შეწირულთა სხეულებს:

„... როცა იმ უბედურ ინდიელებს მსხვერპლად სწირავდნენ, მათ კაჟის დანით უპობდნენ მკერდს, ხელებს ურევდნენ მკერდში, გლეჯდნენ გულს და სისხლთან ერთად მიართმევდნენ თავიანთ კერპებს. ამის შემდეგ მსხვერპლად შეწირულებს აჭრიდნენ ხელ-ფეხს და თავს. ფეხებს და ხელებს მიირთმევდნენ დღესასწაულებსა და ნადიმებზე. თავს ლატანზე წამოაცვამდნენ და ბოძებს შორის ჩამოკიდებდნენ; ტანს ისინი არ ჭამდნენ... მხეცებს მიუგდებდნენ საჭმელად“.



ერთ-ერთ ტაძართან დიასმა ნახა პატარა ზოოპარკის მსგავსი რამ, სადაც მტაცებელ ცხოველებს ინახავდნენ და მიცვალებულთა (მსხვერპლად შეწირულთა) გვამებით კვებავდნენ. სხვა ტაძარში მან იხილა „სამზარეულო, სადაც ადამიანის ხორცს ამზადებდნენ.“

ესპანელები გაოგნდნენ ნანახით. მათ აცტეკებს მოსთხოვეს – შეეწყვიტათ ადამიანების მსხვერპლშეწირვა და როდესაც კორტესის იქ არყოფნის დროს, ტენოჩტიტლანის ყველაზე წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებმა მის მოადგილეს – პედრო დე ალვარადოს მიმართეს თხოვნით, ნება დაერთო ყოველწლიურად ჩაეტარებინათ ომის ღმერთ უიტსილოპოჩტლის პატივსაცემი დღესასწაული, ესპანელმა პირობა წამოაყენა, რომ ამ დღესასწაულზე ადამიანის მსხვერპლშეწირვა არ მოხდებოდა. აცტეკები დათანხმდნენ ამაზე და ესპანელთა სხვა პირობაზეც, რომ ზეიმზე უიარაღოდ მისულიყვნენ. მათ არ იცოდნენ, რომ ესპანელები ამ ქალაქში სისხლისღვრისთვის ემზადებოდნენ, რომლის წინაშეც მათი კულტების საშინელი მსხვერპლშეწირვა ულიმღამო იქნებოდა. ასე, ბედის ირონიით, აცტეკთა ყველაზე მშვიდობისმოყვარული კეტსალკოატლი უნებურ დამნაშავედ იქცა, ალბათ, ყველაზე უფრო მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც კი ოდესმე მომხდარა მესოამერიკაში (ცენტრალური ამერიკის ვრცელი ნაწილი მექსიკიდან ჰონდურასამდე).

## სხვა ტაძარში მან იხილა „სამზარეულო“ სადაც ადამიანის ხორცს ამზადებდნენ

„როდესაც დადგა ხსენებული დღესასწაულის დრო,” – წერდა მოგვიანებით ფრანგი ბერი, დიეგო დურანი, – „ცუდს რომ ვერაფერს ეჭვობდნენ, მოვიდნენ აცტეკები, რათა მოფერებოდნენ თავიანთ ღმერთს და ეჩვენებინათ მეხიკოს დიდებულება... სიმღერისა და ცეკვისათვის იქ თავი მოიყარა რვა თუ ათი ათასმა წარჩინებულმა კაცმა, ცნობილმა და კეთილშობილი სისხლის ადამიანებმა... მაშინ პედრო დე ალვარადომ ბრძანა, ტაძრის ეზოს ოთხ შემოსასვლელში ორმოცი ჯარისკაცი დაეყენებინათ, ათ-ათი – თითოეულში, რათა კარიდან არავის შეძლებოდა გასვლა. სხვა ათ კაცს კი უბრძანა, იმ ინდიელებთან მისულიყვნენ, რომლებიც დოლებს უკრავდნენ – იქ, სადაც, მისი აზრით, ყველაზე წარჩინებული პირები იდგნენ და დაეხოცათ დოლის დამკვრელები და შემდეგ ყველა დანარჩენი. ამ „წმიდა რწმენის მოციქულებმა“, ანდა ჯობდა, გვეთქვა „ეშმაკთა მიმდევრებმა,“ ძალზე სწრაფად შეასრულეს ბრძანება – ისინი შევიდნენ ბრბოს სიღრმეში და თითქმის გაშიშვლებულები (ბამბის ქსოვილის ლაბადით შემოსილები), რომლებსაც ხელში, ვარდებისა და ფრინველის ფრთების გარდა, არაფერი ეჭირათ და მხიარულად ცეკვავდნენ – დანებით დაჩეხეს.”

ამავე ფაქტზე აღშფოთებული წერდა საагუნი: „ისინი თავებს და ხელებს აჭრიდნენ, მახვილსა და დაშნას უყრიდნან, ვინც გზაზე გადაეყრებოდათ. მათ არნახული ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს – ისინიც სიცოცხლეს გამოასალმეს, რომლებიც კარებს მიაწყდნენ გადასარჩენად. ზოგმა კედელზე დაიწყო აცოცება, ზოგმა კიდევ ტაძრის კოშკურაში მოასწრო შესვლა და იატაკზე დაწოლა, თავის მოსაჩვენებლად, ვითომც დახოცილები ეყარნენ. ეზოში სისხლი მდინარედ მოდიოდა, ისე, როგორც წყალი, კოკისპირული წვიმის დროს. მთელი ეზო გადავსებული იყო მოჭრილი თავებით, ხელებით, შიგნეულით და გვამებით. ყოველ კუთხე-კუნჭულში დაძრწოდნენ ესპანელები და ეძებდნენ ცოცხლად გადარჩენილებს, რათა მუსრი გაევლოთ მათთვის...“

ასე დამთავრდა ბოლო მსხვერპლშეწირვა აცტეკთა დედაქალაქ ტენოჩტიტლანში.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ვ | | მ | | ბ | ა | მ | ა | კ | ო |
| | | | | | | ა | ს | ე | დ | ა | | ა | | ე | |
| | | | | | | რ | | ლ | | ლ | ე | ნ | ი | ნ | ი |
| | | | | | | ა | ბ | ა | ს | ი | | ი | გ | ი | რ |
| | | | | | | ზ | ა | ნ | ა | | დ | ა | ნ | ა | ე |
| მ | ე | ს | ა | | ს | ი | დ | ო | ნ | ი | ა | | ი | | კ |
| ი | | ა | დ | ი | ა | | ა | | დ | ა | რ | ი | კ | ო | |
| ს | ა | ფ | ა | რ | | ი | ლ | ა | ი | ფ | | მ | | მ | |
| ტ | | ლ | | ა | ი | ბ | ი | ლ | | ი | ნ | უ | თ | უ | თ |
| ი | ბ | ა | ვ | ქ | | ი | | ტ | უ | | ა | თ | ა | ს | ი |
| კ | | ვ | | ა | ს | ა | დ | ი | | ი | ნ | ა | მ | | კ |
| ა | | ი | ა | შ | ი | ნ | ი | | ი | რ | ა | ბ | ა | ნ | ა |
| | ჟ | | წ | | მ | | მ | ე | ს | ი | | | რ | | ნ |
| ბ | ა | რ | ი | | ი | ს | ი | | უ | | რ | ე | ი | დ | ი |
| ა | ნ | ი | მ | | ნ | ა | ტ | უ | რ | ა | | ტ | | ა | |
| ი | რ | ე | | ო | დ | ე | რ | კ | | ს | ე | რ | ო | ვ | ი |
| ლ | ი | კ | ა | | ი | ლ | ი | უ | ყ | ტ | | ა | ტ | ა | ნ |
| ო | | ა | ნ | ა | | ჩ | | | ო | რ | ა | ტ | ო | რ | ი |
| ნ | | | ა | ფ | რ | ო | ქ | | ჩ | ა | ჩ | ი | | ი | დ |
| ი | რ | ა | კ | ე | ბ | | ო | დ | ა | | უ | | ფ | | ა |
| | ხ | | ა | ს | ი | | ლ | ა | ლ | ი | | ი | რ | ი | ლ |
| ნ | ე | კ | რ | ო | ლ | ო | გ | ი | | ა | ფ | რ | ი | კ | ა |
| | ვ | | ა | | ი | რ | ა | ს | | ს | | ი | | ე | |
| პ | ა | რ | მ | ა | | უ | | ი | რ | ი | ს | ტ | ო | ნ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 8 | 6 | 7 | 1 | 4 | 2 | 9 |
| 7 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 8 | 1 |
| 4 | 6 | 1 | 8 | 9 | 2 | 3 | 7 | 5 |
| 8 | 1 | 4 | 9 | 5 | 3 | 7 | 6 | 2 |
| 9 | 7 | 3 | 2 | 6 | 8 | 5 | 1 | 4 |
| 6 | 2 | 5 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 8 |
| 1 | 5 | 7 | 3 | 2 | 4 | 8 | 9 | 6 |
| 2 | 4 | 9 | 7 | 8 | 6 | 1 | 5 | 3 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 1 | 9 | 2 | 4 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 7 | 9 | 2 | 3 | 1 | 6 | 4 |
| 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 8 | 5 | 2 | 3 |
| 2 | 3 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 4 | 7 | 8 |
| 4 | 7 | 1 | 8 | 3 | 5 | 2 | 9 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 |
| 7 | 1 | 2 | 5 | 6 | 4 | 8 | 3 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 5 |
| 5 | 8 | 3 | 1 | 9 | 7 | 6 | 4 | 2 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. საბეჭდი მანქანა – ბრმად ბეჭდვა. 2. მამბო. 3. ჭიანჭველისგან. 4. ქარვის ოთახი. 5. მეჩეთებში – მუეძინებისთვის. 6. თამბაქოს. 7. გედი. 8. ტოკური. 9. ელისეის მინდვრები. 10. 3,14 – რიცხვი „პი“.**

**ჟურნალისტი ანა ასათიანი უკვე რამდენიმე წელია, ნიუ-იორკში ცხოვრობს და მუშაობს. ის წლების წინ, ჯერ „რუსთავი 2-ზე“ მუშაობდა გადაცემა „პოსტ-სკრიპტუმში“, შემდეგ კი ნიუ-იორკში – „იმედის“ კორესპონდენტად. ახლა კი მიზანდასახული, შრომისმოყვარე, ენერგიული და ხალისიანი ანა RTVi-შია და საკმაოდ საინტერესო სამსახური აქვს. ანა, ალბათ, ერთადერთი ქართველი ჟურნალისტია, რომლის რესპონდენტებს შორის არიან: ჯორჯ ქლუნი, რობერტ დე ნირო, სიუზან სარანდონი, სოფი ლორენი, ადრიან ბროუდი, ჟან პოლ გოტიე, რალფ ლოურენი და ასე შემდეგ.**

# რატომ ეძახიან ანა ასათიანს ნიუ-იორკში „ბუბამარას“, რატომ უწოდა მას ხორვატიის პრეზიდენტმა „პირველი ქართველი მეგობარი“ და ვისთან დააბარა მოკითხვა და კოცნა სოფი ლორენმა

**ანა ასათიანი**: ორი წელია RTVi-ზე ვმუშაობ. რა თქმა უნდა, რაც ხდება ნიუ-იორკში, ყველაფერს ვაშუქებ, მათ შორის პოლიტიკას, კულტურას, თითქმის ყველაფერს. თავიდან, გადაღებაზე რომ მივდიოდი, სანამ გამიცნობდნენ, უკვირდათ: ქართველი ჟურნალისტი რატომ მუშაობ ამ არხზეო. მეც ყველას ვუხსნიდი და ზოგჯერ ახლაც მიწევს იმის ახსნა, რომ RTVi ამერიკული კომპანიაა, უბრალოდ, რუსულად მაუწყებლობს, რუსულენოვანი მოსახლეობისთვის. სათავო ოფისი გვაქვს ნიუ-იორკში და მე ვარ ნიუ-იორკის ნიუსების პროდიუსერი, თუმცა, ვითავსებ ჟურნალისტობასაც, რადგან ძალიან მიყვარს გადაღებები, აქტიური ცხოვრება. ამიტომ, თუ რამე ხდება ნიუ-იორკში, გადასაღებიდ მივდივარ. ძირითადად, ნიუ-იორკი მეხება, რადგან ყველგან ჩვენი კორესპონდენტები გვყავს. ძალიან მინდა, „ოსკარები“ გავაშუქო. თუ აკრედიტაციას ავიღებთ, ლოსანჯელესში აუცილებლად წავალ.

**– როგორ დაიწყე მუშაობა?**

– ერთ დღეს „ფესიბუქს“ ვათვალიერებდი და ჩემმა ყოფილმა პროდიუსერმა „იმედში“, ეკა ქარდავამ, რომელიც ჩემი მეგობარია, კატერინა კოტრიკაძეს დაუკომენტარა: რა ხდება ნიუ-იორკში, „არტივიაიზეო“. კატერინას არ ვიცნობდი, ვიცოდი, რომ „პიკის“ საინფორმაციოს უფროსი იყო: ლამაზი, ჭკვიანი გოგო. ეკას მივწერე: კატიას ნიუ-იორკში რა უნდა-მეთქი. მითხრა, „არტივიაიზე“ საინფორმაციოს უფროსად დანიშნეს, უნდა თავის გემოზე მოაწყოს და გეხვეწები, შენი სივი გამომიგზავნე, უნდა გადავუგზავნოო. მე და კატია შევხვდით ერთმანეთს, „სივიც“ მივუტანე. კატიამ მითხრა: ვიცი, ვინ ხარ. არ მინდა შენი სივი, ვიცი, რაც შეგიძლია და ძალიან მჭირდებიო. დავიწყე მუშაობა. მომეწონა გარემო, ჭკვიანი ხალხია. თან, ნიუ-იორკში ბევრი საინტერესო რამ ხდება. მე და კატია ვართ მხოლოდ ორი ქართველი „არტივიაიზე“ და ძალიან დაგვაფასეს – ავამუშავეთ ნიუსები, ახალი პროექტები, ახალი გადაცემები. ახლა დავიწყეთ ანალიტიკური გადაცემა „ტაიმ კოდი“ და მისი პროდიუსერიც ვარ.

**– პირველი ქართველი ჟურნალისტი ხარ, ვისაც ამდენი ცნობილი ადამიანისგან აქვს ინტერვიუ აღებული.**

– სამსახურში ბიჭები ხუმრობენ: შენ რომ გაუღიმებ, გაძლევენ ინტერვიუსო. რა თქმა უნდა, ასე არ არის. ყოველთვის ხომ არ მაძლევენ ინტერვიუს... უბრალოდ, ძალიან ბევრს ვცდილობ, არ მეზარება. ბევრთან მივდივარ, შემართება მაქვს, ხან მიმართლებს ხან – არა. როცა მივდივარ, ვუხსნი, რომ „არტივიაიდან“ ვარ, რომელსაც 50 მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს. თუმცა, არ არის მარტივი, რადგან ზოგს არ აინტერესებს რუსულენოვანი მაყურებელი. პოლიტიკა და კულტურა ძალიან მიყვარს, ყველა სხვა სფეროს მირჩევნია. ჩოგბურთში ახლა გავერკვიე, როცა ცოტა ხნის წინ, US OPEN გავაშუქე. აკრედიტაციების აღება საკმაოდ რთული იყო. რომ მივედი, მითხრეს: არც ჩოგბურთის მატჩის გადაღება არ შეიძლება და არც ჩოგბურთელების ჩაწერა, მაშინ ფული უნდა გადაგვიხადო – ჩვენი სპონსორი, პარტნიორი უნდა იყოო. მოკლედ, ძალიან დავიბენი, პირველად ვაშუქებდი ჩემპიონატს. ამხელა გზაზე წავედი და იქიდან ხელცარიელი ხომ არ დავბრუნდებოდი. წლებია, ძალიან ბევრი სერბი და ხორვატი მეგობარი მყავს ძალიან საყვარლები არიან ბალკანელები ურთიერთობაში – საინტერესოები, გულიანები და მეგობრულები. პარასკევობით, როცა სერბულ რესტორანში მივდივარ, იციან, რომ მიყვარს სერბები და სერბული სიმღერები. ამიტომ, მინდა თუ არა, გამოაცხადებენ ხოლმე: ჩვენი მეგობარი ანა იმღერებს სერბულადო. ყველამ იცის, რომ მე ვარ ქართველი გოგონა, რომელსაც სერბები ძალიან უყვარს. მაისურიც მაქვს, რომელსაც აწერია: „მე მიყვარს სერბი”. ხორვატიაში, რომ ჩავედი და იქაც რაღაცეები ვიმღერე, მოეწონთ: რა კარგად მღერიო. ხორვატიიდან უკვე ახალი მაისურით დავბრუნდი, რომელსაც ეწერა: „მე მიყვარს ხორვატი“. მოკლედ, US OPEN-ზე ნადალი არ თამაშობდა, პირველი ნომერი იყო ჯოკოვიჩი. ისე მინდოდა მისი ჩაწერა, ვერ გეტყვი. არადა, უმკაცრესი წესები იყო, არსად არ შეიძლებოდა შესვლა, სადაც კი ისინი იყვნენ. მხოლოდ პრესკონფერენციაზე შემეძლო დასწრება და ისიც არ ვიცოდი, მომცემდნენ თუ არა კითხვის დასმის უფლებას. ჯოკოვიჩის პრესკონფერენციაზე ჩავიცვი მაისური, რომელსაც ეწერა: „მე მიყვარს სერბი“. წელში გამართული ვზივარ, რომ იქნებ, დამინახოს. ხან ავდექი, ხან დავჯექი და ბოლოს, როგორც იქნა, მივიქციე ყურადღება – თქვა, ამ გოგომ დასვას კითხვაო. ავიღე მიკროფონი და მასთან მივიჭერი. მოკლედ, ჩემს მიკროფონში ჩემივე კითხვებს სულ ღიმილით უპასუხა. შარაპოვას ჩაწერა ბევრად უფრო მარტივი იყო. ფედერერმა წააგო ხორვატ მარიო ჩილიჩთან და ხორვატიაში საოცარი ამბები ხდებოდა. მეც, რა თქმა უნდა, წავედი ინტერივიუს ჩასაწერად. გახსნაზე მივედი ერთი მაისურით და დახურვაზე მეორეთი: „მე მიყვარს ხორვატი“. პირველ რიგში დავჯექი და ბევრად უფრო მარტივი იყო შევემჩნიე. შევძელი პირველი კითხვა დამესვა, თან ხორვატიულად ვუთხარი: ცოტა ხნის წინ ხორვატიაში დავისვენე, მეგობრები მყავს იქ და იქიდან მწერენ, რომ გმირი ხართ, ქვეყანა ფეხზე დგას-მეთქი.


ყველაზე მაგარი საჩუქარი გამოვიდა: ჩემი დაბადების დღის დილა რალფ ლოურენის შოუთი დაიწყო. ჩავწერე ინტერვიუ – ინტელექტუალური რესპონდენტია, ძალიან თბილი

რაც შეეხება გაეროს გენერალურ ასამბლეას, ის ნამდვილი „ჟურნალისტური სამოთხეა“, ყველა იქ არის, შენს თვალწინ. მთელი კვირის განმავლობაში აგროვებ ექსკლუზივებს. ერთ დღეს ჩავწერეთ ბულგარეთის, სერბეთისა და ლიტვის პრეზიდენტები. ჩემი ჟურნალისტი და ოპერატორი წავიდნენ მასალის გადასაგორებლად. მე დავრჩი, ჩემთვის ვისვენებდი და ვნატრობდი: ნეტავ, არავინ ჩაიაროს-მეთქი, რადგან არც კამერა მქონდა, არც ოპერატორი მყავდა. ამ დროს მოვიდა ძალიან სიმპათიური ხალხი და უცებ ვიღაც გოგონა მომვარდა, „ბუბამარა, ბუბამარას“ ძახილით. სერბულ რესტორანში ბრეგოვიჩის სიმღერებს ვასრულებ და ერთ-ერთია ძალიან ცნობილი სიმღერა „ბუბამარა,“ ფილმიდან „თეთრი კატა, შავი კატა.“ ამიტომ, მეც „ბუბამარა“ შემარქვეს. გამახსენდა ის გოგონა, რომელმაც მითხრა: ახლა ხორვატიის პრეზიდენტი უნდა გაგაცნო და მოვუყვე, როგორ გიყვარს ჩვენი ქვეყანაო. მოკლედ, მივედი, გამაცნო, რამდენიმე სიტყვით ვისაუბრეთ. პრეზიდენტმა მითხრა: ჩემი პირველი ქართველი მეგობარი ხარო. შარშან გენერალურ ასამბლეაზე ვიყავით მე და ლიკა ხურციძე, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი და ჩემი მეგობარია. როცა რამე ხდება, ამერიკაში ჩამოდის გასაშუქებლად. იმ დღესაც ერთად ვიდექით, გავიხედეთ და ჩვენს წინ დგას კალ ბილდტი, რომელიც პოლიტიკოსებს ელაპარაკება. ახლოს ვერ მიხვალ, დაცვა არ გვიშვებს, არადა ისე მინდა მისი ჩაწერა... ვუყურებთ, ვუყურებთ, ვუღიმით, მიკროფონს ზემოთ ვწევთ, რას არ ვაკეთებთ და ბოლოს თვითონ მოვიდა: ხომ მშვიდობა გაქვთო. ლიკამ უთხრა ქართული არხიდან ვარო და რომ შემოგხვედა, გაოცდა: საქართველო და რუსეთი ერთად, ახლავე მოგცემთ კომენტ-

# „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში პოლიგრაფიული საწარმო „სეზანი“ გაფართოვდება




„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, პოლიგრაფიული საწარმო „სეზანის“ გადაიარაღება-გაფართოება მოხდება. საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ და შპს „სეზანმა“ თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულებას უკვე მოაწერეს ხელი.

„ეს კიდევ წინ გადადგმული ერთი ნაბიჯია იმისთვის, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი საწარმო შეიქმნას, გაფართოვდეს უკვე არსებული საწარმოები, განვითარდეს ეკონომიკა და ხალხი დასაქმდეს. კომპანია „სეზანისთვის“ 1 300 000 ამერიკული დოლარის ოდენობის სესხის გაცემა „თიბისი ბანკმა,“ უზრუნველყო. პირველი ორი წლის განმავლობაში სააგენტო სესხის მთლიანი, 10-პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთიდან სრულ თანადაფინანსებას უზრუნველყოფს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში კომპანიას საპროცენტო განაკვეთის გადახდა არ მოუწევს“, – აცხადებს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი გიორგი ციკოლია.

კომპანია „სეზანის” მენეჯმენტში განმარტავენ, რომ აღებული სესხით ახალი დანადგარების ყიდვას, საწარმოო პროცესის გაუმჯობესებასა და წარმოების გაფართოებას გეგმავენ.

„სააგენტოს თანადაფინანსებითა და ხელშეწყობით, შესაფუთი მასალის, კრაფტის ქაღალდის ჩანთების, ქაღალდის ჭიქების, პლასტმასის თავსახურების და სწრაფი კვების ინდუსტრიაში გამოსაყენებელი სხვა მასალების წარმოებას ვგეგმავთ. დღემდე ეს პროდუქცია საქართველოში სრული სპექტრით არ იწარმოება და თითქმის მთლიანად იმპორტირებულია”, – აცხადებს კომპანიის დირექტორი თამაზ ჩიხრაძე.

ამის გარდა, კომპანიაში აცხადებენ, რომ დაგეგმილია ახალი, 16,000 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართის მშენებლობა. ორივე პროექტის საინვესტიციო ღირებულება 4 000 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. კომპანიაში ამჟამად 95 ადამიანია დასაქმებული, გაფართოების შემდეგ კი დამატებით 30-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ დამტკიცებული 16 პროექტის ფარგლებში, არსებული საწარმოები საერთო ჯამში დაახლოებით 47 000 000 ამერიკული დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ.

---

არსო. მერე ავუხსენით რაში იყო საქმე და ვრცელი კომენტარი მოგვცა. ერთ საღამოს ლიკას ვუთხარი: მოდი, სერბულ რესტორანში წავიდეთ-მეთქი. შევედით რესტორანში, დავსხედით და რას ვხედავთ: გვერდით კალ ბილდტი არ ზის ცოლთან ერთად. რომ დაგვინახა, ცოლს უთხრა: იცი, რა შემემთხვა, ეს ქართველი და რუსი ჟურნალისტი მეგობრები არიან – ქართული და რუსული ტელევიზია ერთად მეხვეწებოდა კომენტარსო. მერე დაგველაპარაკა, ავუხსენით ყველაფერი, გვერდით დაგვისვა და ბოლოს ქლიავისგან დამზადებული სერბული სასმლით საქართველოს სადღეგრძელოები ვსვით კალ ბილდტან ერთად.

**– სოფი ლორენის ჩაწერა, ალბათ, ყველა ჟურნალისტის ოცნებაა.**

– მეოთხე წელია, Tribeca ფილმების ფესტივალს ვაშუქებ. რაც უფრო დიდხანს თანამშრომლობ მათთან, მით უფრო უკეთესი ხდება შენი აკრედიტაცია. წელს თვითონ მიმიწვიეს. რომ გავიგე, სოფი ლორენი იქნებოდა ფესტივალზე, რა თქმა უნდა, ეს გახდა ჩემი პრიორიტეტი. პარალელურად, უნდა გამართულიყო მოკლემეტრაჟიანი ფილმის პრემიერა, რომელიც მისმა შვილმა გადაიღო. ვკითხე: ძნელი ხომ არ არის, დედის გადაღება ფილმში-მეთქი. მიპასუხა: არა, რადგან დედა სოფი ლორენია და როცა ის თამაშობს, ვერც ხვდები, რომ დედაა გადასაღებ მოედანზეო. სოფი ლორენიც ჩავწერე. რომ გაიგო, რუსულენოვანი ტელევიზიიდან ვიყავი, მითხრა: ყველანი ძალიან მიყვარხართ და ბევრ კოცნასა და მოკითხვას ვუგზავნი საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებსო. შემდეგ სტინგიც ჩავწერე და მან რომ გაიგო, ქართველი ჟურნალისტი ვიყავი, საქართველოში ჩატარებული ყველა კონცერტი გაიხსენა. რაც შეეხება ადრიან ბროუდს, ფესტივალზე მოვიდა და წითელ ხალიჩაზე რომ ჩაიარა, დავუძახეთ ჟურნალისტებმა და ჩავწერე ინტერვიუ.

**– სექტემბერში „ნიუ-იორკის ფეშენ-ვიქსაც” აშუქებდი.**

– ნიუ-იორკში „ფეშენ-ვიქი” ტარდება წელიწადში ორჯერ. ყველა სეზონზე ვმუშაობ. „ფეშენ-ვიქზე” რალფ ლოურენმა ორი ჩვენება გამართა, ორივე არჩვეულებრივი იყო. ეს კაცი არის გენიოსი – ბოლო ჩვენებაზე ემოციებისგან ცრემლები მომდიოდა. თან, ჩემს დაბადების დღეზე იყო ლოურენის შოუ და ყველაზე მაგარი საჩუქარი გამოვიდა: ჩემი დაბადების დღის დილა რალფ ლოურენის შოუთი დაიწყო. ჩავწერე ინტერვიუ – ინტელექტუალური რესპონდენტია, ძალიან თბილი... ყველა მუზეუმიდან მომდის ინფორმაცია: სად რა ტარდება და მერე მე გადავახარისხებ ხოლმე. ერთ დღესაც მომივიდა წერილი, რომ ჟან პოლ გოტიე აკეთებდა გამოფენას, სადაც ყველაფერი იქნებოდა გამოფენილი, მათ შორის ცნობილი ადამიანებისთვის შექმნილი სამოსი. მანეკენები საუბრობენ, გვიყვებოდნენ კაბის ისტორიას. საოცარი სანახაობა იყო. ჟან პოლ გოტიეც ჩავწერე, გამოვკითხე ყველაფერი, კოსტიუმების ისტორიებიც მიამბო. არაჩვეულებრივი რესპონდენტია. ცოტა ხნის წინ კი, ახალი გადაცემისთვის ჩავწერე პუტინის რისხვა – ანდრეი მაკარევიჩი „მაშინნა ვრემენიდან“. ნახევარსაათიანი ინტერვიუ გვქონდა – ექსკლუზივი „არტივიაისთვის“. ძალიან საინტერესო ადამიანია.



**მე და კატია შევხვდით ერთმანეთს, სივიც მივუტანე. კატიამ მითხრა: ვიცი, ვინ ხარ. არ მინდა შენი სივი, ვიცი, რაც შეგიძლია და ძალიან მჭირდებიო**

**– ერთ-ერთ სერბულ გაზეთში შენი ფოტო დაიბეჭდა.**

– ფეხბურთი ძალიან მიყვარს. ერთ დღეს, სერბეთის ეროვნული გუნდი თამაშობდა იამაიკასთან. ყველა ჩემი სერბი მეგობარი მიდიოდა და მეც წავედი. მანამდე, სერბული დროშა შევუკვეთე და ვიყიდე. მეგობარმა კი შემიკერა სარაფანა. ფეხბურთისთვის იქ არავის უყურებია, მე ვიყავი ყურადღების ცენტრში. ბოლოს გაზეთის პირველ გვერდზეც აღმოვჩნდი ჩემი სერბული სარაფნით.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორია ერის სტალინური განმარტება და ვის უკავშირებს ლევან ღვინჯილია „ნაციისა" და „ერის" შინაარსის გამიჯვნას

***პროფესია***: აბრაგი – აბრებზე წარწერების შემსწორებელი.

***რეალურად***: ფილოლოგ-კავკასიოლოგი, დაღესტნური ენების მკვლევარი.

***სამუშაო ადგილი***: უმუშევარი (შეიძლება სამუდამოდაც!)

ჰყავს მეუღლე და ექვსი შვილი

**ლევან ღვინჯილია:** „ეროვნება – ქართველი" ორსიტყვიანი მცნებაა... დავიწყოთ ეროვნებით – იგი ნაწარმოებია სიტყვისგან – „ერი". როცა ჩვენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევდიოდით, როგორც ქვეყანა (შეიძლება, ვინმემ თქვას - როგორც კოლონია), გავრცელებული იყო ერის სტალინური განმარტება. ვნახოთ, რა წერია იმდროინდელ განმარტებით ლექსიკონში: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა". თურმე, იმისთვის, რომ ერი ჩამოყალიბდეს, აუცილებელი ყოფილა ენისა და კულტურის ერთობა. დღეს ეს ტერმინი (ერი) მარტოდენ საქართველოში არ იხმარება. მაგალითად, ამბობენ – ევროპელი ერებიო... ან ფრანგი ერი... ამერიკელი ერი...

**– ამერიკელი ერი, ბატონო ლევან?**

– საქმეც მაგაშია, რომ ამ ცნების აღსანიშნავად, უცხო ენებზე სხვა ტერმინი გამოიყენება – „ნაცია", რომელიც ქართულშიც არის შემოსული. ნაციონალობა, იგივე - ეროვნებაა. ახლა ისევ განმარტებით ლექსიკონში ჩავიხედოთ და ვნახოთ, რას ნიშნავს სიტყვა – ეროვნება: „გამაერთიანებელი სახელი ერისა, ხალხისა და ტომისა; ეროვნული წარმომავლობა, წარმოშობა, გვარ-ტომობა". კიდევ ერთი სიტყვის – „ნაციის" განმარტება ვნახოთ –– „ნაციო" ლათინურია, ქართულში შემოსულია რუსული ენის მეშვეობით, ძველებურია, წიგნურ მეტყველებაში გვხვდებაო და იგივეა, რაც – „ერიო"... იმ დროს, როცა ეს ლექსიკონი კეთდებოდა, სიტყვა „ნაცია" არ იხმარებოდა სხვა მნიშვნელობით, თუ არა, როგორც - „ერი". თუმცა იყო ზოგი ტერმინი, რომლის შემადგენლობაშიც გამოყენებული იყო „ნაც" ფუძე და მას იქ „ერი" ვერ ჩაანაცვლებდა. მაგალითად – ნაციონალიზაცია – ვიღაცის კერძო ქონების სახელმწიფოს, ანუ ნაციის საკუთრებაში გადასვლა და აქ ვერ იქნებოდა გამოყენებული სიტყვა „ერი". იმის თქმა მინდა, რომ „ერი" და „ნაცია" ქართულ ენაში იყო სინონიმური სიტყვები და მათ არ ჰქონდათ განსხვავებული მნიშვნელობები მანამ, სანამ პოლიტიკურ ასპარეზზე ნაციონალური მოძრაობა არ გამოჩნდა. „წახვალთ-წამოხვალთ და ისევ ნაციონალურ მოძრაობას მიადგებითო" – იტყვის, ალბათ, მავანი, მაგრამ ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, როგორი განწყობა მექნება მე – ლევენ ღვინჯილიას „ნაცების" მიმართ, ან მესიმპათიურებიან თუ არა ისინი. საკითხის არსზე ვბჭობ. ერთმანეთის გვერდი-გვერდ გააქტიურდა ორი ტერმინი – „ნაციონალური" და „ეროვნული". იყო ადრე - ეროვნული მოძრაობა და კიდევ უფრო ადრე - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 80-90-იან წლებში, ანუ კოსტავა-გამსახურდიას პერიოდში იქამდე გაიშინაურეს ეს ტერმინი, რომ ერთმანეთს „ეროვნულებსაც" კი ეძახდნენ. „ეროვნული ადამიანიაო", ასეც კი ამბობდნენ. ნაციონალურ მოძრაობას ტერმინი „ეროვნული" შემთხვევით არ შეუცვალია „ნაციონალურით". ცხადია, მათ იმიტომაც დაირქვეს „ნაციონალური მოძრაობა", რომ უპირველესად ამით ხაზი გაუსვეს თავიანთ დასავლურობას (პოლიტიკური მისწრაფებების თვალსაზრისით).

**– ანუ, სახელწოდებაში „ჩაიდო" შინაარსი.**

– დიახ! თანაც არ უნდოდათ მოწყვეტოდნენ ქართულ, ეროვნულ მოძრაობას. ამიტომაც სინონიმი სიტყვა გამოიყენეს. თითქოს ეს არის თანამედროვე ეროვნული მოძრაობა.



როგორც კი ჩემი მოდგმა გადავა სხვა ენაზე, მე, როგორც კაცობრიობის ქართულენოვანი სახეობა, არსებობას შევწყვეტ

ანუ, ვინმეს რომ არ ეფიქრა, ქართველების ეროვნულ მოძრაობაში რატომ უნდა მიიღოს მონაწილეობა სომეხმა ან აზერბაიჯანელმაო, ტერმინი „ეროვნული", შეიცვალა ტერმინით – „ნაციონალური".

ქართველი ერის ეროვნული მენტალიტეტი და ფრანგი ერის ეროვნული მენტალიტეტი ტერმინოლოგიურ დონეზე სხვადასხვა რამეა. იმიტომ, რომ ცნება „ფრანგ ერში" სხვა შემადგენელი „კომპონენტები" მოიაზრება, „ქართველ ერში" კი მხოლოდ ეთნიკურად ქართველები მოიაზრებიან – ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ქართულ ენაში; ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ფრანგებში ეთნიკური ნიშანი საერთოდ არ არის გათვალისწინებული. მაშინ, როცა ქართველ ერში მხოლოდ ეთნიკურად ქართველი მონაწილეობს. მაგალითად, ეთნიკურად სომეხი შარლ აზნავური მღეროდა მხოლოდ ფრანგულად და ფრანგ მომღერალს ეძახდა საკუთარ თავს; ასევე, ზინედინ ზიდანი ეგვიპტური წარმოშობისაა, მაგრამ ფრანგი ფეხბურთელი, ისიც ფრანგს ეძახის თავის თავს, ანუ, ენობრივი ფაქტორი ორსავ შემთხვევაში უმთავრესია. თუმცა, როცა ჩვენ ვამბობთ – „ქართველი ერი" – მასში არ ვგულისხმობთ, მაგალითად, თბილისელ სომხებს, ან ქურთებს, რომლებიც ლაპარაკობენ ქართულად.

**– ჰო, მაგრამ ისინიც არ მიიჩნევენ თავს ქართველებად.**

– ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ ერი და ეროვნება ქართული და ევროპული გაგებით სხვადასხვა რამეა. ხომ არ აზიანებს ეს ჩვენს ქვეყანასო – მკითხავთ, ალბათ, თქვენ. საფრანგეთში მცხოვრებ ქართული ემიგრაციის შთამომავალთა აბსოლუტური უმრავლესობა – ხომერიკები, ჭავჭავაძეები, გორდელაძეები, ფალავები, ჟორდანიები... თავს უწოდებს - ფრანგს. იმიტომ, რომ მათ აერთიანებთ ფრანგული ენა.

ჩვენშიც ამ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდეთ, ამისთვის აუცილებელია - საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქეები (ერთი საბავშვო „ჟარგონი" უნდა გამოვიყენო, ძალიან მომწონს!) „გადმოცხოვრდნენ" ქართულ ენაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ საკუთარ სახლზე უნდა თქვან უარი. არა! ექნებათ თავისიც და უფრო „დიდ საერთო სახლშიც მიიღებენ ბინებს. ჰაიდეგერი ამბობს, ენა არის „ყოფიერების სახლიო". ერთ ჰოლანდიელ მწერალს ჰკითხეს, თქვენი სამშობლო რომელიაო და მან უპასუხა: „ჩემი სამშობლო არის ჰოლანდიური ენაო". მერე ფრანგებმა აიტაცეს ეს გამონათქვამი და, როცა ფრანგულ ღირებულებებს იცავენ, გამოაქვთ ლოზუნგი: „ჩემი სამშობლო – ეს არის ფრანგული ენა". მაშასადამე, ვინც თავის თავს ფრანგს უწოდებს, ის აუცილებლად უნდა ცხოვრობდეს ფრანგულ ენაში.

სანამ საქართველოს ყველა მოქალაქე ქართულ ენაში არ „გადმოცხოვრდება", მანამდე ისინი ვერ უწოდებენ თავიანთ თავს – ქართველს.

კრილოვები, გოგოლები, სიმონგულოვები, სოკოლოვი ვოლსკი, ტრიპოლსკი... დიდი ხანია, „გადმოცხოვრებულები" არიან ქართულ ენაში და ამიტომაც თავის თავს უწოდებენ - ქართველს; მიუხედავად იმისა, რომ მათი ეთნიკური წარმომავლობა ქართული არ არის, მაინც ქართველები არიან!

სამწუხაროდ, ქართველი ერი, იმ სახით, როგორც ჩვენ ვისურვებდით, რომ ჩამოყალიბებული ყოფილიყო, დღეს საქართველოში არ არსებობს.

**– მაგრამ ყველა, ვისაც პასპორტში მოქალაქეობა – ქართველი უწერია, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ არის ქართველი.**

– დიახ! ასეთი აღქმა აქვთ მხოლოდ უცხოეთში. იმათთვის ნაციონალობა სხვა რამეს ნიშნავს და იმიტომ. ჩვენში დღეს „ქართველი" მხოლოდ ეთნიკური ტერმინია. როცა ვამბობ, განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო სახელმწიფო ენაზე-მეთქი, ზოგს ეს ისე ესმის, თითქოს მე მარტო მაღაზიაზე ან სასტუმროზე გაკეთებული ინგლისურენოვანი წარწერა მაწუხებდეს.

არა, ბატონო! ეს ერის ჩამოყალიბების გზაა. ის, რისთვისაც მე ვიბრძვი, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, მხოლოდ ენის სიწმინდის დაცვისა და სალიტერატურო ნორმების დამკვიდრებისთვის კი არ არის, არამედ ჩვენ ჯერ ქართველი ერი უნდა ჩამოვაყალიბოთ.

ჩვენ დევნილები მარტო აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან კი არ გვყავანან. ლტოლვილები არიან ის ადამიანებიც, რომლებიც ვერ „დავასახლეთ" ქართულში. თუმცა, ეს „დევნილობაც" სპეციფიკური ხასიათისაა: ჩვენი სომხები და აზერბაიჯანელები განსაკუთრებით და დიდად არც ინდომებენ, რომ გადმოვიდნენ და დასახლდნენ ქართულ ენაში.

რვა მილიონი თურქი ცხოვრობს გერმანიაში, მაგრამ მათ ეროვნული უმცირესობა არ ჰქვიათ... და მათთვის გერმანიის სახელმწიფო, გერმანული ენის შესწავლის თვალსაზრისით არაფერს არ აკეთებს; თუმცა ყველა ჩინებულად ლაპარაკობს გერმანულად.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერი საქართველოში ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული და ჩვენს სახელმწიფოს ეს, რატომღაც, მნიშვნელოვან საკითხად არ მიაჩნია.

2013 წლიდან მოყოლებული, საქართველოს პარლამენტში დევს პროექტი კანონისა „სახელმწიფო ენის შესახებ", რომელიც დღემდე არ არის განხილული და არ ვიცით, მომავალ წელს მაინც თუ მოხერხდება მისი განხილვა. მიუხე-

**(გაგრძელება 77-ე გვერდზე)**

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში, რკინადეფიციტურ ანემიას დაავადებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს. საქართველოშიც, რეპროდუქციულ ასაკში, ყოველ მესამე ქალს ეს პრობლემა აწუხებს. ხშირ შემთხვევაში, მის ჩამოყალიბებას, ადამიანი ვერ ამჩნევს, რადგან მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები სხვა მიზეზითაც შეიძლება, იყოს გამოწვეული. შესაბამისად, არ მიმართავს მკურნალობას, რამაც შეიძლება, მნიშვნელოვანი გართულებები გამოიწვიოს. ამ თემაზე სასაუბროდ ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნანა ლოლაშვილს მივმართეთ.**

# რა შედეგებამდე შეიძლება, მიგვიყვანოს რკინადეფიციტური ანემიისადმი უყურადღებობამ და შესაძლებელია თუ არა მისგან სრულად განკურნება

**– ქალბატონო ნანა, რა არის რკინადეფიციტური ანემია?**

– ანემია არის სისხლნაკლებობა, დაავადებათა დიდი ჯგუფი. მსოფლიოში ორ მილიონამდე ადამიანი არის დაავადებული. მათგან 80 პროცენტს შეადგენს რკინადეფიციტური ანემია. ის ვითარდება მაშინ, როცა დარღვეულია ბალანსი მიღებულსა და დახარჯულ რკინას შორის. მიზეზი შეიძლება, იყოს მრავალი. ყველაზე ხშირია სისხლის დანაკარგი – მენო და მეტრო-რაგია, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. ეს დაავადება ქალებში უფრო ხშირად იჩენს თავს. მამაკაცებისთვის ის, ძირითადად, 50 წლის შემდეგ არის დამახასიათებელი. მიზეზია კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენა, კუჭის წყლული და სხვა. გარდა სისხლდენისა, მიზეზი შეიძლება, იყოს არასაკმარისი რაოდენობით რკინის მიღება, კუჭის რეზექცია (როცა ოპერაციაა გაკეთებული კუჭზე), წვრილი ნაწლავის რეზექცია, კუჭის დაბალი სიმჟავე. კიდევ ერთი მიზეზია რკინაზე ჭარბი მოთხოვნილება. ეს, ძირითადად, ორსულობის დროს ხდება და მას მეორე ადგილი უკავია დაავადების გამომწვევ მიზეზებს შორის, მენო-მეტრორაგიების შემდეგ, რადგან, ორსულებს მესამე ტრიმესტრში სამჯერ უფრო მეტი რკინა სჭირდებათ, ვიდრე ჩვეულებრივ. თუ ორგანიზმში საკმარისი მარაგი არ არსებობს, ვითარდება რკინადეფიციტური ანემია. დაავადებას იწვევს, ასევე, სწრაფი ზრდაც, ფიზიკური და წარმოიდგინეთ, გონებრივი დატვირთვაც კი. დაავადების გამომწვევი შეიძლება, იყოს რამდენიმე მიზეზი. დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია ყველა მათგანის დადგენა. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენას, რომელიც შეიძლება იყოს ფარული. ამ ბოლო წლებში, ძალიან მოიმატა წყლულისა და ეროზიის შემთხვევებმა ახალგაზრდა გოგონებში, რაც ადრე არ იყო. ეს დაკავშირებულია სტრესთან, თამბაქოს მოხმარებასთან, არასწორ და არასრულფასოვან კვების რეჟიმთან. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკვებს, სწორედ მისი საშუალებით ხდება დანაკლისის შევსება. განსაკუთრებით კი – ქალბატონებისთვის. თუ მამაკაცს სჭირდება 1 მილიგრამი რკინა, ქალს ორჯერ მეტი ესაჭიროება რეპროდუქციულ ასაკში. ეს არის 14-დან 50 წლამდე. ამ პერიოდში ქალს ყოველთვიურად აქვს სისხლის დანაკარგი და მის შესავსებად ორჯერ მეტი რკინაა საჭირო. ორსულობის მესამე ტრიმესტრში კი, სამჯერ მეტია საჭირო.

**– ეს დაავადება ფეხმძიმობისთვის სერიოზული საფრთხეა?**

– კი, საკმაოდ ბევრ პრობლემას ქმნის და ხელს უშლის ნაყოფის სრულფასოვან განვითარებას.

**– რა ჩივილებია რკინადეფიციტური ანემიისთვის დამახასიათებელი?**

– იმის გამო, რომ დაავადება ვითარდება ნელ-ნელა და ხშირ შემთხვევაში, მას ორგანიზმი ეგუება, წლების განმავლობაში დადიან ამ დაავადებით და არ იციან ამის შესახებ. ეს ასაკის მატების ან სხვა მიზეზის ბრალი ჰგონიათ. არის ზოგადი ჩივილები, როგორიცაა: საერთო სისუსტე, მალე დაღლა, თმის ცვენა, ფრჩხილების მტვრევადობა, რაც ხშირად სხვა პათოლოგიებს ეწერება ხოლმე. იგივე ფრჩხილის მტვრევა, კალციუმის ნაკლებობაზე ხშირად, მისი გამომწვევი სწორედ, რკინადეფიციტური ანემიაა. თუმცა, დამახასიათებელია ძალიან თავისებური ჩივილიც – პიკახლოროტიკა ანუ, გაუკუღმართებული გემოვნება. ასეთი ადამიანები ჭამენ მიწას, ცარცს, ყინულს, ყავის მარცვლებს, ქაღალდის ხელსახოცებს, უმ ხორცს, ფარშს, ბურღულეულს და აქვთ ამის ძალიან ძლიერი მოთხოვნილება. თითოეული მათგანი გამოწვეულია რკინადეფიციტით. სხვა არაფრის ნაკლებობა არ იძლევა ასეთ ჩივილს.



თუ მამაკაცს სჭირდება 1 მილიგრამი რკინა, ქალს ორჯერ მეტი ესაჭიროება რეპროდუქციულ ასაკში

**– ეს ჩივილები თავიდანვე ჩნდება თუ, როცა უკვე, სერიოზულად არის საქმე?**

– ცოტა ხანში შეიძლება, განვითარდეს. ეს უფრო ხშირად ქალებსა და ბავშვებში ვლინდება ხოლმე. როგორც კი რკინის დეფიციტი გასწორდება, მსგავსი მოთხოვნილებებიც მაშინვე იხსნება.

**– თუ არ არის ასე მკვეთრად გამოხატული ჩივილები, როგორ უნდა გავარჩიოთ რკინადეფიციტური ანემია სხვა დაავადებისგან?**

– საერთო სისუსტე, თავბრუხვევა, მეხსიერების დაქვეითება, იმუნიტეტის, წნევის დაქვეითება, კუნთების ტკივილი. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს წინამორბედი ჩივილი. ეს დაავადება არის ძალიან ადვილი სადიაგნოსტიკო პათოლოგია. მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზია საჭირო და თუ რკინადეფიციტზე იქნა ეჭვი მიტანილი, შრატის რკინაც უნდა განისაზღვროს, რაც ასევე ძალიან მარტივი პროცედურაა. დაავადება აბსოლუტურად განკურნებადია. დასაწყისში გაცილებით ადვილი სამკურნალოა, ვიდრე მოგვიანებით. ზოგჯერ სტაციონარში დაწვენა ხდება საჭირო. ეს არ არის ხანგრძლივი პროცესი. თუმცა დროის ხანგრძლივობა, მაინც, დაავადების სირთულეზეა დამოკიდებული. დასაწყისში ძალიან კარგ შედეგს გვაძლევს ტაბლეტიზებული მკურნალობა. ინიექციებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავდივართ, თუ პაციენტი უარყოფითად არის ტაბლეტებისადმი განწყობილი, ან ძალიან სწრაფად გვინდა შედეგის მიღწევა.

**– თუ შესაძლებელია სახლის პირობებში, ექიმის ჩარევის გარეშე მკურნალობა?**

– მედიკამენტური მკურნალობის გარეშე მისგან განკურნება, თუ უკვე რკინადეფიციტური ანემია გვაქვს, გამორიცხულია. აქ მხოლოდ საკვები არ არის საკმარისი. თვითმკურნალობა არანაირად არ შეიძლება. აქ კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მართალია, ანემიების 80-90 პროცენტს რკინადეფიციტური ანემია შედგენს, მაგრამ რჩება კიდევ 10-20 პროცენტი, რომლებიც აბსოლუტურად სხვა სახის მკურნალობას საჭიროებს, თუმცა, ჩივილები იგივეა. ამიტომ, ასეთი ავადმყოფი ვერ მორჩება, რამდენი რკინაც არ უნდა მისცე. შესაბამისად, სწორი დიაგნოსტიკა აუცილებელია. თვითმკურნალობა გამორიცხულია. თუ დაავადების განკურნების შემდეგ დარჩება მისი გამომწვევი მიზეზი, მაგალითად, მენორაგია (გაძლიერებული მენსტრუაცია), მაშინ ხელშემწყობი თერაპია ინიშნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მას მცირე ასაკის ბავშვებში. ბავშვს თუ სამ წლამდე არ გამოუსწორდა რკინადეფიციტური ანემია, ვითარდება მენტალური ჩამორჩენა. მოზრდილ ასაკში განვითარებულმა რკინადეფიციტურმა ანემიამ შეიძლება, გონების დაქვეითება გამოიწვიოს, თუმცა მკურნალობის შემდეგ, ეს საკითხი გამოსწორდება. მაგრამ, თუ დეფიციტი სამ წლამდე ვერ მოწესრიგდა, მისი გონებრივი შესაძლებლობები ისეთი ვერასდროს გახდება.

**– რომელი საკვების მიღებაა ამ დროს რეკომენდებული?**

– ცხოველური პროდუქტებიდან 20-30 პროცენტ რკინას ვიღებთ. მცენარეულიდან კი მხოლოდ – 3 პროცენტს. თუმცა, მხოლოდ საკვებით უკვე არსებული რკინადეფიციტური ანემიის გამოსწორება შეუძლებელია. ეს გამორიცხულია. საკვების საშუალებით მხოლოდ ერთი დღის ან ცოტა მეტისთვის საკმარისი რკინა შეიძლება, მივიღოთ. ზოგი პროდუქტი, პირიქით, ხელს უშლის რკინის შეწოვას. ესენია: ყავა, ჩაი, რძე, ცხიმიანი ხორცი. ამიტომ, ჯობია, ისინი კვებიდან ორი საათის შემდეგ მივიღოთ. თუმცა, ხორცი აუცილებელია. წითელი ხორცი დიდი რაოდენობით რკინას შეიცავს.

**– რა გართულება შეიძლება, მოჰყვეს რკინადეფიციტურ ანემიას, თუ არ ჩავიტარე მკურნალობა?**

– ეს გამოიწვევს მნიშვნელოვან გართულებებს გულზე. შესაძლოა, სტენოკარდიისა და ინფარქტის სურათიც კი მოგვცეს. იმუნიტეტი ქვეითდება. კუჭ-ნაწლავი პათოლოგიურია. ნერვული სისტემის აღზნებადობას იწვევს. შეიძლება, მივიღოთ სუფებრილური ტემპერატურა, რაც ნიშნავს, ხანგრძლივი დროით – 37 გრადუს ტემპერატურას. შესაძლოა, ჰემოგლობინი ისე დაეცეს, რომ სისხლის გადასხმა გახდეს საჭირო. მოკლედ, საკმაოდ მძიმე შედეგებია მოსალოდნელი.

**– როგორია მისი თავიდან არიდების გზები?**

– ეს არის მეორადი დაავადება, ამიტომ, უპირველესად, უნდა დავადგინოთ დაავადების გამომწვევი მიზეზი. თუ ასეთი მიზეზი არ არსებობს და ადამიანი ნორმალურად იკვებება, მაშინ მას ნაკლები საფრთხე ემუქრება.

**ქეთი პაპანაძე**

# კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება მეტწილად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკულ დაავადებას წარმოადგენს, რომლის დროსაც ლორწოვან გარსზე წყლულოვანი დეფექტების განვითარება ხდება. აღნიშნული დაავადება ადამიანებს უფრო ხშირად შედარებით აქტიურ, შემოქმედებით ასაკში უვითარდებათ, რაც დროებით, ხოლო ზოგჯერ კი, შრომისუნარიანობის მყარ დაქვეითებას იწვევს.

ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ რას წარმოადგენს წყლულოვანი დაავადება, და რამდენადაა მოსახლეობაში გავრცელებული?

მოგეხსენებათ, საქართველოში კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სიხშირე ყოველთვის იქცევდა სპეციალისტთა ყურადღებას, რადგან მათ განვითარებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჩვენი ცხოვრების წესი და საკვები პროდუქტების თავისებურებები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა.

თანამედროვე ლიტერატურაში ამ დაავადების სინონიმი „პეპტიური წყლულია" და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა იმ ჯგუფზე მიუთითებს, რომელსაც ლორწოვან გარსში დესტრუქციული კერების წარმოქმნა ახასიათებს.

პეპტიური წყლული აღენიშნება მოსახლეობის დაახლოებით 5%-ს. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კუჭის წყლულთან შედარებით, უფრო ხშირად ვითარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კუჭის წყლულთან შედარებით, უფრო ახალგაზრდა ასაკში გვხვდება. მამაკაცებში (20-დან 50-წლამდე) წყლული უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში. თუმცა, მენოპაუზის შემდეგ, ეს სხვაობა ნაკლებად ვლინდება.

დაავადებისთვის დამახასიათებელია ქრონიკული მიმდინარეობა ხშირი რეციდივით, რაც, როგორც წესი, მეტწილად ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე ვლინდება.

უკანასკნელ დრომდე პეპტიურ წყლულს მიიჩნევდნენ მულტიფაქტორულ დაავადებად, რომელიც კუჭის ლორწოვანის დამცავი უნარის დაქვეითების ფონზე, მჟავასა და პეპსინის მოქმედების შედეგად ვითარდებოდა. თანამედროვე გასტროენტეროლოგიაში პეპტიური წყლულის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა Helycobacter pylori-ს, მედიკამენტური (უპირველესად კი, არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით მკურნალობის) ფაქტორის არსებობასა და თამბაქოს წევის მავნე ჩვევას ენიჭება.

რიგ შემთხვევაში, პეპტიური წყლულის გამომწვევად შესაძლოა, კუჭის წვენის გაძლიერებული სეკრეცია მოგვევლინოს. სხვა ფაქტორებიდან კი აღსანიშნავია:

***1. სხვადასხვა მუკოტროპული (ლორწოვანის დამზიანებელი) ვირუსით (ჰერპეს ვირუსები, ციტომეგალოვირუსი) ლორწოვანის ინფიცირება;***

***2. ფსიქოლოგიური სტრესი;***

***3. კვების არასწორი რეჟიმი და რაციონი;***

***4. გენეტიკური მიდრეკილება.***

დადგენილია, რომ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება შემთხვევათა 90%-ში განპირობებულია H.pylori-თ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პეპტიური წყლული, უმრავლეს შემთხვევაში, პრაქტიკულად ინფექციური დაავადებაა და ანტიბიოტიკებით სათანადო მკურნალობას საჭიროებს. შემთხვევათა 10 %-ში გამომწვევი ფაქტორებია ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები ან რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ფაქტორი.

განურჩევლად ეტიოლოგიური ფაქტორებისა, პეპტიური წყლულის კლინიკური გამოვლინება, მისი შეხორცება ან გამწვავება მჭიდრო კორელაციურ კავშირშია კუჭის სეკრეციასთან, კერძოდ, კუჭის წვენის PH-ის სიდიდესთან და პეპსინის აქტიურობასთან. ფარმაკოლოგიური საშუალებებით კუჭის სეკრეციის დათრგუნვა ამცირებს ლორწოვანის დაზიანების ხარისხს, აგრეთვე სისხლდენისა და სხვა გართულებების განვითარების ალბათობას. კლინიცისტები ხელმძღვანელობდნენ შვარცის ცნობილი სენტენციით: „არ არის მჟავა – არ არის პეპსინი, ესე იგი, არ არის წყლული". თუმცა ბოლო ხანებში, მარილმჟავასა და პეპსინის ჰიპერსეკრეცია აღარ განიხილება როგორც პეპტიური წყლულის ძირითადი გამომწვევი ფაქტორი. ამიტომაც, ეს ფრაზა შეიძლება ასეც გადაკეთდეს: „არ არის H.pylori და ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები, ესე იგი, არ არის წყლული".

პეპტიური წყლულის ძირითად სიმპტომს უშუალოდ ეპიგასტრიუმის არეში განვითარებული ტკივილი წარმოადგენს, ასევე შესაძლოა: გულძმარვა, ბოყინი, მუცლის შებერილობა და ზოგჯერ კი, ყაბზობაც აღინიშნოს.

თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია:

მუცლის არეში რიტმული ტკივილი, რომელიც საჭმლის ან ანტაციდების მიღების შემდეგ იხსნება. ტკივილი ვითარდება უზმოზე (ე.წ. „მშიერი ტკივილი") და ჭამიდან 1,5-4 საათის შემდეგ. ტიპურია ე.წ. „ღამის ტკივილი", რომელიც ავადმყოფს აღვიძებს და მეტწილად ღამის 1-დან 3 საათამდე ვლინდება. ასევე, დამახასიათებელია მარჯვენა ფერდქვეშა ან ზურგის არეებში ტკივილის ირადიაცია.

დაავადების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია პერიოდულობა. პერიოდულობა სეზონური ხასიათისაა, რაც იმით გამოიხატება, რომ წყლულის კლინიკური სიმპტომები უფრო გამოხატულია გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე, რაც პათოლოგიური პროცესის გამწვავების მაუწყებელია.

კუჭის წყლულისას არსებული ტკივილი უზმოზე უმნიშვნელოა ან საერთოდ არ აღინიშნება. ის მეტწილად ჭამიდან 5-15 წუთის შემდეგ აღმოცენდება და კუჭის შიგთავსის

თორმეტგოჯა ნაწლავში გადასვლამდე ან ღებინებამდე გრძელდება. ამის გამო ხშირად ავადმყოფები საკვების მიღებას თავს არიდებენ, რაც მათი წონაში კლების მიზეზი ხდება. იშვიათად კუჭის წყლულის დროს ტკივილი შესაძლოა, ღამის პერიოდშიც განვითარდეს.

საკვების ან ანტაციდური პრეპარატების მიღების შედეგად, ტკივილის შემცირება/მოხსნა განპირობებულია კუჭის წვენში შემავალი მარილმჟავას ნეიტრალიზაციით. თუმცა, ამავდროულად, საკვების მიღება გასტრინის სეკრეციის სტიმულაციას იწვევს, რაც საბოლოო ჯამში, კვლავ აძლიერებს კუჭის სეკრეციას. კუჭის დაცლის შემდეგ კუჭის წვენისა და თორმეტგოჯა ნაწლავის PH მნიშვნელოვნად კლებულობს, რაც ტკივილის ხელმეორედ აღმოცენების მიზეზი ხდება. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებისას მარილმჟავათი განპირობებულ ტკივილს ქემორეცეპტორების გაღიზიანება ან პერისტალტიკური ცვლილებები იწვევს.

ძლიერი ტკივილის („ხანჯლის ჩარტყმის" მსგავსი) უეცარი განვითარება, რომელიც მთელ მუცელს მოიცავს, ხშირად წყლულის პერფორაციის, ანუ მისი გახეთქვის განვითარებაზე მოწმობს, რომლის დროსაც კუჭის შიგთავსი მუცლის ღრუში ჩაიღვრება, რაც, თავის მხრივ, პერიტონიტის განვითარების მიზეზი ხდება. წყლულის პერფორაციის დროს ტკივილის გარდა, შეიძლება, აღინიშნებოდეს: მუცლის შებერილობა, ენის სიმშრალე, სხეულის ტემპერატურის მატება, ტაქიკარდია.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულმა შესაძლოა, პილორუსის მიდამოს შევიწროება (პილოროსტენოზი) გამოიწვიოს, რაც კლინიკურად გულისრევით, ან წინა დღეებში მიღებული საკვების ამოღებინებით ვლინდება. აღნიშნული დაავადებისას, სისხლდენის განვითარება შედარებით ხშირად ახალგაზრდა ასაკის პაციენტებშია შესაძლებელი. ხანდაზმულ ასაკში სისხლდენა შეიძლება ავთვისებიანი წარმონაქმნის არსებობაზე მიუთითებდეს. სისხლდენის სიმპტომებია: ძლიერი საერთო სისუსტე, გულის წასვლა, ცივი ოფლი, გულისრევა-ღებინება და შესაბამისად ანემია.

ასეთ სიტუაციებში ავადმყოფი დაუყოვნებლივ საჭიროებს სპეციალურ სამედიცინო დახმარებას.

მეზობელ ორგანოებში პენეტრაცია (ღვიძლში, პანკრეასში, სანაღვლე გზებში ჩაზრდა) თანდათანობით ვითარდება. ტკივილის სტერეოტიპი იცვლება, ის კარგავს რიტმულობას, უფრო მუდმივი ხასიათისაა, მოგვიანებით კი, შესაძლოა განვითარდეს ლოკალური მტკივნეულობა, პანკრეატიტი ან ქოლანგიტი. პენეტრაცია ინტენსიურ მკურნალობას საჭიროებს, ზოგჯერ კი ქირურგიულ ჩარევასაც კი.

ყველა ზემოაღწერილი გართულება უკანასკნელ დრომდე მეტწილად ქირურგიული მკურნალობით სრულდებოდა. თანამედროვე გასტროენტეროლოგიაში მკაფიოდ გამოიკვეთა ამ გართულებების თავიდან აცილებისთვის გამიზნული აქტიური მედიკამენტური მკურნალობის ტენდენცია, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ქირურგიული მკურნალობის აუცილებლობა და ის მხოლოდ სიცოცხლისთვის საშიში გართულებებით შემოიფარგლება.

პეპტიური წყლულის დიაგნოსტიკის თვალსაზრისით, დღეისთვის ინფორმაციულია რენტგენოლოგიური კვლევა ორმაგი კონტრასტირებით. რენტგენოგრამაზე წყლული კრატერის მსგავსი ჩაღრმავების სახით მოჩანს.

რაღა თქმა უნდა, თანამედროვე პერიოდში პეპტიური წყლულის დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტად" კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ენდოსკოპიური გამოკვლევაა მიჩნეული. მისი მნიშვნელოვანი უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელია, არა მხოლოდ წყლულის გამოვლინება, არამედ ბიოფსიის გაკეთება, PH-ის განსაზღვრა, ასევე ადგილობრივი მკურნალობა და ჩატარებული მკურნალობის ეფექტის შეფასება. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდის ინფორმატიულობა აბსოლუტური არ გახლავთ და 90%-ს აღწევს.

პეპტიური წყლულის დიაგნოზის დადგენისას წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება H.pylori-ს გამოვლენას, რადგანაც დაინფიცირებულ ავადმყოფთა სათანადო მკურნალობა, უმრავლეს შემთხვევაში, წყლულისგან განკურნებით სრულდება.

სადღეისოდ პეპტიური წყლულის მკურნალობამ რადიკალური ცვლილებები განიცადა. უწინ პოპულარული ტრადიციული მკურნალობა მხოლოდ კუჭის სეკრეციის დამთრგუნავი და ანტაციდური პრეპარატებით შემოიფარგლებოდა, რაც თავისი არსით, მხოლოდ სიმპტომურ თერაპიას წარმოადგენდა. თანაც, მისი წარმატებულობის შემთხვევაშიც კი, წყლულის შეხორცება დროებით ხასიათს ატარებდა. აქვე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წყლულის შეხორცება ხშირად სპონტანურად შეიძლება, მოხდეს და არა მკურნალობის შედეგად. მიუხედავად ამისა, მკურნალობის ეს მეთოდი დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

პეპტიური წყლულის თანამედროვე მკურნალობა კომპლექსურია და უპირველესად წყლულის გამომწვევი მიზეზის იდენტიფიკაციასა და მოცილებას გულისხმობს.

H.pylori-პოზიტიური პეპტიური წყლულის მკურნალობა რამდენიმე პრეპარატის ერთდროულად დანიშვნას, კერძოდ კი, ანტიბიოტიკებისა და ტრადიციული პრეპარატების (ანტაციდების, H2-რეცეპტორების ანტაგონისტების, პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორების, შემომგარსველი საშუალებების) კომპლექსურ მიღებას მოიცავს.

პეპტიური წყლულის ტრადიციული მკურნალობის გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წყლული არ არის ასოცირებული H.pylori-სთან. თუმცა, აღნიშნული პრეპარატების გამოყენება აუცილებლად ექიმ-სპეციალისტის დანიშნულების შესაბამისად უნდა მოხდეს. ამ მხრივ, არსენალში გვაქვს ანტაციდური საშუალებები, H2-რეცეპტორების ანტაგონისტები, შემომგარსავი საშუალებები, პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები (ომეპრაზოლის რიგის პრეპარატები) და სხვა.

# როგორ ხოცავდა ნაჯახით ქალებსა და ბავშვებს მოსკოვის ქუჩებში თბილისელი მანიაკი

*სერიული მკვლელი, მანიაკი. დღეს ამით უკვე ვეღარავის გააკვირვებ. საბჭოთა ეპოქაში ამ თემას ტაბუ ედო. პირველი სერიული მკვლელი, რომლის საქმეც გახმაურდა, ისტორიაში „მოსგაზის" მეტსახელით დარჩა. ამაზე გვესაუბრება, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ისტორიის დოქტორი, ნიკა თევზაძე.*

– ადამიანი, რომელიც სრულიად უმიზეზოდ მკვლელობაზე მიდის, ავადმყოფია. საბჭოთა ეპოქაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ მანიაკები, სადისტები, სერიული მკვლელები მხოლოდ კაპიტალისტურ სისტემაში არსებობენ. „მოსგაზი" პირველი საბჭოთა სერიული მკვლელი გახლდათ, რომლის საქმეც გახმაურდა. საბჭოთა გაზეთებში ამის თაობაზე ერთი სიტყვაც არ ყოფილა. მოსკოვში მომხდარი სერიული მკვლელობების ამბები კი ჯერ თვითგამოცემაში, შემდეგ კი რადიო „თავისუფლებაში" მოხვდა. ამის შემდეგ „ბი-ბი-სიმ" მიუძღვნა ვრცელი გადაცემა. გაზეთებმა „ტაიმსმა," „მონდმა" კი, მოუხელთებელი საბჭოთა სერიული მკვლელის თემას ვრცელი სტატიები მიუძღვნეს.



მაშინ ტელევიზორი მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ. მანიაკმა ტელევიზორი გაიტაცა, რამაც ის დალუპა

**– აქამდე მსგავსი ამბები არ ხმაურდებოდა. როგორ მოხდა, რომ „მოსგაზის" გარშემო ასეთი აჟიოტაჟი ატყდა?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ დანაშაული, თავისი სისასტიკიდან გამომდინარე, მართლაც არაადამიანური იყო. მანიაკი მოსკოველთა ბინის კარებზე რეკავდა და შეკითხვაზე, ვინა ხარო, პასუხობდა, რომ „მოსგაზიდან" იყო. მასაც ბინაში უშვებდნენ. თუკი დაინახავდა, რომ ქალი ან ბავშვი მარტო იყო, მათ ნაჯახით კლავდა.

ნიკიტა სერგეევიჩმა მაშინდელი ძალოვნები დაიბარა და უთხრა: რაც გინდათ ქენით, მაგრამ ეს „მოსგაზია" თუ ვილაც, ცოცხალი ან მკვდარი მომგვარეთო. საბჭოთა მილიცია მანიაკის შეპყრობას კეთილსინდისიერად ცდილობდა, მაგრამ ეს, როგორც გითხარით, ძალიან ძნელი აღმოჩნდა. პროფესიონალი დამნაშავისაგან განსხვავებით, მანიაკი ყოველგვარი მოტივის გარეშე კლავს. მას არც კრიმინალურ წრეებში გააჩნია კონტაქტები. ასე რომ, მისი მოქმედების გათვლა ძნელია.

„მოსგაზმა" პირველი მკვლელობა 1961 წელს ჩაიდინა. დადგა 1964 წლის იანვარი, მოუხელთებელი მანიაკი კი თავისუფლად დანავარდობდა.

**– და ქალებსა და ბავშვებს ხოცავდა?**

– დიახ. ერთ-ერთი ასეთი „ოპერაცია" მარცხით დამთავრდა. შედეგად მილიციამ მკვლელის სიტყვიერი პორტრეტი შეადგინა.

**– ეს როგორ მოხდა?**

– მანიაკმა მოსკოვის მცხოვრების, ვინმე იაროშინსკიების ბინის კარზე დარეკა. კარი ცამეტი წლის გენკამ გაუღო. მკვლელმა ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: მე „მოსგაზიდან" ვარ. ბიჭმაც ის ბინაში შეუშვა. ამ დროს მეორე ოთახიდან გენკას უფროსი და გამოვიდა. მკვლელი, ეტყობა, ამას არ მოელოდა, შეტრიალდა და გაიქცა. ნახევარი საათის შემდეგ მანიაკი მეზობელ სახლს მიადგა, სადაც გენკას მეგობარი, საშკა გორელიკი ცხოვრობდა. საშკა ბინაში მარტო იყო. მკვლელმა ის ნაჯახით აკუწა. ბუნებრივია, მეზობლებში უმალ გავარდა ხმა. გენკამ და მისმა დამაც გაიხსენეს, რომ უცნაური ტიპი მათ ბინასაც მოადგა. თავი „მოსგაზის" თანამშრომლად გაასაღა, ხოლო შემდეგ, ანაზდად გაიქცა. მილიციამ და-ძმა გულდასმით დაკითხა. მათ ოპერმუშაკი სოფია ფაინშტეინი ესაუბრა და პატარა კურიოზი მოხდა.

**– მართლა?**

– გენკამ და მისმა დამ დაუპატიჟებელი სტუმრის გარეგნობა დაწვრილებით აღწერეს. აღმოჩნდა, რომ ეს „მურის" ერთ-ერთი თანამშრომლის გარეგნულ ნიშნებს დაემთხვა. ის დააპატიმრეს, თუმცა დაპირისპირებისას და-ძმამ ერთსულოვნად განაცხადა: არა, ეს ის არაა. თანამშრომელიც გაათავისუფლეს, თუმცა „მურს" მკვლელის მიახლოებითი პორტრეტი უკვე ჰქონდა. რაკი მაშინ ფოტორობოტები ჯერ არ იყო, ფაინშტეინმა დახმარებისთვის მხატვარს მიმართა, რომელიც მისი საყვარელი იყო. ფაინშტეინის თხოვნით, მან დახატა მანიაკის პორტრეტი, რომელსაც საფუძვლად და-ძმა იაროშინსკების ჩვენება დაუდო.

ამასობაში მანიაკმა ახალი მკვლელობის ჩადენა სცადა. მსხვერპლი ამჯერად ახალგაზრდა ქალი, ვინმე იულია პეტრენკო აღმოჩნდა. მკვლელმა მასაც თავში ნაჯახი ჩაარტყა, მაგრამ რაღაც სასწაულით, ქალი გადარჩა. ფაინშტეინმა ქალი პირადად დაკითხა, შემდეგ მისი საყვარლის მიერ დახატული პორტრეტი მიაჩეჩა. „ეს ისაა!" – შესძახა ქალმა. ამრიგად, დამნაშავის გარეგნული ნიშნები საბოლოოდ დადგინდა. თუმცა, მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს (მური) მიერ დაგებულმა ვერც ერთმა ხაფანგმა ვერ იმუშავა.

**– ამასობაში, მანიაკმა მორიგი დანაშაული ჩაიდინა?**

– მან 12 წლის გოგონა ნაჯახით აჩეხა. როგორც ჩანს, გოგონა შეძლებული ოჯახის შვილი გახლდათ, რადგანაც ბინაში იყო ტელევიზორი „სტარტი". მაშინ ტელევიზორი მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ. მანიაკმა ტელევიზორი გაიტაცა, რამაც ის დალუპა. მეზობლებმა მილიციას განუცხადეს, რომ შენიშნეს მოკლულის ბინიდან გამოსული მამაკაცი, რომელსაც ტელევიზორი მიჰქონდა. მამაკაცმა მანქანა გააჩერა, შიგ ჩაჯდა და გაუჩინარდა. ერთ-ერთმა მეზობელმა მანქანის ნომერი დაიმახსოვრა. მილიციამაც ამის მიხედვით ადვილად მოძებნა მისი მფლობელი. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. მძღოლმა აჩვენა, რომ მართლაც ჩაისვა მანქანაში მგზავრი, რომელსაც ტელევიზორი მიჰქონდა. „მე ის რიგის ვაგზლის მიდამოებში გადმოვსვი", – თქვა მძღოლმა. სავარაუდოდ, მანიაკი ამ რაიონში ცხოვრობდა. რაკი ტელევიზორი გაიტაცა, მის რეალიზებასაც შეეცდებოდა. ტელევიზორი კი, როგორც აღვნიშნე, მაშინ ერთეულებს ჰქონდათ. თუკი ახლო-მახლო უბნის მცხოვრები ტელევიზორის გაყიდვას შეეცდებოდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. მურს, მოგეხსენებათ, მოსკოვის ყველა უბანში ჰყავს ინფორმატორები. ამიტომაც, უცებ შეიტყვეს, რომ რიგის ვაგზლის მახლობლად მცხოვრებმა ერთ-ერთმა მოქალაქემ, ვინმე ლუსია სამოილენკომ ტელევიზორი „სტარტი" ძალზე იაფად შეიძინა. მაღაზიაში ასეთი ტელევიზორი 380 მანეთი ღირდა, სამოილენკომ კი, ის 120 მანეთად იყიდა. სამოილენკოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა გზით იყო ეს ტელევიზორი შეძენილი. ამიტომ, მეზობლებში დაიტრაბახა: „სტარტი" თითქმის მუქთად ვიყიდეო. ეს ამბავი „მურის" ყურამდეც მივიდა. მალე ოპერმუშაკი ფაინშტეინი სამოილენკოს მიადგა. ქალმა უმალ უთხრა, ტელევიზორი მომყიდა ჩემმა მეგობარმა ალევტინა დმიტრიევამ, რომელიც ჩვენგან ორ ნაბიჯზე ცხოვრობსო. „დმიტრიევა მარტო ცხოვრობს?" – შეეკითხა ფაინშტეინი. „არა, მამაკაცთან ერთად", – იყო პასუხი. „რა ჰქვია მის მეგობარს," – შეეკითხა ფაინშტეინი. „ვლადიმერ იონესიანი," – მიუგო სამოილენკომ. მაშინ ფაინშტეინმა მისი საყვარლის მიერ დახატული პორტრეტი ამოიღო. სამოილენკომ უმალ იცნო. დიახ, ეს იონესიანია, – განაცხადა.

**– და ის დააპატიმრეს?**

– ფაინშტეინი „მურისაკენ" გაემართა და თავის უშუალო უფროსს ყველაფერი მოახსენა. მალე დმიტრიევას ბინაზე ოპერატიული ჯგუფი გაგზავნეს. იონესიანი იქ არ დახვდათ. ალევტინა დმიტრიევა კი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი აღმოჩნდა. შეკითხვაზე, იონესიანს თუ იცნობთო, მიუგო: რასაკვირველია, ის ჩემი საქმროა. ახლა სადაა, რომ ჰკითხეს, უპასუხა: მოვლინებაშიო. „კონკრეტულად სად?" – შეეკითხა ფაინშტეინი. „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში", – მიუგო დმიტრიევამ. ფაინშტეინი უმალ სუკისაკენ გაქანდა. აღმოჩნდა, რომ არავითარი იონესიანი იქ არ მუშაობდა.

დმიტრიევა პეტროვკაზე წაიყვანეს, დაკითხეს. ქალმა ამომწურავი ჩვენება მისცა. მან განაცხადა, რომ იონესიანი ორენბურგის მუსკომედიის თეატრში გაიცნო. იონესიანმა მას განუცხადა, სუკის საიდუმლო თანამშრომელი ვარო. მალე ორივენი მოსკოვში ჩამოვიდნენ და პატარა, ოროთახიანი ბინა იქირავეს. იონესიანი ეგრეთ წოდებულ „მივლინებებში" ხშირად მიემგზავრებოდა, თავის საყვარელს კი ეუბნებოდა, საიდუმლო დავალებებს ვასრულებო. „ახლა ის ყაზანშია", – განაცხადა დმიტრიევამ, – „ზეგ მასთან უნდა ჩავიდე. დამირეკა და მითხრა, ჩამოდიო. მეც ვუთხარი, მოსკოვი-ყაზანის მატარებლით ჩამოვალ-მეთქი, ის ვაგზალში დამხვდება." დმიტრიევამ მურის თამამშრომლებს ბილეთიც აჩვენა.

**– და ის სატყუარად გამოიყენეს?**

– „მურში" ჩათვალეს, რომ ეს სარისკოა. ვაი თუ დმიტრიევამ თავის სატრფოს სიგნალი მისცეს? ჰოდა, ერთ-ერთ ოპერატიულ მუშაკს დმიტრიევას პარიკი გაუკეთეს. შორიდან მათი გარჩევა შეუძლებელი იყო. იონესიანმაც საკენკი აკენკა და ეგრეთ წოდებულ „დმიტრიევას" მიუახლოვდა. ანაზდად ის შედგა, ეტყობა, რაღაც იგრძნოსა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. „მურის" თანამშრომლებმა ხელბორკილი დაადეს.

**– და რატომ აკეთებდა ამას იონესიანი?**

– ვლადიმერ იონესიანი ფრიად კოლორიტული პიროვნება გახლდათ. ის თბილისში დაიბადა, დაამთავრა მუსიკალური სკოლა, სწავლობდა კონსერვატორიაში. მეორე კურსზე იყო, როცა მისი მამა გაფლანგვისთვის დააპატიმრეს და გაასამართლეს. ყმაწვილიც, როგორც იტყვიან, ქუჩაში გავიდა, ეგრეთ წოდებულ „ძველი გაგების ხალხს“ დაუახლოვდა. მალე ხულიგნობისთვის (რესტორანში ჩხუბი ატეხა) კონსერვატორიიდან გარიცხეს. ამის შემდეგ იონესიანს ჯარში იწვევენ. ის ცდილობს, ამას თავი აარიდოს, რის გამოც აპატიმრებენ. სასჯელის მოხდის შემდეგ, იონესიანი დაქორწინდა, თუმცა თავის ძველ ძმაკაცებთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. მალე ქურდობისთვის კვლავ დააპატიმრეს. სიმამრმა ქრთამის ფასად პირობითი სასჯელი გაუხერხა. ოჯახმა გადაწყვიტა, სიძე „პადელნიკებისთვის“ მოერიდებინა, რისთვისაც შორეულ ორენბურგში ნათესავთან გაგზავნეს. აქ იონესიანმა ადგილობრივი მუსკომედიის თეატრში დაიწყო მუშაობა. ბუნებრუვია, მას მეორეხარისხოვან როლებს აძლევდნენ, იონესიანი კი მიიჩნევდა, რომ უკეთესისთვის იყო დაბადებული, ჰოდა გაბოროტდა. ფსიქიკა უდავოდ წესრიგში არ ჰქონდა. ამავე დროს, აქტიური, მებრძოლი ბუნების იყო. ასეთი ადამიანები არ ლოთდებიან, დეპრესიაში არ ვარდებიან. ისინი საზოგადოებაზე შურისძიებას იწყებენ, ანუ ხდებიან ტერორისტები, რევოლუციონერები, რათა დაანგრიონ ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, რომელიც მათ, როგორც თავად ჰგონიათ, თვითრეალიზაციის საშუალებას არ აძლევს. მაშინ, 60-იანი წლების საბჭოთა კავშირში, არც რევოლუციონერობა, არც ტერორისტობა მოდაში არ იყო. იონესიანიც სერიული მკვლელი გახდა. ასეთია ოფიციალური ვერსია.

– **სხვა რომელი ვერსია არსებობს?**

– ორენბურგის თეატრში მუშაობისას იონესიანი მსახიობ ალევტინა დმიტრიევას დაუახლოვდა. დმიტრიევა ძალზე ლამაზი ქალი იყო, მის გარშემო უამრავი თაყვანისმცემელი ტრიალებდა. მიუხედავად ამისა, მან იონესიანი აირჩია, თუმცა ის არც გარეგნობით გამოირჩეოდა, არც ჭკუით. მეტიც, ნასამართლევი იყო და სამსახურში წინსვლის არავითარი პერპექტივა არ ჰქონდა. ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, ლეონიდ მლეჩინი) ამტკიცებს, რომ დმიტრიევა სუკის აგენტი იყო და ჩეკისტებმა ის ფსიქიკურად გაუწონასწორებელ, მაგრამ აგრესიული და მებრძოლი ბუნების იონესიანს საგანგებოდ მიუჩინეს.

– **რატომ?**

– მოსკოვის ქუჩებში რამდენიმე წლის განმავლობაში სერიული მკვლელი რომ დანავარდობდა, ამან შს-ში (იმხანად ეს სტრუქტურა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდ იწოდებოდა) გარკვეული საკადრო ცვლილებები გამოიწვია. ახალი კადრები შელეპინთან და სემიჩასტნისთან დაახლოებულთა წრეს განეკუთვნებოდნენ, ანუ ხრუშჩოვმა უნებლიედ, საკუთარი ხელით გაითხარა სამარე, დააწინაურა ისინი, ვინც მის წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავდა. გარდა ამისა, იმან, რომ სერიული მკვლელი რამდენიმე წლის განმავლობაში დაუსჯელი რჩებოდა, მოსკოველებში სათანადო განწყობილებები განაპირობა. ხრუშჩოვი იმ დროისთვის უკვე საბოლოოდ იყო გაკოტრებული. უფროსი თაობის ადამიანები, ალბათ, დამეთანხმებიან, რომ 1964 წლისათვის საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის საყვარელი გასართობი ნიკიტაზე ანეკდოტების შეთხზვა იყო. იონესიანის საქმემ ანტიხრუშჩოვული განწყობილებები განამტკიცა, აქაოდა, ნიკიტამ ქვეყანა დააქცია, ქუჩაში ვერ გამოვსულვართ და ასე შემდეგ... თუმცა, ეს მხოლოდ ვერსიებია.

– **ცეცხლი კვამლის გარეშე არ არსებობს**

– ფაქტი, რაც მოუხელთებელი მანიაკის შეპყრობის შემდეგ მოხდა, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვებს აღძრავს. იონესიანი 1964 წლის იანვრის დასაწყისში შეიპყრეს. ერთი კვირის შემდეგ შედგა დახურული სასამართლო. 1964 წლის 30 იანვარს „მოსგაზს“ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და იმავე დღეს დახვრიტეს. რაც შეეხება დმიტრიევას, მას ათი წელი მიუსაჯეს, მაგრამ 1966 წელს გაათავისუფლეს. მოუხელთებელი „მოსგაზის“ საყვარელი ამის შემდეგ მუშაობდა თეატრებში, რამდენჯერმე ფილმებშიც შეასრულა ეპიზოდური როლები . გარდაიცვალა 2011 წელს.

**ჯულია დემეტრაშვილი**

(72-ე გვერდიდან)

# როგორია ერის სტალინური განმარტება და ვის უკავშირებს ლევან ღვინჯილია „ნაციისა” და „ერის” შინაარსის გამიჯვნას

დავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ცალკე გამოყოფილ თავად ეწერა ეს დანაპირები, ჯერ არავის აქეთკენ არ გამოუხედავს; ნაბიჯი ვერ წადგეს წინ ამ მიმართულებით. კულუარებში ჩურჩულებენ, ეს კანონი რომ მივიღოთ, სომხები და აზერბაიჯანელები რას იტყვიანო. იმდენს იზამენ, მართლა ათქმევინებენ ამ ხალხს რაღაცას, ძალით... საქართველოს პარლამენტიდან ვიღაცამ კანონპროექტი „საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ” გააგზავნა ჰააგაში, ხოლო მანამდე შინაურულად გაატანეს ვენეციის კომისიაში განსახილველად ბატონ ბუკიკიოს.

– **რატომ?**

– მაგაშია საქმეც. მაგ შეკითხვას ველოდი თქვენგან. ოფიციალური პასუხები მოუვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. ორივე პასუხი ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს. ხელმეორედ რაღატომღა გააგზავნეს კანონი, როცა იცოდნენ, რომ პასუხი მაინც ჰააგაში დაიწერებოდა. იმიტომ ხომ არა, რომ მითქმა-მოთქმა ატყდეს?! რესპუბლიკელებიც თითიდან იწოვენ შენიშვნებს, რომ დასკვნაში ჩაწერონ. შესაბამის კომიტეტში კი ამას ეძახიან „შიდა და გარეშე წინააღმდეგობებს”. ერთხელ ვიხუმრე, – რატომ აგზავნიან ამ პროექტებს ევროპაში, როცა პასუხები ერევანში დაწერილს ჰგავს-მეთქი ***(იცინის).***

– **ანუ, ვინც ამ კანონის მიღებას უშლის ხელს, ის ხელს უშლის ქართველი ერის ჩამოყალიბებას? ჩვენს სახელმწიფოებრიობას?**

– დიახ, ბატონო! და ამის ხმამაღლა თქმა, ცხადია, არ უნდათ. ნახევრად ხუმრობით ვამბობ ხოლმე: „ნაცების“ დროს უკეთესად ვგრძნობდი თავს, იმიტომ რომ იმათ საჯაროდ ვაგინებდი, როცა გამაბრაზებდნენ. ახლა „ქოცებს“ ვერ ვკიცხავ, იმიტომ, რომ არ მინდა, „ნაცები“ გავახარო...

ამ ადამიანებს არა აქვთ გააზრებული, რა მნიშვნელობის მოვლენაა ენა ერის ცხოვრებაში. ცხონებულმა ოტია იოსელიანმა ბრძანა: ენა უდრის ერს და მათ შორის ტოლობის ნიშანი უნდა დაისვასო.

დიახ, ჩვენი სამშობლო არის ქართული ენა. ქართული ენა მოიაზრება იმ ადამიანების სამშობლოდაც, რომლებიც არ ცხოვრობენ გეოგრაფიულ საქართველოში. ვგულისხმობ ინგილოებს, ფერეიდნელებს, თურქეთის ქართველობას, ლაზებსაც, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში გაბნეულ ქართველებსაც. ყველა ამათი სამშობლოა ქართული ენა და სანამ ისინი ქართულ ენაში ცხოვრობენ, მანამდე არიან ქართველები. ადექი მერე შენ და იძახე, ის წარმოშობით ქართველიაო.... ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის ძმა – ოთარი რომ ჩამვიდა აქ, მის ისტორიულ სამშობლოში და მოასმენინეს „ჩაკრულო“ მას თვალებიდან ცრემლები არ გადმოსცვენია... და მე, კორსიკელები რომ ქართულ სიმღერას მღეროდნენ, ვტიროდი. არსებობს მხოლოდ ქართული სიტყვა, რომელიც თავიდანვე იყო ღმერთი! არავითარი ჯიში არ არსებობს. ადამიანს ჯიში არა აქვს. ერს აყალიბებს სიტყვა! ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის განსაკუთრებულ სახეობას, მხოლოდ მისი ენა გადაარჩენს და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ის მარადიული, თუ გაუჩნდება იმისი თვითშეგნება, რომ ის არის ერი – კულტურის შემოქმედი. კულტურის შექმნა კი მხოლოდ ენის საშუალებითაა შესაძლებელი. ენაა სამყაროს ხედვის ფორმა და, იმის მიხედვით, თუ რომელი ენის წარმომადგენელი ვართ, ეს ხედვები განსხვავებული და თავისებურია.

ქართულ ენაში მცხოვრები ადამიანი დედამიწაზე კაცობრიობის განსხვავებულ და განსაკუთრებულ სახეობას ქმნის. განა ვინმე იტყვის, გადაშენდეს ჯიქი, არა უშავს, ვეფხვი და კატა ხომ გვყავს, ისიც ხომ კატისებრთა ოჯახს მიეკუთვნებაო. ჯიქისა კი არა, ჭიანჭველის რომელიღაცა სახეობის გადაშენების საფრთხე თუ დადგა, განგაშს ტეხენ და „წითელ წიგნში“ შეაქვთ. ფარნავაზის დროს მიღებული უნიკალური ანბანის მქონე ერი რატომ უნდა გაქრეს და გადაშენდეს. როგორც კი ჩემი მოდგმა გადავა სხვა ენაზე, მე, როგორც კაცობრიობის ქართულენოვანი სახეობა არსებობას შევწყვეტ.

შენი გვარისა და ტომის, სულაც ნათესავის, მაგრამ სულ სხვა ჯგუფის სისხლმა, თუკი მას გადაგისხამენ, შეიძლება, მოგკლას და ნიკარაგუელი ზანგისამ - გადაგარჩინოს. ამიტომაც ვთქვი, არავითარი „ქართული სისხლი“ და „ჯიში” არ არსებობს-მეთქი.

ენაა მთავარი! „ღვიძლი ძმა“ („ხიდისთავს შევკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლნი ძმანია”) რას ნიშნავს, ამას, მაგალითად, რუსი ვერ გაიგებს პირდაპირ რომ უთარგმნო; მისთვის ამ მნიშვნელობით იხმარება შესიტყვება „კროვნი ბრატ”. რატომ „ღვიძლი” და არა – „სისხლი”, ცხადია ეს შემთხვევითი არაა.

**ნინო წულუკიძე**

# როდის ავიწყდება სალომე ბაკურაძეს, რომ პირში სხვისი კბილები აქვს და რა საკითხში არ აძლევს კითხვის დასმის საშუალებას მას მეუღლე

**პროექტ „ერთი ერთშის“ მესამე სეზონი არანაკლებ წარმატებული აღმოჩნდა. უკვე ოთხი ლაივი ჩატარდა და, შესაბამისად, მაყურებელმა თითოეული მონაწილის ოთხი არაჩვეულებრივი გარდასახვა იხილა. ბოლო ლაივის და, ზოგადად, კონკურსის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი მომღერალი სალომე ბაკურაძეა. ყველაზე დიდი გულშემატკივარი კი მისი მეუღლე – ლაშა ბასლანძეა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ცოლის ფანების მობილიზება და, როგორც სალომე ამბობს, ეს იმდენად კარგად გამოსდის, რომ, უნდა, ამ საქმეს გაჰყვეს. .**

**სალომე ბაკურაძე**: თავიდანვე თვალყურს ვადევნებდი პროექტს „ერთი ერთში“ და ძალიან მომწონდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული მეჩვენებოდა, მაინც დიდი სურვილი მქონდა, თავი გამომეცადა. დადგა ამის დროც და, ძალიან მიხარია, რომ აქ მოვხვდი. მანამდეც საკმაოდ დატვირთული ვიყავი, მაგრამ, ამ პროექტმა მაინც სულ სხვა რეჟიმში გადაიყვანა თითოეული მონაწილის გრაფიკი. ეს დიდ შრომასა და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული და, ვცდილობ, რომ ჩემს არცერთ ნომერს არ ეტყობოდეს ზერელე დამოკიდებულება, თუმცა, შედეგი კიდევ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

**– უკვე ოთხი მომღერალი განასახიერე, რომელი იყო ყველაზე ახლოს შენთან?**

– ყველას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა. მისი ელიოტი რომ გამოვარჩიო და ვთქვა, ის იყო ყველაზე კარგი-მეთქი, არ მინდა, იფიქრონ – ლიდერი გახდა და იმიტომო. ვერცერთი მონაწილე ვერ იზამს იმას, რომ რომელიმე ნომერს რამე დააკლოს. ყველაში დიდი შრომა გვაქვს ჩადებული და რთულია გამოყოფა. თუმცა, ყველაზე თავისუფლად მაინც მისი ელიოტის როლში ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე რთული ნომერი იყო და, არ ვიცი, რა ძალამ შემაძლებინა იმხელა ტექსტის სწავლა, იმ რიტმში ლაპარაკი და, ამ ყველაფერთან ერთად, ცეკვა და იმიჯის მორგებაც. ჩემთვის ყველაზე წარმატებული ნომერი აღმოჩნდა. არასდროს გამირეპავს და არც მსგავსი იმიჯი მქონია, ამიტომ, ძალიან კარგი იყო. მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ჩემს გულშემატკივარსა და მხარდამჭერს. მათ სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ახლა ამ კონკურსებში დიდხნიანი პაუზა გამომივიდა და არ ვიცოდი, ისევ ვუყვარდი თუ არა მაყურებელს. აღმოჩნდა, რომ ვუყვარვარ და ძალიან დიდი მადლობა მათ. ზოგადად, არცერთი მომღერალი არ იყო ადვილად შესასრულებელი, მაგრამ, პირველი ლაივი მაინც გამორჩეული იყო და ძალიან ვნერვიულობდი. არ არის ამ ყველაფრის მორგება და შესრულება მარტივი, რთულია, გამოყო, რა უფრო მთავარია. თუ მარტო ვოკალზე იქნები ორიენტირებული, ნომერი არ გამოვა. თუ ისე იმღერე, როგორც შენ გრძნობ, „ერთი ერთში“ არ გამოვა – მე სულ სხვა მომენტში მინდება ხელის გაშლა, იმ მომღერალს კი – სხვა მომენტში. მაღალი ბგერების აღების დროს, ზოგს თვალი ეხუჭება, ზოგს კი – ეჭყიტება და კიდევ ბევრი ნიუანსია. შენ როგორც გრძნობ, ის გვერდზე უნდა გადადო და უნდა იგრძნო ის, რასაც ის მომღერალი გრძნობდა იმ მომენტში, თან, ეს ყველაფერი არ უნდა იყოს ყალბი; ამას ემატება ცეკვა და სხვა გარემოებები. თუმცა, არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ ჩვენთვის ეს დიდი ტრაგედიაა; სირთულეებს მართლა უკავშირდება, მაგრამ, როცა გამოდიხარ და შენს ნომერს მღერი, გავიწყდება, რა გიკეთია სახეზე, ვისი კბილები გაქვს პირში თუ ფეხსაცმელი გიჭერს; გავიწყდება ყველანაირი დისკომფორტი და ბოლომდე კარგ შესრულებაზე გაქვს აქცენტი.

**– შენი მთავარი გულშემატკივარი, ალბათ, მეუღლეა.**

– დიახ. მთავარ სლოგანად აქვს: „შენ ოღონდ იმღერე და დანარჩენზე არ იდარდო“ . დაიბეჭდა ჩემი საგულშემატკივრო მაისურები, რომლითაც დადის მთელი ქვეყანა; სიურპრიზად ილებენ საგულშემატკივრო კლიპებს, თუმცა, ამას სიურპრიზს ველარ დავარქმევ – უკვე მოლოდინი მაქვს და ჩემთან ერთად უკვე სხვებიც ელოდებიან. ამ ყველაფერში, სიმართლე გითხრა, მე არ ვარ ჩართული. ძალიან ბევრი უცნობი ადამიანი მწერს და მოდის საგულშემატკივროდ და ამ ყველაფერს ლაშიკო განაგებს. მე კითხვის დასმის საშუალებაც არ მაქვს.



არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ ჩვენთვის ეს დიდი ტრაგედიაა

როგორც გითხარით, მეუბნება: „შენ მხოლოდ იმღერე და არაფერზე არ ინერვიულო“. მე, ზოგადად, არ ვარ ის ტიპაჟი, რომელიც თვითპიარს ეწევა, მაგრამ, მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან მაგარი შეგრძნება და კომფორტი ყოფილა. საქართველოში ყველაფერზე მომღერლებს გვიწევს ზრუნვა: ვინ დაგვიწეროს სიმღერა, ფული როგორ გადავუხადოთ, სად ჩავწეროთ, მერე ეს სიმღერა სად წავიღოთ, ვინ უნდა გადაგვიხადოს ჰონორარი და ასე შემდეგ. დიდი კომფორტი ყოფილა, ამ ყველაფერზე სხვა რომ ზრუნავს და შენგან მხოლოდ სიმღერას მოითხოვს, ძალიან მაგარია. ლაშას ამის კარგი ნიჭი აღმოაჩნდა და, მინდა, მას გაჰყვეს.

**– შენს პროდიუსერობას ხომ არ შეითავსებს?**

– პროდიუსერობას არა, მაგრამ, პიარის ამბავში მართლა ნიჭიერია და, შეიძლება, ამ კუთხით განაგრძოს მუშაობა.

**– თქვენი ოჯახური ცხოვრება როგორია?**

– თუ პროექტის პერიოდს არ ჩავთვლით, ძალიან დაბალანსებული ურთიერთობა გვაქვს. ვერ ვიტყვი, რომ რაღაცით შეიცვალა ურთიერთობა, გარდა იმისა, რომ ერთად ვცხოვრობთ და ეს უდიდესი ბედნიერებაა, რომელსაც ყოველდღე ვიაზრებთ. ვერ ვიტყვი, რომ რამე პრობლემები და შეზღუდვები მოიტანა ქორწინებამ – ისევ ისე მეგობრულად, ხალისით, ყველანაირი ზედმეტი შეზღუდვებისა და დაბრკოლების გარეშე ვურთიერთობთ. თუმცა, ახლა პროექტის გამო სრული საგიჟეთი გვაქვს და სანახევროდ ლაშიკოს დამსახურებაა, მე რომ წარმატებას ვაღწევ, ასევე, ლაშიკოს ოჯახის, ანუ ჩვენი ოჯახის, რომლებიც პირველად აღმოჩნდნენ ამ მდგომარეობაში.

**– რას ამბობს ლაშა – როგორი ცოლია სალომე ბაკურაძე?**

– ლაშიკო ამბობს, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ვარ – მიყვარს მხიარულება და თამაში. არ ვარ ფართო მასებისთვის ცნობილი ცოლი, რაც ნიშნავს, რომ მან რაღაც უნდა აგიკრძალოს, სახლში დროზე უნდა მოგიყვანოს და, რაც არ გინდა, ის გაგაკეთებინოს. ჩვენ ისევ ისე ვთამაშობთ, ისევ ისე ვერთობით, როგორც მანამდე. მე ჩემი საქმე მაქვს, მას – თავისი. ჩემზე რომ ეკითხებიან, ამბობს – ჩვეულებრივი, გიჟი ბავშვიაო.

**– საოჯახო საქმეები თუ გიყვარს და გამოგდის?**

– ბევრი დრო არ მაქვს, მაგრამ, როცა მაქვს, ვაკეთებ რაღაცეებს. საჭმელს თუ მოვამზადებ, გამომდის. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი ვიცი და საქორწილო სუფრას გავშლი, მაგრამ, ძირითადი რაღაცეების გაკეთება ნამდვილად ვიცი.

**– ლაშას საყვარელი კერძის მომზადება თუ იცი?**

– რაც ვიცი და რაც უყვარს, არის სალათები და თევზეული. რთული, ცხელი და წვნიანი საჭმელები არ უყვარს და ამაში ძალიან გამიმართლა, რადგან, მაგას დიდი დრო და ცოდნა სჭირდება.

**– დატვირთული გრაფიკი ახსენე, მაგრამ, დასვენებასა და გართობას, ალბათ, მაინც ახერხებთ?!**

– გართობას მაინც ვახერხებთ, თუმცა, ამ პროექტის დროს – ველარ. ხან ტექსტი მაქვს სამეცადინო, ხან ძალიან ცოტა ხანს მეძინა და გამოძინება მინდა და ასე შემდეგ. ახლა აბსოლუტურად ჩემს გრაფიკზე ვართ მორგებულები. ძალიან გვიყვარს ერთად სადმე წასვლა და გართობა, მაგრამ, უფრო უცხოეთში. პროექტის დასრულების შემდეგ აუცილებლად წავალთ სადმე.

**– ახალი წლისთვის რა გეგმები გაქვთ?**

– მიუხედავად იმისა, რომ გარეთ გალა კონცერტი იგეგმება, რომელშიც მეც ვიღებ მონაწილეობას, თუ მოხერხდება, რომ ახალ წელს სახლში ვიყო და ერთად შევხვდეთ, გადასარევი იქნება; თუ არა და, მაინც ერთად ვიქნებით ყველგან – სცენასთან, სცენის ქვეშ, კულისებში თუ სხვაგან ***(იცინის).*** განსაკუთრებული სამზადისი ჯერ ვერ დავიწყეთ, მაგრამ, გვაქვს ახალი ნაძვის ხე, თავისი ახალი სათამაშოებით, სახლი კი ჯერ ვერ მოვრთეთ – ამისთვის ვერ მოვიცალე. იმდენად მიყვარს ახალი წელი, ტკბილეული, ნაძვის ხე და სათამაშოები, რომ ამ პროცესს სხვას ვერ დავუთმობ, აუცილებლად მე უნდა გავაკეთო, მით უმეტეს, ახალ სახლში, მეუღლესთან ერთად ***(იცინის).***

**ქეთი კაპანაძე**

**სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ერთ-ერთი პერსონაჟი – „სოფლელი ნუნუკა“ დროის ძალიან მცირე მონაკვეთში შეიყვარა ხალხმა. მისი მეტყველება და ფრაზები საზოგადოებამ გამოჩენისთანავე აიტაცა. ამ ყველაფრის მთავარი მიზეზი მსახიობი ქეთი ჩხეიძეა, რომელიც არაჩვეულებრივი ოსტატობით ასრულებს ამ სახასიათო გმირს და შესაბამისად, გულგრილს არავის ტოვებს.**

# რა მოულოდნელი სცენა გამართა ქეთი ჩხეიძემ სერიალის ჩაწერისას და რით აბნევს ის გადამღებ ჯგუფს

**ქეთი ჩხეიძე**: სერიალში ქასთინგით არ მივსულვარ. ჩემმა კოლეგამ, ეკა მჟავანაძემ, რომელიც ქასთინგის ხელმძღვანელია, დამირეკა. შემომთავაზა როლი და ადვილად დავთანხმდი, რადგან ვენდობი. გმირის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი. მგონი, თვითონაც არ იცოდნენ *(იცინის).*

**– აქამდე ორ სერიალში გაქვთ ნათამაშები. რომელს გამოარჩევთ და რით?**

– „ყავა და ლუდი“ გამორჩეულია იმით, რომ პირველი იყო. პირველი ყველაფერი განსაკუთრებით ამახსოვრდება ადამიანს. რაც შეეხება „შუა ქალაქს“, ის პროექტი მთლიანად მათი შექმნილი იყო: „ლიანა დედიკო“ – წინასწარ განსაზღვრული თვისებებით. მე დიდი ძალისხმევა აღარ დამჭირვებია. რაც შეეხება ნუნუკას, მის შექმნაში პატარა მონაწილეობა მეც მაქვს მიღებული.

**– გამორჩეული ფრაზები გაქვთ. თქვენც ხომ არ შეგაქვთ ამაში წვლილი?**

– ხშირად წავუმატებ ხოლმე ერთ-ორ სიტყვას. ძირითადი საფუძველი არსებობს, თუმცა, მე, როგორც მსახიობი, ცოტა ჩემს ფერს ვმატებ. იყო ასეთი ფრაზა: – „ახლავე დადგით ჩემი კუბო“, მე დავამატე ერთი სიტყვა: „ახლავე დადგით ჩემი კუბო ბალკონში“. ეს ყველაფერი პროცესში იბადება ხოლმე. ვცდილობ, დავივიწყო, რომ მე ვარ ქეთი ჩხეიძე და როცა შევძვრები იმ ქალის ტყავში, ის თვითონ იწყებს ლაპარაკს *(იცინის).* ის „ვუი, ვუი“ და „ვაი-ვიში“ რომ იყო იქ, საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული, მაგრამ სიტუაციამ მოიტანა. უცებ წამოვიდა იმპროვიზაცია. მე მხოლოდ ერთი წინადადება უნდა მეთქვა და წერტილი. წივილ-კივილი და მთელი ის ამბავი, არ იყო სცენარში *(იცინის).* რადგან არ იყო გათვალისწინებული ასეთი კივილ-წივილი, სასაცილო სიტუაცია შეიქმნა. გადაღებისას, გარშემო ბევრი ხალხია: ოპერატორები, ხმის რეჟისორები, თვითონ რეჟისორი, კოლეგები და ყველა გაკვირვებული მიყურებდა. გიჟია ეს ქალი თუ რა სჭირს, რას კივის, რა უნდაო... კადრს რომ დააკვირდეთ, ყველა კი თავის როლს თამაშობს, მაგრამ ცოტა გაოცებულები მიყურებენ. ეს უცებ მოხდა და გადამღები ჯგუფი არ იყო მზად. ამიტომ, ბევრჯერ მოგვიხდა გამეორება. იმდენი ვურტყი მაგიდას ხელი, რომ მეტკინა და დამილურჯდა *(იცინის).*

**– საზოგადოებისგან როგორ დამოკიდებულებას გრძნობთ ნუნუკას განსახიერების შემდეგ?**

– როცა ტასიკოს ვთამაშობდი, ტასიკოს მეძახდნენ. ლიანას დროს, ქუჩაში რომ მოვდიოდი – „აუ, ბიჭო, ლიანა მოდის,“ – მესმოდა. ახლა ვარ ღორეშელი ნუნუკა *(იცინის).* ჰგონიათ, რომ ის ვარ, ვისაც ვთამაშობ. ჩემი დანახვისას, ძირითადად, იცინიან. სასაცილოა ეს ქალი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრება სასაცილო სულაც არ არის. საინტერესოც ის არის, რომ ნუნუკა მარტო სასაცილო არ უნდა იყოს. ეს არ არის ესტრადა, რომ გაიცინებ და დაგავიწყდება. ამ ყვირილის, ვაის, აქანას და იქანას მიღმა, არის ქალი. ეს რამდენად შევძელი, სხვა საკითხია, მაგრამ მინდოდა, რომ არ ყოფილიყო მარტო სასაცილო და მხოლოდ ერთპლანიანი. ამას წინათ ეკლესიაში შევედი. ეს ძალიან ინტიმური პროცესია, გინდა, საკუთარ თავთან განმარტოვდე და მეც შესაბამისი განწყობა მქონდა. ასევე იყო ყველა იქ მყოფი. თავზე შარფი მეკეთა, რომელიც ნუნუკას როლშიც მაქვს, ანუ ნუნუკა შემოვიდა. ატყდა სიცილი. არაფერი სასაცილო არ იყო. მღვდელი ლოცვებს კითხულობდა და ზოგადად, როცა ეკლესიაში შევდივართ, ხომ ძალიან გაწამებული სახეები გვაქვს. ამ დროს კი, უცებ შეიცვალა ყველაფერი, ატყდა სიცილი *(იცინის).* სხვათა შორის, არ იყო სასიამოვნო. მე სხვა განწყობით შევედი, ნუნუკა სულ არ მახსოვდა, მის გარდა თეატრში უამრავ როლს ვთამაშობ, თუმცა ხალხი ამით მცნობს და მასთან მაიგივებს. ერთმა მითხრა, რა კარგია, რომ გამოჩნდიო. ხალხს ჰგონია, რომ ახლა გამოვჩნდი, თუმცა თეატრში 20-30 წელია, ვთამაშობ.



მხოლოდ ერთი წინადადება უნდა მეთქვა და წერტილი. წივილ-კივილი და მთელი ის ამბავი არ იყო სცენარში

**– თუ გყავთ ვინმე, ვისაც ბაძავთ ნუნუკას შესრულებისას?**

– აბა, რა. მე ნუნუკასნაირ ქალს ვიცნობ. შეიძლება; ზუსტად არა, მაგრამ დაახლოებით ასეთია. ვცდილობ, მეც ისეთი ვიყო. ეს არის იმერელი ქალბატონი. თბილისში ცხოვრობს და მისგან მაქვს აღებული ინტონაცია, ქცევის მანერა. გულწრფელობა, რომლის გამოჩენასაც სულ ვცდილობ სერიალში. ნუნუკას ეცინება იცინის, ეტირება – ტირის. არ ფიქრობს – „ასე რომ გავაკეთო, რა იქნება.“ რაც არის, ეგ არის.

**– იმერული წარმომავლობაც გეხმარებათ, ალბათ?**

– წარმოშობით იმერელი ვარ, მაგრამ, ისე, თელავში ვარ დაბადებული და ბავშვობაც იქ მაქვს გატარებული. იმერეთთან არ მქონია კავშირი. არასდროს მიცხოვრია იქ.

**– გაქვთ რამე საერთო ნუნუკასთან?**

– დიდი განსხვავება არ არის. უბრალოდ, ფორმაშია სხვაობა. მე სხვანაირად ვლაპარაკობ. ბუნებით, შეიძლება, ვგავარ კიდევაც, შიგნიდან. გარეგნული მაჩვენებლებია განსხვავებული. მე მაქვს ქალაქელი ადამიანის ქცევა და ინტონაცია, მას – ღორეშელის.

**– წინა სერიალში იყავით მკაცრი სიდედრი, ახლა ხართ დედამთილი და თან, საკმაოდ ავი.**

– ავი დედამთილი არა ვარ. აქ ისეთი რამე ხდება, რომ სრულ ჭკუაზე მყოფ ქალს, დედას არ შეიძლებოდა სხვანაირი რეაქცია ჰქონოდა.18 წლის სულელი ბიჭი, უკავშირებს ბედს გოგოს, რომელიც არავინ იცის, ვინ არის და როგორი იქნება. ეს არც მაყურებელმა იცის და არც ჩვენ. შეიძლება, ისეთი კარგი გოგო აღმოჩნდეს და ისე შეუყვარდეს ამ ნუნუკას, რომ გადაირიოს და დამეგობრდნენ. მაგრამ, შეიძლება, არ აღმოჩნდეს ასეთი. ეს წინასწარ არავინ იცის, უბრალოდ ვამბობ. თუმცა, დედის პირველი რეაქცია ყოველთვის ასეთია. „ბაქარის ხელა ყოლია ბოვში ამას“, რომ ვამბობ – ქალს ჰყავს შვილი, გაუბედურებულია და უფროსი, ანუ ანკეტური მონაცემები აქვს მძიმე *(იცინის),* მაგრამ, შეიძლება, ისეთი გოგო აღმოჩნდეს, ისეთი თბილი და მოსიყვარულე, რომ ყველაფერი მოხდეს. მე ეს გოგო არ მძულს, უბრალოდ, ფაქტმა ჩამაგდო ტრანსში. ჩამოვიყვანე სასწავლებლად და ჯერ, ცოლი რომ მოიყვანა, იმაზე გადავირიე და მერე, რომ გავიგე, ვინ – ამაზე.

**– მომავალი სარძლო და სასიძო ცოტა შეშინებულები იქნებიან თქვენი როლებიდან გამომდინარე.**

– *(იცინის)* რა ვქნა. გაუძლებენ, ალბათ.

**– ექნებათ გასაძლებად საქმე?**

– როლების მიხედვით თუ იმსჯელებენ, ექნებათ. „შიში შეიქმს სიყვარულსა“ *(იცინის).* რთულია საკუთარ თავზე ლაპარაკი. ხან კარგი ვარ, ხან ცუდი, ხან გაბრაზებული, ხანაც დაუნდობელი. ადამიანი არ შეიძლება, იყოს სულ ერთნაირი.

**– ნუნუკა ძალიან აქტიურია. არავის ხმას არ აღებინებს, ჩაგრავს მეუღლესაც და შვილებსაც. თქვენ გავხართ ამ კუთხით?**

– არ ვიცი. სუსტი ადამიანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ არც მჩაგვრელი. ძალიან ვცდილობ, ჩემი ახლობლების მდგომარეობაში შევიდე და ისე მოვექცე, როგორც უნდათ. თუმცა, ეს ყოველთვის არ გამოდის. მოზომვა და ოქროს შუალედის პოვნა რთულია.

**– თქვენს შვილებს მოსწონთ ნუნუკა?**

– რა ვიცი, როგორც ყველა, ეგენიც იცინიან.

**– მათ შესახებ მოგვიყევით.**

– გოგონა სკოლას ამთავრებს. თავის ბუნებით და ხასიათით ჰუმანიტარი და ხელოვნებისკენ მიდრეკილია. ბიჭი უნივერსიტეტს ამთავრებს და ალბათ, შიგნიდან ისიც რომანტიკოსია, მაგრამ რადგან კაცია, ცდილობს, ეს არ ჩანდეს *(იცინის).*

**– თეატრალურ ცხოვრებაში რა ხდება?**

– თეატრის ცხოვრება ძალიან საინტერესო და ბევრად რთულია, ვიდრე სერიალი. თეატრზე მიჯაჭვული ხარ. კინოში ხარ ათი დღე და მერე შეიძლება აღარ იყო. თეატრთან დამაკავშირებელი ჯაჭვის გაწყვეტა ძალიან რთულია,ზოგჯერ ეს ტრაგიკულადაც კი მთავრდება მსახიობებისთვის. მე ჯერჯერობით მიბმული ვარ და მერე რა იქნება, არ ვიცი.

**ქეთი კაპანაძე**

# ბრძნული აზრები

**ბრენტანო**: ეგოიზმი გვაიძულებს, მივისწრაფოდეთ იქითკენ, რომ სხვებს მოვეწონდეთ.

**ბალზაკი**: შური ზიზღის ერთი ყველაზე მოქმედი შემადგენელი ნაწილია.

**პასკალი**: ღმერთს უფრო ჩვენი ნების დაუფლება სურს, ვიდრე ჩვენი გონების. სრული ნათელი სასარგებლო იქნებოდა გონებისთვის, მაგრამ, ავნებდა ნებას. უნდა დაითრგუნოს ცუდმედიდურობა.

**ლაროშფუკო**: სიკეთის გამო ქების ღირსია მხოლოდ ის კაცი, ვისაც იმის ძალაც შესწევს, რომ ხანდახან ბოროტი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკეთე უმეტესწილად სხვა არა არის რა, თუ არა მცონარობა ანდა ნებისყოფის სისუსტე.

**დოსტოევსკი**: ის, ვინც არ იცის საკუთარი დანიშნულება, ყველაზე ხშირად მოკლებულია საკუთარი ღირსების გრძნობას.

**სენკევიჩი**: სიყვარული, რომელსაც სურს, მარტო სულიერ სიყვარულად დარჩეს, აჩრდილად გადაიქცევა; ხოლო, სულიერ საწყისს მოკლებული სიყვარული – გარყვნილებად.

**ბრეხტი**: ყველაზე საჭირო სიტყვად – საბოლოო სიტყვა მიმაჩნია.

**ციცერონი**: ვერ შეიყვარებ ვერც იმას, ვისიც გეშინია და ვერც იმას, ვისაც შენი ეშინია.

**ბომარშე**: დასახული მიზნის მისაღწევად საქმოსნობა ცოდნაზე არანაკლებ საჭიროა.

**სტერნი**: ცოდნის წყურვილი, ისევე, როგორც სიმდიდრის წყურვილი, ძლიერდება, რაც უფრო მეტს ვიძენთ.

**ტიურგო**: რაც უფრო ნაკლები იცი, მით უფრო ნაკლებად ეჭვობ; რაც უფრო ნაკლები აღმოაჩინე, მით უფრო ნაკლებს ხედავ აღმოსაჩენს.

**ლიხტენბერგი**: სიამაყე, როგორც კეთილშობილური გრძნობა, მუდამ გრძნობს თავის ნაკლოვანებებს; მათ მხოლოდ ქედმაღლობა ვერ ამჩნევს.

**ტერენციუსი**: ძნელი მხოლოდ პირველი ნაბიჯია.

**ბარნოვი**: ყველა ხელობა თავის დაღს ასვამს ადამიანების აგებულებას, მის მოძრაობას, სულსაც იმისას.

**ჰეგელი**: ადამიანი ის არის, რა საქმეც ეხერხება.

**პლუტარქე**: ხშირად კითხვას ვსვამთ არა პასუხისთვის, არამედ, მივილტვით, მოვისმინოთ მეორე ადამიანის ხმა და განწყობა. პასუხის დასწრება, სხვათა სმენისა და გონების დაკავება, იგივეა, რომ შენს ალერსსა და კოცნას თავს ახვევდე იმას, ვინც სხვის ალერსს ლამობს.

**ოდენი**: თუ თქვენ დარწმუნებული არ ხართ თქვენს გემოვნებაში, იცოდეთ, რომ ის თქვენ გაქვთ.

**ნაპოლეონი**: კარგი ქალები ყოველთვის კარგ მამაკაცებზე უკეთესები არიან.

# თუ გაქმოიცნობთ

1. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შეჯიბრებაში ბრმამ მოუგო თვალხილულს. ამ გამარჯვებამ აჩვენა ფრანკ მაკგურინის – სოლტ-ლეიკ-სითის სასამართლოს თანამშრომლის გამოგონების უპირატესობა, მანამდე დამკვიდრებულზე. **დაასახელეთ მექანიკური მოწყობილობა, რომელიც ამ შეჯიბრებაში გამოიყენეს?**

2. ამ ცეკვის დასახელება ომის ღმერთისგან მოდის, რომელსაც კუბაში უძველეს დროში რიტუალურ ცეკვას უძღვნიდნენ. **დაასახელეთ ცეკვა.**

3. მათი მრავალი სახეობა არსებობს. ის, რომლისგანაც 1671 წელს ჯონ რეიმ გამოყო მეთანის მჟავა, წითელი იყო. **დაასახელეთ რისგან?**

4. თავდაპირველად, ის პრუსიის მეფეს ეკუთვნოდა. მაგრამ, შექმნიდან ძალიან მალე ის რუსეთში აღმოჩნდა. 1915 წელს იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას სურდა, ის თავისი პრუსიელი ბიძაშვილისთვის ეჩუქებინა, მაგრამ სახელმწიფო დუმა წინააღმდეგი წავიდა. თუმცა, მოგვიანებით, ის მაინც გერმანიაში აღმოჩნდა. **რა?**

5. სტამბულში ისინი დაახლოებით სამი ათასამდეა. შეწუხებული მოსახლეობის საჩივრების შემდეგ, მათი პერსონალისთვის სპეციალურად დაიქირავეს სიმღერის მასწავლებელი. **დაასახელეთ რისთვის?**

6. მიუხედავად იმისა, რომ ის ადამიანისთვის საჭირო ნივთიერებას შეიცავს, ახლა ჯანმრთელობისთვის მავნებლად ითვლება. დიდი რაოდენობა კი, საწამლავია. 1571 წელს ნიკოლას მონდარესი ნაშრომში ამტკიცებდა, რომ ის 36 დაავადებას კურნავს. **რას ახასიათებდნენ ასე მეთექვსმეტე საუკუნეში?**

7. კანბერის გერბზე გამოსახული ეს ფრინველი შავიცაა და თეთრიც. ავსტრალიის გერბზე კი, მხოლოდ შავია და ფარზეა გამოსახული. **რომელი ფრინველი?**

8. ყველამ კარგად ვიცით, რით ვსვამთ ქართველები ღვინოს: ჭიქით, თასით, ყანწით, კულით, ჭინჭილით... **დაასახელეთ რა ჰქვია ჭურჭელს, რომლითაც მიღებულია საკეს მირთმევა?**

9. **დაასახელეთ** ყველასთვის ცნობილი ადგილი, რომლის სამხრეთი სექტორი შედგება გეორამის კვადრატისა და დიდი სათამაშო კვადრატისგან.

10. დაახლოებით 1700 წელს ჩვენს ერამდე ეგვიპტეში იცოდნენ მხოლოდ 1, არქიმედემ – 2, პტოლემეუსმა – 3, არაბ ალ-კაშიმ 1436 წელს – 16, ვიეტმა 1576 წელს – 10, ინგლისელმა მეჩენმა 1706 წელს 100 იპოვა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის კი, 250 იცოდნენ. ვინმე კაპიტანმა ფოქსმა 1864 წელს გამოითვალა 1 120 და მიიღო კიდევ 3. 90 წლის შემდეგ 50 ინგლისელმა სტუდენტმა, თითოეულმა ბოლო ხუთი წყვილი შეისწავლა და აღმოაჩინა მხოლოდ 1. დღეს კი 4 მილიონამდეა ცნობილი. **დაასახელეთ თუნდაც 3.**

***პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე***

# რეკორდული სახელები

* დონ ალფონსო დე ბორბონ-ი-ბორბონს, ესპანეთის მეფის, კარლ მესამის შვილთაშვილიშვილს, 94 სახელი ჰქონდა.

* ინგლისელებმა, ჯონ და მარგარეტ ნელსონებმა, თავიანთ ქალიშვილს, ტრეისის (დაიბადა 1985 წელს), კიდევ 139 სახელი დაარქვეს. მოხელე, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა გოგონას დაბადება, დათანხმდა ამაზე, რომ ეს სახელები ჩაეწერათ ცალკე საბუთში, რომელიც თან ერთვოდა დაბადების მოწმობას.

* აზიაში ყველაზე გავრცელებულად მიიჩნევა გვარი – ჩანი, რომელსაც ატარებს ჩინელთა 12 პროცენტი. სტატისტიკა მეტყველებს, რომ ამ გვარის წარმომადგენელია. 100 მილიონზე მეტი ადამიანი. ეს უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიოს 169 ქვეყნიდან ნებისმიერის მოსახლეობა, თუ არ ჩავთვლით 7 უმსხვილეს სახელმწიფოს. მსოფლიოში შედარებით მეტად გავრცელებულია ინგლისური გვარი სმიტი: დიდ ბრიტანეთში ამ გვარის 650 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ამ გვარით რეგისტრირებულია 2 მილიონ 300 ათასზე მეტი ადამიანი.

* ინგლისში ყველაზე გრძელი გვარი ჰქონდა ვინმე ტოლსმაშ ტოლიაშ დე ორელანა-პლანტაგენეტ-ტოლმაშ-ტოლმაშს, რომელიც 1884 წელს დაიბადა და 1917 წელს გარდაიცვალა. ამჟამად ინგლისში ყველაზე გრძელ გვარს ატარებს ლონდი პოუველ-ტერლოუ-კამინგ-ბრიუსი და გრაფი მონტეგიუ-სტიუარტ-მაკენზი.

* ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკის ოფიციალური სახელწოდებაა კრუნგტეპ-მახანაგონი. თუმცა, მისი მთლიანი სახელწოდება 167 ასოსგან შედგება.

* ყველაზე გრძელი გეოგრაფიული სახელწოდება აქვს გორაკს ახალი ზელანდიის ერთ-ერთ კუნძულზე, რომლის სიმაღლეც 300 მეტრს არ აღემატება. მაორთა ენიდან თარგმანში ის აღნიშნავს: „ადგილს, სადაც ტამატი, დიდმუხლებიანი ადამიანი, რომელსაც „მიწაჭამია" შეარქვეს, ადის მთებზე; ჩამოდის მთებიდან და ყლაპავს მათ და თან ფლეიტაზე უკრავს თავისი შეყვარებულისთვის".

* ყველაზე მოკლე გეოგრაფიულ სახელწოდებას ატარებს ფრანგული სოფელი – ი (ასე ეწოდა მას 1201 წელს) და დანიის სოფელი – ა, რომელიც კუნძულ ფიუნზე მდებარეობს; ნორვეგიულ და შვედურ დაბებს, რომლებსაც ასევე ზემოკლე გეოგრაფიული სახელები აქვთ, და ეწოდებათ – ა.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa1-d4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



წარმატებული ბიზნესი ის არის, როდესაც გაქვს საკუთარი არა მარტო ბიზნესი, არამედ გყავს საკუთარი ადვოკატი, საკუთარი პროკურორი და საკუთარი მოსამართლეც...

***

– ვაა, რა საჩუქრებით მოდიხარ?

– ხვალ ჩემი შვილის დაბადების დღეა და პულტიანი მანქანა ვუყიდე?

– და ორი ერთნაირი რად გინდოდა?

– მამა-შვილმა რომ არ იჩხუბოს.

***

მძინარე მზეთუნახავი იმიტომ იყო მზეთუნახავი, რომ ეძინა, არ ჩხუბობდა, ისტერიკას არ იმართებდა და საერთოდ, ნერვებს არავის უშლიდა.

***

ორი ქალი ჩხუბობს.

– არ გინდა თავის მოჩვენება, სულაც არ ხარ ლედი... შენ ისიც კი არ იცი, ვინაა შენი დედა ან ბებია...

– ჰო, მართალია... ბებიაჩემზე ბევრ რამეს ამბობენ, იმასაც კი, თითქოს ბებიაჩემი შენ ხარ...

***

ასეულის მეთაური ნასვამ რიგითს შენიშვნას აძლევს:

– ასე არ შეიძლება, რომ არ სვამდე,




უკვე კარგა ხნის წინ ლეიტენანტი გახდებოდი...

– ბატონო ასმეთაურო, რა ლეიტენანტი, როცა დავლევ თავი პოლკოვნიკი მგონია, ხანდახან – გენერალიც...

***

ცოლ-ქმარი ტაქსით მგზავრობს.

– აი, იმ კორპუსის ბოლოში გააჩერეთ, – ეუბნება ქმარი.

– ზუსტად იქ, სადაც კატაა, – აზუსტებს ცოლი.

– წინა თათებთან თუ უკანასთან?

[illegible]



დავით აღმაშენებელი თბილისში ჩამოვიდა. მიიხედ-მოიხედა, ვერ იცნო ქალაქი, ისეთი შეცვლილი და განახლებული დახვდა. ამხედრდა ისევ ცხენზე და სვანეთს მიაშურა. ჩავიდა სვანეთში. ამოისუნთქა და გაიხარა: ასე არ ჯობია?! როგორც დაგტოვეთ, ისეთები დამხვდით ისევო.

## აფრიკული ვოიაჟი და პაპანაქება სიცხეში წაგებული 1:5

აფრიკის ერთ-ერთ ქალაქში გვაქვს თამაში. სიცხეა ისეთი, რომ თავის მოკვლა მოგინდება კაცს. მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? დიდი ამბით დაგვხვდნენ იქაურები.

მოკლედ, მაგარ პატივისცემაში ვართ ქართველი „ფუტბოლისტები“, მაგრამ, რად გინდა?! ბედი უნდა ყველაფერს და ავტობუსის კონდიციონერი შუა გზაზე გადაიწვა. ვიხუტებით ამ პაპანაქებაში. რაღა რუსული „პარნიო“ და რაღა ის ავტობუსი. ასე, „პარში გამოყვანილები“ მივედით სასტუმროში. სიცხე იქ უნდა გენახათ... მოკლედ, ოკეანიდან გამორიყული მომაკვდავი თევზებივით ვაღებთ პირს და ვპარავთ ჟანგბადს ერთმანეთს.

ღამით დავიძინეთ... დავიძინეთ ჰქვია, თორემ კოშმარში ვართ. მე, პირადად, ნაწილ-ნაწილ მესიზმრება ჩაციებული „ბორჯომი“, ცივი ლაღიძის წყალი – ლიმონი ნაღებით, ცივი შამპანური და... ჯოჯოხეთია!




გათენდა.

ცოტა გრილოდა და „მოვითელეთ“.

მატჩი რომ დაიწყო, ერთმანეთს ძლივს ვცნობდით.. იქაურები, ანუ მონინააღმდეგეები, თავს მშვენივრად გრძნობდნენ და პირველსავე წუთზე შემოგვიტიეს. თუმცა, მოვიგერიეთ (ჯერ კიდევ „ცინცხლები“ ვართ). კონტრშეტევაზე სწრაფად გადავედით. პასი რეზის – რეზიმ დამიბრუნა... ორი მოვატყუე და ბურთი ისევ რეზის გავუგზავნე. შესაშურად გასცდა ორს... დაარტყა – არის! – 1:0. ვიგებთ. ეს იყო და ეს.

დაგვაწვა სიცხე და რა დაგვაწვა!!!

ყრუ დაცვაზე გადავედით. ასეთი ტაქტიკა არასდროს ამართლებს და ბაჰ! – 1:1. გაგვიქვითეს მაშინვე. ვინ ფიქრობს, თუ გიყვარდეთ, მოგება-ნაგებაზე?!

ჩრდილო იარუსთან, მოედანზე ჩრდილია. უმალ იქით გადავიტანეთ თამაში. აფრიკელებიც, კოლეგიალურად, გადმოგვყვნენ, ან სხვა რა გზა ჰქონდათ?! – ვიჯუჯგებით 20 კაცი იმ პატარა ჩრდილში. მხოლოდ იმათი და ჩვენი მეკარეები არიან სიცხეში. ჩვენმა იმარჯვა და „შტანგას“ ამოეფარა. იმათმა მეკარემ ესეც ვერ მოახერხა და გამოტვინებული დგას შუა კარში. დგას, არ იქცევა, თორემ ცოცხალია თუ არა – კაცმა არ იცის. იმდენი ვიჯაჯგურეთ ამ ჩრდილში, რომ ერთი ჩვენიანი წაიქცა. მსაჯმა თამაში გააჩერა. ეს ჩვენი კი წაიქცა, მაგრამ ბევრი არაფერი მოსვლია. მაინც წაივლო ხელი ფეხზე პროტესტის ნიშნად და აღებს პირს: ვაი, ვაიო! გაჩერდა თამაში და გავგორდით ჩვენც... მიწა მაინც ცოტათი გრილია.

გამოცვივდნენ ჩვენი „ნასილკიანი“ ექიმები, დაეხვივნენ დაზარალებულს, დაასხეს მუხლზე გამყინავი „სპრეი“ (არადა, კოჭს იტკიებდა). ესეც გაგრილდა ცოტათი, მაგრამ, რა შვილი ადგება, გიჟი კი არაა!

ნაქცეულ დაზარალებულს ახლა კოჭზე დასცხეს „სპრეი“..

გვიხარია... ვისვენებთ...

როგორც იქნა, მატჩი განახლდა... საკაცეზე წევს ჩვენიანი და უნდა წაიყვანონ... გაიყვანონ მოედნიდან...

მაგრამ „ცირკი“ აქ მოხდა. დაზარალებული წამოდგა, კვანჭალ-კვანჭალით და მწყობრშია...

„აბა საკაცეზე ვინ წევს?“ – გავიფიქრე...

ჩვენი მურთაზ შელია არ გაშხლართულა? – ვერ მიცნობენო, უფიქრია, მაგრამ გასახდელთან იცნეს და „სიმულიანტი“ ისევ შემოაგდეს მოედანზე.

1:5 წავაგეთ... სასტუმროში გვითხრეს, თორემ, ისიც არ ვიცოდით...

**აჩი არველაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

## გულწრფელი პასუხი

ერთი გულუბრყვილო ანეკდოტი იყო: მეგობარმა მეგობარს რაღაც სასაცილო ამბავი უამბო, იმას კი არც გაეღიმებია. რატომ არ იცინი, არ მოგეწონაო? – ჰკითხა პირველმა. ეგ ისტორია შარშან მოვისმინე და მაშინ ვიცინე ძალიანო, – უპასუხა მეორემ.

დაახლოებით ასე დაემართა ნოდარ დუმბაძეს, როცა „ცისკარში“ დაბეჭდილი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, როგორც წესი, პირველად დედას მიუტანა წასაკითხად, რადგან, დედა იყო მისი ყველაზე მკაცრი და ყველაზე ობიექტური ოპონენტი. ქალბატონმა ანიკომ ისე წაიკითხა რომანი ბოლომდე, ერთხელაც არ გასცინებია.

– რატომ არ გეცინება, დედა, არ ვარგა, ხომ? – ჰკითხა გულშემოყრილმა მწერალმა.

– როგორ არ ვარგა, შვილო, ძალიან კარგია, მაგრამ, რომ წერდი, თან ყველაფერს ხმამაღლა მიყვებოდი და, მაშინ იმდენი ვიცინე, ახლა აღარ მეცინებაო, – გულწრფელად უპასუხა დედამ.

**მოამზადა**
**მაია დანელია**

**ჩვენს რუბრიკაში ერთი და იგივე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალური საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.**

# სად გაიცნო გიორგი კორკოტაშვილმა მამა გაბრიელი და როგორ იყენებს ის ცხოვრებაში ეკლესიიდან მიღებულ დარიგებებს

**– ვინ ხართ? გაგვეცანით.**

– გიორგი ვაჟას ძე კორკოტაშვილი. 1959 წლის 16 ნოემბერს დაბადებული. ქართველი, პირველი დადებითი ჯგუფის სიხლით *(იცინის).*

**– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან.**

– მე ბებიამ გამზარდა. სკოლაში რომ მომიწია შესვლა, წამომიყვანეს სოფლიდან. მარტო რომ რჩებოდა ბებია, საშინელი გრძნობა დამეუფლა მაშინ. მახსოვს, დღესაც ეს განცდა.

**– დაახასიათეთ საკუთარი თავი.**

– საკუთარი თავის დახასიათება ძალიან რთულია. მხატვარი რომ ვიყო, ავტოპორტრეტს დავხატავდი და თითოეული მნახველი იფიქრებდა, თუ რა დევს ამ ავტოპორტრეტში.

ყოველთვის უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავის. ეგაა ჩემი კრედო.

**– ყველაზე სასაცილო და არარეალური, რაც საკუთარ თავზე გსმენიათ.**

– მიშას ხელისუფლება მიგონებდა რაღაცეებს.

**– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?**

– ღვთის წყალობით, მე მგონი, სწორი არჩევანი გავაკეთე ცხოვრებაში.

**– როგორი ჰგონიხართ და სინამდვილეში როგორი ხართ?**

– როგორიც ვგონივარ, აი ისეთი ვარ სინამდვილეში *(იცინის).*

**– გაინტერესებთ, რას ფიქრობენ თქვენზე?**

– კი, როგორ არა. ეგ, მე მგონი, ყველა ადამიანს აინტერესებს, თუ რას ფიქრობენ მასზე.

**– ვინ გინდოდათ ყოფილიყავით და ვინ ხართ რეალურად დღეს.**

– კოსმონავტი მინდოდა ვყოფილიყავი, თუმცა დღეს არა ვარ კოსმონავტი *(იცინის).*

**– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ თავში?**

– ძალიან ემოციური ვარ – ეს თან მომწონს და თან – არა.

**– ყველაზე დიდი სისულელე, რაც ცხოვრებაში ჩაგიდენიათ?**

– სულ სისულელეები ჩამიდენია მგონი, სამწუხაროდ *(იცინის).* ისე, ვერ იტყვი, სისულელე რა არის კონკრეტულად. ამიტომ, ცოტა რთულია... შეიძლება, ისეც შეაფასო, რომ მთლიანად ცხოვრებაა სისულელე.

**– ყველაზე მეტად მიყვარს...**

– ყველაზე მეტად მიყვარს დედა და მამა *(იცინის).*

**– რომელ ეპოქასა და ცივილიზაციაში იცხოვრებდით და რას გააკეთებდით?**

– მე წინა ცხოვრებაში რა ვიყავი, არ ვიცი, არც მწამს და არც მჯერა – ბაყაყი თუ, სისულელე რაღაცა. იმ ცხოვრებაში ვცხოვრობ, რომლის უფლებაც მომანიჭა ღმერთმა.

**– დღეს, იქ ხართ, სადაც თქვენი ადგილია?**

– მინდა, რომ ცოტა წინ ვიყო, იმიტომ რომ, უფრო მეტად შემიძლია, დავიხარჯო შემოქმედებითად.

**– საერთოდ, ფიცხი ხართ?**

– ემოციური უფრო ვარ, ვიდრე ფიცხი. დედა გურული მყავს და ხანდახან ამ კახურ გუნებაში გურია იმარჯვებს ხოლმე.

**– როგორი ხართ გაბრაზებული?**

– აუ, საშინელი გაბრაზება ვიცი. მტერს და ავს, თუ ვინმე იმ რადიუსშია, რომელშიც მე ვარ გაბრაზებული, მაგრამ უცბად გამივლის ხოლმე.

**– რა შემთხვევაში კარგავთ თავს?**

– თუ დიდი გრძნობაა... თავს არ ვკარგავ, მაგრამ თავის დაკარგვამდე მიხარია, როცა ვხედავ, რომ ადამიანს სიყვარული შეუძლია.



**სულ სისულელეები ჩამიდენია მე მგონი, სამწუხაროდ**

**– მეშინია...**

– სიკვდიილის არა, ღმერთის მეშინია.

**– მინდა...**

– მინდა ბევრი ფულიკები *(იცინის).*

**– მომწონს...**

– მომწონს ყველაფერი, რაც მარტივი და ბუნებრივია.

**– მაღელვებს...**

– მაღელვებს არაბუნებრიობა.

**– კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა...**

– როცა ადამიანები ჩვეულებრივ, ნიღბის გარეშე ცხოვრობენ ჩემ ირგვლივ.

**– ხშირად დამთვრალხართ? როგორი ხართ ამ დროს?**

– სასწაულად კარგი ვარ სიმთვრალეში. ვცდილობ, ხშირად არ დავთვრე. თუ კარგი საზოგადოებაა, კარგი ბანოვანები არიან, მაშინ მინდა, რომ დავთვრე. როცა დავლევ, იწყება სიმღერა, ჩქარი ტაში და დივლიდალალე...

**– როგორ გამოიყურება თქვენი ოთახი ჩვეულებრივ, ანუ მაშინ, როცა არავის ელით?**

– ჩვეულებრივ.

**– პასუხზე გემჩნევათ, რომ თვითონ არ ალაგებთ...**

– ჯარში ხომ არა ვარ, მილაგებენ *(იცინის).*

**– ცხოვრებამ მასწავლა, რომ...**

– ცხოვრებამ მასწავლა, რომ ჭკუით იყავიოო *(იცინის).*

**– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი.**

– ეგეთი ხალხი ბევრია. ყველაზე დიდი დარიგება, რასაც გავეცანი მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, ეს ეკლესიაა. ვცდილობ იმ დარიგებებით ვიცხოვრო, რაც მეტ-ნაკლებად გამომდის.

**– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ...**

– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ადამიანმა სიმართლით უნდა იცხოვროს!

**– რისთვის ღირდა ცხოვრება?**

– ჯერ არ ვიცი, რისთვის ღირდა ცხოვრება. ჩემი ცოლი მკარნახობს, ჩემთვის ღირდა ცხოვრებაო *(იცინის).* მე რომ დავეთანხმო და მერე თქვენ ეს ჟურნალში დაწეროთ, დამთავრებულია, ველარ დავიჭერ ოჯახს! *(იცინის)*

**– რას არ გააკეთებთ არასდროს, რამდენი ნულით დაბოლოებული თანხაც არ უნდა შემოგაძლიონ?**

– ბევრი რამეა ასეთი... ფულის გამო რელიგიას არ შევიცვლი – „ეტა რაზ" და ორიენტაციას არ შევიცვლი – „ეტა დვა", დანარჩენი არ ვიცი...

**– რაზე არ ამბობთ არასდროს უარს?**

– სიტუაციისდა მიხედვით ყველაფერზე ვამბობ უარს, გააჩნია სიტუაციას.

**– რა მიგაჩნიათ საკუთარ მიღწევად?**

– 4 შვილის მამა ვარ და 2 შვილიშვილი მყავს – ეს არის ღმერთის წყალობა და ჩემი მონაწილეობა.

**– რელიგიური ადამიანი როგორია?**

– მამა გაბრიელს ვიცნობდი. მე ეგეთი ადამიანი პირველად ვნახე. დედათა მონასტერში გავიცანი. საოცარი ადამიანი იყო. მაგის შესახებ მოგონება მაქვს დაწერილი. ბოლო აბზაცს მოგიყვებით: საუბარი მოგვიწია და წირვაზე დაგვიანებული შევედით. მამა გაბრიელმა მეუფე დანიელს ჰკითხა: ქადაგება შეიძლებაო? რასაკვირველიაო, – მისცა უფლება და რომ დადგა ამბიონზე, იქიდან თქვა, რომ გიყვარდეთ ღმერთიო. უცებ წასკდა ტირილი და დაახლოებით ნახევარი წუთი გაგრძელდა ეს მომენტი.

**– სხვა რელიგიის წარმომადგენელი რომ შეგყვარებოდათ და მას არ მოენდომებინა რელიგიის შეცვლა, როგორ მოიქცეოდით?**

– არაქრისტიანი ქალი თუ შემიყვარდებოდა... მაგათი წესებით ვიცხოვრებდი მრავალცოლიანობის პრინციპით... *(იცინის).* ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

**– როგორი წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სიბერეში?**

– მე მინდა სიბერეში სიმშვიდე, როგორც ყველა ადამიანს და საკუთარი გარემო. ეს გარემო თუ ქვეყანაში არ იქნება შესაბამისი, – მაშინ ვერც ჩემამდე მოაღწევს. მინდა, საქართველოში იყოს ჯერ სიმშვიდე, ნორმალური განვითარების საფუძველი, ქიშპობა, ერთმანეთის მტრობა და ბოღმით სავსე ადამიანები არ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში. მშენებლობას უნდა უყურებდე, უნდა ხედავდე, რომ მომავალი თაობა ჩართულია ქვეყნის აღმშენებლობაში. აი, მაშინ იქნებოდა ჩემი სიბერე ბედნიერი. ცალკე, ამდენი ხნის საქართველოში ცხოვრების შემდეგ, ვერ წარმომიდგენია, რომ მაიამი ბიჩზე დავამთავრო ჩემი ცხოვრება *(იცინის).* თუმცა, შეიძლება ძალიან კარგი იყოს იქ ცხოვრება. ჩემი ცხოვრება არის ჩემი მეგობრები, ახლობლები. თბილისში რომ გაივლი და – როგორა ხარ, კორკოტ, რას შვრები, ძმაო, – შემეკითხებიან. ეს არის ჩემი ცხოვრების წესი და მთელი ჩემი ცხოვრებაც ეგ არის.

**– რას დაწერენ თქვენზე ოცდამეორე საუკუნეში?**

– ოცდამეორე საუკუნეში ჩემზე დაწერენ, რომ ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე კარგი ტიპი იყოო *(იცინის).*

**ეკა სალაღაია**

# 32-ე ვარსკვლავის გახსნა თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში

29 ნოემბერს თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ეთერ კაკულიას საიუბილეო საღამო, შემდეგ კი, საზეიმო ვითარებაში, თბილისის ფილარმონიის წინ გაიხსნა ქალბატონი ეთერის ვარსკვლავი. საღამოზე შესრულდა ვაჟა აზარაშვილის, ოთარ ტატიშვილის, ნუნუ გაბუნიას, რუსუდან სებისკვერაძისა და ეთერ ჭელიძის სიმღერები, რომლებიც შექმნილი იყო გალაკტიონ ტაბიძის, მორის ფოცხიშვილის, ალეკო კაკულიას, დოდო გვიშიანისა და ნანა ცინცაძის ლექსებზე. ქალბატონი ეთერის ჰიტებს ასრულებდნენ: ანრი ჯოხაძე, ნოდიკო ტატიშვილი, თიკა ჯამბურია, ნინი ბადურაშვილი, ელენე ფოჩხუა, ბორის და სოფო ბედიები, „ფორტე", მაკა ზამბახიძე, თეატრალური კვარტეტი „ალილო".

ქალბატონ ეთერს იუბილე მიულოცა ქართული სცენის დედოფალმა ნანი ბრეგვაძემ, ეკა მამალაძემ, ნინო ჩხეიძემ, ბესო კალანდაძემ, თემურ ნიკლაურმა და საბავშვო ვოკალურმა სტუდია „გვირილამ" (ხელმძღვანელი – ქალბატონი ერნა წიფურია). საიუბილეო საღამოს უძღვებოდა ნიკოლოზ წულუკიძე, ქალბატონი ეთერის ჩაცმულობაზე იზრუნა კომპანია „მარიგოლდმა," პროექტის ავტორი იყო დავით ოქიტაშვილი, საიუბილეო საღამოს ავტორი – ნინო ჩიხლაძე, ხოლო საიუბილეო საღამოს რეჟისორი – ზაალ ჩიქობავა.

ჩატარდა ჭეშმარიტად ქართული სიმღერის საღამო.

**დავით ოქიტაშვილი:** მე და ის საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ამ საიუბილეო საღამოზე, ზაფხულში ვგეგმავთ დიდ გალა კონცერტს სტადიონზე, სადაც 100 სიმღერას შეასრულებენ ქალბატონი ნანი ბრეგვაძე და ეთერ კაკულია, ამიტომ, ქალბატონ ეთერს უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო!



**ნინო ჩიხლაძე:** ძალიან ბედნიერი ვარ ულამაზესი ატმოსფერო სუფევდა ამ საიუბილეო საღამოზე, სცენაზე ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო. დიდი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ბატონი დავით ოქიტაშვილი, რომელმაც შექმნა თავის დროზე ეს უნიკალური პროექტი და 29 ნოემბერს ქალბატონ ეთერს აჩუქა უპრეცენდენტოდ ლამაზი გარემო, სიყვარული და პოზიტივი.

**კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი:** მივესალმები და დიდი მადლობა მათ, ვინც ხელი შეუწყო ამ პროექტს. მიხარია და მეამაყება, რომ ეთერ კაკულიას მე დავუწერე პირველი სიმღერა – „მზე ჩემი კარგი მეგობარია," მორის ფოცხიშვილის ლექსზე, რომელიც შესანიშნავად შეასრულა ნინი ბადურაშვილმა. დიდი მადლობა პროექტის ავტორს, ბატონ დავით ოქიტაშვილს და დიდი მადლობა ნინო ჩიხლაძეს – ამ ლამაზი საღამოს ავტორს. მინდა ქალბატონ ეთერს ვუსურვო ჯანმრთელობა და აღვნიშნო, რომ 20-მდე სიმღერა მაქვს დაწერილი ქალბატონი ეთერისთვის და მომავალშიც ჩემზე იყოს ახალი სიმღერები.

**ეკა მამალაძე:** ამ საიუბილეო საღამოზე იყო ძალიან დიდი სითბო და, კარგია, რომ ეს საღამო მის დაბადების დღეს დაემთხვა. ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ ქალბატონ ეთერს. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი სიყვარული მოდიოდა დარბაზიდან.

**ნანი ბრეგვაძე:** ეთერ კაკულიამ თავისი ყოფით დაიმსახურა ხალხის დიდი სიყვარული. ის შესანიშნავი ადამიანი და მომღერალია.

**ანრი ჯოხაძე:** მინდა მივულოცო ქალბატონ ეთერს ეს ჯილდო და ვუსურვო ჯანმრთელობა, რათა კიდევ დიდხანს გვესმოდეს მისი რაკრაკა ხმა, რომელიც მე ძალიან მიყვარს.

# „შ.პ.ს. ალსს სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების საავადმყოფო" - 20 წელი ქვეყნის სამსახურში

*გასული საუკუნის 90-იან წლებში, ყველაფერთან ერთად ჯანდაცვაც სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მთელი რიგი საავადმყოფოებისა გაჩერდა. არ იყო სინათლე, გათბობა. სწორედ ამ პერიოდში, ორმა არაჩვეულებრივმა ქალბატონმა, სასწრაფო დახმარების ექიმმა ქეთი ბეჟანიშვილმა და მთავარი ექიმის მოადგილემ, ნატალია ქართველიშვილმა, გადაწყვიტეს, შეექმნათ კერძო სასწრაფო დახმარების ბრიგადები ყოფილი მეოთხე სამმართველოს N2 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ბაზაზე. თუ როგორ უნდა აეწყოთ ეს სისტემა, ბევრი არც უფიქრიათ, საამისოდ უკვე ძალიან კარგი ცოდნა და გამოცდილება გააჩნდათ. შეიძინეს პირველი სასწრაფო დახმარების მანქანა და დაიწყეს დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა. 1995 წლის 20 იანვარს, ზუსტად ოცი წლის წინათ, ბრიგადა პირველ გამოძახებაზე გავიდა. დანარჩენს თავად, დღეს უკვე „გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრის" გენერალური დირექტორი ქეთი ბეჟანიშვილი მოგიყვებათ.*



**– ქალბატონო ქეთი, ფაქტობრივად, თქვენ ბიზნესი იმ უმოძრაობის პერიოდში დაიწყეთ, როცა ჯერ ისევ თბილისის ომის კვამლი იდგა, ქვეყანა კი დანგრეულ-გაპარტახებული იყო. ეს საკმაოდ გაბედული ნაბიჯია. როგორ დაიწყეთ, ეს უკვე ვიცით, მაგრამ, როგორ ვითარდებოდა და მოხვედით აქამდე, ამის შესახებ გვიამბეთ.**

– იქ, სადაც ვმუშაობდით, მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე, დაცარიელებული ოთახები იყო, თითქმის არცერთი განყოფილება აღარ ფუნქციონირებდა. განყოფილებებს დიდი ბოქლომები დაადეს და სახლებში წავიდნენ. ჩვენ ჩვენი თანამშრომლები არ გავუშვით სახლში; საკუთარი სახსრებით, ჩვენივე ხელით გავარემონტეთ რამდენიმე ოთახი, დავდგით ოთხი საწოლი და ჩამოვაყალიბეთ პირველი რეანიმაციული განყოფილება. ტანკის აკუმლატორებითა და ჰალოგენის პატარა ნათურებით ვანათებდით. პლედშემოხვეულები ვისხდით, ერთხელ შუშის ღუმელიც კი დავანთეთ. ნამდვილად მძიმე სიტუაციაში ვიმყოფებოდით, მაგრამ, ხელი არ ჩაგვიქნევია და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებოდით საქმეს. ამ დროს შემოიღეს საქართველოში ფასიანი მედიცინა, მანამდე ერთი-ორი კერძო განყოფილება არსებობდა. ჩვენ ვიყავით პირველი პოლიპროფილური სამედიცინო დაწესებულება – საავადმყოფო საავადმყოფოში. ბევრი ვერ იგებდა, რას ნიშნავდა ეს; ანუ, შენობა იყო სხვისი და ჩვენ ვიყავით არენდით. დღესაც იჯარით ვართ იქ. მოკლედ, რეანიმაციულ განყოფილებას მოჰყვა ტრავმატოლოგია, ქირურგია და, როდესაც დაიწყო ლიცენზირება, დაერქვა „პოლიპროფილური საავადმყოფო". დიდი სკოლა შეიქმნა ჩვენს ბაზაზე. ბევრი ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდა მოდიოდა და ჩვენთან იდგამდა ფეხს. დღეს, ისინი, რომლებიც ჩვენთან აღარ მუშაობენ, თავს „ალსელებს" უწოდებენ, ხშირად იკრიბებიან ერთად და დიდი სიამაყით აღნიშნავენ, რომ ისინი „ალსელები" არიან.

**– და მიხვედით იქამდე, რომ შექმენით კიდევ ერთი კლინიკა, რომელიც დღეს არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორიაზეა.**

– 2010 წელს სახელმწიფომ გასაყიდად გამოიტანა ყოფილი არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე კლინიკა. ჩვენ შევიძინეთ ორი – „სინთეზი" და „გადაუდებელი ქირურგიის კლინიკა", რომლის ბაზაზეც შეიქმნა „გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი". შემდგომ მას შემოუერთდა სხვა (სისხლძარღვთა და მიკროქირურგიის, ნეიროქირურგიის, რეანიმაციული, მიმღები, „ემერჯენსის") განყოფილებები. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ძალიან წარმატებით ვმუშაობთ. თვეში 200-ზე მეტი ოპერაცია კეთდება ჩვენს კლინიკაში. აგრეთვე, ჩვენ ვართ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და კიდევ რამდენიმე კერძო უნივერსიტეტის ბაზა; აქვე მუშაობს კათედრა, სადაც სწავლობენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები, რომლებსაც ლექციები ინგლისურ ენაზე უტარდებათ. ვცდილობთ, დავნერგოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, თუმცა მოგეხსენებათ, მედიკამენტები, განსაკუთრებით კი – აპარატურა, ყველაფერი ეს საკმაოდ ძვირად ღირებულია. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არის ის სიტუაცია, რომ ამაში დიდი ფული ჩაიდოს, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებთ ამას.

**ეკა პატარაია**

# FRESCO ფრესკო

## სუპერმარკეტების ქსელი

**ყველაზე დაბალი ფასები საქართველოში**

# თქვენთვის უკვე სანზონაშიც




## 25 დეკემბრიდან

**გურამიშვილის №64**

### ჩვენთან თქვენ დაგხვდებათ:

- 25 000 დასახელების პროდუქტი
- 24 საათიანი მომსახურება
- მიწისქვეშა პარკინგი
- კაფე "ფრესკო"
- უფასო ინტერნეტი
- საბავშვო კუთხე

FrescoRetailGroup www.fresco.ge







| ფრესკო ვარკეთილი | ფრესკო გლდანი | ფრესკო ორთაჭალა | ფრესკო საბურთალო | ფრესკო ჩუღურეთი |
|---|---|---|---|---|
| კალოუბნის ქ.9 | გობრონიძის ქ.18 | გორგასლის ქ.61 | სანდრო ეულის ქ.2 | ჩიქობავას ქ.22 |
| 2 76 00 08 | 2 24 10 20 | 2 90 71 07 | 2 24 44 01 | |